საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
23 - 29 ნოემბერი, 2011
№42 (133)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

«საქართველო და მსოფლიო» გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

14

## სკლეროზს ცრემლების არ სჯერა

4



## სააკაშვილის მმართველობისას საქართველოში უმუშევართა რაოდენობამ 50%-ს გადააჭარბა

8

## ეთნიკური ნიშნით დაყოფილი მოსწავლეები და რუსოფობიის სანაცვლოდ «დათრეული» სკოლა



რატომ ხდება №134 რუსულ საჯარო სკოლაში მოსწავლეების ეთნიკური და სოციალური ნიშნით სეგრეგაცია?

რატომ სცემა მასწავლებელმა მესამე კლასის მოსწავლე?

რა აკავშირებს რუსოფობ დეპუტატ ნიკლაურს №134 სკოლის «პრივატიზაციასთან»?

2

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

## ხელისუფლებამ ეს დამარცხება გამარჯვებად მოირგო, საქართველომ კი სამარადჟამოდ დაკარგა ტერიტორიების 20%

20



პაატა კოღუაშვილი:

## ფასები პერმანენტულად გაიზრდება და დღითიდღე სულ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს აგრარული კრიზისი

9

უჩა ნანუაშვილი:

## ციხეები სასაკლაოდ გადაიქცა

6

არშემდგარ სახელმწიფოთა ინდექსით მალე ავღანეთისა და სომალის გვერდით აღმოვჩნდებით

ზურაბ კვარაცხელია:

## საქართველო თავისი მარიონეტული რეჟიმით არის ტიპური კოლონიური ქვეყანა,

7

რომელსაც დასავლეთი გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე შესაწირ პაიკად იყენებს

## ლიკბეზი ეკონომიკის მინისტრისათვის



საქართველოს სახელმწიფოს ვალი შეადგენს 8 მილიარდ 520 მილიონ აშშ დოლარს

12



22

ჯულიანა დოუმა:

## სააკაშვილია დღეს სახელმწიფო და მას გააჩნია მონოპოლია ძალადობაზე!

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მწვანე სკოლის“ ბავშვებს აქვთ სხვა სასწავლო გეგმა, გარემონტებული შენობა, განახლებული საკლასო ოთახები, ხოლო იქვე, საჯარო სკოლაში დარჩენილი ბავშვები დანგრეულ ფლიგელში განთავსებულ გაურემონტებელ ოთახებში ჰყავთ. ამას გარდა, ამ სკოლას აქვს ერთი ბუფეტი. კერძო სკოლის მოსწავლეებს უფასო სამჯერადი „მსუყე“ კვება ეკუთვნით, ხოლო საჯარო სკოლის ბავშვებს 20 თეთრიც არ აქვთ, ხანდახან ფუნთუშა რომ იყიდონ. ხომ გესმით, რას აკეთებენ, რამხელა სოციალური უთანასწორობის უფსკრულს ქმნიან?**

## რატომ ხდება №134 რუსულ საჯარო სკოლაში მოსწავლეების ეთნიკური და სოციალური ნიშნით სეგრეგაცია?

## რატომ სცემა მასწავლებელმა მესამე კლასის მოსწავლე?

## რა აკავშირებს რუსოფობ დეპუტატ ნუგზარ წიკლაურს №134 სკოლის «პრივატიზაციასთან»?

# ეთნიკური ნიშნით დაყოფილი მოსწავლეები და რუსოფობიის სანაცვლოდ «დათრეული» სკოლა

**თბილისში, დიღმის მასივში, მდებარე №134 რუსული საჯარო სკოლის ლიკვიდაციას განათლების მინისტრმა შაშკინმა 2011 წლის აგვისტოში მოაწერა ხელი. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვით ადრე ბუნდოვანი ტენდერის პირობებში გასხვისებული საჯარო სკოლა ავტომატურად კერძო ინვესტორის ხელში გადავიდა. სკოლას „მწვანე“ დაარქვეს და 1800 ევრო დაადეს სწავლის საფასურად. ოფიციალურ მფლობელებად ყოფილი და ამჟამინდელი დირექტორი კახა დავითური და ბაკურ სულაკაური ითვლებიან, ხოლო არაოფიციალურად ახალი „მწვანე სკოლის“ მფლობელად „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ ნუგზარ წიკლაურსა და მის მეუღლე ელისო ნიჟარაძეს ასახელებენ.**

რუსოფობიით შეპყრობილი ნუგზარ წიკლაურის მეუღლე შაშკინის მიერ ლიკვიდირებულ რუსულენოვან სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგეა და, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ფინანსურ და საგანმანათლებლო პროცესსაც მართავს.

№134 სკოლაში ქალბატონი ელისო წლების წინ რიგით მასწავლებლად მივიდა, მოგვიანებით ამავე სკოლის შენობაში ფასიანი სკოლა „რიტორი“ დააფუძნა და დირექტორის თანამდებობაც დაიკავა, ბოლოს კი დირექტორის თანამდებობა დატოვა და სასწავლო ნაწილის გამგის რანგში აგრძელებს მოღვაწეობას და, როგორც ამბობენ, ეს სკოლა გავლენიანი პარლამენტარი მეუღლის დახმარებით ჩაიგდო ხელში.

**რა ხდება №134 რუსულ საჯარო სკოლაში? ვინ დგას რეალურად ამ სკოლის უკან? კანონიერად მოხდა თუ არა მისი გასხვისება და რატომ გარდაიქმნა ის „მწვანე სკოლად“? ამის გარკვევა ჩვენ პედაგოგთა ლიგის პრეზიდენტთან, ქ-ნ მანანა ნიკოლეიშვილთან ვცადეთ:**

— ეს სკოლა გაყიდა დიმიტრი შაშკინმა და მიჰყიდა გავლენიან ადამიანებს „ნაციონალთა“ რიგებიდან. დანაშაულებრივი სქემა, რომელიც განათლების სამინისტრომ ამ სკოლის გასაყიდად მოიგონა, ყოვლად უმსგავსოა. №134 საჯარო სკოლა, რომელიც რუსულენოვანია, გადაიყვანეს მილევად რეჟიმში, ანუ შეწყვიტეს ბავშვების მიღება, ხოლო ისინი, ვინც დარჩნენ, ეთნიკურად რუსი და აზერბაიჯანელი ბავშვები, ნაწილს გაყრიან, ნაწილი კი თავისით გაიტანს საბუთებს, რადგან ვაი ამ სწავლას, სკოლაში შექმნილია სოციალური უთანასწორობის გარემო. წარმოიდგინეთ, საჯარო სკოლაში გააკეთეს ფასიანი კერძო სკოლა და შეიქმნა აბსოლუტურად უთანასწორო გარემო. **„მწვანე სკოლის“ ბავშვებს აქვთ სხვა სასწავლო გეგმა, გარემონტებული შენობა, განახლებული საკლასო ოთახები, ხოლო იქვე, საჯარო სკოლაში დარჩენილი ბავშვები დანგრეულ ფლიგელში განთავსებულ გაურემონტებელ ოთახებში ჰყავთ, ამას გარდა, ამ სკოლას აქვს ერთი ბუფეტი. კერძო სკოლის მოსწავლეებს უფასო სამჯერადი „მსუყე“ კვება ეკუთვნით, ხოლო საჯარო სკოლის ბავშვს 20 თეთრიც არ აქვს, ხანდახან ფუნთუშა რომ იყიდოს. ხომ გესმით, რას აკეთებენ, რამხელა სოციალური უთანასწორობის უფსკრულს ქმნიან?**

**— ქალბატონო მანანა, თუ იცით, ვინ დგას ამ სკოლის უკან?**

— პარლამენტარ ნუგზარ წილკაურის ცოლი არის ამ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგე, ადრე დირექტორი იყო. ის განაგებს იქ ყველაფერს. ისე, ოფიციალურად როგორც გავიგე, ბაკურ სულაკაურს ეკუთნის. მფლობელების მომენტიც კრიმინალური სქემის ნაწილია და ასე ხდება, როცა ელიტური კორუფცია ყვავის ქვეყანაში. მაგალითად, №187 საჯარო სკოლაშიც შევიდა კერძო სკოლა „ჯეჯილი“ და ამბობენ, რომ ბენდუქიძემ შეისყიდაო.

**— ქალბატონო მანანა, რა ბედი ეწევათ იმ რუს ბავშვებს, რომლებიც ამ სკოლაში დარჩნენ?**

— 500-მდე ბავშვი დარჩა, თანდათანობით გარეკავენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. სახელმწიფო სკოლა მიყიდეს კერძო სკოლას, დირექტორი მოხსნეს და სახელმწიფო სკოლის დირექცია დაუქვემდებარეს კერძო სკოლას. დაწყებულია უკვე ზეწოლა მასწავლებლებსა და ბავშვებზე, მათ გაფანტავენ ქუჩაში და დარჩებათ ეს სკოლა წიკლაურის ცოლს და მის პარტნიორებს. ისე, რუსულ სკოლებს ძალიან ერჩიან, ხურავენ და ხურავენ. სხვათა შორის, იგივე არ მსმენია აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებზე. რატომღაც რუსული სკოლების რაოდენობა ქვეყანაში კატასტროფულად არის შემცირებული. ამის შესახებ მე ერთ-ერთი გავლენიანი უცხოური გამოცემის ჟურნალისტი მესაუბრა, როგორც ჩანს, მან რაღაც მიზანმიმართული პოლიტიკა დაინახა ამაში“.

ისე, საინტერესოა, ამ საკითხით უცხოელი ჟურნალისტები თუ დაინტერესდნენ ან რატომ სძინავთ ასეთ დროს ქართველ უფლებადამცველებს. იმედია, ამ ფაქტების გახმაურების შემდეგ მაინც გამოფხიზლდებიან და №134 საჯარო სკოლაში, რომელსაც ახლა უკვე ადგილობრივი მცხოვრებლები წიკლაურის „მწვანე“ სკოლას ეძახიან, მივლენ და გაარკვევენ, — ფიქსირდება თუ არა სოციალური უთანასწორობის ფაქტები. და საერთოდ, ვის მიჰყიდა ეს სკოლა დიმიტრი შაშკინმა, ამის შესახებ სამინისტრო ოფიციალურად არ საუბრობს, განათლების სამინისტროს საიტზე ამ სკოლის პრივატიზებაზე ინფორმაცია იძებნება, თუმცა იქ შაშკინი, ძირითადად, სკოლის რეაბილიტაციაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ინვესტორებმა სკოლა გაარემონტეს და საუკეთესო გარემო შექმნეს ბავშვებისთვის. როგორც ჩანს, შაშკინი ამ ბავშვებში იმ კერძო სკოლის მოსწავლეებს გულისხმობს, 1800 ევროს რომ იხდიან სწავლაში, და არა იმ 500 მოსწავლეს, რომელთა ბედი მხოლოდ სკოლის მფლობელების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. **ჩვენ ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს — ელისო ნიჟარაძეს ვესაუბრეთ.**



## «ამ სკოლის ერთ-ერთმა პედაგოგმა მე-3 კლასელი გოგონა სცემა. ბავშვის ოჯახი ამ ამბავს პრესასთან არ ახმაურებს. ისე კი მზად არის, ჩვენი გაზეთის მეშვეობით და ანონიმურობის დაცვით, რომელიმე უფლებადამცველ ორგანიზაციას ამ სამარცხვინო შემთხვევაზე ინფორმაცია მიაწოდოს»

**— ქალბატონო ელისო, როგორც დავადგინეთ, თქვენ ხართ „მწვანე სკოლის“ სასწავლო ნაწილის გამგე.**

— დიახ, მე გახლავარ.

**— როგორ მოახერხეთ ამ სკოლის შეძენა, ეს ხომ საჯარო სკოლა იყო?**

— მე არ მიყიდია. მფლობელს დაუკავშირდით.

**— და ვინ არის მფლობელი?**

— კახა დავითური და ბაკურ სულაკაური.

**— ჩვენ გვითხრეს, რომ ოფიციალური მფლობელების უკან თქვენ დგახართ და ამ სკოლის პრივატიზება თქვენი მეუღლის დახმარებით მოხერხდა.**

— არა, არა. აბსოლუტურად მცდარი ინფორმაციაა.

**— როგორც გავიგეთ, თქვენს სკოლაში ირღვევა იმ ბავშვების უფლებები, ვინც ეთნიკურ უმცირესობაში არიან, საუბარია რუსულენოვან სექტორზე.**

— არა, გენაცვალე, არანაირად.

**— მაშინ რატომ გარემონტდა მხოლოდ ფასიანი სკოლის ფლიგელი? რა დააშავეს ეთნიკურად რუსმა ბავშვებმა?**

— არაფერი დაუშავებიათ. ჯერ აქეთ გარემონტდა, მაგრამ მომავალში შერემონტდება მთლიანად ის მხარეც.

**— ქალბატონო ელისო, კიდევ ერთხელ ჩაგეკითხებით, რამდენად გაიყიდა ეს სკოლა და ხართ თუ არა თქვენ მისი მფლობელი?**

— არა, არ ვიცი. ჰკითხეთ კახა დავითურს, სკოლის დირექტორს.

**— მე ადრე ვკითხე კახა დავითურს და მან საერთოდ უარყო ინფორმაცია ამ სკოლის გაყიდვასთან დაკავშირებით. ასე რომ, მე მას ვერ დავეყრდნობი.**

**ქალბატონო ელისო, როგორი ურთიერთობა გაქვთ ეთნიკურ რუს მოსწავლეებთან? ცნობილია, რომ თქვენი მეუღლე რუსოფობია.**

ამ შეკითხვამ, შეიძლება ითქვას, ქალბატონი ელისო წყობიდან გამოიყვანა, მას ნერვებმა უმტყუნა და გაღიზიანებულმა ტელეფონი გაგვითიშა. ერთი სიტყვით, ნუგზარ წიკლაურის მეუღლე უარყოფს გავრცელებულ ხმებს, სკოლის შეძენის თაობაზე. ეს ხმები კი ჩვენამდე მისმა უახლოესმა გარემოცვამ მოიტანა. ამ ინფორმაციამ იმ კედლებიდან გამოჟონა, რომლებიც თქვენ ამ სკოლას შემოარტყით გალავნის სახით. სწორედ ამ სკოლის ერთ-ერთი მშობელი გვიყვება პირად საუბარში, რომ მასწავლებლები ხშირად საუბრობენ თქვენს გავლენებზე და აღნიშნული საჯარო სკოლის რეალურ მფლობელადაც თქვენ გასახელებენ. **ცხადია, ჩვენ ამ ადამიანის სახელსა და გვარს, მისი თხოვნით, არ დავასახელებთ, ისევე, როგორც ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც შაშკინის მიერ პომპეზურად გახსნილ „მწვანე სკოლაში“ მოხდა, კერძოდ კი თქვენი სკოლის ერთ-ერთმა პედაგოგმა მე-3 კლასელი გოგონა სცემა. ბავშვის ოჯახი ამ ამბავს პრესასთან არ ახმაურებს. ისე კი მზად არის, ჩვენი გაზეთის მეშვეობით და ანონიმურობის დაცვით, რომელიმე უფლებადამცველ ორგანიზაციას ამ სამარცხვინო შემთხვევაზე ინფორმაცია მიაწოდოს.**

**ირაკლი მამალაძე**



## ნუგზარ წიკლაურს პუშკინის სკვერისთვის სახელის გადარქმევა სურს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუგზარ წიკლაურს პუშკინის სკვერისთვის სახელის გადარქმევა სურს. როგორც წიკლაურმა განაცხადა, მისი აზრით, ამ სკვერს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეგობარი ქვეყნის დედაქალაქის – ვარშავის სახელი უნდა ეწოდოს. მისი თქმით, რუსული საზოგადო მოღვაწეების სახელობის ქუჩები და სკვერები რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების ერთ-ერთი გამოვლინებაა.**

www.interpressnews.ge 06-11-2008

ნაც-რეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეიგანს თუ ძეგლი „საბჭოთა კავშირის დანგრევაში წვლილის შეტანისთვის“ დაუდგა „ჩვენმა მაღალმა“ (არადა, სხვა საბაბიც იყო – წელს რეიგანს 100 წელი შეუსრულდებოდა), მაშინ სამართლიანობა მოითხოვს, მის გვერდით, თუ გორბაჩოვი არა, შევარდნაძე მაინც დაესვათ, მათ რეიგანზე არა ნაკლები (თუ მეტი არა) წვლილი მაინც მიუძღვით საბჭოთა კავშირის დაშლაში! თუმცა „ვარდების რევოლუციის“ მოედანზე ველოსიპედის ძეგლს რომ დადგამ, აღმაშენებლის ძეგლს კი ქალაქის ბოლოს გადაიტან, აღარც მარტოსული რეიგანის სახელდახელო პლაგიატი უნდა გაგიკვირდეს რიყეზე.**

„თავისუფლების შენარჩუნება ყოველი თაობის საზრუნავი უნდა იყოს“ – ეს წარწერა რონალდ რეიგანის ძეგლზე ქართულ და ინგლისურ ენებზეა ამოტვიფრული. უფრო სწორად, მის ზურგსუკან – სკამის საზურგეზე. ძეგლი კი რიყის პარკში დგას, ოღონდ ჯერ არ ხსნიან, ამერიკელი კონგრესმენების დელეგაციას ელიან, რომელიც გიორგობის, სინამდვილეში კი, „ვარდების რევოლუციის“ მორიგი წლისთავის აღსანიშნავად უნდა ჩამოვიდეს.


რონალდ რეიგანის ძეგლი თბილისში


ლონდონი. ბონდ-სტრიტი. რუზველტის და ჩერჩილის ძეგლი

# «ნაღდი კახელი» — პლეხანოვზე, მოპარული რეიგანი — რიყეზე

ეს ამერიკის უკვე მეორე პრეზიდენტია, რომელსაც სააკაშვილი უკვდავყოფს. ჯერ მელაანის ქუჩას ჯორჯ ბუში-უმცროსის სახელი უწოდა, ახლა კი რიყეზე „საბჭოთა კავშირის დანგრევაში წვლილის შეტანისთვის“ რეიგანის „ორიგინალურ“ ძეგლს დგამს. მისი ორიგინალურობა თურმე იმაშია, რომ სკამზე რეიგანის გვერდით ადგილია, რათა მსურველმა მის გვერდით ფოტოს გადაღება შეძლოს. ჩვენი სულსწრაფი ხელისუფლება ყველაფერს სახელდახელოდ აკეთებს. ახლაც ბევრი არ უფიქრია და ძეგლის კონცეფცია ლონდონის ბონდ-სტრიტიდან მოიპარა, სადაც, კარგა ხანია, ზუსტად ასეთი, ბრინჯაოში შესრულებული ძეგლი დგას, ოღონდ იქ სკამზე უინსტონ ჩერჩილი და ფრანკლინ დელანო რუზველტი სხედან, მათ შორის კი თავისუფალი ადგილია, სადაც მოცლილი ტურისტები იღებენ სურათებს. **ცნობისთვის, ჩერჩილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იყო და მისი ძეგლის დადგმა ლონდონის ცენტრში სულაც არ იყო გასაკვირი. გასაკვირი სულ სხვა რამ არის – ამ ძეგლს „მოკავშირეები“ ჰქვია, მაგრამ სტალინი მათ შორის არ არის.**

**რეიგანს თუ ძეგლი „საბჭოთა კავშირის დანგრევაში წვლილის შეტანისთვის“ დაუდგა „ჩვენმა მაღალმა“ (არადა, სხვა საბაბიც იყო – წელს რეიგანს 100 წელი შეუსრულდებოდა), მაშინ სამართლიანობა მოითხოვს, მის გვერდით, თუ გორბაჩოვი არა, შევარდნაძე მაინც დაესვათ, მათ რეიგანზე არა ნაკლები (თუ მეტი არა) წვლილი მაინც მიუძღვით საბჭოთა კავშირის დაშლაში! თუმცა „ვარდების რევოლუციის მოედანზე“ ველოსიპედის ძეგლს რომ დადგამ, აღმაშენებლის ძეგლს კი ქალაქის ბოლოს გადაიტან, აღარც მარტოსული რეიგანის სახელდახელო პლაგიატი უნდა გაგიკვირდეს რიყეზე.**

სხვათა შორის, ამ ზაფხულს რეიგანის 7-მეტრიანი ქანდაკება უნგრეთის დედაქალაქშიც დადგეს, ოღონდ იმ სკვერში, სადაც 1945 წელს უნგრეთის გამათავისუფლებელი საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი დღემდე შენარჩუნებულია. ისე, რაკი საბჭოთა კავშირის დანგრევაზეა ლაპარაკი, ჩვენ რომ ქუჩა გვაქვს, იმ პრეზიდენტის მამამ – ასევე ჯორჯ ბუშმა 1991 წელს მუხლისჩოქვით შემოიარა საბჭოთა რესპუბლიკები, რომ სსრკ-ს დაშლა რამენაირად შეეჩერებინა. არ გამოუვიდა. სამაგიეროდ, შვილი გამოადგა და ერაყსა და ავღანეთში მისი შეტანილი დემოკრატია დღესაც სისხლს ანთხევს.

ბუში-უმცროსი მიშასაც გამოადგა; სულ „დემოკრატიის შუქურა“ უძახა და მაგალითად დაუსახა დანარჩენ მსოფლიოს. **ისე, თუ ექსტრავაგანტულ ძეგლებზე მიდგა საქმე, შორს არ არის დღე, როცა ავლაბრის რეზიდენციის წინ კახური ქუდის ძეგლი დაიდგმება. აი, ისეთის, ყვარელში მიპატიჟებულმა მეზობლებმა რომ აჩუქეს სააკაშვილს, თან სიტყვაც ჩამოართვეს, — კახელი უნდა გახდეო! „ყოველთვის მეგონა, რომ კახელი ვარ,“ – გაეპასუხა სააკაშვილი. რობერტ სტურუას კი სომეხი ეგონა. ეჰ, ბატონო რობერტ, არ არის ეს კაცი სომეხი. სომეხი რომ ყოფილიყო, ვიდრე მინასიანების ოჯახის გადარჩენილ წევრებს მიიღებდა, სანდრო გირგვლიანის ერთადერთ გადარჩენილ ოჯახის წევრს მაინც შეხვდებოდა. ყველა ჭკვიანი სომეხი ასე იზამდა, მაგრამ ეს კაცი ან სომეხი არ არის, ან — ჭკვიანი. შემოხაზეთ სწორი პასუხი.**

კახელებმა „ზაოდობაზე“ სულ „ჯოს, ჯოს“ უძახეს სააკაშვილს და თან აწ განსვენებული ლეხ კაჩინსკი გაიხსენეს. ჩვენმა ნორჩმა ტელეჟურნალისტებმა არ იციან, რომ მიცვალებულის სადღეგრძელოზე დამთავრება არ შეიძლება და სიუჟეტიც ამით დაასრულეს. სამაგიეროდ, სააკაშვილმა იცის კარგად, რომ ყვარლიდან სანოვაგის საყიდლად თელავის ბაზარზე უნდა წავიდეს, თითქოს ყვარელში ღორის ხორცი, ყველი და მწნილი არ იშოვებოდეს! დიდი საიდუმლო არ არის, რომ ყვარელში სააკაშვილი თბილისიდან დადის, თუ ყვარლის ბაზრის არჩევანი დაიწუნა, თავისუფლად შეეძლო, სანოვაგე თბილისიდან გაეყოლებინა, მაგრამ თბილისში „ბედნიერი ხალხის“ იმედი არ ჰქონდა და თელავი არჩია. **სააკაშვილის აღმა-დაღმა უპროგნოზო სიარული არახალია, მაგრამ, თუ მანამდე თბილისელებს ეშლებოდათ გადაადგილებაში ხელი, ახლა თელაველებმა საკუთარი პროდუქტის ყიდვა-გაყიდვა ვერ შეძლეს. სააკაშვილის ვიზიტამდე და ვიზიტის დროს თელავის ბაზარში დაცვის განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული, მიმდებარე ქუჩები კი გადაკეტილი იყო.**

მავანი იკითხავს: გურჯაანის ბაზარში რატომ არ წავიდაო? გიპასუხებთ: სამიოდე დღით ადრე გურჯაანის ბაზარში 500 ლარის ღირებულების ხორცი და 150 ლარი მოიპარეს. **ჯიხურის მეპატრონეები თანხის ანაზღაურებას დარაჯების ან ადმინისტრაციისგან ითხოვენ. ვინ რას მისცემს, ეს ხომ გასაგებია, მაგრამ სააკაშვილმა მოხერხებულად აარიდა თავი მომჩივანთ, თანაც, თუ იქ ხორცი აღარ იყო, რისთვის მივიდოდა? გურჯაანელები კი ხელებს შლიან და რიტორიკულ კითხვას სვამენ: „მა, ვანო ხერხემალიაო“?**

ახლა სხვა მავანი ინტრიგანი იკითხავს: რა გაუჭირდა პრეზიდენტს ისეთი, რომ ბაზარში არ ყიდულობდეს პროდუქტს, დაილია სუპერმარკეტები? მავანს ვუპასუხებ: „სუში-ბარის“ ამბავი გახსოვთ? არ ესმის ამ ჩვენს მდაბიო ხალხს უმი თევზის ფილოსოფია და ამიტომაც, ღორის მწვადი, თუშური ყველი და მწნილი ირჩია პრეზიდენტმა. სიტყვამ მოიტანა და ის თუშური ყველი, რომელიც პრეზიდენტმა თელავის ბაზარში იყიდა, შეიძლება მომავალ წელს საერთოდ აღარც იშოვებოდეს. ვიდრე თელავის ბაზარში ვაჭრობდა (სიტყვის მასალად, თორემ ვაჭრობას ვინ შეჰკადრებდა — უფასოდ დანებდნენ კახელები), ალვანური ყველის შეძენისას განაცხადა, რომ რამდენიმე წლის წინ ალვანელებმა საძოვრების პრობლემასთან დაკავშირებით წერილობით მიმართეს და ეს პრობლემა მაჟორიტარმა დეპუტატმა მოუგვარა.

ადგილობრივები კი ამბობენ: **„კარგი იქნებოდა, პრეზიდენტმა იცოდეს, რომ ალვანელებისთვის საძოვრების პრობლემა დღეს უფრო მწვავედ დგას, ვიდრე მაშინ, როდესაც ის პეტრე ცისკარიშვილს ავალებდა ამის მოგვარებას. ტყუილად ჰგონია პრეზიდენტს, რომ ეს პრობლემა მოგვარებულია. პირიქით, სულ ცოტა ხნის წინ მოგვადგნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით და საძოვრების გადახვნა დაიწყეს ფრანგული ჯიშის კაკლის ხეების გაშენების მოტივით. საძოვრების პრობლემა ძალიან მწვავედ დგას არა მარტო ალვანში, არამედ თუშეთის საზაფხულო და შირაქის ზამთრის საძოვრებზე, სადაც ფერმერებს გადასახადი, ფაქტობრივად, გაუსამმაგეს. ასე რომ, ის თუშური ყველი, რომელიც პრეზიდენტმა თელავის ბაზარში იყიდა, შეიძლება გაისად საერთოდ აღარც იშოვებოდეს ან ცეცხლის ფასი დაედოს“.**

ბაზრიდან სააკაშვილი ახალი სახლისკენ გაემართა და „ზაოდობაზე“ მიპატიჟებული მეზობლები სათითაოდ გადაკოცნა, მერე სახლში შეიყვანა, მარანი დაათვალიერებინა და ჰკითხა: **„რას იტყვით, ხომ არის კახურად გაკეთებულიო“?** ეჰ, ქართულ სტუმართმოყვარეობას რა ვუთხრა, თორემ, წესით, ვიდრე ააშენებდა, მანამდე უნდა ეკითხა ეს კახელებისთვის. „ნაციონალურ“ არხებს ისე აუჩუყა გული „ხალხურმა“ პრეზიდენტმა, რომ ერთმანეთს ეცილებოდნენ მისი ღირსებებით აღტაცებაში.

**„პრეზიდენტი რეგიონის განვითარებაზე საუბარსაც ასწრებდა და გლეხების გამოკითხვასაც. საუბარი რომ უშუალო იყო, კადრებშიც კარგად ჩანდა. „მონაკოს პრინცმა თქვა, სად არ ვყოფილვარ, რანაირი ღვინო არ დამილევია, მაგრამ ყველაზე საუკეთესო ღვინო ჩემს ცხოვრებაში კახეთში დავლიეო. რა დაალევინეთ ამისთანა?“ – იკითხა მიხეილ სააკაშვილმა და ამ კითხვამ საყოველთაო მხიარულება გამოიწვია. პრეზიდენტმა მეზობლები სუფრასთან მიიწვია, მანამდე კი სამლიტრიანი ქილიდან, სწორედ „ზავოდობის“ შესაფერისად, ცალკე ჭურჭლის გარეშე ჩამოასხა თლილ ჭიქებში „ჭაჭა“ და სტუმრებს მისი დაჭაშნიკება სთხოვა. საუბარი და სასმელის დაჭაშნიკება ეზოში გაშლილ სუფრასთან გაგრძელდა“.**

კახეთში ქეიფი სააკაშვილს კარგად აქვს დაცდილი. ბევრი კი იქილიკეს მისმა მტრებმა წინანდალში ნიკიტა მიხალკოვის შვილის ქორწილში სააკაშვილის დაუპატიჟებლად მისვლაზე, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილმა, როგორც ეს ჭეშმარიტ პოლიტიკოსს სჩვევია, მტერი მოყვრად აქცია. თუ მანამდე მიხალკოვი იმას განიცდიდა, რომ რუსის ჯარი თბილისში არ შევიდა და სააკაშვილი კვერცხებით არ დაკიდა, სააკაშვილმა მასთან წინანდალში „წაიმუშავა“ და აგერ, ასტანაში ჟურნალისტთა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს „დამტკბარმა“ მიხალკოვმა განუცხადა: **„ევრაზიის კავშირი საქართველოს გარეშე ღარიბი იქნება. წარმოიდგინეთ, შეიქმნას ევრაზიული კავშირი და მასში საქართველო არ შევიდეს. ერთმანეთის გარეშე რას გავხდებით? ჩვენი ურთიერთსაჭიროება მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებს, მე პირადად, ქართული იუმორი ძალიან მაკლია“.**

მიხალკოვს რომ ბათუმის პლაჟზე დადგმული კვერცხები და ზედ შემოდებული რეზინის ქოშები ენახა, მიხვდებოდა, რომ ქართული იუმორი სააკაშვილსაც აკლია. საფიქრალია, რომ თორმეტი კვერცხი იმ შემთხვევისთვის არის მომზადებული, რომ, თუ ხელახლა გაპრეზიდენტებულ პუტინს წყენა არ გაუვლის, „ჩამოსაკიდებელი“ ობიექტები არ შემოაკლდეს, ან სულაც, სააკაშვილის მეტისმეტად მაღალ წარმოდგენას ასახავს საკუთარი თავის (უკაცრავად, სხეულის სხვა ნაწილი უნდა მეხსენებინა) შესახებ.

„ნაღდი კახელი“, მართალია, იმაში ვერ ერკვევა, რომ სიმინდი ითესება და არ ირგვება (სულ „რამდენ ჰექტარზე დარგეთ სიმინდიო“, — ასე ეკითხებოდა ადგილობრივებს), სამაგიეროდ, ზუსტად იცის, რომ ქართველები მას ტრაბახას და ბაქიას უწოდებენ. **„მე რეპუტაცია მაქვს, რომ ხანდახან ბევრს ვტრაბახობ საქართველოზე, მაგრამ მე ევროპაში არსად მინახავს ასეთი კულტურული და ტურისტული ცენტრები, როგორიც საქართველოშია,“** — განაცხადა სააკაშვილმა. ჩვენი დავალება იყო, რომ „პლეხანოვი“ უნდა დამთავრებულიყო „ვარდების რევოლუციის“ წლისთავისთვის და წუთი წუთზე დამთავრდება. „პლეხანოვი“ არასოდეს ყოფილა ასეთი ლამაზი“. **მერე რა, რომ ამ გამზირს, უკვე ოცი წელია, დავით აღმაშენებლის სახელი ჰქვია? სააკაშვილს 2008 წლის შემდეგ აღმაშენებლის ხსენება აღარ ხიბლავს.**

აღმაშენებლის არა, მაგრამ ჰარუნ-ალ-რაშიდის დარად, „ჩვენი მაღალიც“ ღამ-ღამობით გადაიცვამს ხოლმე **გლახაკის ტანსაცმელს** და ქალაქში დაიარება, რომ ხალხის სატკივარი გაიგოს. **„გუშინწინ გამოვიარეთ აქ დილის 4 საათზე. წინა დღეებში ძალიან ციოდა. ძალიან მძიმე სამუშაოები იყო, რადგან ღამით ყინვებია, მაგრამ ერთი წუთით არ გაჩერებულა სამუშაოები. მუშაობენ 24 საათი“.**

თუმცა არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სააკაშვილი ჯიუტად უწოდებს აღმაშენებლის გამზირს „პლეხანოვს“: **ძველ, კორუმპირებულ, ძირგამომპალ საბჭოთა კავშირში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის (აბა, კორუფცია იქ გენახათ!) პრორექტორის შვილიშვილმა სააკაშვილმა სწორედ „პლეხანოვზე“, პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო თავისი კომკავშირული კარიერა — კომკავშირის მდივანი იყო. მოეძალა საბჭოთა კავშირის ნოსტალგია და ამან აძახებინა „პლეხანოვი“. რა გასაკვირია: ყოფილ კომკავშირის მდივანს მარქსიზმის თეორეტიკოსი და რსდმპ-ს (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) დამფუძნებელი გაახსენდებოდა და არა დღევანდელ საქართველოზე ხუთჯერ დიდი სახელმწიფოს შემომმტკიცებელი!**

**თამარ დავითულიანი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სინამდვილეში მოვლენები ცოტა სხვაგვარად განვითარდა. სააკაშვილმა თქვა, რომ ნატო-ს ბუქარესტის სამიტი, სადაც საქართველოს მაპ-ი არ მიანიჭეს, „რუსეთმა აღიქვა როგორც ახალი მიუნჰენი“. საუბარი ბარბაროსებზე და აგრესიული რიტორიკის გამოყენება მან მოგვიანებით დაიწყო. რაისის მემუარებში კი ყველაფერი თავდაყირაა. რეალობაში იმ განცდებს, რომელსაც ის აღწერს, ადგილი ძნელად თუ ექნებოდა, რადგან სააკაშვილის განცხადებებს სხვა თანმიმდევრობა ჰქონდა.**

ხანდახან წარსულის აჩრდილები ბრუნდებიან, მოულოდნელად გვახსენებენ თავს და მონდომებით ცდილობენ, დაგვიმტკიცონ, რომ სინამდვილეში გაცილებით გონიერები, გაცილებით გამჭრიახნი იყვნენ. განსაკუთრებული აქტიურობით, ამ მხრივ, ახლო წარსულის აჩრდილები გამოირჩევიან. ნოემბერში მათ მრავალხმიან ექოს ყოფილი სახელმწიფო მდივნის — კონდოლიზა რაისის ხმა შეემატა. აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უხეირო ადმინისტრაციის ამ წარმომადგენელმა გამოაქვეყნა წიგნი „No Higher Honor“, რომელშიც ხელისუფლებაში გატარებული წლები აღწერა. ცხადია, ქართული საზოგადოება ამ მემუარებში, უპირველესად, იმ მონაკვეთებმა დააინტერესა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას, კერძოდ კი 2008 წლის ომს, ეხება.

# სკლეროზს ცრემლების არ სჯერა, ანუ



# რას გვეტყვი ახალს, კონდოლიზა?

საქართველოსთან დაკავშირებული ციტატების გამოქვეყნებას მცირე სკანდალი მოჰყვა. პირველად ისინი „EurasiaNet“-ში ჯოშუა კუცერამ გამოამზეურა სტატიაში სათაურით **„კონდოლიზა რაისი: სააკაშვილმა რუსეთს პროვოცირების საშუალება მისცა“**. შემდეგ კუცერას მასალა „The Atlantic“-მა გადაბეჭდა, ოღონდაც მას საკუთარი სათაური დაურთო: **„კონდოლიზა რაისი საქართველოს ლიდერს რუსეთთან ომის გამო ადანაშაულებს“**. რაისი შეშფოთდა და განაცხადა: **„არაფერი არ შეიძლება ასე შორს იყოს სიმართლისგან, როგორც ის აზრი, რომ მე შეიძლება ქართველები დამედანაშაულებინა“**. „Weekly Standart-თან საუბარში რაისი კუცერას წერილსაც გადასწვდა და მწვავედ გააკრიტიკა ის. „The Atlantic“-მა სათაური შეცვალა, ხოლო კუცერამ „EurasiaNet“-ში რაისის კომენტარს ერთობ მკვახე პასუხი მოაყოლა. ყოველივე ამის აღწერა იმისთვის დაგვჭირდა, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ციტატები წიგნიდან „No Higher Honor“, რომელთა ავთენტურობაზე არავინ დავობს. ჩვენ ვისაუბრებთ მხოლოდ იმაზე, რაც რაისმა თავის წიგნში დაწერა და არა კუცერას შეფასებებზე, რაისის შემდგომ კომენტარებზე ან მათ პოლემიკაზე.

**რამდენად სანდო ინფორმაციას შეიცავს რაისის წიგნი? ერთ-ერთმა ეპიზოდმა მისი მემუარებიდან, შეიძლება დაგვაფიქროს, რომ მას ან მეხსიერებასთან პრობლემები აქვს, ან ფაქტებს შეგნებულად ამახინჯებს.** ციტატა (აქ და შემდგომ „foreign-press.ge“-ს თარგმანი): **„მე ვღელავდი საქართველოს ჭირვეულ, ემოციურ და გადაღლილ პრეზიდენტზე და იმაზე, რა შეეძლო მას ეთქვა. „ბატონო პრეზიდენტო, უბრალოდ, გადაუხადეთ მადლობა ევროპელებსა და ამერიკელებს თანადგომისთვის. თქვენს ხალხს, ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, რაიმე გამამხნევებელი უთხარით. რუსეთზე კომენტარი მთლიანად მე დამიტოვეთ,“ — ვუთხარი მე. პრესკონფერენცია მშვიდად დაიწყო, მაგრამ ის ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა და ვხედავდი, რომ ქართველს სისხლის წნევა უწევდა. მან ბორძიკით განაგრძო გამოსვლა, თითქოს იმაზე ფიქრობდა, თუ რა ეთქვა კიდევ. სააკაშვილი მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურად, ასე რომ, ვიცოდი აქ ენის პრობლემა არ იდგა. და უეცრად ის აგრესიულ ენაზე ალაპარაკდა, ამბობდა, რომ რუსები ბარბაროსები არიან, რომ მათი ტანკები წინ მიიწევენ და არ გაჩერდებიან. კარგი, ვფიქრობდი მე, რუსებზე მკაცრ სიტყვებს ველოდი, ასე რომ, საქმე ჯერჯერობით ცუდად არ მიდის, მაგრამ მერე ის ევროპელებზე გადავიდა, ახსენა მიუნჰენი და დაშოშმინება... ისე გავცეცხლდი სააკაშვილზე, ველარც კი ვლაპარაკობდი...“**

სინამდვილეში მოვლენები ცოტა სხვაგვარად განვითარდა. იმ პრესკონფერენციის სტენოგრამა ხელმისაწვდომია ინტერნეტში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს, რომ სააკაშვილმა ევროპელების კრიტიკა (მშვიდი რეაქციისთვის რუსეთის წინასაომარ სამზადისზე) თავიდანვე დაიწყო და „ახალი მიუნჰენი“ საუბრის დასაწყისშივე ახსენა (ევროპელებისთვის 1938 წლის მიუნჰენის შეთანხმების შეხსენება, როდესაც ჰიტლერს ჩეხოსლოვაკია ხონჩით მიართვეს, მართლაც ძალზე გამაღიზიანებელია). **სააკაშვილმა თქვა, რომ ნატო-ს ბუქარესტის სამიტი, სადაც საქართველოს მაპ-ი არ მიანიჭეს, „რუსეთმა აღიქვა როგორც ახალი მიუნჰენი“. საუბარი ბარბაროსებზე და აგრესიული რიტორიკის გამოყენება მან მოგვიანებით დაიწყო. რაისის მემუარებში კი ყველაფერი თავდაყირაა. რეალობაში იმ განცდებს, რომელსაც ის აღწერს, ადგილი ძნელად თუ ექნებოდა, რადგან სააკაშვილის განცხადებებს სხვა თანმიმდევრობა ჰქონდა.**

**მეხსიერებამ ადამიანს შეიძლება ადრეულ ასაკშიც უღალატოს, თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ რაისი ფაქტებს განგებ ამახინჯებს, რათა მკითხველამდე გარკვეული გზავნილი მიიტანოს.** ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია შემდეგი მაგალითი განვიხილოთ: ჰენრი კისინჯერი, თავის ფუნდამენტურ ნაშრომ „დიპლომატიაში“ ასევე უშვებს შეცდომებს, რომლებიც ზედაპირზე დევს და ეს, სავარაუდოდ, გარკვეულ მიზანს ემსახურება. კისინჯერი სარაევოში ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობასა და I მსოფლიო ომის დაწყებაზე საუბრისას წერს: „საბაბი ომისთვის იმდენადვე შემთხვევითი იყო, რამდენდაც მთელი წინარე დიპლომატიური აქტიურობა — უგუნური... მკვლელობის გარემოებებიც კი ტრაგედიისა და აბსურდის წარმოუდგენელი ნაზავი იყო... ახალგაზრდა სერბმა ტერორისტმა ფრანც ფერდინანდზე პირველი თავდასხმისას წარუმატებლობა განიცადა და მის ნაცვლად მისი მძღოლი დაჭრა. გუბერნატორის რეზიდენციაში მისვლის და ავსტრიელი ადმინისტრატორების გაკიცხვის შემდეგ ფრანც ფერდინანდმა მეუღლესთან ერთად ჰოსპიტალში დაზარალებულის მონახულება გადაწყვიტა. სამეფო წყვილის ახალმა მძღოლმა არასწორად შეუხვია და უკან გამოსვლისას ღია კაფესთან შეჩერდა, სადაც გაკვირვებული მკვლელი თავის იმედგცრუებას ლიქიორში ახრჩობდა. ვინაიდან განგებამ მსხვერპლი მასთან მიიყვანა, მკვლელმა მეორედ არ ააცილა“.

მიუხედავად იმისა, რომ სარაევოს მკვლელობა დეტალებშია აღდგენილი და შეუსაბამობები ძალზე იოლი აღმოსაჩენია, კისინჯერი ყველაფერს მაინც თავდაყირა აყენებს. მისი ტექსტიდან არ ჩანს, რომ საქმეში ჩართული იყო ტერორისტების მთელი ჯგუფი (შემსრულებლები ექვსნი იყვნენ, ხოლო მათ უკან უამრავი ადამიანი და საეჭვო კავშირი იდგა), არამედ საუბარი თითქოსდა ერთ ტერორისტზე მიდის (ნებისმიერ შემთხვევაში, „რაღაც უმნიშვნელოზე“). ამ ქვეტექსტის გადასაფარად „პატარა უზუსტობების“ მთელი სერია გამოიყენება. მაგალითად, პირველი თავდასხმისას ერცჰერცოგის მძღოლი, ლეოპოლდ ლოიკა არ დაუჭრიათ და, შესაბამისად, არ გამოუცვლიათ, დაიღუპა სხვა, კორტეჟის მომდევნო მანქანის მძღოლი, ხოლო ოცამდე ადამიანი დაიჭრა. მკვლელი არ სვამდა ალკოჰოლს ღია კაფეში (იმ ვიწრო ქუჩაზე კაფე, უბრალოდ, არ დაეტეოდა), არამედ შენობის შიგნით, ერთ-ერთ მაღაზიაში ყავას მიირთმევდა (ან, უფრო ფართოდ გავრცელებული ვერსიის თანახმად, ბუტერბროდს ყიდულობდა). გუბერნატორის რეზიდენციაში ერცჰერცოგი და მისი მეუღლე მომაკვდავები მიიყვანეს, ხოლო პირველი თავდასხმის შემდეგ ისინი ქალაქის რატუშას სტუმრობდნენ და ა.შ. კისინჯერი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტებს ამახინჯებს, შესაძლოა იმისთვის, რომ მაქსიმალურად გაუსვას ხაზი მომხდარის შემთხვევითობასა და აბსურდულობას; ის ცდილობს მკითხველი „დიდი შეთქმულების“ თეორიას დააშოროს, ხოლო საუბარს მკვლელობაზე შემდეგი ფრაზით ასრულებს „საბოლოო ჯამში ეს მხოლოდ ტერორისტული შეთქმულება იყო“. კისინჯერს, როგორც ჩანს, უნდა, რომ მკითხველმა ამ მკვლელობის მიღმა ზესახელმწიფოების კვალის ძებნას თავი დაანებოს და მომხდარს ბალკანური გროტესკული ტრაგიკომედიის რაკურსით შეხედოს.

თუმცა კისინჯერი გროსმაისტერია და მისი რებუსების ამოხსნა საინტერესოა; კონდოლიზა რაისის შემთხვევაში, საქმე, სავარაუდოდ, შედარებით მარტივადაა. მის მემუარებს თუ დავეყრდნობით, პრესკონფერენციის წინ მან სააკაშვილს დეტალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარა, რა ილაპარაკოს და რა არა, თუმცა ფიგურანტი გაცეცხლდა და ერთ სისულელეს მეორე მოაყოლა (ყალბი კონსტრუქცია „წნევამ აუწია, ჯერ რუსებს შეუტია, შემდეგ ევროპელებზე გადავიდა”, რაისმა, როგორც ჩანს, მეტი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობისთვის გამოიყენა). შემდგომ კი, რაისი თითქოსდა ირიბად ცდილობს, მაპის არმინიჭება სააკაშვილის იმპულსურობას და ევროპელების გაღიზიანებას დაუკავშიროს: „შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბრიუსელში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ჩავატარეთ (19 აგვისტო. — ავტ.). აღმოვაჩინე, რომ მოკავშირე-

▶

**«მე ვღელავდი საქართველოს ჭირვეულ, ემოციურ და გადაღლილ პრეზიდენტზე და იმაზე, რა შეეძლო მას ეთქვა. «ბატონო პრეზიდენტო, უბრალოდ, გადაუხადეთ მადლობა ევროპელებსა და ამერიკელებს თანადგომისთვის. თქვენს ხალხს, ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, რაიმე გამამხნევებელი უთხარით. რუსეთზე კომენტარი მთლიანად მე დამიტოვეთ»**

მოკლედ

## კონდოლიზა რაისს პუტინის დემოკრატია არ მოსწონს

**ვლადიმერ პუტინი „საარჩევნო პროცესს ფარსს ამგვანებს“. ეს განცხადება აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გააკეთა და რუსეთის პრემიერ-მინისტრის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილს „წარუმატებელი იდეა“ უწოდა.** რაისმა აღნიშნა, რომ, თუ პუტინი კრემლში დაბრუნდება, რუსეთში მასობრივი მღელვარებები გამორიცხული არ არის. ამას გარდა, მანვე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვლადიმერ პუტინი 2012 წლის არჩევნებში გაიმარჯვებს და პრეზიდენტი გახდება, არის დიდი ალბათობა იმისა, რომ იგი კიდევ უფრო მეტად მოახდენს ხელისუფლების ცენტრალიზებას თავის ხელში და ოპოზიციაზე ზეწოლას გააძლიერებს.

## ყაზახეთში ვადამდელი არჩევნები 15 იანვარს დაინიშნა

**ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ხელი მოაწერა განკარგულებას პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნისა და ვადამდელი არჩევნების 2012 წლის 15 იანვარს დანიშვნის თაობაზე.**

ქვედა პალატის არჩევნები 2012 წლის აგვისტოში უნდა გამართულიყო, თუმცა პარლამენტის 53-მა წევრმა მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს, ქვედა პალატის ვადამდე დათხოვნის შესახებ. გადაწყვეტილების მოტივაციად პარლამენტარებმა დაასახელეს ერთპარტიული საპარლამენტო სისტემიდან მრავალპარტიულ საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის აუცილებლობა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის იმპულსური, უკონტროლო ფიგურის სილუეტი იკვეთება, რომელმაც შეიძლება ვაშინგტონის პოზიცია (მათ შორის მკაცრი ტონით გაჟღერებული) უგულებელყოს. სააკაშვილის ასეთად წარმოჩენა რაისისთვის მომგებიანია; ის შესაძლებლობას აძლევს, მოახდინოს საკუთარი თავის (და აშშ-ის) დისტანცირება იმ უბედურებისგან, რომელიც 2008-ში მოხდა.**

# ერთი შეკითხვა მინდა დავსვა: — მზად ვართ იმისთვის, რომ საქართველოს გამო რუსეთს ვეომოთ?


სტივ ჰედლი

ები საოცრად გულმოწყალენი იყვნენ სააკაშვილისადმი, მაგრამ რამდენიმემ თქვა, რომ მან უკვე აჩვენა, თუ რატომაა მაპ-ის მინიჭება მისთვის არცთუ კარგი იდეა“. **ერთი შეხედვით, პირდაპირი კავშირი მაპ-ის არმინიჭებასა და სააკაშვილის იმპულსურ ქმედებებსა და განცხადებებს შორის** (რაც მათ ზოგად სისულელეს, ცხადია, არ გამორიცხავს) **არ არსებობს. ევროპელებმა საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება ომამდე დაბლოკეს და ეს, უპირველესად, გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა და არა სააკაშვილის ნაბიჯებმა (თუნდაც 7 ნოემბერმა) განაპირობა. მაგრამ რაისი, შესაძლოა, ცდილობს, თუნდაც ქვეტექსტის დონეზე, რომ ბუშის ადმინისტრაციის წამოწყების (საქართველო ფორსირებულად გააწევრიანოს ნატო-ში) უპერსპექტივობა, რომელსაც ევროპელი მოკავშირეები ნებისმიერ შემთხვევაში წინ აღუდგებოდნენ, სხვა ფაქტორებით ახსნას ან გადაფაროს. მკითხველს ვაშინგტონის სტრატეგიული შეცდომების ანალიზის ნაცვლად, სააკაშვილისა და ევროპელების ტაქტიკურ წინდაუხედაობაზე საუბარს სთავაზობს.**

## ბრძოლის ყიჟინა მოესმათ

რაისი, ამასთანავე, ერთ საინტერესო თათბირს აღწერს, რომელსაც ომის დღეებში დაესწრო: „შეხვედრა ცოტა არ იყოს რთულად სამართავი იყო. ბევრი რუსების გამო გულში მჯიღს იცემდა. ერთ მომენტში სტივ ჰედლი (მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. — ავტ.) ჩაერია, რასაც ის იშვიათად აკეთებდა ხოლმე. ამ დროს იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რით შეიძლება დაიმუქროს აშშ. **„ერთი შეკითხვა მინდა დავსვა, — თქვა ჰედლიმ თავშეკავებით, — მზად ვართ იმისთვის, რომ საქართველოს გამო რუსეთს ვეომოთ?“** ხმაური ჩაწყნარდა და მან ადგილი დაუთმო კონსტრუქციულ საუბარს იმაზე, თუ რის გაკეთება შეგვეძლო რეალურად“. უდროოდ გარდაცვლილი რონალდ ასმუსი, წიგნში „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, ასევე აღწერს თათბირს, სადაც კონფლიქტში აშშ-ის შესაძლო ჩარევა განიხილებოდა. ასმუსის მიხედვით, ეს თათბირი 11 აგვისტოს გაიმართა; მასში ბუში და ჩეინი მონაწილეობდნენ. გამორიცხული არაა, რომ საუბარი ერთსა და იმავე თავყრილობაზე მიდის. ასმუსის ვერსიით, საკითხის განხილვის ინიციატორი თავად ჰედლი იყო. „ასმუსი წერს, რომ ჰედლი მიიჩნევდა, რომ სამხედრო მოქმედებები მეტად სარისკო იქნებოდა, მაგრამ მან მაინც წამოაყენა ეს საკითხი 11 აგვისტოს შეხვედრაზე ბუშთან, ჩეინისთან და სხვა მაღალჩინოსნებთან, რათა გამოეწვია „ღია განხილვა“ და აეძულებინა ჩეინი და სხვები პროტოკოლისთვის განცხადებები გაეკეთებინა“ („Politico“). ამ გამოცემასთან საუბარში ჰედლიმ თქვა, რომ „იყო მსჯელობა თემაზე „შეიძლება თუ არ განვიხილოთ სამხედრო მოქმედება ჩვენი მიზნების მიღწევისთვის?“ და საერთო აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ეს მიმზიდველი ვარიანტი არ არის... ყოველივე ეს ძალიან შორს ხდებოდა და რუსეთთან პირდაპირ სამხედრო შეტაკებაში გადაიზრდებოდა“. ასმუსი წერს, რომ თათბირზე „როკის გვირაბის დაბომბვა და გადაკეტვა“ და „სხვა წერტილოვანი დარტყმები“ განიხილებოდა.

**ვინ მოიგებდა ყველაზე მეტად იმ შემთხვევაში, თუ აშშ და რუსეთი ერთმანეთს დარტყმებს მიაყენებდნენ?** (ბირთვულ აპოკალიფსამდე საქმე, ალბათ, არ მივიდოდა და რაღაც მომენტში ორივე მხარე, სავარაუდოდ, გაჩერდებოდა, თუმცა ზარალიც ძალიან დიდი იქნებოდა). **ყველაზე მეტად ამით, სავარაუდოდ, იხეირებდა პეკინი და ის ტრანსნაციონალური ფინანსური ჯგუფები, რომლებიც XXI საუკუნეში ფსონს ჩინეთის გლობალურ ლიდერობაზე დებენ. მათ ორივე მხარის მარცხი აწყობდათ: რუსეთის მძიმე მარცხის შედეგად ჩინეთის გავლენის სფეროში რესურსებით მდიდარი შუა აზია და ციმბირი შევიდოდა, აშშ-ს მძიმე მარცხის შემთხვევაში პეკინი, დაგეგმილზე ადრე, უკან ჩამოიტოვებდა მთავარ გლობალურ კონკურენტს და ფრთებს წყნარი ოკენის თავზე გაშლიდა. ყაიმიც კი (ეს ყველაზე სავარაუდო შედეგი იყო) პეკინისთვის მეტად მომგებიანი იქნებოდა. ერთმანეთის მიერ „დალურჯებული“, გამწარებული აშშ და რუსეთი, გარკვეული (პეკინისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი) დროის განმავლობაში მის წინააალმდეგ ალიანსს ვერ შეკრავდნენ, მეტიც, მისი კეთილგანწყობის მოპოვებას შეეცდებოდნენ. და ყოველივე ამას, სუნ ძი რომ იტყოდა, ჩინელები „ქარქაშიდან ხმლის ამოუღებლად“ მიაღწევდნენ.**

ეს შტატებისთვის მეტად არასახარბიელო შორეული პერსპექტივა იყო, ხოლო **ახლო პერსპექტივაში, 11 აგვისტოს თათბირს თუ დავუბრუნდებით, მათ ელოდათ ომი (თუნდაც „წერტილოვნი დარტყმების“ გაცვლის სახით) ისეთ ძლიერ და ნაკლებად პროგნოზირებად ქვეყანასთან, როგორიცაა რუსეთი.** ნუთუ ვინმე, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფიქრობს, რომ არსებობდა თუნდაც მცირე შანსი იმისა, რომ ამერიკელები აგვისტოს ომში სამხედრო საშუალებების გამოყენებით ჩაერეოდნენ? უბრალოდ, სტივენ ჰედლიმ, როგორც ჩანს, მოაწყო პატარა შოუ, სადაც ყველა მსურველს შესაძლებლობა მისცა „ორთქლი გამოეშვა“ და სხვადასხვა ჰეროიკულ პოზაში დამდგარიყო. თვითონ კი, სავარაუდოდ, სხვა ჩინოვნიკების განცხადებებსა და შესაძლო მოტივებს აკვირდებოდა. არადა, სააკაშვილის ხელისუფლება სერიოზულად იმედოვნებდა, რომ აშშ უშუალო სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა.

## თქვა და ხელებიც დაიბანა

**„ბატონო პრეზიდენტო, რაც არ უნდა მოხდეს, არ მისცეთ რუსებს თქვენი პროვოცირების საშუალება. გახსოვდეთ, პრეზიდენტი ბუშიც ამბობდა, რომ მოსკოვი შეეცდება, სისულელე ჩაგადენინოთ. არ ჩაითრიოთ რუსეთის შეიარაღებული ძალები. ვერავინ დაგეხმარებათ და თქვენ დამარცხდებით,“ — ვუთხარი მე მკაცრად“, — წერს რაისი.** ვინ იცის, იქნებ ზოგიერთი ამერიკელი მაღალჩინოსანი სააკაშვილს საპირისპირო მიმართულებით უბიძგებდა და არწმუნებდა, რომ გადამწყვეტ მომენტში აშშ დაეხმარება?! ხომ იყვნენ ვაშინგტონში ადამიანები, რომლებიც 11 აგვისტოს როკის გვირაბზე შეტევის იდეებს ავითარებდნენ და რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ისინი (ან სხვები) იმავეს სააკაშვილის თანდასწრებით ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე არ აკეთებდნენ? **საინტერესოა, თუ რატომ უთხრა რაისმა სააკაშვილს ყოველივე ეს „მკაცრად“? ძალიან შეაწუხა? ხომ არ მიანიშნებს ეს ციტატა დისტანცირების სურვილზე?**

აქ კი, ალბათ, პრესკონფერენციასთან დაკავშირებულ მონაკვეთს უნდა დავუბრუნდეთ. იქ რაისი (მისი თქმით) სააკაშვილს ინსტრუქციას აძლევს, შემდეგ კი სააკაშვილი ჯერ მწარედ აკრიტიკებს რუსებს (პირველად არღვევს ინსტრუქციას), შემდეგ კი ევროპელებს (მეორედ არღვევს). რა რეაქცია აქვს ამ დროს რაისს? „კარგი, ვფიქრობდი მე, რუსებზე მკაცრ სიტყვებს ველოდი, ასე რომ საქმე ჯერჯერობით ცუდად არ მიდის“, ანუ **ის შინაგანად თანხმდება მისი ინსტრუქციის (ზრდილობის გულისთვის მას შეიძლება „თხოვნა“ ვუწოდოთ) დარღვევას, შემდეგ კი გულწრფელად უკვირს, რომ სააკაშვილი ინსტრუქციას მეორედაც არღვევს და მხოლოდ ამის შემდეგ მწარდება. ერთობ უცნაური ლოგიკაა. თუ ამ სიტუაციის პროეცირებას პოლიტიკაზე მოვახდენთ, ვნახავთ, რომ სააკაშვილმა აქაც დაარღვია ინსტრუქცია, შესაძლოა იმის იმედით, რომ რეაქცია ამაზე შემოიფარგლებოდა სიტყვებით „საქმე ჯერჯერობით ცუდად არ მიდის“. საბოლოო ჯამში კი ამ სტრიქონების მიღმა იმპულსური, უკონტროლო ფიგურის სილუეტი იკვეთება, რომელმაც შეიძლება ვაშინგტონის პოზიცია (მათ შორის მკაცრი ტონით გაჟღერებული) უგულებელყოს. სააკაშვილის ასეთად წარმოჩენა რაისისთვის მომგებიანია; ის შესაძლებლობას აძლევს, მოახდინოს საკუთარი თავის (და აშშ-ის) დისტანცირება იმ უბედურებისგან, რომელიც 2008-ში მოხდა.** კიდევ ერთი მსგავსი ქვეტექსტის მქონე ფრაზა: **„ის ამაყია და შეიძლება იმპულსურიც იყოს, ამიტომ ვშიშობდით, რომ მოსკოვს საკუთარი თავის პროვოცირების საშუალებას მისცემდა და ძალას გამოიყენებდა“.**

საერთოდ წარუმატებელი პოლიტიკოსების მოსმენა, რაღაც მომენტში შეიძლება ფრიად მოსაწყენი გახდეს. ძნელი ასატანია, როდესაც ერთი „ლუზერი“ მეორესთვის საკუთარი ან მათი საერთო წარუმატებლობის გადაბრალებას ცდილობს. ალბათ, ჯობს, ისინი წარსულში დავტოვოთ (ბუშის ადმინისტრაცია უკვე იქაა, სააკაშვილი ცოტა შეყოვნდა, თუმცა ეს, სავარაუდოდ, დროებითია) და მათი პირდაპირი თუ ირიბი, ერთობლივი თუ ერთპიროვნული ნაბიჯების შედეგად დანაწევრებულ, დასახიჩრებულ საქართველოს მივხედოთ; ეს, ალბათ, გაცილებით კონსტრუქციული იქნება.

**დიმიტრი მონიავა**

# ლოთი ქობალია რეგიონებში შექმნილ შეიარაღებულ ფორმირებებს მომავალ არჩევნებზე ზეწოლის ბერკეტად მიიჩნევს



**ხელისუფლების დაკვეთით საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში შეიარაღებული სამხედრო ფორმირებების შექმნამ, რომლებშიც ძირითადად გაწევრიანებულნი არიან ვეტერანი, ნაომარი მებრძოლები, დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თუმცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ბუკლეტებში ასეთი შეიარაღებული ფორმირებები ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნით შექმნილ „ნებაყოფლობით რეზერვადაა“ მოხსენიებული. სინამდვილეში კი ასეთი რეზერვის შექმნა უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში შესაძლო მოსვლას, რასაც ყველა აღიარებს, მათ შორის, ამ ფორმირების წევრებიც.**

„საქართველოში ჩვენს ლაშქარში 400 000 ადამიანია გაერთიანებული. ამას ემატება პოლიცია და ჯარი, რაც იმის გარანტიაა, რომ ივანიშვილი არჩევნებს ვერ მოიგებს და ვერც ხელისუფლებაში მოვა,“ — განაცხადა ერთ-ერთი ფორმირების 65 წლის მეთაურმა. ამით მან აღიარა, რომ ე. წ. ნებაყოფლობითი რეზერვი არა ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად, არამედ ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ არის შექმნილი.

ამავე აზრისაა საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ლოთი ქობალიაც, რომლის ბევრი თანამებრძოლი ამ ფორმირებებში გაწევრიანდა.

„ამ ე.წ. ნებაყოფლობით რეზერვს მე ვუწოდებდი საარჩევნო აღვირს. თუ ხელისუფლებას სურს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, მაშინ ასეთი მეთოდებით არ უნდა მოქმედებდეს. სასაცილო და სამარცხვინოა, როცა რეზერვში სამოც წელზე მეტი ხნის ადამიანებს აწევრიანებენ, რა გაჭირვებაა ასეთი. მე ვერ ვხედავ ვერანაირ საფრთხეს ჩემი ქვეყნის მიმართ, რამაც ასეთი რეზერვის შექმნა შეიძლება განაპირობოს და, თუ მართლა საფრთხე დაემუქრება ჩემს ქვეყანას, მე ვერავინ დამასწრებს მის სადარაჯოზე დადგომას,“ — *განაცხადა ლოთი ქობალიამ. მისი განმარტებით, ამ ფორმირებებში გაერთიანებული ყოფილი ზვიადისტები საქართველოს პრეზიდენტის იმედებს ვერ გაამართლებენ:* „ამ ფორმირებებში ისინი იმიტომ გაწევრიანდნენ, რომ რაღაც-რაღაცებს დაჰპირდნენ, თუმცა, რაც არ უნდა დაპირდე და მისცე ყოფილ ზვიადისტებს, მათ რწმენას მაინც ვერ შეაცვლევინებ, ისინი არასწორ ნაბიჯს არ გადადგამენ და მათზე ტყუილა ამყარებს იმედებს ხელისუფლება. ჩემთან ისინი არ მოსულან და არც არანაირი შემოთავაზება ყოფილა, რადგან იციან, რომ მე ასეთ თამაშში არასოდეს ჩავერთვები“.

მოკლედ

## ბერლუსკონის დამშვიდობება

**იტალიის გადამდგარმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ თანამდებობაზე ყოფნის ბოლო დღე კოლეგებს მიუძღვნა.** იტალიური მასმედიის ინფორმაციით, ყოფილმა პრემიერმა ტელეფონით ყველა თავის უცხოელ კოლეგას დაურეკა და პირადად დაემშვიდობა. ბერლუსკონი გამოემშვიდობა რუსეთის პირველ პირებს: დიმიტრი მედვედევსა და ვლადიმერ პუტინს, გამოსათხოვარი საუბარი ჰქონდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან, დაურეკა საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის, ბრიტანეთის პრემიერ დევიდ კემერონს, თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელ რეჯებ ერდოღანს, ისრაელში — ბენიამინ ნეთანიაჰუს. არც ოკეანისგაღმელი კოლეგები დავიწყებია. ის გამოემშვიდობა როგორც აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ასევე მის წინამორბედ ჯორჯ ბუშ-უმცროსს.

## პუტინი რაისს არაკონსტრუქციულობაში ადანაშაულებს

რუსეთის ფედერაციის პრემიერი ვლადიმერ პუტინი კონდოლიზა რაისის განცხადებას ეხმაურება და აშშ-ის ექს-სახელმწიფო მდივანს არაკონსტრუქციულობაში ადანაშაულებს. რუსეთის პრემიერის სახელით შესაბამისი განცხადება მისმა პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა გააკეთა. **„შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი არაკონსტრუქციულია, რადგან ამერიკაში მიმდინარე აქციების ფონზე რუსეთში არეულობების პროგნოზირება არაკორექტულია,“** — განაცხადა პესკოვმა.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იყო შემთხვევები, როცა პროკურორს წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია დაკავებულის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ და საპროცესო შეთანხმების დროს სწორედ ამის მიხედვით მოხდა დაკავებულის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, იუსტიციის სამინისტროში არის სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ხდება ამა თუ იმ ოჯახის შემოსავლების დადგენა და შემდეგ უკვე ამის მიხედვით ჯარიმდებიან დაკავებული მოქალაქეები.“

უჩა ნანუაშვილი:

# ციხეები სასაკლაოდ გადაიქცა

## არშემდგარ სახელმწიფოთა ინდექსით მალე ავღანეთისა და სომალის გვერდით აღმოვჩნდებით



**(იუსტიციის სამინისტროში არის სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ადგენენ ამა თუ იმ ოჯახის შემოსავალს და შემდეგ ამის მიხედვით აჯარიმებენ მოქალაქეებს...) „ვარდების რევოლუციის“ მერვე წლისთავზე, ადამიანის უფლებების დაცულობის თვალსაზრისით, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას „საქართველო და მსოფლიოსთვის“ აფასებს ადვოკატი და უფლებადამცველი უჩა ნანუაშვილი.**

**— ბატონო უჩა, აგერ უკვე მერვე წელია, ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ყოველდღე გვესმის, რომ სააკაშვილის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანამ ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, როგორ აისახა ეს რეფორმები ადამიანის უფლებების დაცვაზე?**

— ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცულობის თვალსაზრისით, დღესდღეობით იმდენი პრობლემაა ქვეყანაში თავმოყრილი, დეტალურად ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ უმჯობესია, იმ საკითხებზე ვისაუბროთ, რომლებიც ყველაზე მწვავედ დგას და დღითიდღე სულ უფრო პრობლემური ხდება.

დღეის მდგომარეობით, სადაც ყველაზე ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები და, რაც უკვე თითქმის ყოველდღიური მოვლენაა, არის პენიტენციალური სისტემა, კერძოდ საპყრობილეები. **თუკი 2004-05 წლებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, ძირითადად, წინასწარი დაკავების იზოლატორში ან პოლიციის განყოფილებებში ხდებოდა, შემდგომ წლებში ამან უკვე ციხეებში გადაინაცვლა და ციხე იქცა იმ ადგილად, სადაც წამება თუ სხვა სახის ზემოქმედება მსჯავრდებულზე აღარავის უკვირს.** რამდენიც უნდა ილაპარაკონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ რეფორმების შედეგად სასჯელაღსრულების სისტემაში დადებითი ცვლილებები განხორციელდა, ეს ფაქტია და ამას ადასტურებს ყველა ის უფლებადამცველი ორგანიზაცია, რომლებმაც რაიმე კვლევა ჩაატარა და იმუშავა ამ მიმართულებით. არაფერს ვამბობ ომბუდსმენის დასკვნაზე, რომელიც ასევე იყო ძალიან მძიმე და მიანიშნებდა სწორედ იმაზე, რომ პენიტენციალურ სისტემაში არის ძალიან სერიოზული პრობლემები. რაც შეეხება ქრონოლოგიას, რომელიც თქვენ ახსენეთ, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ სტატისტიკა არის უკიდურესად მძიმე და, რაც დრო გადის, ეს სტატისტიკა უფრო და უფრო შემაშფოთებელია.

**2004 წელს პატიმართა რაოდენობა თუ შვიდი ათასამდე იყო, ამჟამად ეს მაჩვენებელი ოცდაოთხი ათასს აჭარბებს, ანუ თითქმის ოთხჯერ მეტია; შესაბამისად, საკნები საოცრად გადატვირთულია და, ბუნებრივია, როცა ასეთი მდგომარეობაა, იქ პირობებიც ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. ამასთან, შემაშფოთებელია ის სტატისტიკაც, რომელიც მსჯავრდებულთა სიკვდილიანობას ასახავს. მარტო შარშან ას ორმოცდაორი პატიმარი გარდაიცვალა, მიმდინარე წელს კი, ექვსი თვის განმავლობაში, — სამოცდაჩვიდმეტი, ხოლო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთლიანად — ხუთას ოცდაათი.** ეს არის ძალიან მაღალი, შეიძლება ითქვას, კატასტროფული მაჩვენებელი, მითუმეტეს ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის და, სამწუხაროდ, დინამიკა არის ისეთი, რომ მომავალში უარესი შედეგები, ფაქტობრივად, გარდაუვალია, თუ, რა თქმა უნდა, არ შეიცვალა ის პოლიტიკა, რომელსაც ეს ხელისუფლება ატარებს და რომელიც დღესდღეობით უკვე შეზღუდულია აბსოლუტურად ყველა სფეროში...

**— ანუ მთელი ამ რვა წლის განმავლობაში, რაც ეს რეფორმები ტარდებოდა, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებების კუთხით რაიმე პოზიტიური ძვრები არ ყოფილა?**

— არამარტო ძვრები არ ყოფილა, აქ საუბარია იმ რეგრესზე, რომელიც ამ წლების განმავლობაში განიცადა ქვეყანამ და დღემდე განიცდის. გარდა ამისა, არის მთელი რიგი სფეროები, სადაც წინა ხელისუფლების პერიოდში არ იყო, ან თუ იყო, ნაკლებად და სწორედ ამ ხელისუფლების დროს დაფიქსირდა უფლებადარღვევის მასშტაბური ფაქტები, მაგალითად: საკუთრების უფლების ხელყოფა, რაც ძალიან ხშირია; შეკრებისა და მანიფესტაციების შეზღუდვა, რაც ასევე ძალზედ პრობლემურია დღესდღეობით; მედიის თავისუფლება; მონიტორინგის შესაძლებლობის არარსებობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ა.შ., ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი ჯამში მიანიშნებს სწორედ იმაზე, რომ, ადამიანის უფლებების დაცულობის თვალსაზრისით, არა თუ რაიმე მიღწევები არ არის ქვეყანაში, არამედ — პირიქით. ეს არის ყველაზე პრობლემური სფერო, აქედან გამომდინარე პოზიტიურ ძვრებზე, უბრალოდ, საუბარიც ზედმეტია და მიმაჩნია, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა ადამიანი თითქმის ყოველ ნაბიჯზე აწყდება უსამართლობას, საკითხი არც უნდა დაისვას ასეთნაირად — რამდენად დადებითად აისახა რეფორმები ადამიანის უფლებებზე...

**— რაც შეეხება გარდაცვლილ მსჯავრდებულებს, თუ არის ცნობილი, კონკრეტულად რა გახდა მათი სიკვდილის მიზეზი?**

— არც ერთ შემთხვევაში საქმე გამოძიებული არ არის და, შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, რეალურად რამ გამოიწვია ამა თუ იმ მსჯავრდებულის გარდაცვალება. კი, არის რაღაც მოკვლევა, რომელშიც ზოგიერთი რამ განმარტებულია, მაგრამ, ჯერ ერთი, არავინ იცის, ის მოკვლევა რამდენად ობიექტურად ჩატარდა და მერე კიდევ, ის ფაქტი, რომ უფლებადამცველ ორგანიზაციებს არ აქვთ საშუალება, მონიტორინგი აწარმოონ ციხეებში, ძალიან ბევრ კითხვას აჩენს. გარდა ამისა, არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რომლის თანახმადაც გარდაცვლილი მსჯავრდებულების საშუალო ასაკი იყო 25-35 წლამდე, ანუ ის, რაც რამდენიმე თვის წინათ კალმახელიძემ განაცხადა, ადამიანები გარეთაც კვდებიან და — შიგნითაცო, რაშიც მან ასაკობრივი სიკვდილი იგულისხმა, არის აბსურდი და რეალურად ქვეყანაში გვაქვს ასეთი სურათი, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებები სასაკლაოდ გადაიქცა. ამას ადასტურებს არა მხოლოდ საქართველოში მოქმედი, არამედ არაერთი საერთაშორისო გავლენიანი უფლებადამცველი ორგანიზაციაც, რომლის დასკვნაშიც საკმაოდ მწვავედაა ეს ყველაფერი შეფასებული და ზოგ შემთხვევაში ხელისუფლების პოლიტიკაც კია ნაწილობრივ გაკრიტიკებული...



**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მოდით, ახლა დადებითი კუთხით შევხედოთ ამ ყველაფერს. ხელისუფლება ამაყობს იმით, რომ ქვეყანაში აღმოიფხვრა კორუფცია, ამაზე რა აზრის არიან იგივე ის უფლებადამცველი ორგანიზაციები?**

— ჯერ ერთი, საკითხავია, მართლა მოისპო თუ არა კორუფცია, იმიტომ, რომ კორუფციის დონე არ განისაზღვრება მარტო იმით, იღებს თუ არა პოლიციელი ქრთამს ქუჩაში და ა. შ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, სასამართლო სისტემა, სადაც, ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ჰკითხოთ, ყველაზე მეტადაა, თურმე კორუფცია აღმოფხვრილი, დღესდღეობით მთლიანად არის კონტროლირებადი და დაქვემდებარებული კონკრეტული ადამიანების ინტერესებს; ასე რომ, ის, რაც ჩვენ გვესმის ტელევიზიით, რომ თურმე ქვეყანაში არავინ იღებს ქრთამს და რეფორმების შედეგად მთელი რიგი სტრუქტურებისა გახდნენ უფრო ლიბერალური, რა თქმა უნდა, არანაირად არ შეესაბამება იმ საგანგაშო სურათს, რომელიც რეალურად არის ქვეყანაში და რასაც, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვე ხედავს მთელი მსოფლიო...

**— სასამართლოს მიკერძოებულობაზე საუბარი თითქოსდა უკვე ერთგვარად სავალდებულო თემად იქცა საქართველოში. თქვენ რის საფუძველზე ამბობთ, რომ სასამართლოს სისტემა არის კონტროლირებადი?**

— ისევ სტატისტიკას მოვიშველიებ, მარტო **შარშან თბილისის საქალაქო სასამართლოში ოცდაექვსი ათასზე მეტი საქმე იყო განხილული და აქედან მხოლოდ სამზე იქნა გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ განხილული საქმეების 99,9%-ზე გამოდის ის დადგენილება, რაც ხელისუფლებისა და პროკურატურის ინტერესებშია.** ასე რომ, ამ სტატისტიკის გაცნობის შემდეგ, მე მგონი, არ უნდა ჩნდებოდეს კითხვა, თუ რატომ არის უნდობლობა სასამართლო სისტემის მიმართ, არის იმიტომ, რომ ეს სისტემა მთლიანად კონტროლდება ხელისუფლების მიერ და იგი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ხელისუფლების მთავარ ინსტრუმენტს. ეს ნათლად ჩანს აბსოლუტურად ყველა საქმეში, რომლებიც ბოლო წლებში იქნა განხილული და ამ საქმეების დიდი ნაწილი ფართო საზოგადოებისთვისაც კარგადაა ცნობილი.

**— კი მაგრამ, ერთი რამ, ცოტა არ იყოს, გაუგებარია: რა ინტერესები შეიძლება ჰქონდეს პროკურატურას იმ რიგითი მოქალაქეების მიმართ, რომელთა საქმეზეც, როგორც თქვენ ამბობთ, არაობიექტური დადგენილება გამოიტანა?**

— ეს არის სწორედ იმ ე. წ. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, რომელიც ამ ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ქვეყნის სათავეში მოსვლის დღიდან გაახმიანა და გვითხრა, რომ სწორედ ამით იხელმძღვანელებდა ის მომავალში თავის მოქალაქეებთან მიმართებაში. ამ პოლიტიკის შედეგია ის ცვლილებებიც, რომლებიც სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელდა და რომელმაც შექმნა უამრავი დღემდე გადაუჭრელი და მოუგვარებელი პრობლემა. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა, მაგალითად, ის, რომ გაუქმდა სასჯელების შთანთქმის პრინციპი, ანუ ადრე თუ ხდებოდა ისე, რომ რამდენიმე დანაშაულში ერთდროულად ექვმიტანილი ადამიანი სამართლდებოდა იმ მუხლით, რომელიც იყო ყველაზე მძიმე, დღეს უკვე პირიქით, სასჯელების შეკრებითობის პრინციპით ხდება განაჩენის გამოტანა, შესაბამისად, ბუნებრივია, დღითიდღე იზრდება ისეთი მსჯავრდებულების რაოდენობა, რომელთაც შეიძლება არასერიოზული დანაშაული არ ჰქონდეთ ჩადენილი და ამ დროს მისჯილი აქვთ ხუთი, ათი და შეიძლება უფრო მეტი წლითაც თავისუფლების აღკვეთა.

მოკლედ, ეს ყველაფერი საბოლოოდ მიანიშნებს სწორედ იმაზე, რომ ქვეყანაში არის სერიოზული ავტორიტარული რეჟიმი, რომლისთვისაც ეს ე. წ. სიმკაცრე, გარდა იმისა, რომ არის მოსახლეობის დაშინების მექანიზმი, ასევე არის შემოსავლისა და ბიუჯეტის შევსების მუდმივი წყაროც. წარმოიდგინეთ, **მარტო შარშან ას თორმეტი მილიონი ლარი შევიდა ხაზინაში საპროცესო შეთანხმებებიდან, რაც თავისთავად საკმაოდ სოლიდური თანხაა, მითუმეტეს ისეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა...**

**— გინდათ თქვათ, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ზრდის პატიმართა რაოდენობას?**

— მეტსაც გეტყვით: **იყო შემთხვევები, როცა პროკურორს წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია დაკავებულის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ და საპროცესო შეთანხმების დროს სწორედ ამის მიხედვით მოხდა დაკავებულის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, იუსტიციის სამინისტროში არის სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ხდება ამა თუ იმ ოჯახის შემოსავლების დადგენა და შემდეგ უკვე ამის მიხედვით ჯარიმდებიან დაკავებული მოქალაქეები.**

...პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ურტყამს თითოეული ადამიანის ჯიბეს და ამასთან, ასევე ეს არის დაშინებისა და დატერორების მექანიზმი, რითაც, ცხადია, რომ ხელისუფლება ცდილობს, მოსახლეობა მუდმივ წნეხსა და დაძაბულობაში ამყოფოს...

**— დასაწყისში თქვენ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები ახსენეთ და საინტერესოა, კონკრეტულად რა ფორმით აისახა დღემდე მათ კვლევებში ეს ყველაფერი.**

— აი, მაგალითად, ფონდი მშვიდობისათვის, არის ასეთი საკმაოდ გავლენიანი ამერიკული ორგანიზაცია, რომელმაც შარშან გამოაქვეყნა დასკვნა სახელწოდებით — შეუმდგარ სახელმწიფოთა ინდექსი. ამ დასკვნაში საქართველო იყო დასახელებული ძალიან ახლოს ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიცაა, ვთქვათ, ავღანეთი, სომალი და ა. შ., ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ დღესდღეობით აქ არა თუ დემოკრატიაზე და რამე დემოკრატიული პროცესების არსებობაზე არ შეიძლება საუბარი, არამედ რეალურად ქვეყანაში არის საგანგაშო მდგომარეობა. ეს იგრძნობა ყველგან, ყველა სფეროში და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, უკვე ანტიდემოკრატიული პროცესები იმდენად სტიქიურად ვითარდება, რომ ორი ათასი წლის შემდეგ საქართველო მართლა შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი სახელმწიფოების გვერდით, როგორიცაა სომალი, ავღანეთი და აღმოსავლეთის სხვა ტიპური ავტორიტარული ქვეყნები. ამის საფრთხე ძალიან დიდია და სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ის კვლევაც, რომელზეც მოგახსენეთ. არაფერს ვამბობ სხვა გავლენიანი ორგანიზაციების, მაგალითად, იგივე თომას ჰამერბერგის ამასწინანდელ დასკვნაზე, რომელშიც ასევე ძალიან მწვავედაა შეფასებული აქ არსებული მდგომარეობა და, ზოგადად, ის პროცესები, რომლებიც აფერხებს დემოკრატიის განვითარებას ქვეყანაში...

**ჯაბა ჟვანია**

«2004 წელს პატიმართა რაოდენობა თუ შვიდი ათასამდე იყო, ამჟამად ეს მაჩვენებელი ოცდაოთხი ათასს აჭარბებს, ანუ თითქმის ოთხჯერ მეტია; შესაბამისად, საკნები საოცრად გადატვირთულია და, ბუნებრივია, როცა ასეთი მდგომარეობაა, იქ პირობებიც ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. ამასთან, შემაშფოთებელია ის სტატისტიკაც, რომელიც მსჯავრდებულთა სიკვდილიანობას ასახავს, მარტო შარშან ას ორმოცდაორი პატიმარი გარდაიცვალა, მიმდინარე წელს კი, ექვსი თვის განმავლობაში, — სამოცდაჩვიდმეტი, ხოლო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთლიანად — ხუთას ოცდაათი»

„ვიზიარებ ბატონ ირაკლი უბილავას საგაზეთო სტატიის პათოსს და გულწრფელად მჯერა, რომ ჩვენი ხსნა მომავალ ევრაზიულ გაერთიანებაშია. დრო არ ითმენს და უპასუხისმგებლობის უფლება არ გვაქვს. ახლა ნამდვილად დანაშაულის ტოლფასი იქნება, თუ ჩვენივე მიზეზით ევრაზიული გაერთიანების პროცესისაგან გარიყული აღმოვჩნდებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი გეოპოლიტიკური თამაშებისა და გადანაწილებების ეპოქაა და ვინძლო ჩიხში არ აღმოვჩნდეთ“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ზურაბ კვარაცხელია:

# საქართველო თავისი მარიონეტული რეჟიმით არის ტიპური კოლონიური ქვეყანა

## ეს არის ქვეყანა, რომელსაც დასავლეთი გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე შესაწირ პაიკად იყენებს

**რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლება მართავს. ვარდოსნების მიერ გაკეთებულ საქმეებზე თავის მოსაზრებას გვიზიარებს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია.**



— დავიწყოთ იქიდან, რომ გავარკვიოთ, ე.წ. ვარდების რევოლუცია სინამდვილეში რევოლუცია იყო თუ სპექტაკლი, ფარსი, რომელიც გარკვეულმა გარეშე ძალებმა სადღაც დაგეგმეს და განახორციელეს ჩვენს ბედკრულ სამშობლოში. პასუხი ცალსახად არის ერთი: რა თქმა უნდა, რვა წლის წინანდელ მოვლენებს ობიექტურად არაფერი ჰქონდა საერთო ქვეყნის მოსახლეობის ჭეშმარიტ ინტერესებთან. რა თქმა უნდა, მოხდა უბედურება, რადგან ბოროტად იქნა გამოყენებული შევარდნაძის რეჟიმის პირობებში განაწყენებული ხალხის განწყობა, ამავე ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ. სინამდვილეში რეჟიმის არსი კი არ შეიცვალა, არამედ მოხდა მისი განახლება, მოდერნიზება, შეფუთვა. **საუბედუროდ, ქვეყანა, რომელმაც 20 წლის წინ მოახდინა დამოუკიდებლობის დეკლარირება, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის ფიზიკური განადგურების შემდეგ გლობალისტურმა ძალებმა ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის მეშვეობით და ძალისხმევით ააცდინეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ტრადიციულ — მართლმადიდებლურ გზას.**

**— ბატონო ზურაბ, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ ამჟამად?**

— შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველო, უფრო უპრიანი იქნება თუ ვიტყვით მისი ნაწილი, ჯერჯერობით არცაა ნამდვილი სახელმწიფო. საქართველო თავისი მარიონეტული რეჟიმით დღეს არის ტიპური კოლონიური ქვეყანა. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს მრავალმილიარდიანი ვალი და თითქმის არ გააჩნია საკუთარი ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ეს არის ქვეყანა, რომელსაც რეფორმების ლოზუნგით, ფაქტობრივად, გაუნადგურეს განათლების სისტემა, მეცნიერება, კულტურა. ეს არის ქვეყანა, სადაც უცხო ტომელებზეა გასხვისებული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები და ბუნებრივი რესურსები. ეს არის ქვეყანა, რომელმაც ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ დაკარგა თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს არის ქვეყანა, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია გადაკარგული. ეს არის ქვეყანა, სადაც მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღატაკები უფრო ღატაკდებიან. ეს არის ქვეყანა, სადაც თავს გვაწონებენ დაგებული ასფალტებით, ბანკებით, სასტუმროებით, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით, მაგრამ ესეც ხომ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენი სამშობლო მართლაც კოლონიაა და არა სრულფასოვანი სახელმწიფო. ეს არის ქვეყანა, რომელსაც განუსაზღვრეს დერეფნისა თუ სამხედრო პლაცდარმის ფუნქცია. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც დასავლეთი გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე შესაწირ პაიკად იყენებს.

**— თუ ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, როგორც თქვენ დაახასიათეთ, ხომ არ არსებობს ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საშიშროება?**

— ამ ვაი ხელისუფლების არსებობის პირობებში, დიდი ალბათობით, ჩვენს ქვეყანას მართლაც ემუქრება მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ ერში უაღესად დეგრადირებულია ზნეობა და ერი კარგავს თავის ეროვნულ-ტრადიციულ სახეს. ფსევდო ლიბერალური და ფსევდო დემოკრატიული ფასეულობების ტოტალური პროპაგანდისა და დამკვიდრების შედეგად ნამდვილად არ არის შორს ის დრო, როცა ჩვენ შევუერთდებით კაცობრიობის არსებობის ისტორიაში გადაშენებულ ერთა თუ ეთნოსთა გრძელ ნუსხას. არადა, საუბარია კაცობრიობის კულტურული და ცივილიზაციის განვითარების სათავეებთან მდგომ უძველეს კოლხ-იბერებზე. ნურავინ იტყვის იმას, რომ ამის რეალური საშიშროება არ არსებობს და ამის თაობაზე არავინ საუბრობდა და ან არ საუბრობს დღესაც. შევარდნაძის რეჟიმის დროსაც, სააკაშვილის რეჟიმის პირობებშიც ამის თაობაზე მუდმივად და საჯაროდ, პირუთვნელად და პრინციპულად აფრთხილებდა და აფრთხილებს საზოგადოებას სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჭაჭია, რომელსაც, უნდა ვაღიაროთ, გააჩნია პოლიტიკური ხედვის, ანალიტიკური აზროვნებისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების წინასწარი ჭვრეტის განსაკუთრებული, გასაოცარი უნარი. აქვე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მის გონებრივ-ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად წრმუნდება საღად მოაზროვნე საზოგადოება, და რომლის უდიდესი პოტენციალი, იმედი მაქვს, ჩვენი განადგურებული ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ სრულად იქნება გამოყენებული.

**— ბატონო ზურაბ, თქვენ, როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, მოელოდით, რომ ასეთ საქართველოში მოგიხდებოდათ ცხოვრება?**

— მე მართლაც ეროვნული მოძრაობიდან მოვდივარ და ჩემთვის დამთრგუნველია იმის გაცნობიერება, რომ დევალვირებულია, გაუფასურებულია ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა, რაც არსებული მარიონეტული რეჟიმის უდიდეს დანაშაულად მიმაჩნია. ალალად მინდა განვაცხადო, საბჭოთა კავშირიც კი ბევრად უსაფრთხო იყო, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ვიდრე ამჟამინდელი ფსევდოდამოუკიდებლობა. ნურავინ იფიქრებს, რომ სულმნათი ზვიად გამსახურდია და სულმნათი მერაბ კოსტავა ასეთ საქართველოზე ოცნებობდნენ. ეროვნული სულისკვეთების ადამიანებისთვის, ალბათ, არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, თუ როგორ განსხვავდება ზვიადისა და მერაბის ოცნების საქართველო მიშასა და მისი ხროვის საქართველოსგან.

**— როგორია თქვენი მოსაზრება ევრაზიული კავშირის შესახებ?**

— საერთაშორისო სტრუქტურებში მიღებული ვერანაირი რეზოლუცია და ღიმილის მომგვრელი გზავნილი ჩვენ ვერ გვიშველის. შველა მხოლოდ და მხოლოდ გონივრული, პრაგმატული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და განვითარების პერსპექტივებზე გათვლილი პოლიტიკის გატარებაშია. ამას კი აუცილებლად სჭირდება თვისობრივად ახალი და გამორჩეული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება. ამას აუცილებლად სჭირდება ქართულ პოლიტიკაში ევრაზიული კავშირის იდეის აქტუალიზება და პრაქტიკული რეალიზება.

**არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ უაღრესად საყურადღებო სტატიას, რომლის ავტორია ბატონი ირაკლი უბილავა. ევრაზიული კავშირის იდეა, რომელიც წამოაყენა რუსეთის მომავალმა პრეზიდენტმა, სინამდვილეში არც ისე ახალია.** საზოგადოების მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულმა წარმომადგენლებმა უწყიან, რომ მომავალი ევრაზიულ გაერთიანებაშია. **ამ იდეას, წლებია, ქადაგებს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და, როგორც ჩანს, ახლა დგება მისი ხორცშესხმის ჟამიც. ვიზიარებ ბატონ ირაკლი უბილავას საგაზეთო სტატიის პათოსს და გულწრფელად მჯერა, რომ ჩვენი ხსნა მომავალ ევრაზიულ გაერთიანებაშია. დრო არ ითმენს და უპასუხისმგებლობის უფლება არ გვაქვს. ახლა ნამდვილად დანაშაულის ტოლფასი იქნება, თუ ჩვენივე მიზეზით ევრაზიული გაერთიანების პროცესისაგან გარიყული აღმოვჩნდებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი გეოპოლიტიკური თამაშებისა და გადანაწილებების ეპოქაა და ვინძლო ჩიხში არ აღმოვჩნდეთ.**

აქვე მინდა, საგანგებო თხოვნით მივმართო თქვენს გაზეთს. **იქნებ „საქართველო და მსოფლიოს“ თაოსნობით ჩატარდეს კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ბედზე გულწრფელად დაფიქრებული ადამიანები, რომლებიც იმსჯელებენ ევრაზიული კავშირის იდეის გარშემო. დაე, გამოითქვას ალტერნატიული მოსაზრებები, ოღონდ ვიხსნათ სამშობლო უცილობელი დაღუპვისაგან.**

ესაუბრა **ლადო ქირია**,
ზუგდიდი

## ნიუ იორკში 300 დემონსტრანტი დააკავეს

**ნიუ იორკში რამდენიმე ათასმა დემონსტრანტმა ბრუკლინის ხიდზე მოაწყო მარში.** საპროტესტო აქცია „დაიპყარი უოლ-სტრიტი“ აშშ-ის თითქმის ყველა ქალაქში გაიმართა. ძირითადი მოვლენები ნიუ იორკში განვითარდა, სადაც პროტესტის გამოხატვას თან სდევდა არეულობა და პოლიციასთან შეტაკება. დაკავებულია 300 დემონსტრანტი. უმრავლესობა საფონდო ბირჟასთან მომხდარი არეულობისას დააკავეს. მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული აქციები ერთგვარი ტესტი უნდა გამხდარიყო მოძრაობისთვის „დაიპყარი...“, რომელიც ორი თვის წინ დაიწყო.

## ფილიპინებში ჰილარი კლინტონს თავს დაესხნენ

**ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის კორტეჟს თავს დაესხნენ.** აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, კორტეჟში შემავალ ავტომობილებს კვერცხები და ქვები დაუშინეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც კლინტონი მანილაში მდებარე საპრეზიდენტო სასახლიდან შეხვედრაზე მიემგზავრებოდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.



## უკრაინა რუსულ გაზს კვლავ მიიღებს

**ახალი კონტრაქტი უკრაინასა და რუსეთს შორის უახლოეს დღეებში გაფორმდება.** „გაზის ახალ ფასზე შეთანხმება უკვე არსებობს და უახლოეს დღეებში შესაბამისი დოკუმენტიც გაფორმდება,“ — იტყობინება წყარო. მისივე ინფორმაციით, მხარეები ამ დროისათვის ტექნიკურ დეტალებს აზუსტებენ. შეგახსენებთ, გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთი და უკრაინა ახალ ტარიფზე შეთანხმდნენ. უკრაინა რუსულ გაზს, სავარაუდოდ, ათას კუბ/მ-ს 220-230 დოლარის ფარგლებში მიიღებს.

## რუსეთი და აშშ სავიზო რეჟიმს ამარტივებენ

**რუსეთისა და აშშ-ის დიპლომატებმა გაცვალეს ნოტები სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ.** რუსული მედიის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც რუსეთის დუმა მოახდენს ხელშეკრულების რატიფიცირებას, რუს ბიზნესმენებსა და ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ სამწლიანი, მრავალჯერადი ვიზები, ხოლო ჩინოვნიკები ერთწლიანი მრავალჯერადი ვიზების მიღებას შეძლებენ. ამჟამად რუსეთს უვიზო მიმოსვლა აქვს სამხრეთ ამერიკის რიგ ქვეყნებთან.

## საფრანგეთში ქართველების ბანდა დააკავეს

**საფრანგეთის პოლიციამ დააკავა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისგან შემდგარი ორგანიზებული ქურდული ბანდა.** ბანდაში 23 კაცი შედიოდა, რომლებიც საქართველოს, რუსეთისა და სომხეთის მოქალაქეები არიან. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულები ერთი წლის განმავლობაში ძარცავდნენ და აყაჩაღებდნენ კერძო სახლებს, მაღაზიებსა და საწყობებს, იპარავდნენ ციფრულ ტექნიკასა და ძვირფასეულობას, ნაქურდალს კი ბელგიასა და კავკასიაში აგზავნიდნენ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უმუშევართა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. სკოლებში მასობრივი შემცირებების შედეგად ბევრი მასწავლებელი უმუშევარი დარჩა; დაიკეტა ყოფილი მერვე საავადმყოფო და ადამიანები უმუშევრები დარჩნენ; 31-ე ქარხნიდან გაათავისუფლეს მუშები; თავდაცვის სამინისტრომ 60 თანამშრომელი მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა სამსახურიდან, რომ მათ სანკტ-პეტერბურგში ჰქონდათ სამხედრო აკადემია დამთავრებული.**

# თამარ იოვაშვილი: სააკაშვილის მმართველობისას საქართველოში უმუშევართა რაოდენობამ 50%-ს გადააჭარბა



**8 წელი გავიდა „ვარდების რევოლუციიდან", მაგრამ სოციალური საკითხები, მათ შორის უმუშევრობა, ქვეყანაში კვლავ უმთავრეს სერიოზულ პრობლემად რჩება. მართალია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ უმუშევრობა ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა და დღესდღეობით მხოლოდ 14%-ს შეადგენს, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები სრულიად განსხვავებულ ციფრებს ასახელებენ და შეიძლება ითქვას, რომ უმუშევართა რეალური სტატისტიკის მოპოვება ამ ეტაპზე შეუძლებელია. უმუშევართა რეგისტრაცია ახლახან დაარსებულმა „უმუშევართა კავშირმა" დაიწყო, როგორ გაჩნდა ორგანიზაციის დაარსების იდეა, კავშირის მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე, არასამთავრობო ორგანიზაციის „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის" ხელმძღვანელი თამარ იოვაშვილი გვესაუბრება.**

— ყველაფერი Facebook-დან დაიწყო. ვინაიდან მეც უმუშევარი გახლავარ და მომიწია უმუშევრობასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა, სოციალურ ქსელში პატარა ჯგუფი ჩამოვაყალიბე, თანამოაზრეები შევიკრიბეთ, შემდეგ გამოვაქვეყნეთ ჩვენი მანიფესტი და, ვინაიდან საქართველოში არც ერთი სახელმწიფო ორგანიზაცია არ აწარმოებს უმუშევრების რეგისტრაციას და არც მათ დასაქმებაზე ზრუნავს ვინმე, გაჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსების იდეა. ინტერნეტიდან ქუჩაში გადავინაცვლეთ და პერმანენტულად ვმართავთ აქციებს. მადლობა მინდა გადავუხადო პრაღაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ გიორგი ალანიას, რომელსაც მოეწონა ჩვენი მანიფესტი და საკუთარი ვებ-გვერდი გვაჩუქა.

**— ქვეყანაში უმუშევრობა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. რას გააკეთებს თქვენი ორგანიზაცია აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად?**

— პირველ რიგში, ჩვენი მიზანია უმუშევართა უფლებების დაცვა. ამას გარდა, ჩვენ ვიძიებთ მიზეზებს, თუ რატომ კარგავს ადამიანი სამსახურს და ხდება უმუშევარი. **საქართველოს შრომის კანონმდებლობაში არსებობს ყოვლადგაუმართლებელი 37-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელს ისე შეუძლია გაათავისუფლოს ადამიანი სამსახურიდან, რომ არც აუხსნას მიზეზი. აუცილებელია ამ კანონის გაუქმება. ამას გარდა, როდესაც ადამიანი უმუშევარი რჩება, მას უნდა ჰქონდეს უმუშევართა შემწეობა, რაც დღეს საქართველოში არ არსებობს.** ის მიზერული თანხაც კი, რასაც ჩვენი უმუშევრები იღებდნენ, უკვე სამი-ოთხი წელია, გაუქმდა. ამასთან, ადამიანმა რომ მიიღოს უმუშევრის შემწეობა, ამისათვის ის აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული როგორც უმუშევარი. ადრე არსებობდა სპეციალური სამსახური, რომელიც უმუშევართა რეგისტრაციას ახდენდა, დღეს ესეც აღარ არსებობს.

ვაპირებთ, უახლოეს მომავალში პარლამენტს ჩვენი ახალი ინიციატივა შევთავაზოთ და უმუშევრებისთვის შემწეობის დანიშვნა მოვითხოვოთ. რამდენიმე პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციაც მხარში გვიდგას („თავისუფალი საქართველო", „სოციალ-დემოკრატები", „თავისუფალ ახალგაზრდათა კავშირი") და იმედი გვაქვს, მიზანს მივაღწევთ.

**— საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2010 წლის მონაცემებით, მოსახლეობის მხოლოდ 16,3%-ია უმუშევარი. თქვენ რა მონაცემებს ფლობთ?**

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის მართველობისას საქართველოში უმუშევართა რაოდენობამ 50%-ს გადააჭარბა. **უმუშევართა რეგისტრაცია თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ ზუსტად დავადგინოთ, რამდენი უმუშევარია ქვეყანაში და, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ ხოლმე ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობაზე, მიკვირს, როგორ ასახელებენ ზუსტ რიცხვს. საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის რეკომენდაციით, უმუშევართა რიცხვი იყოფა ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის რიცხვზე. მოსახლეობის გამოკითხვა დამატებითი ინსტრუმენტია, რათა ვრცელი სურათი შეიქმნას, — რამდენი უმუშევარია ქვეყანაში. საქართველოში კი მხოლოდ გამოკითხვების შედეგად ადგენენ უმუშევართა რაოდენობას.**

ხელისუფლება დასაქმებულთა რიცხვში თვითდასაქმებულებსაც ათვლის. ამას გარდა, აქ გასათვალისწინებელია უამრავი ჩვენი თანამოქალაქე, რომლებიც უმუშევრობის გამო საქართველოდან ემიგრაციაში წავიდნენ.

**— „ვარდების რევოლუციიდან" 8 წელი გავიდა. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ბოლო წლებში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა და ის დღეს მხოლოდ 14%-ს შეადგენს.**

— პირიქით, **უმუშევართა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. სკოლებში მასობრივი შემცირებების შედეგად ბევრი მასწავლებელი უმუშევარი დარჩა; დაიკეტა ყოფილი მერვე საავადმყოფო და ადამიანები უმუშევრები დარჩნენ; 31-ე ქარხნიდან გაათავისუფლეს მუშები, თავდაცვის სამინისტრომ 60 თანამშრომელი მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა სამსახურიდან, რომ მათ სანკტ-პეტერბურგში ჰქონდათ სამხედრო აკადემია დამთავრებული.** რამდენი ასეთი მაგალითი გვაქვს?..

ყველა ვერ აცხადებს ხმამაღლა, რომ უმუშევარია. არაერთი მოვიდა და გვითხრა, კი ვარ უმუშევარი, მაგრამ ჩემი შვილი, ძმა ან ოჯახის წევრი მუშაობს და, თუ აქციაზე გავედი, პრობლემები შეიძლება შემექმნასო. ასეთებიც არიან.

არის კიდევ ერთი პრობლემა: ქვეყანაში პრობაციონერების დასაქმება ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელია. არადა, საქართველოში 50 ათასი ასეთი ოჯახია. ერთი გოგონა მოდის ხოლმე ჩვენთან, ორი შვილი ჰყავს, ნასამართლევია და იმის გამო, რომ სამსახურს ვერ შოულობს, ნაქირავებ ბინიდანაც ქუჩაში აგდებენ. მომიყვა, სიღარიბის დაძლევის პროგრამაში ვიყავი, მაგრამ მეზობელმა ძველი სარეცხის მანქანა მაჩუქა და ამის გამო ქულა მომემატა და შემწეობა შემიწყვიტესო. ორი საათი იჯდა და ტიროდა. ბევრი ასეთი გაჭირვებული ადამიანი მოდის ჩვენთან.




**— თქვენ პერმანენტულად მართავთ აქციებს. რა არის ამ აქციების მიზანი — ხელისუფლების თუ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევა?**

— 6 ოქტომბერს გავაგზავნეთ წერილები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის სახელზე, სადაც ჩამოვაყალიბეთ ყველა ის მოთხოვნა, რაც დაკავშირებულია შრომის პრობლემებთან, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალური პასუხი არავისგან მიგვიღია. პრეზიდენტის წერილი გადაეგზავნა შრომისა და ჯანდაცვის სამინისტროს და მათგან მივიღეთ პასუხი, რომ კანონის ფარგლებში ვითანამშრომლებთ, გვპირდებიან, რომ შეგვხვდებიან, მაგრამ ორი კვირის განმავლობაში ვერა და ვერ შედგა ეს შეხვედრა. გილაურის სახელზე გაგზავნილი წერილი, ვინმე მერაბ ნარმანიას გადაეგზავნა, რომელმაც სასტიკი უარი განაცხადა ჩვენთან შეხვედრაზე. თუ რამე პროექტი გაქვთ, გამოაგზავნეთ და ვიმსჯელებთო, — გვითხრა. პარლამენტიდან პავლე კუბლაშვილმა გადაგვაგზავნა ლევან ნიჟარაძესთან, რომელთანაც დაკავშირება, უბრალოდ, შეუძლებელი გახდა. მისი თანამშრომლების თავხედობა კი ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ჩვენი ორგანიზაცია 29 ოქტომბერს დაფუძნდა, ხოლო ოფიციალურად მხოლოდ 9 ნოემბერს დავრეგისტრირდით, მაგრამ უკვე ორასზე მეტი წევრია გაერთიანებული და მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. **ჩვენ არ გვაქვს პოლიტიკური მოთხოვნები და დარწმუნებული ვარ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია მხარში დაგვიდგება. ჩვენ ვითხოვთ, — უმუშევრების უფლებები დაცული იყოს, გააკეთოს ხელისუფლებამ, რაც მას ავალია. ხელისუფლება ვალდებულია, საკუთარი ხალხის ბედით დაინტერესდეს.**

**— დასაქმების კუთხით რა დახმარება შეგიძლიათ უმუშევრებს გაუწიოთ?**

— უმუშევართა რეგისტრაციის შემდეგ, მივალთ ბიზნესმენებთან და ვთხოვთ, კომპანიის ვაკანსიები მოგვაწოდონ. ასევე გვაქვს პროექტი, რომელიც იანვრიდან განხორციელდება. ჩვენ შევადგენთ უმუშევართა ოჯახებში მცხოვრები ბავშვების სიას და გავხსნით საკონსულტაციო ცენტრებს, სადაც იმუშავებენ ასევე უმუშევარი მასწავლებლები, რომლებიც დაეხმარებიან ბავშვებს სხვადასხვა საგანში.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ უმუშევრობის მიზეზებსაც იკვლევთ. უკვე ამდენი წელია, რატომ ვერ მოხერხდა პრობლემის აღმოფხვრა და რატომ იქცა უმუშევრობა გადაუჭრელ პრობლემად?**

— ვფიქრობ, ამას სერიოზული პოლიტიკური ნება სჭირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლების სურვილს ვერ ვხედავ, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას. მართალია, ამბობენ, სამუშაო ადგილებს ვქმნითო, მაგრამ, სანამ შესაბამის კანონს არ მიიღებენ, ეს ყველაფერი არასერიოზული და დროებითია.

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

**საქართველოს შრომის კანონმდებლობაში არსებობს ყოვლადგაუმართლებელი 37-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელს ისე შეუძლია გაათავისუფლოს ადამიანი სამსახურიდან, რომ არც აუხსნას მიზეზი**

მოკლედ

## ლუკაშენკოს ჰააგაში გასამართლებას მოითხოვენ

აშშ-ის ჰელსინკის კომისიის თავმჯდომარემ, კონგრესმენმა კრისტოფერ სმიტმა კომისიის მოსმენებზე ბელარუსის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აცნობებს აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას ბელარუსის პრეზიდენტის — ალექსანდრე ლუკაშენკოს წინააღმდეგ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში საქმის აღძვრის აუცილებლობის შესახებ. ეს განცხადებები სმიტმა მოსმენებზე პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის — ალეს მიხალევიჩის გამოსვლის შემდეგ გააკეთა. მიხალევიჩმა თავის გამოსვლაში იმ ფიზიკურ და მორალურ ტანჯვაზე ისაუბრა, რომლებიც მინსკის უშიშროების სამსახურში ხდება; კერძოდ, ე. წ. განელვებზე, შიშვლად სიცივეში გაყვანაზე, კედელთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში თითქმის შპაკატში ჯდომაზე, მუქარებსა და მორალურ ზეწოლაზე.

## ვაშინგტონის ულტიმატუმი

ვაშინგტონმა თეირანს სასწრაფო ულტიმატუმი წაუყენა: შეაჩეროს ბირთვული პროგრამა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკელები ხელს აიღებენ ისრაელის შეკავებაზე. ისრაელმა კი უკვე მილიარდობით აშშ დოლარი დახარჯა, რათა ისეთი იარაღი შექმნას, როგორიც ირანის „დაყრუებასა და დაბრმავებას" შეძლებს. აშშ-ის ხელისუფლებამ თეირანს ბირთვული პროგრამის შეჩერებისთვის დრო 2012 წლის გაზაფხულამდე მისცა. როდესაც აშშ-ის არმია ერაყის ტერიტორიას დატოვებს, ისრაელს უკვე არ დასჭირდება აშშ-ის თანხმობა იმაზე, რომ მისი ვერტმფრენები ერაყის საჰაერო სივრცის გავლით ირანისკენ გაფრინდნენ.

# ევროკავშირის ექსპერტები საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობას საგანგაშოს უწოდებენ

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



პაატა კოღუაშვილი:

## ფასები პერმანენტულად გაიზრდება და დღითიდღე სულ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს აგრარული კრიზისი

## საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ მალე ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი აღმოჩნდეს სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში

## მალე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება არა მხოლოდ ღვინის ექსპორტის საკითხი, არამედ ქართული მევენახეობის არსებობა

**სოფლის მეურნეობის სისტემაში არსებულ პრობლემაზე, მის მიზეზებსა და მოგვარების გზებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი.**

**— ბატონო პაატა, ხელისუფლების წარმომადგენელთა ბოლოდროინდელ განცხადებებს თუ დავუჯერებთ, სოფლის მეურნეობა მათი ყველაზე პრიორიტეტული დარგია. რამდენად იგრძნობა დღესდღეობით ეს ყველაფერი ქართულ სოფელში?**

— სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკი დღეს ძალიან მოდური გახდა. სამწუხაროდ, ეს ხდება მხოლოდ სიტყვის დონეზე. რეალურად კი ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი სამოქმედო გეგმა, არ აქვს შემუშავებული აგრარული პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც შეიქმნებოდა რამე სტრატეგია. 2005 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს სტაგნაციის პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი წელი გაცილებით უარესია წინა წელთან შედარებით.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოაბა თავი ისეთი აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას, როგორიცაა სოფლის ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა, რომლის გარეშეც ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. **თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ სოფელიც კი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მთავრობის მიერ დეკლარირებული, იმედის მომცემი ტურიზმისა და კურორტების განვითარება.**

აგრარული მეურნეობის აღორძინება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება აგროკრედიტის სისტემის ფორმირების, საჯარო მომსახურების სტრუქტურების შექმნის, ეროვნული ბაზრის დაუცველობის, აგროწარმოების მომსახურე დარგების მონოპოლიური მდგომარეობისა და მთავრობის მხრიდან არასათანადო მხარდაჭერისა და რეგულაციების პირობებში, ასევე, ეფექტიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების გარეშე.

**ყოველივე აღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში, მივიღებთ იმას, რომ ქვეყანაში ფასები პერმანენტულად გაიზრდება და დღითიდღე სულ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს აგრარული კრიზისი. ეს კი მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვება...**

**— რადგან კრედიტების ხელმისაწვდომობა ახსენეთ, მინდა გკითხოთ, რა აზრის ხართ იმ თხუთმეტთეთრიან სუბსიდიაზე, რომელიც ხელისუფლებამ რთველისთვის გაიღო?**

— აქაც ვირ-ეშმაკობა იყო ჩადებული, — სუბსიდიებს ღებულობდა მარტო ის გლეხი, რომელიც რომელიმე კერძო ქარხანაში ჩააბარებდა მოსავალს, ქარხნების უმეტესობა კი გადატვირთულია წინა წლებში დაგროვილი ღვინო-მასალით; ამიტომ მათი მხრიდან ყურძნის მიღება იყო მაქსიმალურად შეზღუდული და მოსავლის დიდი ნაწილი დარჩა დაუბინავებელი.

**წელს ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი რთველი იყო და, თუ ასე გაგრძელდება, ძალიან მალე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება არა მხოლოდ ღვინის ექსპორტის საკითხი, არამედ ქართული მევენახეობის არსებობა და შენარჩუნება; თუმცა ეს ხელისუფლება, როგორც ჩანს, ამ საფრთხეს ვერ ხედავს, რადგან მისთვის რეალურად ეს არ არის და არც არასდროს ყოფილა პრიორიტეტული მიმართულება...**

**— თავის მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად აცხადებენ, რომ ყველაფერი კეთდება, რათა გლეხი დაუბრუნდეს მიწას და ზოგადად — სოფელს...**

— ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ შედეგებით, შედეგი კი არის ის, რომ სოფელი პრაქტიკულად უკვე დაიცალა მოსახლეობისგან და ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობს...

**ხელისუფლებას კარგად უნდა ესმოდეს, რომ მიწა ქართველი გლეხკაცისთვის არ არის მარტო წარმოების საშუალება, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელიცაა. აქედან გამომდინარე, მიწისგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო მისი, როგორც მეწარმე ინდივიდის, მოსპობას, არამედ სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის შემნახველისა და განმაახლებლის, ფუნქციის მოშლასაც.**

ამასთან, იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ მალე ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი აღმოჩნდეს სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში. მით უფრო, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა, ვთქვათ, ინდოეთი, ჩინეთი, ისრაელი, არაბეთის რიგი სახელმწიფოებისა და ა.შ., რომლებიც უკვე გამოხატავენ გარკვეულ დაინტერესებას ქართული მიწით, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირე მიწიანობით. ერთი სიტყვით, ეს არის მთელი რიგი იმ საკითხებისა, რომლებიც საჭიროებენ სერიოზულ მიდგომას და მუშაობას, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ხელისუფლებას ეს, უბრალოდ, არ აინტერესებს, მას აინტერესებს მხოლოდ საკუთარი რეკლამა და პიარი, ვინაიდან ამათი პოლიტიკა არის სწორედ ის, რომ ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად და მათ ძალაუფლებას არ დაემუქროს საფრთხე.

**— ხშირად საუბრობენ ხოლმე იმაზე, რომ ხელისუფლების მხრიდან სოფლის დაცარიელება მიზანმიმართულად ხდება. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ერთი რამ ფაქტია, სოფლებში მოსახლეობა დღითიდღე კლებულობს, სულ უფრო მეტი ადამიანი მიდის ქალაქად და ეს პროცესი მიმდინარეობს პირდაპირ პროპორციულად იმისა, თუ როგორ აუქმებენ იმავე სოფლებში სკოლებს, ბაგა-ბაღებს, კლუბებსა და ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ობიექტს. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საფუძველს მოკლებული არ არის ის მოსაზრება, რომ ამას ყველაფერს მმართველი გუნდი აკეთებს მიზანმიმართულად, ვინაიდან, ხალხზე და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლება, პირველ რიგში, უნდა ზრუნავდეს სწორედ იმაზე, რომ სოფელი იყოს ძლიერი და იქ ადამიანებს არ შეექმნათ ისეთი პირობები, რომ იძულებული გახდნენ, თავშესაფარი სადმე სხვაგან ეძებონ...

**— თქვენ ნაწილობრივ უკვე დასაწყისშიც ისაუბრეთ ამაზე, მაგრამ კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ სოფლის მეურნეობისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მომავალში იმ პოლიტიკის პირობებში, რომელიც დღესდღეობით აქვს საქართველოს?**

— სანამ გიპასუხებთ, მინდა, წაგიკითხოთ ევროპელი ექსპერტების მიერ 2010 წელს მომზადებული ანგარიში, რომელიც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელებას ეხება. აი, რა წერია ამ დასკვნაში: **„საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა საგანგაშოა, მთავრობას აგრარული პოლიტიკის კონცეფცია და სექტორის განვითარების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა არ გააჩნია. 2010 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა ისევ შემცირდა, ამის გამომწვევი მიზეზები კი აგროსექტორის პოლიტიკაში თანმიმდევრულობის არარსებობა, ცუდად განვითარებული საჯარო მომსახურება, კრედიტების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მოძველებული ტექნიკა, ფერმერებისადმი სახელმწიფოს ხელშეწყობის არარსებობა, ცუდად განვითარებული საჯარო მომსახურება და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებია“.**

ამ დასკვნით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი, ამდენად, როცა ევროკავშირი გეუბნება, მდგომარეობა საგანგაშოაო, გამგებმა უნდა გაიგოს, რომ პრობლემები მართლა სერიოზულია და საჭიროა მათი გადაჭრა ან ნაწილობრივ მაინც მოგვარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე ამას ბევრად უფრო მძიმე შედეგები მოჰყვება როგორც საზოგადოებისთვის, ისე ქვეყნისა და, რა თქმა უნდა, ხელისუფლებისთვისაც...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მოდით, გამოსავალზეც ვისაუბროთ, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ხელისუფლებას იმისთვის, რომ არსებული პრობლემების რაღაც ნაწილი მაინც აღმოიფხვრას?**

— ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა ძირეული ცვლილებები, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ხელისუფლებას ამის განხორციელების რესურსი არ გააჩნია. უბედურებაც ეგაა, ვინაიდან, როცა საუბარია ცვლილებებზე, გვინდა თუ არა, ეს ცვლილებები უნდა მოვიაზროთ შემდგომი ხელისუფლების პირობებში.

**— რატომ გამორიცხავთ, რომ ამ ხელისუფლების პირობებშიც განხორციელდეს დადებითი ცვლილებები?**

— მარტივ რამეს გეტყვით, **შარშანდელთან შედარებით, წელს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი ათი მილიონით შემცირდა და სულ რაღაც სამოცდაათი მილიონი ლარით განისაზღვრა, აქედან ორმოცდაათ მილიონზე მეტი ადმინისტრაციულ ხარჯებზეა გათვლილი, დანარჩენი ოცი მილიონი კი არის რაღაც გამოფენები, კონკურსები, დეგუსტაციები და ა.შ. სოფლის მეურნეობის განვითარებას კი რეალურად არც ერთი თეთრი არ ხმარდება;** აი, ასეთი ყაირათიანი ხელმძღვანელობა რომ გვყავს, იმიტომ ვამბობ, რომ, სანამ ესენი იქნებიან, რაიმე დადებითი ცვლილების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ამის მცდელობაც არ ჩანს; პირიქით, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამაყობენ იმით, რომ სოფლის მეურნეობა უკვე აუყვავებიათ თურმე, რაც, უბრალოდ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

**— ცვლილება ახსენეთ და რა აზრის ხართ გოროზიას დანიშვნაზე სოფლის მეურნეობის მინისტრად?**

— ეს არის ჩვეულებრივი კოსმეტიკური ცვლილება, საიდანაც არ უნდა ველოდოთ არაფერს, ვინაიდან გოროზიას ისევე არ ესმის სოფლის მეურნეობა, როგორც არ ესმოდა მის წინამორბედ კვეზერელს. მან არ იცის, რა არის სოფელი, გლეხკაცის როლი და ადგილი, მისი საქმიანობის მნიშვნელობა, მან იცის მხოლოდ გამეორება იმ სიტყვების, რომელსაც უწერენ, აზეპირებინებენ და მერე ამ სიტყვებს ისე ლაპარაკობს, თითქოს ძალიან ერკვეოდეს, რა არის სოფლის მეურნეობა...

**— ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ ხოლმე იმაზეც, რომ მოსავლიანობის გასაზრდელად სოფლის მეურნეობაში უნდა დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები, რომ საჭიროა, ეს ტექნოლოგიები შეისწავლოს გლეხმა და ა.შ. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— სასაცილოა, როცა გამოდიან სოფლის მეურნეობის დარგში აბსოლუტურად უვიცი გოგო-ბიჭები და ამბობენ, რომ ქართველ გლეხს, რომელიც ოდითგანვე დაკავშირებული იყო მიწასთან და მიწათმოქმედებასთან, უნდა ასწავლონ მოსავლის მოყვანა.

**იგივე ბაკურ კვეზერელი, ეს მატყუარა ბიჭი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება როგორც ზურგზე ტყუილების ტომარააკიდებული ადამიანი, საიდანაც ის ხან ჰიბრიდული სიმინდის ტაროს ამოიღებს და კიდევ, კაცმა არ იცის, — რას, გამოდის და ამბობს, საშემოდგომო ხვნა ჯობია საგაზაფხულოსო. ამაზე მეტი დაცინვა რაღა გინდა! ქართველმა გლეხმა ეს შვიდი ათასი წლის წინათ იცოდა და ახლა კვეზერელმა უნდა ასწავლოს მას, როგორ მოუაროს მიწას?!**

მოკლედ, აი, ეს არის მთელი უბედურება, — საქვეყნო საქმე აბარიათ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც, უბრალოდ, არაფერი გაეგებათ ამ საქმისა. ახლა გინდ მიზანმიმართული პოლიტიკა დაარქვით ამას და გინდ — უნებლიე, შედეგი მაინც ერთია: ქვეყანა ყელამდე ჭაობშია ჩაფლული და გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, რეალურად არ არსებობს.

დასასრულ, მწამს, ქართველი კაცი დაუბრუნდება, ააღორძინებს სოფელს და შიმშილით არ მოკვდება. ხალხური თქმულება გვეუბნება: „სოფლად ნუ ჩაკლავ სიცოცხლეს, ქალაქი წაგვიხდებაო,“ — ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს!

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც იმას იმჩნევს ბატონი ლევანი, რომ ცესკო კოლექტიური ორგანო იყო და გადაწყვეტილებებს კენჭისყრით იღებდა. თუ ქართული დემოკრატიის გამარჯვება იმაზეა დამოკიდებული, რომ 15-წევრიანი მრავალპარტიული ცესკოს მაგივრად პირადად მე ვაგო პასუხი (მართალია, ამგვარი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს), — მე მზად ვარ! ოღონდ თქვენ ის ბიჭები არ ხართ, მე რომ დამიჭერთ; თქვენ ის ბიჭები ხართ, ერთმანეთს რომ დაიჭერთ!**



საქართველო, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება წარმატებისა და წინსვლის ოაზისად ხატავს, სინამდვილეში გაღატაკებული, სამოწყალოდ, ერთჯერადი ვაუჩერების რიგში მდგომი ერთნაირი გამომეტყველების ადამიანების ქვეყნად იქცა. ქვეყნად, რომელშიც მოსახლეობის უკიდურესი უმცირესობა ისეთ ფუფუნებაში ცხოვრობს, რომლის წარმოდგენა დანარჩენებისთვის შეუძლებელია. თუ ის, რასაც ვხედავთ და ვგრძნობთ, წარმატებაა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხელისუფლებას ჩვენი თანდათან გაწყვეტა სურს და ამ საქმეში მიღწეული წარმატებები ახარებს.



# გაშვებული შანსების ქვეყანა

ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველომ იმდენჯერ გაუშვა შანსი, ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო, რომ დღევანდელი ვითარება ლოგიკურად და შესაბამისად გამოიყურება. რაკი გიორგობაა, იმ გიორგობით დავიწყოთ, რომელმაც „დემოკრატიის შუქურა“ და ყველაფერში „პირველობა“ მოგვიტანა. დიახ, 2003 წლის სახელმწიფო, უფრო კი სასახლის კარის გადატრიალებას ვგულისხმობ. დღეს უკვე ხშირად გაიგონებ, რომ მაშინდელი ექვსსუბიექტიანი პარლამენტი სანატრელია. პირადად მე ბევრი ბოდიშიც მომისმენია მაშინდელი არჩევნების „გაყალბებულად“ შეფასების გამო, მაგრამ ეს ვერც დღევანდელობას ცვლის და ვერც იმ შანსს უბრუნებს საქართველოს, რომელიც მაშინ გაუშვა ხელიდან.

დღევანდელი ერთპარტიული პარლამენტი (საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს მმართველ პარტიას და სხვა რაღაა ერთპარტიულობა?) ცხადად აჩვენებს, რატომ არ შეიძლება ხელისუფლების იმდენად კონსოლიდაცია, რომ ერთი პარტია ხელისუფლების მონოპოლისტი გახდეს. 2003 წლის არჩევნების შედეგებით არამცთუ ერთი, ორი პარტიაც კი ვერ ქმნიდა საკონსტიტუციო უმრავლესობას. ისინი დიალოგისა და კომპრომისებისთვის იყვნენ განწირული. თუმცა „მოქალაქეთა კავშირგამოვლილი“ თვითაღიარებული „რეფორმატორები“ არავისთან აპირებდნენ ძალაუფლების გაყოფას. რაც მივიღეთ, სააკაშვილის ვიწრო წრის გარდა, აღარავის მოსწონს, მაგრამ ამის შეცვლა აღარ ხერხდება.

2003 წელს შევარდნაძეს წელიწად-ნახევარი ჰქონდა დარჩენილი პრეზიდენტის პოსტზე. ამ დროის განმავლობაში პარლამენტში შესულ ექვს წამყვან პოლიტიკურ ძალას სრული შანსი ჰქონდა პოსტშევარდნაძისეული ეპოქისთვის მომზადებულიყვნენ, შეთანხმებულიყვნენ ქვეყნის მართვა-გამგეობის უმთავრეს საკითხებზე, მაგრამ ეს შანსი ხელიდან იქნა გაშვებული.

**შანსი იქნა გაშვებული 2004 წელსაც, როცა ოქრუაშვილი ცხინვალის რეგიონში შეიჭრა. დაჩოქებული ქართველი ჯარისკაცების ნახვა არაფერი იყო იმასთან შედარებით, რომ ოცი წლის განმავლობაში ქართველებისა და ოსების სულებში შეხორცებული ჭრილობები ხელახლა გაიხსნა. მერე იყო დაპირებები, რომ „ახალ წელს ცხინვალში შევხვდებით“, მერე — „ჰუმანიტარული შტურმის“ მცდელობები. მოგვიანებით — 2008 წელს, როცა ბლიცკრიგის მოიმედე სააკაშვილმა დაკარგულ ტერიტორიებს მის მიერვე „სამხრეთ ოსეთად“ და „ზემო აფხაზეთად“ წოდებული დანარჩენი ტერიტორიებიც დაამატა.**

2008 წელს კიდევ ერთი შანსი იქნა ხელიდან გაშვებული. ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერის მიუხედავად, ოპოზიციამ მოგებული არჩევნები აჩუქა სააკაშვილს. ბადრი პატარკაციშვილი გადაჰყვა იმას, რაც 2007 წლის ნოემბერში მოხდა. დღეს ამას ერთმანეთს აბრალებენ მისი შიდა თუ გარე მეგობრები. აგვისტოს ომის დროს ოპოზიციამ ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის რეალური შანსი ხელიდან გაუშვა. ნაცვლად იმისა, რომ ოპოზიციას ხალხი ქუჩაში გამოეყვანა, იმ სამარცხვინო ომის დროს „პატრიოტული“ მორატორიუმი გამოაცხადა და ამით, ფაქტობრივად, დაეთანხმა იმ სისხლისღვრას, რომელიც ცხინვალის რეგიონში დაიწყო.

**შანსის ხელიდან გაშვება ჰქვია იმას, რასაც ქართულმა ხელისუფლებამ ემბარგოს დაწესების შემდეგ მიჰყო ხელი. გაშვებული შანსია თითქმის ყოველი დღე, რომელიც 2003 წლის 22 ნოემბრის შემდეგ გათენდა და ამაში, საუბედუროდ, არც მხოლოდ სააკაშვილია დამნაშავე და არც მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“.**

გამოხდა ხანი და „პოლიტიკურ ჭაობად“ წოდებულ ვითარებაში უცებ გამოჩნდა ახალი აქტორი ბიძინა ივანიშვილის სახით. **მის გვერდით მაშინვე გამოჩნდნენ „რესპუბლიკელები“, რომლებიც მუდამ პოლიტიკური მორიელის ფუნქციას ასრულებდნენ ქართულ პოლიტიკაში; სხვის კისერზე შემომჯდარი შედიოდნენ პარლამენტში და მერე მასვე გესლავდნენ. დღეს ლევან ბერძენიშვილი გიგა ბოკერიას აქილიკებს და ამბობს, რომ მას არ აქვს თანდაყოლილი უნარი, იყოს არჩეული. თითქოს რომელიმე „რესპუბლიკელს“ ჰქონდეს ეს უნარი! ისინიც ყოველთვის სხვისი სიით გადიოდნენ პარლამენტში და შემდეგ მასვე უპირისპირდებოდნენ.**

მარად სხვისი ჭკუის დამრიგებელი იმის უფლებასაც აძლევს საკუთარ თავს, რომ განაცხადოს, — ბოკერიას ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა იმის გამო, რომ ადრე პატიოსანი კაცის როლს ასრულებდა და მერე უპატიოსნოს როლში გადავიდაო. თავად ლევან ბერძენიშვილს ბევრად უფრო ადრე შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები, მაგრამ ამას სულაც არ აბრალებს იმას, რომ უპატიოსნო ადამიანის როლი მოირგო!

ლევან ბერძენიშვილი მენტორის ტონით მუდამ სხვას მოუწოდებს, გააანალიზონ წარსული და შეცდომები აღიარონ, ოღონდ ეს წესი თავად მასზე და „რესპუბლიკელებზე“ არ მოქმედებს: **თურმე „რესპუბლიკელებმა“ ისე მკაცრად გააპროტესტეს სააკაშვილის მიერ კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგება, რომ უსუფაშვილისა და ხიდაშელის ოჯახურმა წყვილმა ისეთ მაღალ თანამდებობებზე თქვა უარი, როგორიც გენპროკურორობა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობაა. აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელზეც ბერძენიშვილი საუბრობს, 2004 წლის თებერვალში სააკაშვილმა და ბურჯანაძემ მიაღებინეს უკვე ვადაგასულ პარლამენტს, ხოლო „პროტესტანტი“ „რესპუბლიკელებისთვის“ ამას სულაც არ შეუშლია ხელი, რომ სულ რაღაც ერთ თვეში, 2004 წლის მარტში, იმავე სააკაშვილის პარტიული სიებით მიეღოთ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში!**

მხოლოდ ეს რომ იყოს, იქნებ არც კი ღირდეს ამის წამოძახება, მაგრამ ტრაგიკომედია სწორედ იმაშია, რომ „სამართლიანი არჩევნებისთვის“ თავგამოდებული „რესპუბლიკელები“ იმავე სიაში ჩაეწერენ, რომლითაც არჩევნების გაყალბების დიდოსტატი – ხათუნა გოგორიშვილი იყრიდა კენჭს და **ამას სულაც არ შეუშლია ხელი მათთვის, კერძოდ კი, ლევან ბერძენიშვილისთვის, მომდევნო თვეებში მხურვალედ დაეჭირა მხარი კახა ლომაიას განათლების რეფორმისთვის და თან პარალელურად იმგვარი განცხადებები ეკეთებინა, როგორიცაა „მე არ ვიცნობ ისეთ მწერალს, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე“!**

**სინამდვილეში სააკაშვილისგან რესპუბლიკელების დაშორება 2004 წლის 6 მაისიდან, ასლან აბაშიძის გაძევნის შემდეგ, დაიწყო, როცა ძმებ ბერძენიშვილებს** დამნაშავე კი ცესკო ყოფილა — მას რომ არ გამოექვეყნებინა „გაყალბებული შედეგები“, რევოლუცია არ მოხდებოდა!

თავად თუ სჯერა, ნეტავ, ეს ყველაფერი? მან უკვე იმდენჯერ ილაპარაკა პირადად ჩემი პასუხისმგებლობის შესახებ, რომ ახლა, 8 წლის შემდეგ, ეს უკვე აკვიატებულ აზრს ემსგავსება. ჯერ ერთი, თავად არ იცის, მაგრამ იურისტები ჰყავს პარტიის უმაღლეს რგოლში და მათ დაეკითხოს: რა უფლება ჰქონდა მაშინ ცესკოს, არ შეეჯამებინა უბნებიდან მოსული მონაცემები და არ გამოექვეყნებინა შემაჯამებელი ოქმი? ჰკითხოს იმ საარჩევნო კოდექსის ავტორს — მისსავე მეგობარ ვახტანგ ხმალაძეს და იგი აუხსნის, რომ ცესკოს ამგვარი უფლებამოსილება არ გააჩნდა. არსებობდა მხოლოდ ერთი გზა — სასამართლო, რომელსაც შეეძლო ამ შედეგების გაუქმება ან ბათილად ცნობა, მაგრამ განა ისინი სასამართლოს დაელოდნენ? სასამართლომ, ოღონდ უზენაესმა და არა საკონსტიტუციომ, რომლის განსჯადიც იყო ეს საკითხი, მხოლოდ რევოლუციის შემდეგ „გააპრავა“ მათ მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალება.

თუმცა მივუბრუნდეთ იმას, რასაც დღემდე თავგამოდებით ამტკიცებს ბერძენიშვილი: **თურმე ეგზიტპოლებმა და პარალელურმა დათვლამ აჩვენა, რომ „ნაც-**

**ცხვირწინ ააცალეს აჭარა, რომელსაც ისინი რევოლუციაში შეტანილი წვლილისთვის პრიზად მიიჩნევდნენ.** ასე ხელდახელ ასწორებენ ისინი ისტორიას და, თუ თავად ლევან ბერძენიშვილს დავესესხებით, ჰგონიათ, რომ არავის აღარაფერი გვახსოვს. დღეს იგი იმავე ტაქტიკას მიმართავს და აცხადებს, რომ 2003 წელს გონივრული ნაბიჯები გადადგეს ზომიერმა ელიტის წარმომადგენლებმა, როცა შევარდნაძის გარემოცვა დატოვეს. მათ შორის მოიხსენიებს ზაზა შენგელიას, ირაკლი მენაღარიშვილს, თედო ჯაფარიძეს, გია შერვაშიძეს, თვითონ შევარდნაძესაც უწონებს, რომ მან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე განუმარტა დავით თევზაძეს, არ დაეშვა სისხლისღვრა. ერთი სიტყვით, ყველანი დგამდნენ გონივრულ ნაბიჯებს, ერთადერთი

**მოძრაობა“ პირველ ადგილზე იყო გასული. განა 2008 წელს გამოქვეყნებულმა ეგზიტპოლებმა და მათი გამხმოვანებლების მყისიერმა დაწინაურებამ არ აჩვენა მთელ საქართველოს, რა ღირდა 2003 წელს ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ გამოქვეყნებული ეგზიტპოლები? მათი ღირებულება თბილისის მერობა და შემდეგ ელჩობა იყო რევოლუციისთვის გაწეული ღვაწლის გამო. ისევე, როგორც ნოდიასა და იაკობაშვილისთვის ნაბოძები მინისტრის პორტფელები 2008 წელს!**

ბერძენიშვილი ჭმუნავს, რომ შეცდომების აღიარების ნაცვლად „აქეთა მხრიდან ესმის, რომ წმინდანები არიან“. ეს სიცრუეა. არასოდეს გადამიბრალებია ვინმესთვის რამე, არ გავქცევივარ პასუხისმგებლობას და არ მითქვამს, რომ წმინდანი ვარ. **რაც შეეხება შეცდომებს, დღე არ გავა ისე, რომ შეცდომა არ დავუშვათ. არ მიმაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ჩემი ორთვიანი ყოფნა შეცდომა იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ბევრი რამ არც მე მცოდნოდა და ლევან ბერძენიშვილის ტელეშელოცვებისთვის დამეჯერებინა. მით უფრო არ იყო დანაშაული ის, რომ არც მანამდე, არც მას შემდეგ საქართველოს პარლამენტში ექვსი პარტია არ გასულა (გარდა 1992 წლის პარლამენტისა, რომელშიც „ყველა მინუს ერთი“ პრინციპით აირჩა).**

**არც იმას იმჩნევს ბატონი ლევანი, რომ ცესკო კოლექტიური ორგანო იყო და გადაწყვეტილებებს კენჭისყრით იღებდა. თუ ქართული დემოკრატიის გამარჯვება იმაზეა დამოკიდებული, რომ 15-წევრიანი მრავალპარტიული ცესკოს მაგივრად პირადად მე ვაგო პასუხი (მართალია, ამგვარი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს), — მე მზად ვარ! ოღონდ თქვენ ის ბიჭები არ ხართ, მე რომ დამიჭერთ. თქვენ ის ბიჭები ხართ, ერთმანეთს რომ დაიჭერთ!**

**ნანა დევდარიანი**

**P.S. დავუშვათ, ამელო თავზე ხელი და გადამეკეთებინა ცესკოში შემოსული ციფრები, გამეყვანა სააკაშვილი პირველ ადგილზე, საკითხავია, არ ვიქნებოდი დასაჭერი? უთუოდ! ან რა ვალი მქონდა რომელიმე პარტიის, რომ პირველ ადგილზე გამეყვანა? არავითარი! ხომ არ გეჩვენებათ, რომ 2003 წლის არჩევნებზე ლაპარაკი, როცა მას შემდეგ ჩატარებული ერთპარტიული პარლამენტის „ნოტარიალურად დამოწმებაზე“ არც ერთი პასუხისმგებელი პირი არ დასჯილა, ამორალურობის გარდა, სულელურია?**

**არც ამჯერად ჩავთვლიდი პასუხის ღირსად პოლიტიკური კონიუნქტურის ამ მოძველებულ ნიმუშს, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი. მან უნდა იცოდეს, რასთან აქვს საქმე, თუ, რასაკვირველია, უნდა, რომ იცოდეს. სხვაგვარად ჩვენ შეიძლება კიდევ ერთხელ გავუშვათ შანსი.**

ამერიკელ პარტნიორებს სააკაშვილის ამოგდება პროცესებიდან „ვარდების რევოლუციამდე“ გაცილებით ადრე შეეძლოთ, ისევე, როგორც მისი გაკოჭვა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ; ამის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდათ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილისგან მომავალი საფრთხე გაცილებით ადრე იგრძნობოდა, ვიდრე ის ხელისუფლებაში მოვიდა, ამერიკელები მაინც „ქაჩავდნენ“ და იცავდნენ მას. საინტერესოა, რატომ?



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელში ვარდის მთელი ბუჩქი, ჯერ ისევე დაუმჭკნარი, მოაქვს, რომ მით დაამშვენოს სამარისა თეთრი ჯვარი...

*(გალაკტიონ ტაბიძე, „მესაფლავე“)*



**8 წლის წინ საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. მსგავს წლისთავებზე, როგორც წესი, მიღებულია იმ უბედურებების ემოციური ჩამოთვლა, რომლებიც სააკაშვილმა ქვეყანას დამართა. მაგრამ ყველაფერი ეს ისედაც ცნობილია და, ალბათ, აჯობებს, სხვა მიმართულებით წავიდეთ. რეჟიმი აშკარად არ იმსახურებს, რომ მასზე საუბარს ჩვენი ძვირფასი დრო დავუთმოთ.**

საინტერესოა, არსებობდა თუ არა მოვლენათა განვითარების ალტერნატიული ვარიანტი? ცხადია, უშუალოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო მყისიერად ვერ ჩამოყალიბდებოდა, მაგრამ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ხელისუფლებაში კეთილი ნების ადამიანები (ვინ?!) მოსულიყვნენ, რომლებიც ზედმეტი ექსცესების გარეშე ქვეყანას დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის გზაზე დააყენებდნენ? ან, უკიდურეს შემთხვევაში, ვიქტორ იუშჩენკოს მსგავსი ლიდერი გვყოლოდა, რომლის გუნდი ზომიერად (ჯანდაბას, თუნდაც უზომოდ) დააზარალებდა ქვეყნის ეკონომიკას, გააკეთებდა სულელურ განცხადებებს, გაატარებდა რეფორმებს (თუნდაც წარუმატებელს, რიგ შემთხვევებში კი — წარმატებულს, რატომაც არა), შედარებით მოკრძალებულად იმაიმუნებდა და მოიპარავდა, ოღონდაც ყოველივე ეს ომის, ქვეყნის დანაწევრების, ნგრევის, პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბების, განსხვავებული აზრის ჩახშობის, საკუთრების წართმევის, თანამოქალაქეთა მრავალფეროვანი წამებისა და ერთპარტიული მარაზმის გარეშე (იგულისხმება ფაქტობრივი ერთპარტიულობა, თორემ ფორმალურად, სხვა პარტიები, მმართველის გარდა, ჩრდილოეთ კორეაშიც არსებობს). შემდეგ კი, ეს ჯგუფი გაყალბებას არ მიმართავდა, ამომრჩევლების ნებას დაემორჩილებოდა და ხელისუფლებას ფეხაკრეფით დატოვებდა. რამდენად ხელშესახები იყო პირველი (თითქმის იდეალური) და მეორე (არასასურველი, თუმცა ასე თუ ისე ასატანი) სცენარი საქართველოსთვის?

ამას წინათ, დავით უსუფაშვილმა ერთი საგულისხმო განცხადება გააკეთა: „ახალი პოლიტიკური ძალა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დეკლარირებულ კურსს დაუბრუნდება“. ტაქტიკური თვალსაზრისით, ეს ფრაზა, ალბათ, შეიძლება წამგებიანად ჩაითვალოს. **ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების დიდ ნაწილზე სიტყვები „ვარდების რევოლუცია“ ისე მოქმედებს, როგორც წითელი ფერი — გამძვინვარებულ ხარზე, რადგან სააკაშვილის რეჟიმთან ასოცირდება.** აქვე, ალბათ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი განცხადებები ამერიკელი პარტნიორებისთვის გასაგები და მისაღებია. ხსენებული კურსი ხომ, იდეაში, არა მხოლოდ საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებას, არამედ ვაშინგტონის მიმართ განსაკუთრებული ტიპის ლოიალურობასაც გულისხმობს.

**„ვარდების რევოლუცია“, უპირველეს ყოვლისა, ამერიკული პროექტი იყო. ამერიკელების პოლიტიკურ, საინფორმაციო და ფინანსურ მხარდაჭერას „ახალგაზრდა რეფორმატორებისთვის“ ხელისუფლებაში მოსვლის და მისი შენარჩუნების პროცესში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ, როდესაც ალტერნატიული სცენარის შესაძლებლობაზე ვსაუბრობთ, ალბათ, უნდა დავადგინოთ, თუ რამდენად ჯდებოდა ის ვაშინგტონის გეგმებში; მისი თანხმობის გარეშე, სავარაუდოდ, არაფერი გამოვიდოდა, რადგან ამერიკელების კონტროლი შიდაქართულ პროცესებზე ბოლო წლებში თითქმის აბსოლუტური იყო. გარკვეული დროის განმავლობაში, თეთრ სახლს სწორედ სააკაშვილი სჭირდებოდა და მას მხარს ყველაზე კრიტიკულ მომენტებში უჭერდა.**

რატომ სააკაშვილი და არა ჟვანია ან ბურჯანაძე, ან ვინმე სხვა? ამერიკელ პარტნიორებს სააკაშვილის ამოგდება პროცესებიდან, „ვარდების რევოლუციამდე“ გაცილებით ადრე შეეძლოთ, ისევე, როგორც მისი გაკოჭვა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ; ამის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდათ. მაგრამ, **მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილისგან მომავალი საფრთხე გაცილებით ადრე იგრძნობოდა, ვიდრე ის ხელისუფლებაში მოვიდა, ამერიკელები მაინც „ქაჩავდნენ“ და იცავდნენ მას. საინტერესოა, რატომ?**

1997-99 წლებში რამდენიმე არაფორმალურ შეხვედრაზე დასწრება მომიწია, რომლის დროსაც ამერიკელი სტუმრები ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკოსების შესახებ უამრავ კითხვებს სვამდნენ, აშკარად ჩანდა, რომ მათი დახასიათება და სავარაუდო პერსპექტივები აინტერესებდათ. ის დისკუსიები, როგორც წესი, ზურაბ ჟვანიაზე საუბრით იწყებოდა. იმ შეხვედრების ქართველი მონაწილეები მას, ძირითადად, დადებითად ახასითებდნენ, თუმცა იქვე სახელდებოდა მიზეზები, რომელთა გამო ჟვანია ქვეყნის პირველი პირი, ძალიან დიდი ალბათობით, ვერ გახდებოდა. საუბარი სააკაშვილზე ოდნავ მოგვიანებით, კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსზე მსჯელობის შემდეგ იწყებოდა.

**იმ ამერიკელი სტუმრების დიდ ნაწილს ეტყობოდა, რომ „ცივი ომის“ ხიფათიან გზებზე არაერთი კილომეტრი ჰქონდათ გავლილი. აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ის უახლესი პოლიტიკური ისტორია ხუთი თითივით იცოდნენ, ერთ-ერთ მათგანს კი, შედარებით ასაკოვანს, ვიეტნამთან დაკავშირებული ამბები ისე კარგად ახსოვდა, თითქოს თბილისში უშუალოდ ალმოდებული საიგონიდან ჩამოფრინდა. ვერ გამოვრიცხავ, რომ ამ საუბრების და, ზოგადად, საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზის დროს, ამერიკელები (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თეთრ სახლში უმცროსი ბუში დაბინავდა) ამა თუ იმ ქართველი პოლიტიკოსის კეთილგონიერებას განმსაზღვრელ ან თუნდაც პოზიტიურ ფაქტორად არ განიხილავდნენ. შესაძლოა, პირველ ადგილზე მათთვის „ყველაფერზე ხელის მოწერის“ და მორჩილების უნარი იდგა.**

როგორც ჩანს, ყველაზე კარგად „იდეალური მარიონეტის“ როლს, მისი ყველა მინუსის მიუხედავად, მაინც მიხეილ სააკაშვილი მოერგო.

**ალბათ, ნაკლებად სერიოზულია საუბარი იმაზე, რომ ამერიკელმა პარტნიორებმა თავიდანვე ვერ გააცნობიერეს, თუ რამდენად პრობლემურია სააკაშვილი, და თუ ეს მართლაც ასე იყო, 2007 წლის მიწურულს მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორების შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცათ. მაგრამ მათ სააკაშვილი კბილებით დაიცვეს.** ამაზე ირიბად იმ დროს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძის ცნობილი კომენტარიც მიანიშნებს: „ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური იყო, მაგრამ ამაზე ყველამ თვალი დავხუჭეთ. მე მშვენივრად მახსოვს, ჩვენი დასავლელი მეგობრების ასეთი... დაჟინებული რჩევები, განსაკუთრებით ჩემი მისამართით, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოგვეცხადებინა მეორე ტური“. არჩევნების გაყალბების შემდეგ ძალიან მალე მოულოდნელად გარდაიცვალა ბადრი პატარკაციშვილი, რომელსაც ოპოზიციის ხელახალი მობილიზება და სააკაშვილისთვის ძალიან სერიოზული ბრძოლის გამართვა შეეძლო. იმავე წლის აგვისტოში სააკაშვილმა საქართველო რუსეთთან ომში ჩააბა.

სააკაშვილის შეცვლის კიდევ ერთი რეალური შესაძლებლობა 2009 წლის გაზაფხულზე გაჩნდა. ამ პროცესებზე და მათში ამერიკელი პარტნიორების ორაზროვან როლზე ძალიან ბევრი ითქვა და ამის გამეორება, ალბათ, არ ღირს.

იყო კიდევ ერთი, ადრინდელი, თითქმის დავიწყებული ეპიზოდი, რომელზეც საუბარი მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეგვიძლია. **2004-05 წლების მიჯნაზე საზოგადოებაში დაიწყო პრაქტიკულად ღია საუბრები იმაზე, რომ ჟვანია და სააკაშვილი ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ და პრემიერ-მინისტრი ახლო მომავალში ოპოზიციური ძალების ფარულ მობილიზებას (და, შესაბამისად, კოორდინირებას) გეგმავს, რათა თავგასული პოლიტიკური პარტნიორი როგორმე შებოჭოს. ზურაბ ჟვანია 2005 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა. თუ მსგავსი გეგმები მას მართლაც ჰქონდა (ამას დანამდვილებით, ალბათ, ვერასოდეს დავადგენთ), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის შეცვლის ან მისი საიმედოდ შეკავების რეალური შესაძლებლობა ჯერ კიდევ 2007-08 წლების მოვლენებამდე გაჩნდებოდა.**

საერთო ჯამში, მოვლენათა განვითარების ალტერნატიულ, შედარებით უმტკივნეულო სცენარზე გადასვლის შანსი საქართველოს რამდენიმეჯერ მიეცა, თუმცა შეიძლება შეიქმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ რაღაც „უხილავი ხელი“ მას ისევ უფსკრულისკენ მიმავალ რელსებზე აბრუნებდა.

ზემოთ ერთი საპენსიო ასაკის ამერიკელი ვახსენე, რომელიც ვიეტნამის (და არა მხოლოდ) სპეციფიკაში მშვენივრად ერკვეოდა და მასთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი გამახსენდა. ერთ-ერთი არაფორმალური შეხვედრის დროს ის ძლიერ შეზარხოშდა, ხანდახან წაუმღერებდა კიდეც და უამრავ საინტერესო ისტორიას ყვებოდა ნიქსონზე, რეიგანზე და რატომღაც ლეხ ვალენსაზე. „პარტიის გენერალურ ხაზთან“ შეუსაბამო არაფერი უთქვამს, უბრალოდ, საგულისხმო დეტალებს აფრქვევდა, რომლებშიც არა მარტო ერთი ეშმაკი, არამედ მთელი ლეგიონი იმალებოდა. ბოლოს ისეთ კონდიციამდე მივიდა, რომ ერთმა კარგმა, თუმცა ფრიად გამოუცდელმა ქართველმა ახალგაზრდამ ჰკითხა: „და მაინც, ვინ მოკლა კენედი“? ამ მომენტში დავაფიქსირე, რომ სტუმარი მყისიერად 100%-ით გამოფხიზლდა და გარკვევით წარმოთქვა: „ახალგაზრდავ, ჯონ ფიცჯერალდ კენედი ლი ჰარვი ოსვალდმა მოკლა“. ოფიციალური ვერსიის ამ საზეიმო გაჟღერების შემდეგ ის ისევ ლხენას დაუბრუნდა და ათიოდე წუთში თავი ლამის სალათაში ჩარგო. არა რა, ძველი გვარდია მაინც სულ სხვა იყო...

ამხელა შესავალი, ალბათ, იმ მარტივი ფაქტის კონსტატაციისთვის იყო საჭირო, რომ არის ამქვეყნად სიტუაციები, როდესაც ოფიციალური ვერსიის ფარგლებს ვერ გასცდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელთ უტყუარი ფაქტები არ გაქვს (ან თუნდაც გაქვს).

**ამერიკული კვალის დანახვა საქართველოში მომხდარი ბევრი ნეგატიური მოვლენის მიღმა შეიძლება, მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები ახლო პერსპექტივაში, ნებისმიერ შემთხვევაში, იძულებული იქნებიან, ვაშინგტონის აზრი გაითვალისწინონ და მისი კრიტიკისგან თავი შეიკავონ. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, „ვარდების რევოლუციის“ ობიექტურ შეფასებას და მისი შემდგომი მოვლენების სრულყოფილ გამოძიებას ადგილი ახლო მომავალში ჰქონდეს. ყველაფერი ცუდი, სავარაუდოდ, მხოლოდ სააკაშვილს დაუკავშირდება, მის უცხოელ პარტნიორებზე კი განსაკუთრებულს არაფერს შევიტყობთ.** ახალ პოლიტიკურ მითოლოგიაში მათ მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების და მათ შორის „ვარდების რევოლუციის“ უკიდეგანო სიდიადე, სავარაუდოდ, ეჭვქვეშ არ დადგება. ახალი ხელისუფლების პოზიცია, ალბათ, ასე თუ ისე მიახლოებული იქნება იმ განწყობასთან, რომელიც უსუფაშვილმა თავის განცხადებაში ჩადო. ძალიან ბევრ ადამიანს ეს შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ სხვანაირად, სავარაუდოდ, არ გამოვა. „ვარდების რევოლუციის“ ხსენება დადებით კონტექსტში ქართველ პოლიტიკოსებს კიდევ საკმაო დროის განმავლობაში მოუწევთ და უსუფაშვილის გამტყუნება განხილული ფრაზისთვის, ალბათ, არ ღირს. საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია სხვა განცხადებისთვის კუთხეში მივიმწყვდიოთ და დალურჯებამდე გავამტყუნოთ.

დამთრგუნველი გარე გავლენისგან გათავისუფლება მყისიერ ხასიათს ამ ეტაპზე, ალბათ, ვერ მიიღებს; მას შეიძლება მხოლოდ თანდათანობითი, ევოლუციური ხასიათი ჰქონდეს. დეკოლონიზაცია ჯერ საზოგადოების ცნობიერებაში უნდა მოხდეს და, **სავარაუდოდ, საკმაოდ ბევრი დრო გავა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მართვას ისე შევძლებთ, რომ ძია სემის აზრი ამასთან დაკავშირებით ნაკლებად დაგვაინტერესებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვაშინგტონი დღეს ერთადერთი ძალაა, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლას ხელი შეუშალოს და მისი გაღიზიანება, უბრალოდ, არარაციონალურია. ვერაფერს ვიზამთ, არის ამქვეყნად სიტუაციები, როდესაც პირში სიმართლის თქმას პრაგმატიზმის გამოვლენა სჯობს.**

**ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების დიდ ნაწილზე სიტყვები „ვარდების რევოლუცია“ ისე მოქმედებს, როგორც წითელი ფერი — გამძვინვარებულ ხარზე, რადგან სააკაშვილის რეჟიმთან ასოცირდება**

დეფოლტის ზღვარზე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. წარმოქმნილი არაორდინალური ვითარების მეოხებით, ეკონომიკის დაქვეითებამ საქართველოში მასშტაბური და ინტენსიური ხასიათი მიიღო.

# ლიკბეზი ეკონომიკის მინისტრისათვის

## როდის წარმოიშვა და რა საგარეო ვალი გვადევს კისერზე?



## საქართველოს სახელმწიფოს ვალი შეადგენს 8 მილიარდ 520.3 მილიონ აშშ დოლარს

**ჩვენი თვითკმაყოფილი და თვითკმარი ხელისუფლება „ვარდების რევოლუციის“ მერვე წლისთავს უზარმაზარი საგარეო ვალით ხვდება, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის კისერზე ჩამოკიდებულ ამ დოლაბს, რომელიც კოლაფსის ფსკერისკენ გვექაჩება, ციურ მანანად წარმოგვიდგენს.**

**ჰოდა, ამ სულელური და მავნე პიარისგან საზოგადოებრივი აზრის გასათავისუფლებლად, ერთის მხრივ, მეორე მხრივ კი, მდგრადი განვითარების ეკონომიკის მინისტრის იმ სფეროში გასარკვევად, რომელსაც იგი მიხეილ სააკაშვილის ნებით სათავეში ჩაუყენეს, ვიწყებთ პუბლიკაციების ციკლს „ლიკბეზი ეკონომიკის მინისტრისთვის“.**

**„ლიკბეზი“ — ეს სახელწოდება სახკომსაბჭოს 1919 წლის 26 დეკემბრის დადგენილებიდან მოდის, რომელმაც დაამტკიცა რსფსრ-ში უწიგნურობის ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამა — Ликвидация безграмотности — Ликбез. უწიგნური ხელისუფლების გასანათლებელი საქმე, ჩვენი თხოვნით, თავს იდო ცნობილმა მეცნიერმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ამირან ჯიბუტმა.**

**ვიწყებთ უმარტივესიდან:**

**როდის წარმოიშვა საქართველოს საგარეო ვალი?**

**დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისათვის საქართველოს საგარეო დავალიანება არ ჰქონია. მას ვალი მემკვიდრეობითაც არ მიუღია. რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის დროს, კრედიტორი ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნით, საერთო საკავშირო საგარეო დავალიანების გადახდა მთლიანად რუსეთს დაეკისრა.**

სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული ოპერაციები მხოლოდ საკავშირო მასშტაბით წარმოებდა. საბჭოთა კავშირის როგორც საგარეო, ისე შიდა ვალების და, განსაკუთრებით, საგარეო აქტივებისა და პასივების შესახებ მონაცემები გასაიდუმლოებული იყო და ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას არ ექვემდებარებოდა. ამდენად, საბჭოური ვალების მართვის და ეფექტიანად გამოყენების საკითხებზე არავითარი ინფორმაცია არ არსებობდა.

### რა მიზეზებმა განაპირობა საქართველოს მიერ საგარეო ვალების აღება?

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. წარმოქმნილი არაორდინალური ვითარების მეოხებით, ეკონომიკის დაქვეითებამ საქართველოში მასშტაბური და ინტენსიური ხასიათი მიიღო.

ამ პერიოდში მიღებულმა მცდარმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა არასწორი მიმართულება მისცა საზოგადოებრივ ცხოვრებას. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვნად გაამწვავა შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, რამაც ქვეყანა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილ მოვლენებამდე მიიყვანა. ქვეყნის გარედან ინსპირირებულმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა და სამოქალაქო ომმა 1992-93 წლებში დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეუქმნა.

ჯერჯერობით შეუძლებელია ამ ნგრევის არა თუ სოციალური და მორალური შედეგების, არამედ პირდაპირი ზარალის ზუსტი შეფასებაც. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, იგი 13 მლრდ დოლარს აჭარბებს. გარდა ამისა, დიდი იყო ზარალი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას მიადგა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის სამეურნეო პოტენციალის სრული პარალიზებით.

კონკრეტულად საგარეო დავალიანებები საქართველოს წარმოექმნა ეკონომიკური კავშირების მოშლის, წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემის, ექსპორტის შემცირებისა და იმპორტის გადიდების, ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საჭირო სახსრების მოზიდვის შედეგად; ასევე, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან (ეროვნულ ბანკებში დამოუკიდებელი საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნამდე) სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებების სახელმწიფო კრედიტად გაფორმების გზით, წლების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანებების, საკუთარი სავალუტო რეზერვების შევსებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო სესხების ანგარიშზე დაფინანსების გამო.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემების გადასაჭრელად საქართველოს ფაქტობრივად სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მიემართა საზღვარგარეთის სახელმწიფოთა მთავრობებისა და საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისთვის სესხებისა და დახმარებების მისაღებად.

საქართველოს მთავრობამ მზარდი სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად ეროვნული ბანკის პირდაპირ კრედიტებთან ერთად საგარეო სესხების გამოყენება 1992 წლიდან დაიწყო. საქართველოს დღეისათვის საკმაოდ დიდი საგარეო ვალი დაუგროვდა.

### რა ვალი გვადევს კისერზე?

საქართველომ საგარეო სესხების აღება დაიწყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში. 1992 წელს აღებული იქნა 1 კრედიტი, 1993 წელს — 2, 1994 წელს — 5, 1995 წელს — 4, 1996 წელს — 14, 1997 წელს — 12, 1998 წელს — 9, 1999 წელს — 2 და ა.შ. 2003 წლის დასაწყისისათვის, გამოყოფილი სესხების ყველა ტრანშის მიღების შემდეგ, საქართველოს დაუგროვდა საგარეო ვალის საკმაოდ სოლიდური თანხა — 1774.64 მლნ აშშ დოლარი.

აღებული სესხების ძირითადი თანხის (1774.64 მლნ დოლარის) დაფარვა 2003 წლიდან უნდა დაწყებულიყო, ამიტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტმა 2003-2014 წლების (კრედიტის დაფარვის ვადების) საგარეო ვალების გადასახდელების გრაფიკი შეადგინა, რომლის მიხედვით გადასახდელი იყო საგარეო დავალიანების ძირითადი თანხა 1246.84 მლნ დოლარი და სესხის მომსახურების პროცენტის თანხა 317.98 ათასი დოლარი (მთლიანად, 1.564.82 მლნ დოლარი, ანუ ქვეყნის საგარეო ვალის მთლიანი თანხის 88,2%).

ამ თანხის გადახდის პირობები მეტად მკაცრი და ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა.

2003-2007 წლებში საგარეო ვალის ვადადამდგარი გადასახდელების სრული დაფარვისათვის საჭირო იყო დაახლოებით 1750.0 მლნ ლარი (843.82 მლნ დოლარი), ანუ 2003-207 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 35-40%. ბუნებრივია, საქართველოს ამის შესაძლებლობა აღნიშნულ წლებში არ ჰქონდა. ამიტომ ხელისუფლების მიერ 2003-2007 წლებში კრედიტორებთან აწარმოა მოლაპარაკება ვალების რესტრუქტურიზაციის (განვადების) შესახებ, რის შედეგად განხორციელდა მოკლევადიანი ვალების გრძელვადიანი ვალებით ჩანაცვლება. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველო მხოლოდ ვალების საპროცენტო თანხას იხდიდა და არა მის ძირითად ნაწილს.

## ხელისუფლება ახალ ვალებს იღებდა და უფრო ზრდიდა ქვეყნის საგარეო დავალიანებას

ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ მიეღო რადიკალური ზომები ვადაგასული სავალო ვალდებულებების გადასახდელად, ახალ ვალებს იღებდა და უფრო ზრდიდა ქვეყნის საგარეო დავალიანებას. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია 2007 წლის შემდეგაც გაგრძელდა. ახალი სესხები ავიღეთ გერმანიიდან, იაპონიიდან, ნიდერლანდებიდან და საფრანგეთიდან. მა დაემატა ჩინეთისა და კუვეიტის ახალი ვალი. ასევე, დამატებითი სესხები იქნა აღებული მსოფლიო ბანკიდან — 343,07 მლნ დოლარი, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდიდან — 8,31 მლნ დოლარი, საქართველოს მთავრობის მოთხოვნით ქვეყანაში 500 ▶

ამირან ჯიბუტი



## ისრაელმა საფრანგეთის კონსული დააშავა

**ღაზას სექტორში ისრაელის მიერ განხორციელებული სამხედრო შეტევის შედეგად საფრანგეთის კონსული და მისი ოჯახი დაშავდა.** აღნიშნული საკითხის განსახილველად და არგუმენტების მოსასმენად საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიბარა ისრაელის ელჩი საფრანგეთში. კონსული და მისი ქალიშვილი მას შემდეგ დაშავდნენ, რაც სამხედრო თვითმფრინავების საშუალებით ისრაელმა ბეით ლაჰიაში პოლიციის შენობა დაბომბეს. დასავლური მედიასაშუალებები ისრაელის აღნიშნულ ნაბიჯს ნიკოლა სარკოზის განცხადებას უკავშირებენ, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის პრეზიდენტმა ისრაელის პრემიერ ბენჟამინ ნეთანიაჰუს „მატყუარა“ უწოდა.

## კადაფი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო

**ლიბიის ყოფილი ლიდერის — მოამარ კადაფის გარდაცვალების შემდეგ, ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. კადაფი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი იყო. მისი ქონება 200 მილიარდ დოლარად ფასდება.** ასეთია ოფიციალური მონაცემები, ჟურნალისტებს ლიბიის ახალმა ხელისუფლებამ რომ გააცნო. ამ მონაცემების მიხედვით, კადაფი 3-ჯერ უფრო მდიდარი აღმოჩნდა, ვიდრე მექსიკელი კარლოს სლიმი, რომელიც, 2010-2011 წლის მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარ კაცად აღიარეს. კადაფი 10-ჯერ მდიდარი აღმოჩნდა საუდის არაბეთის მეფე აბდალაზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მდიდარ მმართველად ითვლება.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთმა საქართველოს შეუწყვიტა ფულადი ნიშნების მიწოდება, პრაქტიკულად მეანაბრეთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა ბანკიდან ფულადი ნაშთების გამოტანა. ამის გამო დამოუკიდებელ საქართველოს საკუთარი ხალხის უზარმაზარი ვალი წარმოექმნა.**

## ცხრილი №1

### საქართველოს სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა 2011 წლის 31 დეკემბრისთვის

| | | მლნ ლარებში | მლნ დოლარებში |
|---|---|---|---|
| №№ | სულ სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა | 8.774.6 | 5.317.9 |
| I | მრავალმხრივი კრედიტები | 5730.2 | 3.472.8 |
| 1. | მსოფლიოს ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IBRD) | 2.266.1 | 1.373.4 |
| 2. | რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი | 493.4 | 299.0 |
| 3. | ევროგაერთიანება (IBRD) | 60.0 | 36.4 |
| 4. | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (EC) | 49.7 | 30.1 |
| 5. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IFAD) | 1.843.1 | 1.117.0 |
| 6. | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (IMF) | 18.6 | 11.3 |
| 7. | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (IBRD) | 116.2 | 70.4 |
| 8. | აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 580.6 | 351.9 |
| 9. | აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 180.0 | 109.1 |
| 10. | ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIR) | 122.5 | 74.2 |
| II | ორმხრივი კრედიტები | 1.238.0 | 750.3 |
| 1. | ავსტრია | - | - |
| 2. | აზერბაიჯანი | 24.5 | 14.8 |
| 3. | თურქმენეთი | 0.4 | 0.2 |
| 4. | თურქეთი | 46.8 | 28.4 |
| 5. | ირანი | 19.1 | 11.6 |
| 6. | რუსეთი | 201.1 | 121.9 |
| 7. | სომხეთი | 29.0 | 17.8 |
| 8. | უზბეკეთი | 0,6 | 0.4 |
| 9. | უკრაინა | 0,5 | 0.3 |
| 10. | ყაზახეთი | 50.0 | 3-.3 |
| 11. | ჩინეთი | 7.9 | 4.8 |
| 12. | გერმანია | 540.9 | 327.8 |
| 13. | იაპონია | 161.6 | 97.9 |
| 15. | ნიდერლანდები | 11.6 | 7.0 |
| 16. | აშშ | 60.7 | 36.8 |
| 17. | საფრანგეთი | 37.9 | 22.9 |
| III | სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები | 1.800.0 | 1.090.9 |
| 1. | ევროფონდები | 1.800.0 | 1.090.9 |
| IV | სახელმწიფო გრანტით აღებული ვალები | 6.4 | 3.9 |
| 1. | გერმანია | 6.4 | 3.9 |
| V | სულ საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა | 1983.8 | 1.202.3 |
| 1. | ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია | 560.8 | 339.9 |
| 2. | სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის | 117 | 70.9 |
| 3. | ე.წ. ისტორიული ვალები | 674.1 | 408.5 |
| 4. | სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სესხები | 631.9 | 382.9 |
| | სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა | 10.758.4 | 6.520.3 |

## ცხრილი №2

### მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ ბრიუსელის დონორთა კონფერენციის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხები

| № | კრედიტორი ორგანიზაციები და ქვეყნები | კრედიტის თანხები (მლნ დოლარებში) |
|---|---|---|
| 1. | მსოფლიოს ბანკი | 1.7 (მლრდ) |
| 2. | ევროკავშირი | 1.0 (მლრდ) |
| 3. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი | 0.5 (მლრდ) |
| 4. | ევროკომისია | 0.2 (მლრდ) |
| 5. | აშშ | 1.0 (მლრდ) |
| 6. | გერმანია | 44 (მილიონი) |
| 7. | საფრანგეთი | 9 (მილიონი) |
| 8. | უკრაინა | 20 (მილიონი) |
| | სულ | 4.473.0 |

◀ მლნ ევროობლიგაცია განთავსდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომით დაზარალებულ საქართველოს მსოფლიოს თანამეგობრობის ქვეყნებმა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა ბრიუსელის დონართა კონფერენციაზე გამოუყვეს 4,5 მლრდ დოლარზე მეტი კრედიტი და გრანტი.

ამჟამად ქვეყნის მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალი მოიცავს სახელმწიფო სექტორის (სამთავრობო და ფულად-საკრედიტო ორგანიზაციების) და კერძო სექტორის (კომერციული სტრუქტურების, ფირმების, იურიდიული და ფიზიკური პირების, კორპორაციების) საგარეო ვალს. როგორც ოფიციალური მონაცემები ადასტურებს, საერთო სურათი ასეთია.

***(იხ. ცხრილი №1)***

სამწუხაროდ, 2011 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის მიერ გაანგარიშებული ვალის ზღვრულ მოცულობაში არაა შეტანილი მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების მიერ ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე საქართველოსთვის გამოყოფილი თანხის მთლიანი ოდენობა.

***(იხ. ცხრილი №2)***

აღნიშნული 4.5 მლრდ აშშ დოლარიდან კრედიტი შეადგენს 2 მილიარდს, გრანტი — 2,5 მლრდ აშშ დოლარს. აქ დასახელებული კრედიტორი ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან გამოყოფილ კრედიტებს (რომლის გარკვეულ ტრანშებს 2012 და 2013 წლებში მივიღებთ).

2.0 მლრდ აშშ დოლარს თუ დავუმატებთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2011 წლის 31 დეკემბრისთვის ნავარაუდევ საგარეო დავალიანებას (6520.3 დოლარს), მაშინ საქართველოს სახელმწიფოს ვალი შეადგენს რვა მილიარდ 520.3 მილიონ აშშ დოლარს.

## სახელმწიფოს შიდა ვალი და შემნახველი ბანკების დანგრეული სისტემა

საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალის ფორმირება, ძირითადად, 1992-1994 წლებში მოხდა.

**ამ პერიოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფორმალურად ითვალისწინებდა დამატებითი საკრედიტო რესურსების შექმნას და ქვეყანაში სასურსათო და სამრეწველო საქონლის შემოზიდვას. რეალურად კი ემსახურებოდა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებული პირებისა და მათთან დაკავშირებული „საქმიანი" წრეების გამდიდრებას.**

ასეთი პოლიტიკის შედეგად დაიკარგა მოსახლეობის ანაბრები და საწარმო-დაწესებულებათა ფულადი სახსრები, რომლებიც მოექცა საზოგადოების მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში.

საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალად დღეს აღიარებულია ბანკის, კერძო სტრუქტურების, ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე დაგროვილი ვალდებულებები, რომლებიც ვერ გადაიხადა სახელმწიფომ.

არსებული გაანგარიშებით, საქართველოს შიდა ვალის მოცულობა 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 14 მილიარდ 977,4 მილიონ მანეთს უდრიდა. 1993 წლის აპრილში — კუპონის მანეთზე ერთი-ერთზე ჩანაცვლებით ვალები მექანიკურად კუპონით განაღდებას დაექვემდებარა.

ლარის მიმოქცევაში გამოშვების შემდეგ კი ვალების ღირებულება 1.000.000 კუპონი-1 ლარი თანაფარდობით შეიცვალა. ამრიგად, საქართველოს მთავრობის მიერ ინდექსირებული შიდა ვალის მოცულობა შეადგენს 1.176.6 მლნ ლარს. მაგრამ ეს ციფრი არ ასახავს ვალის რეალურ მოცულობას, მასში არ შედის ისეთი პუნქტები, როგორიცაა: ლარის დევალვაციის გამო, საქართველოს ეროვნული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული გაუნაღდებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ღირებულება; სახელმწიფოს მიერ 1998-2000 წლებში მოქალაქეებისთვის გაუცემელი პენსიებისა და ხელფასების დავალიანება; სახაზინო ვალდებულებების ემისიითა და განთავსებით წარმოქმნილი დაუფარავი ვალდებულებების საორიენტაციო მოცულობა და სხვ.

სამწუხაროდ, საქართველოში შეუძლებელი გახდა ცალკეული პუნქტების მიხედვით შიდა ვალის თანხის ზუსტი ოდენობის დადგენა. **მთავრობამ დღემდე ვერ შეძლო შიდა ვალის რეალური სტრუქტურის განსაზღვრა, კერძოდ, ვერ დაადგინა, თუ რა უნდა ჩაითვალოს შიდა ვალად და რა არა. მის მიერ განსაზღვრული საერთო ვალის რაოდენობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მოქალაქეთა მიერ 1985-1993 წლებში შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრების ნაშთი და ამავე წლების მიხედვით ანაბრების ნაზარდი თანხები.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საბანკო სისტემა იზოლირებული აღმოჩნდა ერთიანი საკავშირო საბანკო სისტემისგან. შეწყდა რუსეთიდან ნაღდი ფულის — მანეთის მოწოდება. საქართველო, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა, დარჩა მხოლოდ იმ ფულის ამარა, რომელიც იმ დროისთვის ქვეყანაში იყო მიმოქცევაში. ფულის ეს რაოდენობა მიმოქცევაში საჭირო რაოდენობასთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო, რადგან საქართველოს შემნახველ ბანკებში ირიცხებოდა მილიარდობით მანეთის ანაბარი, რომელიც მოსახლეობამ წლების განმავლობაში საკუთარი დანაზოგის სახით ანდო საბჭოთა საბანკო სისტემას. **რუსეთმა საქართველოს შეუწყვიტა ფულადი ნიშნების მიწოდება, პრაქტიკულად მეანაბრეთათვის შეუძლებელი აღმოჩნდა ბანკიდან ფულადი ნაშთების გამოტანა. ამის გამო დამოუკიდებელ საქართველოს საკუთარი ხალხის უზარმაზარი ვალი წარმოექმნა.**

ბანკებში მოქალაქეთა ანგარიშებზე რიცხული თანხების საერთო მოცულობამ დაახლოებით 13 მილიარდი მანეთი შეადგინა. იმ დროს (ოფიციალური კურსით) 1 მანეთი 62,64 ცენტს შეადგენდა. თუ მაშინდელი კურსით 13 მლრდ მანეთს დოლარებში გადავიყვანთ, 8 მლრდ დოლარზე მეტს მივიღებთ.

1991-1992 წლებში დაიწყო მანეთის ინტენსიური გაუფასურების პროცესი. მოსახლეობა მასობრივად შეეცადა ანაბრებზე არსებული თანხების გამოტანას და მათ კონვერტაციას ამერიკულ დოლარებში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ფულადი ნიშნების უკმარისობის გამო.

1992 წლის ზაფხულში ეროვნულმა ბანკმა მთავრობაში შეიტანა წინადადება სახელმწიფო კომერციულ ბანკებში 1992 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრების ანგარიშზე მოთავსებული ფულადი სახსრების აფასების შესახებ.

სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს №14 დეკრეტის საფუძველზე სახელმწიფო კომერციულ ბანკებში 1992 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით ანაბრებზე მოთავსებული 13 მლრდ მანეთი გაორკეცდა და მოსახლეობის მიერ შემნახველ კომერციულ ბანკებში 4535 ათას საანაბრო ანგარიშზე შეტანილმა თანხამ 27.250 მლნ მანეთი შეადგინა.



## ბანკსა და სახელმწიფოს შორის ასეთი უპრეცედენტო გარიგების შედეგად საქართველოში დაინგრა მთელ მსოფლიოში აპრობირებული შემნახველი ბანკების სისტემა

1993 წლის მარტიდან შემოღებული და მიმოქცევაში იქნა გაშვებული ეროვნული ვალუტის სუროგატი — კუპონი. 1993 წლის აგვისტოდან მოყოლებული კუპონის კურსი დღითიდღე ეცემოდა. 1995 წლის სექტემბერში დოლარის მიმართ კუპონის კურსი 2,5 მილიონს შეადგენდა.

ინფლაციის შეუჩერებელი პროცესი უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობის ანაბრებზე. ვითომდა მეანაბრეების ფულადი დანაზოგების გაუფასურებით მიყენებული ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, 1994 წლის 12 ივლისს ყოფილი შემნახველი სალაროების ბაზაზე დააფუძნეს საპაიო კომერციული ბანკი „გაერთიანებული ქართული ბანკი", რომელსაც გადაერიცხა იმ დროისათვის ქვეყნის კომერციულ ბანკებში მოსახლეობის ანაბრების ანგარიშზე არსებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამის შემდეგ მეანაბრეები ანაბრების ძირითადი თანხისა და საპროცენტო დანარიცხების დაბრუნებას „გაერთიანებული ქართული ბანკისგან" ითხოვდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ და ბანკმა უარი განაცხადეს მიბარებული თანხების დაბრუნებაზე.

**ბანკსა და სახელმწიფოს შორის ასეთი უპრეცედენტო გარიგების შედეგად საქართველოში დაინგრა მთელ მსოფლიოში აპრობირებული შემნახველი ბანკების სისტემა, რომელთა ანგარიშებზე აკუმულირებული იყო ხალხის 13 მილიარდი მანეთი, ანუ დაახლოებით 8 მილიარდი ამერიკული დოლარი.**

პრესის საშუალებით ბანკის მესვეურებმა აქციონერთა რიგებში დაასახელეს რამდენიმე მსხვილი საზღვარგარეთული საფინანსო გაერთიანება. გამოიყენეს ხელისუფლების წარმომადგენლები და ისინი ბანკის აქციონერები გახდნენ. ასე შეიყვანეს მეანაბრეები შეცდომაში. ყოველივე ეს დაემთხვა გარდამავალი ვალუტის (კუპონის) პერიოდს. ხალხმა თანხების დაკარგვას აქციონერობა ამჯობინა და მეარაბრეთა თითქმის 70% აქციონერი გახდა.

„გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" ტოტალურად გააუქმა ქვეყანაში არსებული შემნახველი სალაროები და მათ ბალანსზე არსებული შენობები ჩალის ფასად შეისყიდა, ამ შენობებში კი „გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალები შექმნეს. ეს ფილიალები მათი კადრებით დააკომპლექტეს და სპეციალური მუშაკები აიყვანეს, რომელთა მოვალეობა მეანაბრეთა მოძებნა და მათთვის მოტყუებით მიზერული დივიდენდის — 7 ლარის გაცემა იყო. ისინი მეანაბრეებს ჟურნალებში აწერინებდნენ ხელს, მომავალში მეპაიეობაზე პრეტენზია რომ არ ჰქონოდათ.

აღნიშნული თანხები დამფუძნებლებმა ფარულად მიისაკუთრეს და თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს. ხოლო მეანაბრეები მათი თანხმობის გარეშე კომერციულ-შემნახველი ბანკების საწესდებო ფონდის ფიქტიურ მეპაიეებად გააფორმეს. ეს ყველაფერი აღინიშნა ფარატინა ქაღალდზე, უბრალო ქვითრებზე, რომლებიც მოტყუებულ მეანაბრეებს დაურიგეს (მაშინ ყოფილ მეანაბრეებს უბრალო ქვითრები გადასცეს ამჟამად უკვე ბუნებაში არარსებულმა ბანკებმა: „თამარიონი", „მედეა", „სამეფო", „ოპიზარი" და ა.შ.), ხოლო ახლა მათ, როგორც „გაერთიანებული ქართული ბანკის" მეპაიე-აქციონერებს, თანამესაკუთრის დამადასტურებელი არავითარი კანონიერი საბუთი არ გააჩნიათ. მეპაიეებს არ იცნობენ, არ ეძახიან და არც არაფერში სჭირდებათ. ეს მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევაა.

**გაგრძელება იქნება**

## საბერძნეთმა მინისტრთა ახალი კაბინეტი დაამტკიცა

**საბერძნეთის ახალ მთავრობას პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა. ლუკას პაპადემოსის კოალიციურ მინისტრთა კაბინეტს მხარი დეპუტატების უმრავლესობამ დაუჭირა.** უცხოური მედიის ცნობით, ახალი კოალიციური მთავრობის ამოცანას ქვეყანაში არსებული ფინანსური კრიზისის დაძლევა წარმოადგენს. უკვე ცნობილია, რომ ამისთვის, ახალ პრემიერ-მინისტრს სპეციალური ფინანსური პაკეტის შემუშავება მოუწევს. ფინანსური პაკეტი კი სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს, რაც ქვეყნის მოსახლეობისთვის მიუღებელია.

## აშშ რუსეთს გარანტიას ვერ მისცემს

**„აშშ ვერ მისცემს რუსეთს იმის იურიდიულ გარანტიას, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს მის წინააღმდეგ არ მიმართავს.** ეს არასწორი ნაბიჯი იქნებოდა, რადგან საქმე ნატოს წევრი სახელმწიფოების დაცვას ეხება, მაგრამ რუსეთმა, შესაძლოა, პოლიტიკური გარანტიები მიიღოს და ასევე თავისი წარმომადგენლები გამოგზავნოს ნებისმიერი აპარატურით, იმისათვის, რომ ისინი დარწმუნდნენ, რომ სისტემაში რუსეთის ბირთვული შეტაკების ძალებისათვის საშიში არაფერია". ეს განცხადება პოლიტიკურ საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ვენდი შერმანმა გაზეთ „კომერსანტისათვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

დექავიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„კოსოვოს სქემის“ უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. მას კონკრეტული მიზანი აქვს – მაქსიმალურად დაასუსტოს გაძლიერების გზაზე დამდგარი ევროპა, ამიტომ ძნიან ევროპის ცენტრში მძლავრ მუსლიმურ ანკლავს დიდი ალბანეთის სახით. ამასთანავე, ანტიმართლმადიდებლური ტენდენციების დაკმაყოფილებაც ხერხდება, რაც მეტად ძლიერია როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ქვეყნებში. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დასუსტებაა. სწორედ ამიტომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ევროკავშირში აღმოსავლეთევროპული პოსტსოციალისტური სახელმწიფოები მიაღებინეს. უფრო მეტიც, — იუგოსლავიის დაშლა აიძულებს ევროკავშირს, თავის შემადგენლობაში ყველა ახალი ბალკანური სახელმწიფო მიიღოს. ეს უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს გაერთიანებული ევროპის ეკონომიკაზე, ევროს, როგორც დოლარის კონკურენტის კურსზე, დაძაბულობას შეიტანს წამყვანი ევროპული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში“.



## ალექსანდრე ჭაჭია:

## «კოსოვოს სქემის» უნივერსალურობის აღიარება ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის უფლების აღიარებას, რაც ანალოგიურ პერსპექტივებს შეუქმნის საქართველოს სხვა რეგიონებსაც

# რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

წინამდებარე ინტერვიუ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიასთან 2005 წელს ჩაიწერა. მაშინ ჰორიზონტზე არც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ჩანდა და არც მსოფლიო ფინანსური კრიზისი; მაშინ ხელისუფლება ომახიანად გვპირდებოდა ახალი წლის „მალე“ აღნიშვნას ხან ცხინვალში, ხანაც სოხუმში და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ თავადვე გახდებოდა მოვლენათა ტრაგიკული ჯაჭვის ინიციატორი, რასაც საქართველოს ტერიტორიების დამატებით დაკარგვა და აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოჰყვა...
თუმცა ჩვენი რესპონდენტი ამ საფრთხეებზე, მოსალოდნელ კატასტროფაზე ღიად და მკაფიოდ მიანიშნებდა როგორც ხელისუფლებას, ასევე საზოგადოებას. ექვსი წლის წინანდელ ამ ინტერვიუს მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ.

**— ბატონო ალექსანდრე, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ დამოუკიდებლად არსებობის მთელი დროის მანძილზე საქართველომ ვერ მოახერხა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზება და ვერ შეუდგა თანმიმდევრულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ასე არასახარბიელოდ რატომ გამოვირჩევით ყველა სხვა პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნებისგან?**

— დიახ, შევარდნაძის მმართველობის დასაწყისიდან დღემდე საქართველო წარმოადგენს დაშლილ, არშემდგარ სახელმწიფოს. ეს განსაზღვრება მეტად სწყინდა ყოფილ ხელისუფლებას, სწყინს დღევანდელსაც, მაგრამ ეს ფაქტია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე ჩვენ დაშლილი სახელმწიფო ვართ და ეს უდავოა... **განა შეიძლება, შემდგარად მიიჩნიო სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების ცვლა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების გზით ხორციელდება და, თანაც, უცხოეთიდან ფინანსდება?**

თუმცა ყველაზე მთავარი ის არის, რომ საქართველოს პოლიტიკური წრეები დღემდე ვერ აცნობიერებენ ტრაგიზმს იმ მდგომარეობისა, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა. ტყუილად კი არ ვაცხადებ სისტემატურად, რომ არც პრეზიდენტი და არც მთავრობა არ წარმოადგენენ საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას. **ისინი არიან საქართველოს მხოლოდ ნაწილის პრეზიდენტი და მთავრობა, რადგან აფხაზეთის გარეშე ქვეყანას არ აქვს უფლება, საქართველოდ იწოდებოდეს, ხოლო მის ხელმძღვანელობას – საქართველოს ხელმძღვანელობა ერქვას.** გამსახურდია იყო საქართველოს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი პრეზიდენტი.

**— ამიტომ დაუდგით მას ძეგლი ზუგდიდში?**

— დიახ, და მზადა ვარ, ძეგლი დავუდგა ქვეყნის იმ ლიდერს, რომელიც დაუბრუნებს მას უფლებას, ერქვას საქართველო.

**სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთათვის აფხაზეთი ცოცხალი ტკივილი არ არის. ასაკის გამო მათ ვერ მოასწრეს აფხაზეთის, როგორც საკუთარი სამშობლოს განუყოფელი ნაწილის, აღქმა და გაცნობიერება, ამიტომ ლაპარაკობენ „ტერიტორიების დაბრუნებაზე“, არადა, სამშობლოს დაბრუნებაზე უნდა იყოს ლაპარაკი.**

რეალობიდან მოწყვეტა, წარსულის არცოდნა, გამოუცდელობა და ზედაპირული განათლება — აი დღევანდელი ხელმძღვანელობის მთავარი ნაკლოვანებანი. ახალგაზრდულ ენთუზიაზმზე, შესაძლებელია, საგრძნობლად გამოაცოცხლო საზოგადოებრივი, თუნდაც ეკონომიკური აქტივობა, წარმატებით გადაწყვიტო რიგი ტაქტიკური ამოცანებისა, მაგრამ ეს მოკლევადიან ეფექტს იძლევა. ქვეყნის რეალური განვითარება მხოლოდ სტრატეგიის საფუძველზე ხდება, ხოლო სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციისთვის საჭიროა სიღრმისეული ცოდნა, თაობათა გამოცდილების გათვალისწინება, ქვეყნისა და ერის ადგილის, როლის, ისტორიული დანიშნულების გაცნობიერება. ახლახან ვუსმენდი ტელევიზიით სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიშს ქვეყნის არსებობისათვის ამ უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ და უნებლიეთ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები რომელიღაც სხვა ქვეყანაზე, სხვა ეკონომიკაზე, სხვა სოფლის მეურნეობაზე ლაპარაკობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ხელმძღვანელზე, რომლებიც ტელევიზორის ეკრანებიდან თავისი დარგის „არნახულ წარმატებებზე“ მოგვითხრობენ. ასე ცრუობდა მრავალი წლის განმავლობაში შევარდნაძე. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკურ ტრადიციად იქცა.

ყოველთვის ვცდილობ, აღვნიშნო დადებითი მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში. მუდამ მაღიზიანებდა ყველა ჯურის ოპოზიციონერის სწრაფვა, ერთიანად, ხელაღებით გაეშავებინათ ყველა და ყველაფერი, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ნაბიჯში მხოლოდ ცუდი და მავნე დაენახათ. შევარდნაძის მმართველობის დროსაც კი ვცდილობდი, გარკვეულ პროცესებში პოზიტივი დამენახა, რადგან ხშირად ოპოზიციის სწრაფვას, კატეგორიულად უარყოს ხელისუფლების საქმიანობა, იქამდე მივყავართ, რომ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლად იქცევა. შევარდნაძის პერიოდთან შედარებით, დღეს მართლაც არის პოზიტიური მომენტები ხელისუფლების საქმიანობაში, რასაც მივესალმები. შაკმარისია, თბილისის, ბათუმის შეცვლილ იერს შეხედო, გზების მშენებლობას, კორუფციასთან ბრძოლას ქვედა და საშუალო დონეზე და სხვ. მაგრამ ყველა ეს მოვლენა კოსმეტიკური ხასიათისაა და გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაზე, ვერ ცვლის შევარდნაძის დროს დამკვიდრებულ ქვეყნის განვითარების დამღუპველ ვექტორს. დღემდე არ არსებობს ეკონომიკური განვითარების ერთიანი მოდელი, რაც ქვეყანას ეკონომიკური ჩიხიდან გამოიყვანდა. და მთავარი — **ხელისუფლების ქმედება არანაირად არ გვაახლოებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტასთან. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარებისა და თანამედროვე ეკონომიკური ბაზის ფორმირების გარეშე კი საქართველოს მომავალი არ აქვს.**

**— ცნობილია, რომ მეორე ევროპულ ფორუმზე მოსკოვში თქვენ – მონაწილეთაგან ერთადერთი – ე. წ. კონფლიქტების მოგვარების კოსოვოს სქემის წინააღმდეგ გამოხვედით. რატომ?**

— კოსოვოს სქემა სერბეთის ისტორიულ ტერიტორიაზე მოსული მუსლიმების დამოუკიდებელი ალბანური სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს. კოსოვო სერბული მართლმადიდებლური კულტურის აკვანია, სერბი ერის გულია. იქ ეთნიკურად და რელიგიურად უცხო ხალხი დასახლდა, რომელსაც იქვე, გვერდით, საკუთარი სახელმწიფო აქვს, ამერიკელების დახმარებით სერბი მოსახლეობა განდევნა, 200-ზე მეტი მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრია და ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას მოითხოვს. **არ შემიძლია ამ მოთხოვნას დავუჭირო მხარი, პირველყოვლისა იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, იმიტომ, რომ სერბი და ქართველი ხალხები სულიერი ძმები არიან.**

ჩვენ ისედაც სამარცხვინო, მოუშორებელი ლაქა გვადევს: შევარდნაძე იყო პირველი სახელმწიფოთა მეთაურებს შორის, რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი ნატო-ს ავიაციის მიერ სერბეთის დაბომბვას, რასაც ასობით უდანაშაულო ადამიანი, ათობით ეკლესია და მონასტერი შეეწირა. ხოლო ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ დაგმო ამის გამო ედუარდ-გიორგი, ანათემას არ გადასცა იგი.

**მეორეს მხრივ, „კოსოვოს სქემის“ უნივერსალურობის აღიარება ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის უფლების აღიარებას.** მეტიც: ეს ანალოგიურ პერსპექტივებს შეუქმნის საქართველოს სხვა რეგიონებსაც, რომლებიც, ძირითადად, მოსული უცხოტომელებით არის დასახლებული. „კოსოვოს სქემა“ სახიფათოა ევროპის ბევრი ქვეყნისთვისაც და მის შესახებ ევროპელ მოღვაწეთაგან არაერთი მწვავე შეფასება მომისმენია. **მაგრამ პრობლემა ის არის, რომ „კოსოვოს სქემის“ უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. მას კონკრეტული მიზანი აქვს – მაქსიმალურად დაასუსტოს გაძლიერების გზაზე დამდგარი ევროპა, ამიტომ ძნიან ევროპის ცენტრში მძლავრ მუსლიმურ ანკლავს დიდი ალბანეთის სახით. ამასთანავე, ანტიმართლმადიდებლური ტენდენციების დაკმაყოფილებაც ხერხდება, რაც მეტად ძლიერია როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ქვეყნებში. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დასუსტებაა. სწორედ ამიტომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ევროკავშირში აღმოსავლეთევროპული პოსტსოციალისტური სახელმწიფოები მიაღებინეს. უფრო მეტიც, — იუგოსლავიის დაშლა აიძულებს ევროკავშირს, თავის შემადგენლობაში ყველა ახალი ბალკანური სახელმწიფო მიიღოს. ეს უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს გაერთიანებული ევროპის ეკონომიკაზე, ევროს, როგორც დოლარის კონკურენტის კურსზე, დაძაბულობას შეიტანს წამყვანი ევროპული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში.**

მათ მილიონობით აღმოსავლეთევროპელ მიგრანტთან საკუთარი შრომის ბაზრის გაყოფა მოუწევთ. ამიტომ ევროკავშირის ძირითადი წევრები ყველა ახალი პრეტენდენტისთვის კარის დასაკეტად მზადყოფნას გამოხატავს. მაგალითად, თურქეთის ევროკავშირში მიღების საკითხი, პრაქტიკულად, 10-15 წლით გადაიდო და, ალბათ, არასდროს მოხდება, სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა ნატო-შიც. ევროპელებს მკაფიოდ ესმით, რომ ნატო ამერიკის მსოფლიო ჰეგემონობის ინსტრუმენტია. ნატო-ს გაფართოება, არსებითად, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის გაფართოებას ნიშნავს, ევროპა კი იძულებულია, ამის საფასური იხადოს, ამიტომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს ნატო-ს გაფართოების პერსპექტივისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სა- ▶



**«აფხაზეთის გარეშე ქვეყანას არ აქვს უფლება, საქართველოდ იწოდებოდეს, ხოლო მის ხელმძღვანელობას – საქართველოს ხელმძღვანელობა ერქვას. გამსახურდია იყო საქართველოს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი პრეზიდენტი»**

დეჟავიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს, ამის პარალელურად კი არმიის გაძლიერების, ცხინვალში ახალი წლის შეხვედრის და სხვა ამის მსგავს განცხადებებს აკეთებს. ამით ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ვამცნობთ, რომ მშვიდობისმყოფელთა გაყვანის შემდეგ ომს დავიწყებთ. განა ეს ნორმალურია? გამოდის, სამშვიდობო ძალების გაყვანას იმიტომ მოვითხოვთ, რომ ისინი ომის დაწყებაში გვიშლიან ხელს, მაგრამ მათი მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის!“**

◀ ქართველოს ჩართვას „ინტენსიური დიალოგის“ პროგრამაშიც კი, ანუ ნატოსთან ურთიერთობაში საქართველოს ახალ საფეხურზე გადასვლას.

**— მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა მალე ნატოში შესვლას გვპირდება...**

— ამ დაპირებას, მრავალი წელია, ვისმენთ. ევროკავშირსაც გვპირდებოდნენ, თუმცა ბოლო დროს აღარ ახსენებენ: მეტისმეტად სასაცილოდ ჟღერს. რაც შეეხება ნატო-ს, ქართველებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, გააცნობიერონ რეალური სურათი. ევროპა არ იწვის ნატო-ს გაფართოებისა და ამით, ფაქტობრივად, ამერიკელთა ინტერესების მომსახურების სურვილით. გარდა ამისა, ევროპა არ არის დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, შეუძლია აიძულოს ევროპა, ეს ნაბიჯი გადადგას. **საქართველოს ნატო-ში შესვლას ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თურქეთი, რადგან ეს თურქეთის შეიარაღებულ ძალებისთვის გახსნის საქართველოს ტერიტორიას, რაც შექმნის ჩრდილოეთ კავკასიაზე პირდაპირი გეოპოლიტიკური გავლენის პერსპექტივას. მაგრამ ნატო-ს ევროპელი წევრები, კიდეც რომ დაეთანხმონ ამერიკისა და თურქეთის მოთხოვნას, ყოველ მიზეზგარეშე წამოაყენებენ უმთავრეს მოთხოვნას — ნატო-ს წესდების მკაცრ დაცვას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნატო-ს წევრ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.**

აშშ, ისევე, როგორც მთელი მსოფლიო თანამეგობრობა, დაჟინებით მოითხოვს ჩვენი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ მშვიდობიანი მოგვარება შეუძლებელია ამ პროცესში რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობის გარეშე. რუსეთი კი ამაში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩვენთვის დაბრუნება ამ ტერიტორიის ნატო-ს კონტროლის ქვეშ გადაცემას ნიშნავს, რადგან საქართველოს ხელმძღვანელობა არ იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას, არ განათავსოს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები. ნატო-ს კატეგორიული წინააღმდეგია, აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც.

რა და რისთვის უნდათ ამერიკელებს საქართველოში? **ამერიკას სჭირდება ნატო-ს ეგიდით საქართველოში თურქული სამხედრო ბაზის განლაგების შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ გააძლიეროს დაძაბულობა რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე; მეორეც — მთლიანად აკონტროლოს ნავთობ და გაზსადენები; მესამე — ირანთან სამხედრო მოქმედების გაშლის შემთხვევაში, გამოიყენოს ქართული სამხედრო აეროდრომები, რომელთაც, უკვე კარგა ხანია, თურქები აკონტროლებენ. ამ ამოცანების გადასაჭრელად არც აფხაზეთი, არც სამხრეთ ოსეთი საჭირო არ არის.**

ამიტომ ძალიან მაწუხებს, თუ როგორ აპირებს საქართველოს ხელმძღვანელობა ნატო-ში შესვლის საკითხის მოგვარებას, უფრო სწორად, რა პირობებს უკარნახებს მას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ძალიან მაფიქრებს, რომ სოხუმში ყოფნისას აშშ-ის ელჩმა ტეფტმა მოიწონა და პროგრესული უწოდა კონფლიქტის მოგვარების აფხაზურ გეგმას, რომელიც შემდეგ თბილისში სერგეი შამბამ ჩამოიტანა. გეგმის პირველივე პუნქტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ითვალისწინებს. მაშ, ვისთვის არის ეს გეგმა პროგრესული? არ გამიკვირდება, თუ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ გოგო-ბიჭები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ე. წ. დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაიწყებენ „რუსთავი 2“-ის ეთერში გამოსვლებს ნატო-ში ნებისმიერ, თუნდაც სადავო ტერიტორიებზე **დროებით** უარის თქმის, ფასად შესვლის შესახებ, რომელთაც **შემდეგ** ნატო აუცილებლად დაგვიბრუნებს. წლის ბოლოსთვის კოსოვოს პრობლემაც ამერიკული სცენარით გადაწყდება. ასე რომ, „მსოფლიო თანამეგობრობა“ ტერიტორიული დავის „ცივილიზებული გადაწყვეტის“ რეალურ პრეცენდენტზე ლაპარაკს შეძლებს. ქართველი დემოკრატები კი, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ცივილიზებულნი არიან...

ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში. არსებობენ ძალიან გავლენიანი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველო უნდა გაიყოს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კი მათი გავლენის ქვეშ დარჩეს. მეც და ჩემი ბევრი მეგობარი ვცდილობთ, დავარწმუნოთ რუსი პოლიტიკოსები, რომ აფხაზეთის მოწყვეტა დანარჩენი საქართველოსგან ვერ გადაწყვეტს რუსეთის სამხრეთის სტრატეგიული უსაფრთხოების პრობლემას. თურქეთის ხელისუფლების გახშირებული კონტაქტები აფხაზეთთან, პირდაპირი მიმოსვლის აქტივიზაციის სურვილი მეტყველებს თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესზე ამ რეგიონის მიმართ. უეჭველია ისიც, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი სერიოზულ სტიმულად იქცევა ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების პროცესისთვის ამ რეგიონის შემდგომი სეპარატიზაციის მიმართულებით, რაც, დიდი ხანია, თურქეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის სტრატეგიულ გეგმებში შედის. მაგრამ ყველა ეს არგუმენტი — ნატო-სკენ სწრაფვასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მანიაკალური განცხადებების ფონზე — ყოველგვარ ძალასა და დამაჯერებლობას კარგავს. თუ რუსეთი და შეერთებული





**«განა შეიძლება, შემდგარად მიიჩნიო სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების ცვლა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების გზით ხორციელდება და, თანაც, უცხოეთიდან ფინანსდება?»**

შტატები საქართველოს გაყოფაზე მოილაპარაკებენ, ეს დიდი უბედურება იქნება.

**— სააკაშვილისა და პუტინის პეტერბურგში შემდგარმა შეხვედრამ ვერანაირად ვერ იმოქმედა რუსულ-ქართული ურთიერთობების ხასიათზე?**

— ვერ იმოქმედა და ვერც იმოქმედებდა. მაოცებს, როგორ შეიძლებოდა ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა. **შეხვედრა აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. ასეთი რამ იშვიათია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა პრაქტიკაში. მე ვიცი, რომ საქართველოს საელჩო რუსეთში, დიპლომატიური სამუშაოს გარდა, ყველაფრით არის დაკავებული, მაგრამ გაუგებარია, რას აკეთებს საგარეო საქმეთა სამინისტრო და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.**

ნათელია, რომ სერიოზული შეთანხმებისთვის ბაზად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ საქართველოს თანხმობა, რუსეთ-საქართველოს ჩარჩო ხელშეკრულებაში ჩაიდოს ქართული მხარის ვალდებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო კონტინგენტები არ განთავსდება. **ამგვარი საერთაშორისო ვალდებულების გარეშე აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა ვერ მოგვარდება. ისიც ნათელია, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა ამაზე ვერ წავა, რადგან ეს, ასე ვთქვათ, ამერიკული კომპეტენციის საკითხია. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ საქართველო ფორმალური დამოუკიდებლობის 15 წლის თავზეც ვერ გახდა საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელი სუბიექტი, მაგრამ ეს ფაქტია და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.** თუმცა, მიუხედავად ამისა, ორმხრივი თანამშრომლობის გარკვეული საკითხები (ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნა, ერთობლივი ეკონომიკური პროექტები, სავიზო რეჟიმის შემსუბუქება, პუტინის თანხმობა საქართველოში სტუმრობაზე და სხვ.) წარმატებით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ვიზიტის სათანადო მომზადებისა და სხვადასხვა დონის მხარდაჭერის ამოქმედების შემთხვევაში. მაგრამ, **როგორც ჩანს, დღევანდელი ხელისუფლების რეალური პოლიტიკა პრიმიტიული პიარაქციების დონეზეა დასული, რაც, ცხადია, ქვეყნისთვის დამღუპველია. თუმცა ბუტაფორია საქმიანობის ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა.**

**— როგორ მოგეწონნათ სამხედრო აღლუმი?**

— მე მახსოვს სამარცხვინო აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის ჩაბარების შემდეგ გამართა და იმის შემდეგ აღლუმებს აღარ ვუყურებ. **რა ეაღლუმება ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიის მესამედი დაკარგული აქვს? არმიის ძალა მწყობრ ნაბიჯში და საბრძოლო შეძახილებში კი არ არის, არამედ მის უნარში — უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და უსაფრთხოება.**

**— ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ახალ წელს ცხინვალში შევხვდებით. როგორ ფიქრობთ, თუ ეს არ მოხდა, გადადგება?**

**— მახსოვს, აფხაზეთში გაგანია ომისას მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ხაინდრავა იფიცებოდა, ახალ წელს ბიჭვინთაში შევხვდებითო და სინდისმა არ დაუშალა, ახალ ხელისუფლებაშიც კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო მინისტრის პოსტი დაეკავებინა.**

რაც შეეხება ჯარს, პრობლემა გაცილებით ღრმა და არსებითია, ვიდრე ბუტაფორული აღლუმების ჩატარება. ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა საჭიროა არმია და, შესაბამისად, როგორი უნდა იყოს იგი. დღეს საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი, რამდენადაც ვიცი, 200 მილიონ ევროს, ანუ თითქმის 500 მილიონ ლარს შეადგენს. ეს დაუშვებელი ფუფუნებაა ღატაკი ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს პარალიზებული ეკონომიკა და უმუშევრობის კოლოსალური დონე. ამის „დაშვება“ კიდევ შეიძლება, დაკარგული ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნება ჩვენი პირველხარისხოვანი ამოცანა რომ იყოს, მაგრამ **ხომ კარგად ვიცით, რომ რუსეთთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ჩვენი ამჟამინდელი ურთიერთობების პირობებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალის გამოყენებით დაბრუნების ნებისმიერი მცდელობა მარცხისთვის არის განწირული? მეტიც, — საქართველოს ვერასოდეს ეყოლება არმია, რომელიც ისეთ მოწინააღმდეგეს შეერკინება, როგორიც რუსეთია.** მე მგონი, ეს ცხადია. გარდა ამისა, აშშ, ნატო, ევროპული სტრუქტურები კატეგორიულად გამორიცხავენ ჩვენი კონფლიქტების ძალის გამოყენებით გადაწყვეტას. თუმცა, ამავე დროს, ქართული არმიის მშენებლობასა და წვრთნას აფინანსებენ. რაში სჭირდება ნატო-ს 12 ათას 500 ქართველი ჯარისკაცი? ბუნებრივია, ეს ნატო-ს არ სჭირდება, მაგრამ ერთი ქართული ბატალიონის ერაყში გაგზავნა ამერიკელებს წელიწადში 300 მილიონი დოლარის ეკონომიას აძლევს, ანუ საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნა და შენახვა მათ 300 მილიონი დოლარით უფრო ძვირი დაუჯდებოდათ. სხვათა შორის, ჩვენს ჯარისკაცებს საყარაულო ფუნქციისთვის წვრთნიან. დღეს ერაყში 852 ქართველი სამხედროა. იაპონელებმა კი ამ დღეებში ერაყიდან საკუთარი კონტინგენტის გაყვანის შესახებ განაცხადეს. ბუნებრივია, ამერიკელებს ხელს აძლევს საკუთარი მიზნებისთვის სხვისი, მით უფრო, იაფი ჯარისკაცების გამოყენება. ვფიქრობ, მალე ქართული კონტინგენტი გაიზრდება.

არმიასთან დაკავშირებით კიდევ ერთ კაზუსთან გვაქვს საქმე. **საქართველოს ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს, ამის პარალელურად კი არმიის გაძლიერების, ცხინვალში ახალი წლის შეხვედრის და სხვა ამის მსგავს განცხადებებს აკეთებს. ამით ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ვამცნობთ, რომ მშვიდობისმყოფელთა გაყვანის შემდეგ ომს დავიწყებთ. განა ეს ნორმალურია? გამოდის, სამშვიდობო ძალების გაყვანას იმიტომ მოვითხოვთ, რომ ისინი ომის დაწყებაში გვიშლიან ხელს, მაგრამ მათი მოვალეობა ხომ სწორედ ეს არის!**

**— თქვენ ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი ბრძანდებით, რომელმაც აშშ-ის საელჩოსთან საპროტესტო მიტინგი გამართა ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ. რა გამოძრავებდათ?**

— ერაყში ომის წინააღმდეგ ნახევარი მსოფლიო გამოდის — იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც თავისუფალი არიან აშშ-ზე კოლონიური დამოკიდებულებისგან, არაანგაჟირებული საერთაშორისო ორგანიზაციები, უბრალოდ, წესიერი ადამიანები სხვადასხვა სახელმწიფოდან ამ ომს ეწინააღმდეგებიან. ყველაზე მძლავრი დემონსტრაციები, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში გაიმართა. საქართველოში მთავრობაც და პოლიტიკური პარტიებიც ამერიკელებს შესციცინებენ თვალებში და ამ მხეცურ აგრესიას მიესალმებიან. **ერაყში შეჭრა ყველა პატიოსანი ადამიანისთვის მრავალი მიზეზის გამო არის მიუღებელი. ჯერ ერთი, ამერიკელებმა ეს თვითნებურად — გაეროს სანქციის გარეშე ჩაიდინეს, ანუ ფეხქვეშ გათელეს მსოფლიო მართლწესრიგი, საერთაშორისო სამართალი, რომელიც ასე თუ ისე, უზრუნველყოფდა მსოფლიოში სტაბილურო-**



**«სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთათვის აფხაზეთი ცოცხალი ტკივილი არ არის. ასაკის გამო მათ ვერ მოასწრეს აფხაზეთის, როგორც საკუთარი სამშობლოს განუყოფელი ნაწილის, აღქმა და გაცნობიერება, ამიტომ ლაპარაკობენ «ტერიტორიების დაბრუნებაზე», არადა, სამშობლოს დაბრუნებაზე უნდა იყოს ლაპარაკი»**

დღეავიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელებმა სრულიად და დიდი ხნით მოახდინეს არა მარტო დემოკრატიის იდეის, არამედ თვით სიტყვა „დემოკრატიის“ დისკრედიტაცია; როცა 50-100 მშვიდობიანი ერაყელის ყოველდღიური დაღუპვის ფონზე ბუში „ერაყული დემოკრატიის“ ფორმირებაში ამერიკელთა წარმატებებზე საუბრობს, „დემოკრატია“ და „კაციჭამიობა“ ადამიანთა ცნობიერებაში იდენტურ ცნებებად იქცევა.**

**«ამერიკელები წავლენ ისევე, როგორც 1921 წელს გარბოდნენ ინგლისელები, გერმანელები და საკუთარ ქართველ ცოლებსაც კი ტოვებდნენ. ჩვენ ისევ ერთი-ერთზე დავრჩებით რუსეთთან. და ეს აღარ იქნება მეგობრული რუსეთი. იმ რუსეთის სათავეში იქნება თაობა, რომლისთვისაც ჩვენ უცხონი ვართ»**



მოსკოვში სამხედრო ძალების ცენტრალურ მუზეუმში გამოფენილი ნაალაფარი ამერიკული იარაღი

**◀ ბასა და გლობალურ უსაფრთხოებას. მეორეც, ამერიკელებმა იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი ფიქციაა და სხვა სახელმწიფოზე თავდასხმა შეიძლება მხოლოდ „ძალის უფლებით“, ანუ მსოფლიო საყოველთაო ქაოსის საფრთხის წინაშე დააყენეს. მესამეც, ისინი ატყუებდნენ საკუთარ ხალხსაც და მთელ მსოფლიოსაც, რომ სადამი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს, თუმცა დანამდვილებით იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო.** ისინი მხოლოდ საკუთარი ნავთობინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, მათ შორის, ოჯახური ბიზნესის ინტერესებით, როგორც, მაგალითად, პრეზიდენტი ბუში და ვიცეპრეზიდენტი ჩეინი. ახლახან აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ბოდიში მოიხადა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე იმის გამო, რომ იძულებული იყო, საჯაროდ ეთქვა ტყუილი ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. სინდისმა შეაწუხა კაცი. სხვათა შორის, იმ პერიოდში შევარდნაძემ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ თავისი დაზვერვის მიერ მოპოვებული უცილობელი მონაცემები აქვს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. მაშინ ევროპაში ბევრი იცინეს მლიქვნელი მარიონეტის ყალბ ტიტინზე. დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეს სინდისი ვერ აიძულებს, ბოდიში მოიხადოს. მეოთხეც, ერაყში შეჭრით ამერიკელებმა სტიმული მისცეს მსოფლიოში ბირთვული შეიარაღების ახალ რბოლას, რადგან ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც არ უნდა ამერიკის კოლონიად იქცეს, ნათელი გახდა, რომ ამერიკის თავდასხმისგან თავის გადასარჩენად ბირთვული იარაღი უნდა იქონიონ. ერაყს რომ მართლაც ჰქონოდა ბირთვული იარაღი, ამერიკელები არასდროს შეყოფდნენ იქ ცხვირს. ერაყის ბედი აიძულებს დღეს ირანს ბირთვული პროგრამის ფორსირებას. მეხუთეც, ერაყის ომით ამერიკელებმა გააღვივეს ცივილიზაციური წინააღმდეგობანი ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის, რომლის შემდგომმა ესკალაციამ მსოფლიო საყოველთაო კატასტროფამდე შეიძლება მიიყვანოს. მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, შესაძლოა, სწორედ საქართველო გახდეს. მეექვსეც, **ამერიკელებმა სრულიად და დიდი ხნით მოახდინეს არა მარტო დემოკრატიის იდეის, არამედ თვით სიტყვა „დემოკრატიის“ დისკრედიტაცია; როცა 50-100 მშვიდობიანი ერაყელის ყოველდღიური დაღუპვის ფონზე ბუში „ერაყული დემოკრატიის“ ფორმირებაში ამერიკელთა წარმატებებზე საუბრობს, „დემოკრატია“ და „კაციჭამიობა“ ადამიანთა ცნობიერებაში იდენტურ ცნებებად იქცევა.** მეშვიდეც, გარდა ათი ათასობით ადამიანის მკვლელობისა, ამერიკელებმა დაბომბვებით კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ძეგლები, ფაქტობრივად, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი გაანადგურეს, მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმები გაძარცვეს, კაცობრიობას, პრაქტიკულად, წაართვეს მისი ისტორიის მთელი პლასტი. კიდევ ბევრი ფაქტორის ჩამოთვლა შეიძლება, რამაც ამ ომის დანაშაულებრივი, ანტიადამიანური ხასიათი განაპირობა და რომელიც კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველო ამ ომში არ უნდა მონაწილეობდეს.

**— როგორ ფიქრობთ, ამერიკელები ირანის წინააღმდეგ ომს დაიწყებენ?**

— რთულია რაიმეს პროგნოზირება, როცა ისეთ კურიოზულ ფენომენს ვეხებით, როგორიცაა ბუში და მისი გარემოცვა. ახლახან შეერთებულ შტატებში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, ვის მიიჩნევს ამერიკის მოსახლეობა ყველაზე სულელად. პირველ ადგილზე მომღერალი მაიკლ ჯექსონი გავიდა, მეორეზე – ვიცეპრეზიდენტი ჩეინი, მესამეზე — თავდაცვის მინისტრი რამსფელდი, მეოთხეზე — პრეზიდენტი ბუში. ამერიკელ ჟურნალისტებს გაუკვირდათ, თუ რატომ არ აღმოჩნდა ბუში პირველ ადგილზე. ამიტომ რთული განსასჯელია, რამდენად ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა ერაყული გამოცდილება ამგვარი გონებრივი შესაძლებლობის ადამიანებისთვის. თუმცა ვფიქრობ, რომ ამერიკის საზოგადოება არ მისცემს მათ საშუალებას, ჩაითრიონ ქვეყანა კიდევ ერთ სამხედრო ავანტიურაში. ამერიკელებს ხომ არაფერი გამოსდით ერაყში. ამერიკელი ჯარისკაცები ყოველდღე იღუპებიან, ერაყელებს სძულთ ისინი, ნავთობის გატანა მეტად გართულებულია, ქვეყანას შინაგანი წინააღმდეგობანი ანგრევს, ბოლოს და ბოლოს იგი სამ ფსევდოსახელმწიფოდ დაიშლება და სამივე მტრული იქნება როგორც ამერიკის, ისე მთელი ქრისტიანული სამყაროს მიმართ. ანალოგიური ვითარებაა ავღანეთშიც. ამერიკელები მხოლოდ ქაბულს აკონტროლებენ, დანარჩენი ტერიტორია თალიბების ხელშია; და თუ ამერიკელების შეჭრამდე ავღანეთიდან ყოველწლიურად 20 ტონა ნარკოტიკები გაიზიდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 300 ტონამდე ავიდა. ორი ომიდან არც ერთმა არ მოიტანა ის შედეგი, რასაც ბუში ელოდა. ხელისუფლების უკან მდგომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც, მათ შორის ნავთობკომპანიებსაც, ალბათ, ესმით, რომ ამ მეთოდით პრობლემებს ვერ მოაგვარებ, დაკარგვით კი ბევრს დაკარგავ, თუ ყველაფერს არა. მაგალითად, ცნობილია, რომ ირანის დაბომბვის შემთხვევაში ნავთობის მსოფლიო ფასი 3-5-ჯერ გაიზრდება. თუმცა ომის დეტალური გეგმა, რომელიც 70 ირანული ობიექტის დაბომბვას ითვალისწინებს, უკვე შემუშავებულია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საომარი მოქმედებების მსვლელობისას თუნდაც ერთი ირანული რაკეტა ჩამოვარდეს საქართველოში ან ისლამურმა სამყარომ საქართველო ამ ომში ამერიკის მოკავშირედ მიიჩნიოს.

**— რა დამოკიდებულება გაქვთ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ობიექტების უცხოელ მესაკუთრეებზე გაყიდვის მიმართ?**

— რადიკალური ლიბერალური ეკონომიკის მომხრე არა ვარ, ფრიდმანისა და საქსის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, მათ ეკონომიკურ მეცნიერებათა ავანტიურისტებად მივიჩნევ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შემსრულებელ მათ მომხრეებს — საკუთარი ქვეყნების დამღუპველებად. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მომხრე ვარ, სახელმწიფო რეგულირების დიდი წილით. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო უნდა ფლობდეს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს, ამიტომ ვარ საქართველოს სახალხო მეურნეობის მთლიანი პრივატიზაციის წინააღმდეგი. მესმის, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტის შევსება სჭირდება, ხოლო მკვდარი ეკონომიკის პირობებში ერთადერთი საშუალება ეროვნული სიმდიდრის გაყიდვაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს რეზერვი ძალიან მალე ამოიწურება, გასაყიდი აღარაფერი დარჩება. მერე რაღა ვქნათ? ამიტომ 90-იანი წლების შუახნიდან ვთავაზობდი ეკონომიკური განვითარების მოდერნიზაციულ მოდელს, ანუ ეროვნული ეკონომიკის მოდელს, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში უნდა განვითარდეს. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა სერიოზული პოტენციალი, მაგრამ შევარდნაძემ მისი საფუძვლამდე დანგრევა მოახერხა. რაც დარჩა, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაყიდა. ამიტომ შემდგომ ხელისუფლებას, თუ იგი ეროვნულად ორიენტირებული იქნება, უკვე ეკონომიკის სამობილიზაციო მოდელის რეალიზება მოუწევს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის საქართველო საბოლოოდ არ გადაიქცევა კოლონიად, რომელსაც საკუთარი ეკონომიკა არ სჭირდება.

**— მაგრამ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანაში არნახული ეკონომიკური ზრდაა და მალე საქართველო ტურისტულ სამოთხედ იქცევა... — ტურიზმი და ტრანზიტი საქართველოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ვერ აქცევს. ეს ედუარდ ბაბუს ზღაპრებია. გარდა ამისა, ეს სფეროები არ ეთანხმება ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს და ისტორიულ მისწრაფებებს; საჭირო გახდება ერის სულიერ-ზნეობრივი საფუძვლების ნგრევა, ამას კი ერის დეგრადაცია, მისი გადაგვარება მოჰყვება.**

რა თქმა უნდა, ტურიზმისა და ტრანზიტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ ნაწილი უნდა იყოს. საქართველოში არასოდეს იქნება იმდენი ტურისტი, რამდენიც დღეს ესპანეთში ჩადის, მაგრამ იქაც ტურიზმის შემოსავლები ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, თანაც ესპანეთი სულაც არ არის მდიდარი ქვეყანა. ეროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელსაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლია. ეს თანამედროვე მსოფლიოს აქსიომაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავუწევთ კონკურენციას დიდ ქვეყნებს ბევრ საწარმოო დარგში: ამისთვის შესაბამისი ბუნებრივი, ადამიანური და ფინანსური რესურსები არ გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი რამ: საბჭოთა დროიდან დარჩენილი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი. **ჯერ კიდევ გვყავს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ფუნდამენტური მეცნიერების დიდი ტრადიციები და საკადრო ბაზა. ეს პოტენციალი საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას თანამედროვე, კონკურენტუნარიანი სამრეწველო წარმოების ორი-სამი მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური დარგი. ამ ამოცანის გადაჭრისთვის 10-15 წლის წინ რომ მოეკიდებიათ ხელი, დღეს საქართველო ღირსეული სახელმწიფო იქნებოდა, თუმცა ჯერაც არ არის გვიან.**

ყურადღება მიაქციეთ: ჩვეულებრივ, ახლადწარმოქმნილი ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფოებრივ მშენებლობას იწყებენ, პირველ ეტაპზე ტურიზმსა და ტრანზიტს ავითარებენ, სასარგებლო წიაღისეულს ყიდიან, რათა თანხები დააგროვონ და ჩადონ მეცნიერებასა და განათლებაში, ჩამოაყალიბონ ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ხოლო შემდეგ საკუთარი სამრეწველო პოტენციალი შექმნან. ვისაც ეს გამოსდის, იგი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად განვითარებადი სახელმწიფო ხდება. ვინც ვერ ახერხებს, იგი სამარადისოდ ჩამორჩენილ კოლონიად იქცევა. ჩვენ რას ვაკეთებთ? საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მძლავრი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბაზით და სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური კადრების კოლოსალური კორპუსით. დამოუკიდებელი (!) სახელმწიფოს ხელისუფლებამ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ჯერ გააჩერა სამრეწველო წარმოება, გაყიდა ქარხნებისა და ფაბრიკების აღჭურვილობა, ქუჩაში გაყარა სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, შემდეგ გადაკეტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზარი და ამ სფეროს დაფინანსება შეწყვიტა, გააკოტრა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებები და ამით ეკონომიკის აგრარული სექტორი მოსპო. შემდეგ, პარალიზებული ეკონომიკის პირობებში და სპეციალისტებზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში კომერციული უმაღლესი სასწავლებლების სისტემა შემოიღო, რითაც უმაღლესი განათლება გააუფასურა და პარალელურად ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დაქსაქსვა გამოიწვია, რითაც კოლექტიური სამეცნიერო შრომა მოკლა. უმაღლესი სკოლისა და აკადემიური ინსტიტუტების დაფინანსების შეწყვეტასთან ერთად, ეს ქართული მეცნიერების სიკვდილს ნიშნავდა. ახალმა ხელისუფლებამ მხოლოდ ლოგიკური დასასრულისკენ წაიყვანა ეს პროცესი, როცა მისი უკანასკნელი სტადიის რეალიზაციას მიჰყო ხელი: კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების საბოლოო განდევნა, უმაღლესი განათლების ბაკალავრიატად ქცევა, უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიური მეცნიერების, როგორც ასეთის, განადგურება. ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის, დეზინტეგრაციის და დეგრადაციის პოლიტიკა ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. პარალელურად მცირდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა, მცირდება მასწავლებელთა კორპუსი. მიგიქცევიათ ყურადღება ექიმების დისკრედიტაციის მიზანმიმართული პროპაგანდისტული კამპანიისთვის? თურმე „უმაღლესი ინსტანციიდან“ შეხსენება მოვიდა, რომ საქართველომ ექიმების რაოდენობა 30 პროცენტით უნდა შეამციროს. განვითარებად ქვეყანას, რომელთა კატეგორიაში შევარდნაძემ შეგვიყვანა, სტატუსით არ ეკუთვნის ბევრი სკოლა, სრულყოფილი უმაღლესი სასწავლებლები და ამდენი ექიმი. საქართველომ საკუთარ თავზე აიღო ფუნქცია – ტრანზიტისა და ტურისტების მომსახურება. მომსახურე პერსონალს კი რაში სჭირდება მეცნიერება და განათლება?

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები მხოლოდ დღევანდელი საქართველოსთვის როდია დამახასიათებელი. მართალია, ამდენად არა, მაგრამ ეს ყველა იმ პოსტსოციალისტურ ქვეყანას ახასიათებს, რომელთა ხელმძღვანელობა ე. წ. რეფორმებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით და ამერიკელი მრჩევლების ხელმძღვანელობით ახორციელებდა. აკადემიური მეცნიერება, ფაქტობრივად, განადგურებულია პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხეთსა და სხვა აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში. ელცინის პერიოდში ანალოგიური საფრთხის წინაშე დადგა მეცნიერება რუსეთშიც. ეს გასაგებიცაა, რადგან თანამედროვე მსოფლიოში კონკურენციის უნარი მხოლოდ ისეთ ქვეყნებს აქვთ, რომელთაც სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე და მეცნიერებატევადი მაღალტექნოლოგიური წარმოება გააჩნიათ. მომავალი ამ ქვეყნებისაა. რაც უფრო ნაკლები იქნება ასეთი ქვეყანა, მით უფრო ძლიერი იქნება ის სახელმწიფოები, რომლებიც თავისთან მოუყრიან თავს მძლავრ სამეცნიერო პოტენციალს. ცნობილია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყ- ▶

**«ღმერთმა ნუ ქნას, რომ საომარი მოქმედებების მსვლელობისას თუნდაც ერთი ირანული რაკეტა ჩამოვარდეს საქართველოში ან ისლამურმა სამყარომ საქართველო ამ ომში ამერიკის მოკავშირედ მიიჩნიოს»**

**პარლამენტართა შორის განათლებულობა იშვიათი ხილია, მაგრამ ხალხმა ხომ იცის საკუთარი ისტორია. მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთთან ქართული სამეფოების შეერთების პროცესი დაიწყო, აღმოსავლეთ საქართველოში 240 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო დასავლეთში – 500 ათასამდე, ანუ სულ 740 ათასი ადამიანი. მათგან რამდენი იყო ეთნიკურად ქართველი? დავუშვათ, ნახევარი მილიონი. ეს უნდა გვახსოვდეს.**

## დეჟავიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნებში მეცნიერების ნგრევის შემდეგ მსხვილ მეცნიერთა უმრავლესობა შეერთებულ შტატებში წავიდა. ასეთივე ტენდენციაა მაღალტექნოლოგიური წარმოებების მხრივაც. ჩეხეთი სოციალისტურ პერიოდში 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების მხოლოდ შეიარაღების ექსპორტს ახორციელებდა, დღეს კი მისი ექსპორტი 50 მილიონ ევროს არ აღემატება, ვინაიდან ამერიკელებს იარაღის ბაზარზე კონკურენტი არ ესაჭიროება. „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ უკრაინამ „რეკომენდაცია" მიიღო, შეამციროს ავიამშენებელი, აეროკოსმოსური მრეწველობა და გააფართოვოს მეტალურგიული და ქვანახშირის წარმოება.

**— მახსოვს თქვენი სტატია „გეწყინთ? გეწყინოთ!", რომელშიც მეტად მწვავედ წერდით ინტელიგენციის პასიურობაზე თანამედროვე საქართველოში. აზრი ხომ არ შეგეცვალათ? როგორი დამოკიდებულება გაქვთ უკანასკნელ მოვლენებზე თბილისის უნივერსიტეტში?**

— დიახ, ეს 7-8 წლის წინანდელი სტატიაა, რომელშიც ვეცადე ე. წ. ქართული ინტელიგენციის ავანგარდის ყურადღება მიმექცია იმისთვის, რომ ქვეყნისთვის დამღუპველი პროცესების მიმართ პასიური დამკვირვებლის პოზიცია დაუშვებელია. ვწერდი, რომ შევარდნაძის პოლიტიკა მიგვიყვანს ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების სრულ განადგურებამდე, ეროვნული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების სრულ დევალვაციამდე და, საბოლოოდ, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, დეგრადაციამდე. ინტელიგენციას მოვუწოდე, გაეხსენებინა საკუთარი ზნეობრივი მისია ქართული საზოგადოების წინაშე, ხმა აემაღლებინა, დამდგარიყო ერის სასიცოცხლო ინტერესების, მისი მომავლის დასაცავად. შევუძახე ქართველ მწერლებს, აკადემიკოსებს, ვეცადე ამეხსნა, რომ მალე მათი წიგნების წამკითხავი, მათი სამეცნიერო მიღწევებით მოამაყე აღარავინ დარჩებოდა, რადგან საქართველოში აღარ იქნება უნივერსიტეტები, აკადემიური ინსტიტუტები, განათლებული საზოგადოების ფართო წრე და ელემენტარულად, წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობაც კი. მაშინ მეგონა, რომ ფერებს ვამუქებ, მაგრამ სინამდვილემ ყველაზე მძიმე წინათგრძნობასაც კი გადააჭარბა. იმ სტატიის პასუხად პრესაში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა, მათ შორის კოლექტიურიც, რომელსაც ხელს ინტელიგენციის ტიტულოვანი წარმომადგენლები აწერდნენ. ამ წერილებში „კრემლის აგენტს" (რა შუაში იყო კრემლი?), ქართული სახელმწიფოებრიობის მტერს, სინამდვილის გამყალბებელს მიწოდებდნენ, რომელიც ხელს უშლის პრეზიდენტს ქვეყნის ევროპაში შეყვანის საქმეში.

**რაც შეეხება უკანასკნელ მოვლენებს თბილისის უნივერსიტეტში, ეს ქართული ინტელიგენციის მრავალწლიანი მდუმარების კანონზომიერი შედეგი და, ამავე დროს, ბევრი ჩვენი ინტელიგენტის შინაგანი არსის გამოვლინებაც არის. აღმოჩნდა, რომ მათი აღშფოთება მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნასა და ხელფასის დაკარგვას შეუძლია.** შევარდნაძემ კარგად იცოდა მათი ბუნება და სარგებლობდა ამით. განსაკუთრებით ეს ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას ეხებოდა. ზოგს სამარშრუტო ტაქსების ხაზი ჰქონდა, ზოგს — კომერციული უმაღლესი სასწავლებელი, ზოგსაც — რაიმე გრანტი. საბჭოთა დროში ეს იყო ბინები, მანქანები, საზღვარგარეთ მოგზაურობები, მათი ნაწარმოებების მრავალათასიანი ტირაჟები და ა.შ. ასე ხერხდებოდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტის ლოიალობის ყიდვა, რაც, თავის მხრივ, შესაბამისად ზემოქმედებდა ინტელიგენციის სხვა ფენებზე. სიტყვამ მოიტანა და ვხედავ, რომ შევარდნაძის მიმკვიდრეებმა წარმატებით აითვისეს მათი მასწავლებლის გაკვეთილები. ყურადღება მიაქციეთ: **უნივერსიტეტის რექტორმა პროტესტის გამომხატველებისგან გამოყო ყველაზე აქტიური და ავტორიტეტული პროფესორები, უბოძა თანამდებობები, მაღალი ხელფასიც დაუნიშნა და მათაც მაშინვე შეწყვიტეს პროტესტი. ასაკოვანი ხალხია და არც კი შერცხვათ...**

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის პედაგოგებს შორის ბევრია პრინციპული ადამიანი, რომელთაც მეცნიერებისა და განათლების „რეფორმის" დამღუპველობა ესმით. მათ გვიან, მაგრამ მაინც დაიწყეს ბრძოლა ერის მომავლისთვის. საპროტესტო განწყობილებებს სახელისუფლო სტრუქტურების შეურაცხმყოფელი ქცევაც უწყობს ხელს. **საბჭოთა დროს მილიციის თანამშრომლებს უფლება არ ჰქონდათ, უნივერსიტეტის შენობაში ფორმით შესულიყვნენ. დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტებიც კი, რომლებიც მილიციაში მუშაობდნენ, უნივერსიტეტში სამოქალაქო ტანსაცმლით უნდა გამოცხადებულიყვნენ. დღეს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში პოლიციელები კინწისკვრით ყრიან პროფესორებს უნივერსიტეტიდან, განათლების მინისტრი კი იმავე პროფესორებს ხულიგნებს უწოდებს!**

**— თქვენ მრავალი წლის განმავლობაში მოუწოდებდით ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისკენ, რის გამოც პრორუსული პოლიტიკოსის რეპუტაციაც დაიმსახურეთ. ეს ხშირად ვნებდა თქვენს იმიჯს. ისევ იმ აზრზე ხართ?**

— იმავე აზრზე ვარ, უპირობოდ, რადგან საქართველოს პატრიოტად ვრჩები. რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება ყველაზე პროქართული პოლიტიკაა. არასოდეს მიზრუნია საკუთარ პოლიტიკურ იმიჯზე და ამიტომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი, მაშინაც კი, როცა ეს სიმართლე არაპოპულარული იყო. სამწუხაროდ, ზოგჯერ საზოგადოება ტკბილ სიცრუეს ამჯობინებს, ვიდრე მწარე სიმართლეს. დავიღალე იმის გამეორებით, რომ რუსეთი ის სახელმწიფოა, რომლის კეთილ ნებაზეც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა დამოკიდებული. მის ბაზარში შესვლაზეა დამოკიდებული საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო განვითარება. სწორედ რუსეთში ცხოვრობს მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე, რომელთათვისაც საქართველოში ადგილი არ მოიძებნა. ისინი, საკუთარი თავის გარდა, ნათესავებსა და მეგობრებს არჩენენ სამშობლოში; მათ მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი ნაღდი ვალუტა უზრუნველყოფს ქვეყანაში ფულის ბრუნვის უმეტეს ნაწილს. მითხარით, განა ნორმალური ადამიანი, პატრიოტი შეიძლება ასეთ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გამწვავებას ესწრაფვოდეს? გარდა ამისა, რუსეთთან ჩვენ საერთო ისტორიული ბედი, ერთი სარწმუნოება, ათასობით კულტურული, სამეცნიერო, პირადი ურთიერთობის ძაფი გვაკავშირებს, რაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. რაც უნდა ილაპარაკონ, ჩვენ, ქართველები, რუსეთშიც და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც შინაურები ვართ, შესაძლოა ყველგან ძველებურად მეგობრებად არა, მაგრამ კარგ ნაცნობებად მაინც დავრჩით. მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის კი ჩვენ უცხოები ვართ. ბევრი მიმოგზაურია მსოფლიოში და ვიცი. სად მიდის ქართველი სამუშაოდ, ან ბიზნესის ასაწყობად? რუსეთში. სად მიჰყავს სამკურნალოდ თავისი მძიმედ ავადმყოფი ნათესავი? რუსეთში. სად არიან პოპულარული ქართველი მომღერლები, ქართული სამზარეულო, ქართული ღვინო? რუსეთში და დსთ-ს ქვეყნებში. სხვაგან მათ შესახებ არაფერი იციან. რატომ უნდა დავკარგოთ ეს ყველაფერი და მტრად მოვიკიდოთ უზარმაზარი, უმდიდრესი მეზობელი სახელმწიფო? ნუთუ ეს საქართველოს ინტერესებშია? **ჩვენი უვიცი პოლიტიკოსები 15 წლის განმავლობაში ამტკიცებენ, რომ რუსეთის აღსასრული სულ მალე დადგება, დაიშლება, ქაოსში გადავარდება და ა.შ. ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ რუსეთის დაშლა საქართველოსთვის სიკეთეა. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს საქართველოსთვის რუსეთისგან გაუკონტროლებელი ჩრდილოეთ კავკასია?** პარლამენტართა შორის განათლებულობა იშვიათი ხილია, მაგრამ ხალხმა ხომ იცის საკუთარი ისტორია. მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთთან ქართული სამეფოების შეერთების პროცესი დაიწყო, აღმოსავლეთ საქართველოში 240 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო დასავლეთში – 500 ათასამდე, ანუ სულ 740 ათასი ადამიანი. მათგან რამდენი იყო ეთნიკურად ქართველი? დავუშვათ, ნახევარი მილიონი. ეს უნდა გვახსოვდეს.

თანამედროვე რუსეთის ისტორიაში იყო დეგრადაციისა და გახრწნის 10-წლიანი პერიოდი, როდესაც ხელისუფლებაში კორუმპირებულ კოსმოპოლიტთა ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფი მოვიდა. მათ მთლიანად აკონტროლებდნენ ამერიკული პოლიტიკური და საერთაშორისო საფინანსო წრეები. ამ ჯგუფმა უდიდესი ზიანი მიაყენა რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, ისევე, როგორც რუსეთის ურთიერთობებს სხვა ახლო ქვეყნებთან, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ზიანი ამ ჯგუფმა თავად რუსეთს და რუს ხალხს მიაყენა. რუსეთის ისტორიის ეს სამარცხვინო პერიოდი დასრულდა, თუმცა დარჩა მრავალრიცხოვანი რეციდივები, მაგრამ გადაიჭრა მთავარი პრობლემა, რომელიც რუსეთის ისტორიას ახასიათებს — ლიდერის პრობლემა. დღეს ქვეყნის სათავეში ეროვნულად ორიენტირებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძლიერი ლიდერია, რომელმაც უმოკლეს ვადაში მოახერხა ამოუწურავი შიდა რესურსების მობილიზება და ქვეყნის ფეხზე დაყენება. მას უმძიმს, ბევრი მტერი ჰყავს როგორც მსოფლიოში, ისე ქვეყანაშიც, მაგრამ განუხრელად აკეთებს თავის საკეთებელს. სწორედ ამას ვეუბნებოდი თავის დროზე ქართულ საზოგადოებას: რუსეთში პოლიტიკური ნების დეფიციტია, მაგრამ გამოჩნდება ღირსეული ლიდერი და ქვეყანა აღორძინდება. ამ აღორძინებულმა ქვეყანამ ჩვენში მტრულად განწყობილი სახელმწიფო არ უნდა დაინახოს. **არადა, საბჭოთა კავშირის არც ერთ ხალხს არ ჰქონია ისეთი მტკიცე პოზიციები რუსეთში, როგორც ქართველებს. ჩვენ კი თითქმის ყველაფერი დავკარგეთ, ისე, რომ საქართველოს სასიკეთოდ ვერაფრით ვიხეირეთ. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ჩვენ განვლილმა წლებმა ვერაფერი გვასწავლა და ისევ კონფრონტაციის კურსს ვაგრძელებთ. ეს არის პროქართული პოლიტიკა, ჩემი პოზიცია კი — პრორუსული?**

თუ საკუთარი ისტორია ვერაფერს გვასწავლის, სხვა ქვეყნებისა და ხალხების გამოცდილებას მივუბრუნდეთ. მაგალითად, ფინეთი ავიღოთ, საქართველოს დარი ქვეყანა როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობით, ბუნებრივი რესურსებით და რუსეთთან მეზობლობით. 1918 წლამდე იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო ( მანამდე – შვედეთის ნაწილი, საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდა). 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ლენინისგან დამოუკიდებლობა მიიღო და ეროვნული სახელმწიფოებრიობა ჩამოაყალიბა. 30-იან წლებში საბჭოთა კავშირთან მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, 1939 წელს იომეს კიდეც და ტერიტორიები დაკარგეს. მიწის ეს ზოლი სასიცოცხლო იყო ლენინგრადის მომავალი თავდაცვისთვის. სტალინი მის სანაცვლოდ ოქროს უზარმაზარ რაოდენობას სთავაზობდა, შემდეგ – სამჯერ მეტ ტერიტორიას, მაგრამ გერმანელების ზეწოლით ფინეთმა ამაზე უარი თქვა. სტალინმა ომი დაიწყო და ტერიტორია ძალით წაართვა. მეორე მსოფლიო ომის დროს ფინელები, მწარე გამოცდილებით, ძალიან თავშეკავებულად იქცეოდნენ და ამიტომ სტალინს ისინი არ დაუსჯია. ნატოს, მოგვიანებით კი ვარშავის ბლოკის შექმნის შემდეგ, დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მზარდი დაპირისპირებისას, ფინეთმა უარი თქვა ნატო-ში შესვლაზე და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ქვეყანა მონაწილეობდა დასავლურ ეკონომიკურ პროექტებში, იღებდა დასავლურ ინვესტიციებს, მაგრამ პარალელურად საბჭოთა კავშირთან ხაზგასმით მეგობრულ პოლიტიკას ატარებდა. სამაგიეროდ, შეუზღუდავად მიიღო უზარმაზარი საბჭოთა ბაზარი. ფინური საქონელი ვერ აკმაყოფილებდა ევროპულ სტანდარტს და დასავლეთში ვერ იყიდებოდა. საბჭოთა კავშირი კი ყველაფერს შეუზღუდავი რაოდენობით ყიდულობდა. შედეგად, რამდენიმე წელიწადში ფინეთი მდიდარი, სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო გახდა. განა ეს მაგალითი არ უნდა იყოს საქართველოსთვის?

ძალიან ვშიშობ, რომ საქართველო ვერ მოასწრებს, ისარგებლოს პუტინის პერიოდით რუსეთის ისტორიაში — როგორც მისი პირადი მეტად პოზიტიური დამოკიდებულებით საქართველოსა და ქართველების მიმართ, ისე რუსი პოლიტიკოსების ახლანდელი თაობის მენტალობით, რომელთათვისაც ჩვენ უცხონი არ ვართ. **რუსული ელიტის შემდეგი თაობა (როგორც პოლიტიკურის, ისე კულტურულისა და სამეცნიეროსი) ისევე იქნება განწყობილი საქართველოს მიმართ, როგორც ტაჯიკეთის, მონღოლეთის ან ზიმბაბვესადმი. იმ პოლიტიკოსებისგან ვეღარ მოისმენ იმ სიტყვებს, რომლებიც პუტინმა თქვა: „ქართველები ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ხალხია". რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური გაძლიერება კი აუცილებლად მოიტანს გავლენის სფეროთა გადანაწილებას ევრაზიაში. რუსეთი და დასავლეთი კვლავ მოილაპარაკებენ და დასავლეთი წავა სამხრეთ კავკასიიდან. ამერიკელები წავლენ ისევე, როგორც 1921 წელს გარბოდნენ ინგლისელები, გერმანელები და საკუთარ ქართველ ცოლებსაც კი ტოვებდნენ. ჩვენ ისევ ერთი-ერთზე დავრჩებით რუსეთთან. და ეს აღარ იქნება მეგობრული რუსეთი. იმ რუსეთის სათავეში იქნება თაობა, რომლისთვისაც ჩვენ უცხონი ვართ.** რომელი საერთაშორისო პროექტის გამტარებელი იქნება ის რუსეთი? ღმერთმა არ ქნას, რომ ეს ჩუბაისის „ლიბერალური იმპერიის" პროექტი იყოს, ანუ ამერიკული ტიპის იმპერია, რომელსაც აშშ 50-60-იან წლებში ლათინურ ამერიკაში ქმნიდა. აი, მაშინ კი მივხვდებით, რას ნიშნავს, — იყო კოლონია და მეორეხარისხოვანი ერი.

**თბილისი, 2005 წ.**





**«ჩვენი უვიცი პოლიტიკოსები 15 წლის განმავლობაში ამტკიცებენ, რომ რუსეთის აღსასრული სულ მალე დადგება, დაიშლება, ქაოსში გადავარდება და ა.შ. ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ რუსეთის დაშლა საქართველოსთვის სიკეთეა. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს საქართველოსთვის რუსეთისგან გაუკონტროლებელი ჩრდილოეთ კავკასია?»**

**«რუსული ელიტის შემდეგი თაობა (როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული და სამეცნიერო) ისევე იქნება განწყობილი საქართველოს მიმართ, როგორც ტაჯიკეთის, მონღოლეთის ან ზიმბაბვესადმი»**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალების“ მმართველ ბირთვს აქვს გარკვეული (დესტრუქციული) იდეოლოგია, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ არის მკვეთრად იერარქიული სახელისუფლო ძალა, ანუ სააკაშვილის პერსონაზე მისი ტოტალური დამოკიდებულება სტრუქტურულ ხასიათს ატარებს. ნაცების ხროვა, რა თქმა უნდა, იდეოლოგიისადმი ერთგულების გამო არ არის ხელისუფლებას ჩაბღაუჭებული, მათ საკუთარი კუჭისა და სხვა ორგანოების ინსტინქტები ამოძრავებთ, მაგრამ იდეოლოგიური ორიენტირები მათ მმართველ ბირთვს მკაფიოდ აქვს დასახული და ამის საფუძველზე ისინი მართავენ კიდეც პროცესებს.**

# სააკოიდები, ქმედუუნარო ოპოზიცია და გაცვეთილი მახათი

**დღეს ისე იოლად სტატიის დაწერა საქართველოში არაფერზე შეიძლება, როგორც ე. წ. ვარდების რევოლუციის დამანგრეველ შედეგებზე, რომელსაც მე ვარდნეხვის რევოლუციას ვუწოდებ, რითაც ჩემს დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი მოკლედ გამოვხატავ — ეს არის ხელში ვარდებით მოსული ბინძური ხელისუფლება! და არ დავღლი მკითხველს იმაზე განსჯით, რაც მან ისედაც შესანიშნავად იცის — სააკაშვილის (სააკოვის) და მისი „გუნდის“ რვაწლიანი მმართველობა, რაც, იმედია, გაისად დასრულდება, დამღუპველი აღმოჩნდა საქართველოსთვის მრავალი თვალსაზრისით, გამოირჩეოდა სოციალური უსამართლობით, ისედაც დაბალი ცხოვრების დონის კიდევ უფრო გაუარესებით, მოსახლეობის დიდი ნაწილის საბანკო ვალების არტახებში მოქცევით, სახელმწიფო ტერორით, სასამართლოს ტოტალური პოლიტიზაციით, სამარცხვინო ომით, ქვეყნის დაქუცმაცების ტენდენციის გაძლიერებით, საკუთარ ხალხთან ძალადობით, მმართველთა ურცხვი სიცრუით, თავხედობით, აღვირახსნილობით და კიდევ სხვა „სიკეთეებით“. ამიტომ ჩემთვის პატივსაცემი გაზეთის — „საქართველო და მსოფლიოს“ თხოვნას, სტატიის სახით გამოვეხმაურო ვარდნეხვის რევოლუციის მერვე წლისთავს, სიამოვნებით ვიღებ, ოღონდ მსურს, ვთქვა ის, რაც, ჩემი დაკვირვებით, ჯერ არ თქმულა ქართულ პრესაში. კერძოდ, შევეცდები, მოკლედ გავაანალიზო ვარდნეხვის ხელისუფლებასთან ბრძოლის ძირითადი ეპიზოდები (ეს ბრძოლა კი საკმაოდ მალე გაჩაღდა), ავხსნა, თუ რატომ აღმოჩნდა წარუმატებელი მეტწილად გონებაშეზღუდულ, ხეპრე, კარიკატურულ სააკოიდებთან ბრძოლა და რა დასკვნები უნდა გაკეთდეს სამომავლოდ.**

**პირველი, რაც მინდა ვთქვა, არის ის, რომ საკუთრივ სააკაშვილის გამეფება შეუძლებელი იქნებოდა, ქართული საზოგადოება, ხალხი მთლიანად, მოწოდების სიმაღლეზე რომ მდგარიყო, ეაზროვნა და ძალზე გვიან არ მიმხვდარიყო იმას, რომ საქმე აქვს აფერისტთან და არა სახელმწიფო მოღვაწესთან. სააკაშვილს ვერ უშველიდა ვერც ამერიკის და ვერც რუსეთის ჩარევა, ასეთ ჩარევას, უბრალოდ, არ ექნებოდა ადგილი, გარკვეული საფუძველი რომ არ ჰქონოდა სააკაშვილს საზოგადოებაში გამყარებული.** თუმცა ხალხმა თავისი შეცდომა პრაქტიკულად ვერ გამოასწორა, მაგრამ მორალურად მაინც გამოისყიდა, როდესაც 2007 წლის ბოლოს და 2008 წლის დასაწყისში ასი ათასობით ადამიანი გამოვიდა გაყინულ ქუჩებში. პირველად 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში, **ხალხი გახდა პოლიტიკის მთავარი მოქმედი პირი, თუნდაც მცირე ხნით. მან მიაღწია იმას, რომ აიძულა პრეზიდენტი, გადამდგარიყო.** სხვა საქმეა, რომ იმ ოპოზიციურმა ლიდერებმა, რომელთაც ხალხმა თავისი ინტერესების დაცვა ანდო, ვერ ივარგეს და სამარცხვინოდ გაანიავეს ეს საყოველთაო ნდობა და მხარდაჭერა.

სწორედ ოპოზიციის მიერ დაშვებულ შეცდომებსა თუ განზრახ ჩადენილ ღალატზე მომიწევს ყურადღების გამახვილება. აქვე აღვნიშნავ, რომ პოლიტიკურ პროცესებს აუცილებლად უნდა დავაკვირდეთ კომპლექსურად, მთლიანობაში, რათა ერთ რომელიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილებამ თვალთახედვიდან არ დაგვაკარგვინოს სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები. მეორე მხრივ, პოლიტიკურ პროცესებთან და მოვლენებთან დაკავშირებით ხანდახან ზოგიერთი დეტალი უფრო სწორ პასუხებს იძლევა გაჩენილ შეკითხვებზე, ვიდრე რთული მეცნიერული ანალიზი. ობიექტურთან ერთად აუცილებლად არის გასათვალისწინებელი სუბიექტური მომენტი, რომელიც არცთუ ისე იშვიათად უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. როგორც სერიოზული ისტორიული და პოლიტოლოგიური ხასიათის ლიტერატურის შესწავლამ, ისე ჩემს სამუშაო პრაქტიკაში მიღებულმა გამოცდილებამ, მოვლენების „შიგნიდან“ დაკვირვებამ ამაში დამარწმუნა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გამოვყოფ ზოგად მომენტებს, რომლებიც ასახავს ობიექტურ პოლიტიკურ პროცესს, ასევე გავამახვილებ ყურადღებას ზოგიერთ დეტალზე, რომლებიც, ჩემი აზრით, ხსნის ამა თუ იმ მოვლენას.

## დეიდეოლოგიზირებული ოპოზიცია

**ოპოზიციას არ გააჩნდა არავითარი იდეოლოგიური ორიენტირი. იგი სრულიად მოუმზადებელი იყო სერიოზულ პრობლემებზე განსჯისათვის. ოპოზიციური სპექტრი აზროვნებდა იმავე იდეოლოგიურ დიაპაზონში, როგორც ხელისუფლება.**

ეს არის დაზუთხული ზოგადი ფრაზები „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების“ შესახებ, შერწყმული „ეროვნულ აზროვნებასთან“ — ასევე დაზუთხული არაფრისმთქმელი ფსევდოპატრიოტული ფრაზეოლოგია. ოღონდ ხელისუფლებას მკაფიოდ ჰქონდა და აქვს წარმოდგენა იმაზე, თუ თავად რას მალავს ზოგადი ფრაზების მიღმა. ხანდახან კი არც მალავს. **ხელისუფლება თავს მოიაზრებს ამერიკელი ნეოკონსერვატორებისა და საერთაშორისო ნეოლიბერალების** (რაც პრაქტიკულად ერთი და იგივე იდეოლოგიაა) **ერთგვარ განშტოებად პოსტსაბჭოთა სივრცეში, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. საქართველო მათთვის არის პლაცდარმი, ბაზა, სადაც ხორციელდება ნეოკონსერვატულ-ნეოლიბერალური იდეოლოგიით ინსპირირებული სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტი და საიდანაც** (ყოველ შემთხვევაში, ბოლო დრომდე ხდებოდა, აგვისტოს ომის ჩათვლით) **პოსტსაბჭოთა სივრცეზე გარკვეულ ზემოქმედებას ცდილობენ, ამიტომ ხელისუფლებას დასავლეთის შესაბამისი წრეების მხარდაჭერა ჰქონდა და ნაწილობრივ ჯერ კიდევ შემორჩა.**

ხელისუფლებისგან განსხვავებით, ოპოზიციას არანაირი მწყობრი იდეოლოგია არ გააჩნდა ხელისუფლების რიტორიკიდანვე ნასესხები ზოგადი ფრაზების მიღმა — „დემოკრატია-ადამიანის უფლებები“ ხარკს წარმოადგენდა დასავლეთის წინაშე, რა თქმა უნდა, რუსოფობიის გარკვეული დოზით, აქაოდა, დასავლეთს ჩვენს პროდასავლურობაში ეჭვი არ შეეპაროსო. ამის პარალელურად კი, როგორც უკვე აღვნიშნე, ოპოზიცია აქტიურად იყენებდა „ეროვნულ“ რიტორიკას. **საერთოდ ეს სიტყვა – „ეროვნული“ — ხშირად გვხვდება თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში. მე არ მეგულება მეორე სხვა სიტყვა, რომელიც ასე უშინაარსოდ და უსაგნოდ გამოიყენებოდეს. ეს უფრო ემოციის გამომხატველი სიტყვაა – ვინც არის „ეროვნული“, მას „უყვარს“ საქართველო. მაგრამ არ ითვალისწინებენ, რომ გიჟურ სიყვარულს ხშირად უფრო იოლად შეუძლია ამ სიყვარულის ობიექტის დაღუპვა, ვიდრე სიძულვილს.**



**ოპოზიციურმა ლიდერებმა, რომელთაც ხალხმა თავისი ინტერესების დაცვა ანდო, ვერ ივარგეს და სამარცხვინოდ გაანიავეს ეს საყოველთაო ნდობა და მხარდაჭერა**

მოკლედ რომ ვთქვა, ეს არის ფუყე რიტორიკა, რომელიც გამოდგება მხოლოდ ხალხის წუთიერად აღსატკინებლად და ასაყოლიებლად, მაგრამ ოდნავ ცივ გონებაზე უკვე აღარანაირი პერსპექტივის მომცემი ეს რიტორიკა არ არის, ისევე, როგორც ზოგადი დასავლური ტერმინოლოგია, რომელიც გვიანდელი საბჭოეთის ანეკდოტადქცეულ კომუნისტურ ლოზუნგებს ანაცვლებს. შესაბამისად, ხალხს შინაგანი რწმენა ოპოზიციის სოლიდურობაში არ ჰქონდა. ყველაფერი ხდებოდა სააკაშვილისადმი სიძულვილის საფუძველზე (ამაში ნამდვილად არ ტყუოდა ხელისუფლება). მართალია, მასები, როგორც წესი, არ ინტერესდებიან ვრცელი საპროგრამო პარტიული ნაშრომებით, რთული აბსტრაქტული განსჯით, მაგრამ ყოველივე ამის გააზრების გარეშე საკუთრივ პარტიის მიერ მას არ შეუძლია საზოგადოების ფართო ფენებს თავისი მიმზიდველობა დაუმტკიცოს. თითქოს რთული გასაგებია და წინააღმდეგობრივი, რაც დავწერე, მაგრამ სინამდვილეში ეს არც ისე რთული და გაუგებარია. რა ინტელექტუალური პოტენციალი აქვს ამა თუ იმ პარტიას, რამდენად არის იგი პრინციპული (პრინციპულობა კი გარკვეული იდეებისადმი ერთგულების გარეშე წარმოუდგენელია), რამდენად სერიოზულია და არაშემთხვევითი, ხალხი აღიქვამს ისე, რომ არც წაიკითხოს ამ პარტიის საპროგრამო ჩანაწერები, წერილობით გადმოცემული იდეოლოგია. **იდეოლოგიის არსებობა იგრძნობა და ჩნდება პარტიის ვერბალურ განცხადებებსა და პრაქტიკული ხასიათის ქმედებებში. შესაბამისად, იდეოლოგიის არარსებობა ასევე კარგად ჩანს და „უბრალო“ ხალხი ამას მშვენივრად ხედავს, უიდეოლოგიო პარტიებს კი სოლიდურად არ მიიჩნევენ და მათ გრძელვადიან პერსპექტივაში შანსიც ნაკლები აქვთ.**

**მოვლენებს წინ გავუსწრებ და ახლანდელ მაგალითს მოვიყვან: რესპუბლიკური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ გამოკვეთილი იდეოლოგია აქვს, არაპოპულარულია, ვინაიდან მისი გამოკვეთილად პროდასავლური იდეოლოგია, როგორც ასეთი, მიუღებელია ძალიან ბევრი ადამიანისათვის. ამასთან, „რესპუბლიკელების“ გარკვეულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა მათ არასანდო ოპოზიციონერების იმიჯი შეუქმნა. მიუხედავად ამისა, ეს პარტია დაშლის წინაშე არ დამდგარა და დღეს სერიოზული პერსპექტივებიც გამოუჩნდა, ბ. ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით. ეს იმიტომ მოხდა, რომ ასეთია თუ ისეთი, ამ პარტიას აქვს მწყობრი, ლოგიკურად აღსაქმელი იდეოლოგია, მისი წევრები ამ იდეოლოგიის გარშემო შეკრებილ ინდივიდებს წარმოადგენენ და არ არიან პარტიაში ერთი ან ორი ქარიზმატული ლიდერის გამო მოსულები.** მკითხველს, ალბათ, ასეთი შეკითხვა გაუჩნდება – კი ბატონო, მაგრამ, შენ არ იყავი, სხვა გაზეთებში რომ განაცხადე, სააკაშვილის გარეშე „ნაციონალები“ არაფერს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ვწერ – მმართველ პარტიას იდეოლოგია აქვსო? მაშ, რატომ არის იდეოლოგიური ორიენტირების მქონე პარტია ერთ პერსონაზე დამოკიდებული? ეს მართლაც ასეა, **„ნაციონალების“ მმართველ ბირთვს აქვს გარკვეული (დესტრუქციული) იდეოლოგია, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ არის მკვეთრად იერარქიული სახელისუფლო ძალა, ანუ სააკაშვილის პერსონაზე მისი ტოტალური დამოკიდებულება სტრუქტურულ ხასიათს ატარებს. ნაცების ხროვა, რა თქმა უნდა, იდეოლოგიისადმი ერთგულების გამო არ არის ხელისუფლებას ჩაბღაუჭებული, მათ საკუთარი კუჭისა და სხვა ორგანოების ინსტინქტები ამოძრავებთ, მაგრამ იდეოლოგიური ორიენტირები მათ მმართველ ბირთვს მკაფიოდ აქვს დასახული და ამის საფუძველზე ისინი მართავენ კიდეც პროცესებს.**

პირველი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ აუცილებელია იდეოლოგიის ქონა, მაგრამ ეს იდეოლოგია უნდა იყოს სწორი, მიმზიდველი, ხალხისათვის მისაღები იდეოლოგია, განსხვავებით „რესპუბლიკელების“ ტიპის იდეოლოგიისაგან („ნაცებზე“ რომ არაფერი ვთქვათ). **ოპოზიციას არ ეყო ძალა, მაგალითად, მკაფიოდ განეცხადებინა საქართველოსთვის ნატოს კურსის დამღუპველობაზე, რუსეთთან დაახლოების აუცილებლობაზე, სოფლის მეურნეობის აღორძინების პრიორიტეტზე.** ყველაფერი ეს (და არა მხოლოდ ეს თემები) 2007 წელს უნდა ყოფილიყო კარგად გააზრებული და შემდეგ ხალხამდე მიტანილი, მაგრამ ოპოზიციამ აქცენტი მხოლოდ ნეგატიურზე გააკეთა, სააკაშვილისადმი ზიზღზე და იმ მართლა სისაძაგლეზე, რასაც ეს რეჟიმი მაშინ სჩადიოდა (გირგვლიანის მკვლელობის ▶

**ოპოზიციას არ ეყო ძალა, მაგალითად, მკაფიოდ განეცხადებინა საქართველოსთვის ნატოს კურსის დამღუპველობაზე, რუსეთთან დაახლოების აუცილებლობაზე, სოფლის მეურნეობის აღორძინების პრიორიტეტზე**

**აუცილებელია გაბედული ქმედებები, როდესაც ხელისუფლება კონსტიტუციის ფარგლებს სცდება და ხალხის ნებას აყალბებს, ხალხს უფლება აქვს, დაიცვას კონსტიტუცია. აპრობირებული სცენარის გამეორებას ხელისუფლება 2012 წლის არჩევნებზე ისევ შეეცდება, ამიტომ არსებული სავალალო გამოცდილება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული და იგივე შეცდომები ახალმა ოპოზიციურმა ტალღამ აღარ უნდა გაიმეოროს. განსაკუთრებით არ უნდა ვიყოთ დასავლეთის „წყალობაზე“ ორიენტირებულნი. გასაკეთებელი ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს.**

ანალიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ჩათვლით). ეს კი არ იყო საკმარისი.

**ის, რომ დღესდღეობით ივანიშვილი იძულებულია, ბევრ თემაზე, მათ შორის ნატოზე, ავღანეთში ჯარების ყოფნაზე, რუსეთთან ურთიერთობებსა და სხვა მსგავს საკითხებზე, შეფარვითა და უკიდურესი სიფრთხილით ისაუბროს, ხოლო აქცენტი უფრო გამოკვეთილად პროდასავლურ ძალებზე გააკეთოს, ვიდრე შედარებით ზომიერ ძალებზე, განპირობებულია მაშინდელი ოპოზიციის რიგებში საპირისპირო იდეოლოგიისა და შესაბამისი პროპაგანდის არარსებობით. ვარდნეხვის ხელისუფლება წლების მანძილზე, ჯერ კიდევ ძალაუფლების დაპატრონებამდე, „რუსთავი 2“-ის საშუალებით წამლავდა საზოგადოებას თავისი ტოტალიტარული პროპაგანდით. ამ პროპაგანდისათვის წინააღმდეგობის არგაწევის შედეგებს კი დღეს ვიმკით.**

## გაუბედავი ოპოზიცია

ასე დავარქმევდი ოპოზიციის ქმედებებს, 2007 წლის 2 ნოემბრიდან მოყოლებული. გავიხსენებ 2 ნოემბერს დაწყებული უზარმაზარი მიტინგისა და შემდგომი მოვლენების ზოგიერთ დეტალს, რადგან ამ შემთხვევაში დეტალები კარგ საილუსტრაციო მასალას ქმნის.

ოპოზიცია თბილისში ტრიუმფალურად შემოვიდა 00:00 საათიდან, ყველაფერი კარგად დაიწყო, მანქანების უწყვეტი კოლონა, სიგნალები, ხალხი, უზარმაზარი მასა მოედო თბილისს. მასას ვამბობ, თორემ ეს იყო აღტკინებული, საბრძოლოდ განწყობილი ხალხი, ბევრი მათგანი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდა. დილიდან მათ თანდათან თბილისელები შეუერთდნენ და სადღაც 14-15 საათისთვის „იმელის“ შენობიდან(!) მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემდე ტერიტორია ხალხით გაიჭედა. უზარმაზარი მიტინგი, რომლის მსგავსი თბილისს მანამდე არასოდეს უნახავს, დაიწყო.

მაგრამ იყო ერთი დეტალი, რომლითაც უკვე ვიგრძენი, რომ ეს „ოპოები“ არ არიან რაიმე ზომების მიმღებნი. ვუთხარი კიდეც ამის შესახებ იქ მყოფ ზოგიერთ ლეიბორისტს. კერძოდ, მკითხველს ემახსოვრება, რომ „კავშირგამბმულობის სახლზე“ გადმოფენილი იყო უზარმაზარი უნიჭო პლაკატი – „ბადრიონეტები“, რომელზეც გამოსახულნი იყვნენ „კუკლავოდი“ ბადრი პატარკაციშვილი და ოპოზიციის სხვა ლიდერები, როგორ ათამაშებს იგი მათ. მიტინგიც ამ სულელური პლაკატის ქვეშ „გახურდა“. მე ვუთხარი იქ მყოფ პარტიულებს: „თქვენსას მაშინ დავიჯერებ, როდესაც ამ პლაკატს ჩამოხსნით“. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პლაკატის ჩამოხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსუსურობის დადასტურება იქნებოდა ოპოზიციის მხრიდან: ამდენი ხალხია და ხელისუფლება მას (ოპოზიციანად) თავხედურად დასცინის. ამის მოთმენა არ შეიძლებოდა, ხალხს უნდა მისცემოდა საკუთარი თავის რწმენა, პირველი წარმატება ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში.

არ ვიცი, ვინმეს დავალებით თუ საკუთარი ინიციატივით, „კავშირგაბმულობის სახლში“ ახალგაზრდების ჯგუფი შევიდა, ისინი, ავიდნენ სახურავზე და მოხსნეს პლაკატი (თუმცა არ ჩამოუგდიათ ძირს, სახურავზევე დატოვეს). ამას მოჰყვა მათი დაკავება პოლიციის მიერ იმავე შენობაში, გარეთ აღარ უშვებდნენ. არადა, პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა აშკარა უკანონობას, ისინი უკანონოდ გადმოფენილ პროვოკაციულ პლაკატს იცავდნენ და ამის გამო სჯიდნენ (!) თავისუფალ და მშვიდობიან მოქალაქეებს. ბუნებრივია, ეს ამბავი გავრცელდა ხალხში და ატყდა აურზაური. ხალხის დიდი ნაწილი მიაწყდა შესასვლელს და დაიწყო პოლიციასთან ჯაჯგური. პოლიცია საკმაოდ არხეინად იდგა, ამიტომ ემოციები კიდევ უფრო დაიძაბა. ხალხი უკვე მიიწევდა ამ ნაძირლების გვერდზე გასაწევად და შენობაში შესასვლელად. ტროტუარი ხალხით გაიჭედა და ვერ მივუახლოვდი შესასვლელს, შემდეგ იქვე მდგომმა ბატონმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა, რომელთან ერთადაც მივედი მიტინგზე, ჩამჭიდა მკლავში ხელი და დაბეჯითებით მთხოვა, გამოვსულიყავი, ასე ვთქვათ, შარს ამარიდა და მითხრა, დაანებე თავი, ამათგან არაფერი გამოვაო. შენობასთან ახლოს მაინც ვერ მივდიოდი, ხალხმრავლობის გამო, მაგრამ შორს არ წავსულვართ, იქვე დავდექით და ველოდებოდით, რა მოხდება, თუ მოვლენ „ლიდერები“ და წაგვიძღვებიან წინ.

**ცოტა ხანში გაისმა მქუხარე შეძახილები „ზვიადი! ზვიადი!“ ცოტა დავიბენი, გასაგები მიზეზის გამო, თურმე ჩოხაში გამოწყობილ ზვიად ძიძიგურს შეეგებნენ ამგვარად. მაშ ასე, მოვიდა აღნიშნული ლიდერი და მგონია, რომ მიაღწევს იმას, რომ შევიდეთ და ჩამოვხსნათ ის პლაკატი, მაგრამ ბატონმა ზვიადმა, დიდი თხოვნა-ვედრების შემდეგ, პოლიციასთან მიაღწია იმას, რომ გამოუშვეს ეს უკანონოდ დაკავებული ყმაწვილები, მაგრამ კიდევ უფრო უკანონოდ გამოფენილი ხულიგნური პლაკატი პოლიციამ „დაიცვა“ და არ მოხსნეს. ამაზე ოპოზიცია დაკმაყოფილდა. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი, როდესაც ხალხს ქვეცნობიერად ეჭვი გაუჩნდა ამ ლიდერების ქმედითუნარიანობაში.** კარგად მახსოვს, ამ ინციდენტის შემდეგ, პარლამენტის შენობის წინ მოლაყბე „ოპოლიდერები“, რომლებიც „ეშხში შევიდნენ“ და ამდენი ხალხის წინ ლაქლაქით თავს იწონებდნენ, ხალხს ატყუებდნენ, იმ პლაკატს მალე ჩამოვახსნევინებთო — ხალხი არ ჩერდებოდა და კვლავ მოითხოვდა პლაკატის ჩამოხსნას. ძალიან საინტერესო მომენტია: არ დაკმაყოფილდა ხალხი ახალგაზრდების გამოშვებით, პლაკატი მოხსენითო! მაგრამ ოპოზიციამ უკვე დაიწყო ხალხის აშკარად მოტყუება. ძალიან კარგად მახსოვს თორთლაძე, იგივე პადოშა: „ხალხო, ნუ აქცევთ მაგ პლაკატს ყურადღებას, ცოტა ხანში ამწე-კრანი მოვა და ჩამოხსნის მაგას“!

ბუნებრივია, არანაირი ამწე-კრანი არ მოსულა და არაფერი არ ჩამოუხსნია, ეს პლაკატი იქ ეკიდა 7-8 ნოემბრამდე და, ვგონებ, მერეც...

აი ასე — ტყუილებით, გაუბედაობითა და არაორგანიზებულობით დაიწყო ოპოზიციამ მოქმედება. 2 ნოემბერს ერთადერთი ნათელი წერტილი მიტინგზე იყო ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის გამოსვლა. მაგრამ ისიც მალევე მიხვდა, ვისთან იდგა და იმავე საღამოს გვიან ლონდონში გაემგზავრა, მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა... მივხვდი, რომ საქმე ცუდადაა, ამდენი ხალხის მიუხედავად. ბადრი გამოვიდა დაახლოებით საღამოს 6 საათზე, მე სახლში ვიყავი მისული დასასვენებლად, ტელევიზორში ვუყურებდი, საოცარი ემოციები იყო ხალხში. სადღაც საღამოს 8 საათზე დავბრუნდი რუსთაველზე... მაგრამ ხალხი უკვე თითქმის აღარ იყო! მივედი ერთ ნაცნობ ოპოზიციონერ ლიდერთან, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ვეუბნები: „ბიჭო, აღარ მოვა ხალხი ხვალ!“ — არა, მოვაო, რას ამბობო, — მიპასუხა ძალიან მშვიდად და დამაჯერებლად...

2 რიცხვში ნოემბრის კვალობაზე სიცხე იყო, მაგრამ 3-ში ამინდი რადიკალურად შეიცვალა, ცივი ქარი ძვლებში ატანდა ლამის... მაგრამ, არა მგონია, ქარს შეუშინდა ხალხი, ოპოზიციამ ვერანაირი გეგმა და პერსპექტივა ვერ დაანახა ხალხს, მარტო ლაყბობდნენ, მეგაფონები არ ჰყოფნიდათ და ხმის გამაძლიერებლები არ ჰქონდათ... 3-ში დღის 3 საათზე „გრეჩიხა“ აყვირდა განწირული ხმით: „შევცვალეთ მოთხოვნა, ვითხოვთ სააკაშვილის გადადგომააააას!“... ასე ცდილობდა ხალხის უკან მობრუნებას...

7 ნოემბრამდე მუდმივად მცირდებოდა ხალხის რაოდენობა რუსთაველზე და პრეზიდენტ მიშიკოს იდიოტურმა გადაწყვეტილებამ, დაერბია საშიმშილოდ დარჩენილი რამდენიმე ოპოზიციონერი, „გრეჩიხას“ თამადობით, მოულოდნელი პერსპექტივა გაუჩინა ოპოზიციას 7-ში დილით... შემდგომი მოვლენები, ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს. მე მინდა, მკითხველს გავახსენო 2008 წლის 6 იანვარი, როდესაც წინა დღით ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. აშკარაა, რომ სააკაშვილმა ვერ გადალახა 50%-იანი ბარიერი და მეორე ტური უნდა დაინიშნოს, მეორე ტურს კი აუცილებლად წააგებს. ხალხი შეიკრიბა რიყეზე. **დამამახსოვრდა თინა ხიდაშელის გამოსვლა, რომელმაც რიხიანად შესძახა: „გპირდებით, ხალხო, აუცილებლად დავიცავთ თქვენს ხმებს, არ შევეგუებით გაყალბებას!“ (ტაში). გია მაისაშვილი: „ნო ჯასტის — ნო პის!“ (ტაში) და ასე შემდეგ, სულ ტაში. ოპოზიციამ შემდეგ კარგი „კრეატივიც“ გააკეთა – მოაწყო გაყალბებული საარჩევნო ოქმებისა და ბიულეტენების გამოფენა. ამ სიყალბეების სანახავად უცხოელი საელჩოების წარმომადგენლები მოიწვია (თუმცა, ცხადია, არავინ მოვიდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეს სერიოზული ნაბიჯი იყო). მაგრამ 6-ში „გრეჩიხამ“ ხალხი სახლებში გაუშვა, წადით, ხვალ შობაა და დალიეთ, 8-ში შევიკრიბოთო.** ამასობაში კი თარხნიშვილის კანტორა ამუშავდა და დაიწყო ყალბი ოქმების დადება. რაღაც ხდებოდა 6-დან 12 იანვრამდე; ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, როგორც ჩანს, ფარული მოლაპარაკებები ამერიკელების (ბრაიზა და სხვ.) ჩარევით უკვე მიმდინარეობდა. 13 იანვარს უზარმაზარი მიტინგი შეიკრიბა რესპუბლიკის მოედანზე, საშინლად ყინავდა, მოყინული იყო მთელი ქალაქი, რამდენიმე მეგობართან ერთად ცოცვა-ცოცვით მივედი მოედნამდე, ახლომახლო მანქანის გასაჩერებელი ადგილი არსად იყო. ძალიან კარგი საზოგადოება იყო შეკრებილი. არასოდეს დამავიწყდება საოცარი სურათი, რომელიც დღესაც ემოციებით ალმავსებს – ამ გაყინულ მოედანზე ყავარჯნებით მოსული ინვალიდი კაცი, ულარიბესად ჩაცმული, ორ ხანშიშესულ ქალბატონთან ერთად. ეს იყო ნამდვილი ხალხი, ქართველი ხალხი, შეურაცხყოფილი და თან ღირსებადაუკარგავი, რომელსაც რაღაცის შეცვლა სწადდა და სჯეროდა ამის...



**პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა აშკარა უკანონობას, ისინი უკანონოდ გადმოფენილ პროვოკაციულ პლაკატს იცავდნენ და ამის გამო სჯიდნენ (!) თავისუფალ და მშვიდობიან მოქალაქეებს**

მგონია, რომ ოპოზიციის ლაყბობა დამთავრდა და „გვეშველა“, მივალთ სამთავრობო შენობებთან, ცესკოსთან და მოვითხოვთ სიმართლეს და მივაღწევთ კიდეც ამას... ხალხმა ხელში დავით აქუბარდია აიტაცა, სიყვარულით, თუმცა „აქუს“ ტელევიზიაც არ გადმოსცემს მოვლენებს პირდაპირ ეთერში, მხოლოდ საღამოს, „ძველით ახალ წელს“, გაშუქდება შთამბეჭდავი ტელეკადრები. უცხოური ტელეარხები, მათ შორის, რუსული, ავრცელებენ საოცარ ტყუილს — გადასცემენ მშრალ ინფორმაციას, ხოლო მინიმუმ ოთხმოცათასიან მიტინგზე აცხადებენ, რომ თბილისში ათი ათასი კაცი გამოვიდა...

მაგრამ ეს უკვე საღამოს იყო, მანამდე კი ოპოზიციის წინამძღოლობით დავიძარით რუსთაველის გამზირის მიმართულებით. ჩემ წინ ყავარჯნებიანი კაცი მიდის გაჭირვებით, ორ მოხუც ქალბატონთან ერთად. პოლიცია და სპეცნაზი არსად ჩანს, დამალულები არიან. მაგრამ **ნაცვლად რეალური ქმედებებისა, ოპოზიციამ ამდენი ხალხი „მარშით“ ჩაგვატარა საახალწლოდ მორთული პარლამენტის გასწვრივ, პროსპექტზე, თავისუფლების მოედანზე კი „გრეჩიხამ“ განაცხადა – ხვალ „ძველით ახალი“ წელია და, აბა, წავედით სახლებში, დავლიოთო.** როგორც შემდეგ მითხრეს (მე, პარლამენტს რომ ჩავუარეთ, იმედგაცრუებული უკან გამოვბრუნდი), **ხალხი პირდაღებული უყურებდა და არ იშლებოდა, მაშინ „გრეჩიხას“ შეუძახია: „სახლში წადით, ოეეეე, ოეეე!!!“**

შემდეგ იყო 20 იანვარი, იპოდრომის ცნობილი გრანდიოზული თავყრილობა და უნიჭოდ დაშლილი ხალხი, ისევ ოპოზიციის მიერ, ლავროვთან შესახვედრად მივდივართო... ამ დღეს სააკაშვილს საშუალება მიეცა, დაბრკოლების გარეშე ჩაეტარებინა ინაუგურაცია. საფუძველი დაედო მის მეორე მმართველობას, კიდევ უფრო დამანგრეველს. იმავე წელს მოხდა აგვისტოს ომი...

მე შემთხვევით არ შევჩერდი ასე დაწვრილებით 2007-2008 წლის მოვლენებზე, ეს იყო გადამწყვეტი მომენტი. **სააკაშვილი გადადგა და გაჩნდა რეალური შანსი, მისი ლეგიტიმურად შეცვლისა. ბადრი პატარკაციშვილზე ხელისუფლების მიერ მიტანილმა საინფორმაციო იერიშმა, „იმედის“ ჟურნალისტების მოღალატურმა საქციელმა და ტელევიზიის მათივე ნებით ხელმეორედ დახურვამ თუმცა სერიოზულად შეარყია სააკაშვილის წინააღმდეგ კონსოლიდირებული საზოგადოება, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გახლიჩა იგი და ვერ მოახდინა მისი დემორალიზება.** არჩევნების სერიოზული ფალსიფიკაცია ხალხში ეჭვს არ იწვევდა. ოპოზიცია, პირველ რიგში, „გრეჩიხა“, მაშინ ხალხში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა, ხალხი კი ჰიპერაქტიური იყო. 2008 წლის 20 იანვრის შემდეგ ეს ჰარმონია დაირღვა. იმავე წლის 26 მაისს ხალხი კიდევ გავიდა დიდ მიტინგზე, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად, მაგრამ ეს უკვე ინერცია იყო, ამიტომ მოლოდინი არც 2009 წლის გაზაფხულის მოვლენების დროს მქონია, არც, მითუმეტეს, მიმდინარე წელს, ისევ 26 მაისს მოწყობილი მცირე მიტინგისგან, რომელიც სადისტურად დაარბიეს.

**კეთდება მეორე დასკვნა: აუცილებელია გაბედული ქმედებები, როდესაც ხელისუფლება კონსტიტუციის ფარგლებს სცდება და ხალხის ნებას აყალბებს, ხალხს უფლება აქვს, დაიცვას კონსტიტუცია. აპრობირებული სცენარის გამეორებას ხელისუფლება 2012 წლის არჩევნებზე ისევ შეეცდება, ამიტომ არსებული სავალალო გამოცდილება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული და იგივე შეცდომები ახალმა ოპოზიციურმა ტალღამ აღარ უნდა გაიმეოროს. განსაკუთრებით არ უნდა ვიყოთ დასავლეთის „წყალობაზე“ ორიენტირებულნი. გასაკეთებელი ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს.**

რა თქმა უნდა, წინამდებარე სტატია პრეტენზიას ვერ აცხადებს სურათის სისრულეზე, ჩემი მიზანი იყო მხოლოდ ყურადღების მიპყრობა იმაზე, რაზეც საზოგადოებაში ნაკლებად არის სჯა-ბაასი. საგაზეთო სტატიის ფორმატს გავცდები, თორემ გასაანალიზებელი მასალა მოცულობით ძალიან დიდია. რად ღირს თუნდაც ის, რომ აგვისტოს ომის შემდეგ რეალურად კიდევ გაჩნდა ქვეყნის ხსნის შანსი (მიტინგებს არ ვგულისხმობ) და ისევ იქნა დაშვებული ფატალური შეცდომები. ამ თემებზე მსჯელობის განვრცობას „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებისთვის ჩემს შემდგომ პუბლიკაციებსა თუ ინტერვიუებში შევეცდები.

**გულბაათ რცხილაძე,**
პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

**ვარდნეხვის ხელისუფლება წლების მანძილზე, ჯერ კიდევ ძალაუფლების დაპატრონებამდე, «რუსთავი 2»-ის საშუალებით წამლავდა საზოგადოებას თავისი ტოტალიტარული პროპაგანდით**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ინტერვიუ

**რა ვუყოთ ტალიავინის კომისიის დასკვნას და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავის პირველ პრესკონფერენციაზე დაასახელა საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად და ამის გამო გახდა „ქვეყნის მტერი“, „რუსული პროექტი“, „კრემლის უკანასკნელი იმედი“ და ა.შ.**

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ხელისუფლებამ ეს დამარცხება გამარჯვებად მოირგო, საქართველომ კი სამარადჟამოდ დაკარგა ტერიტორიების ოცი პროცენტი



**საქართველოს ხელისუფლების საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება ექსპერტმა საერთაშორისო საკითხებში ჰამლეტ ჭიპაშვილმა ვასიკო ოდიშვილის „აბების“ ციტირებით დაიწყო:**

**— ...„მაგრამ რაღაც ხომ კეთდება!“**

**ვიცინეთ, რადგან „მაესტროს“ ამ პროგრამის მოსწრებული წინადადებების გახსენებას ყოველთვის ასეთი რეაქცია მოსდევს ხოლმე.**

**ვიღაცა იბოღმება.**

**საუბარი, რა თქმა უნდა, სერიოზულ ტონალობაში გაგრძელდა.**

**— ეს დღეებია, ბატონო ჰამლეტ, ნაციონალური პროპაგანდა ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად წარმოგვიდგენს, რადგან იმ დოკუმენტში, როგორც ამბობენ, ჩაიწერა რევოლუციური ფრაზა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.**

— არც ადრე, მაგრამ ბოლო რვა წლის განმავლობაში — განსაკუთრებით, არ გვაკლდა ასეთი ოპტიმისტური შეფასებები.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმის შესამჩნევად, რომ ჩვენი ხელისუფლება სპეციალურად ქმნის ბარიერებს და შემდეგ ცდილობს ამ ბარიერების წარმატებით გადალახვას. არ ვიცი, მოჭარბებული მაზოხიზმით არის ეს გამოწვეული თუ არა, მაგრამ აშკარად ასეა.

ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ჩაწერილია, რომ რუსეთი არის ოკუპანტი, ანუ რუსეთმა აგრესიის შედეგად მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. მიხეილ სააკაშვილმა გვიან ღამით ისე გვახარა ეს „ისტორიული მოვლენა“, თითქოს ხელში დოკუმენტი კი არ გვეჭიროს, არამედ აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

დოკუმენტი ყოფილა თურმე მთავარი! ამის შეგნებით ვიცხოვრებთ დიდხანს და იმის იმედით, რომ ხელში სხვა რამეს დავიჭერთ.

2008 წელს მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: ჩვენ დავიწყეთ ომი განმდგარი რეგიონის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ არავის აღიარებდა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

**— ჩვენ დავიწყეთ ომი?!**

— ამ საკითხზე დღესაც დავობენ და კამათობენ. სულ რამდენიმე დღის წინათ ამ ხელისუფლების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ჩემი თანდასწრებით განაცხადა — ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს ვინ გაისროლაო. ასე მარტივად აღიქვამენ ამ პრობლემას.

**— მთავარია, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ.**

— დიახ! და აგერ სულ ახლახან დავრწმუნდით, რომ ევროპარლამენტი გვერდში გვიდგას, მიიღო ისეთი რეზოლუცია, რომლის მიხედვით, ამათ რომ ყური ვუგდოთ, რუსეთი დატოვებს ოკუპირებულ ტერიტორიებს(!).

ოპოზიციურად განწყობილი პოლიტოლოგია და ექსპერტობა აცხადებს — კი, ჩვენ დავიწყეთ ომი, მაგრამ ამ ომში საქართველო ჩაითრიეს. ხელისუფლება და მას მიტმასნილი საზოგადოება თავისი პოლიტოლოგიით ამბობს — რის ჩათრევა, რა ჩათრევა, ეს ომი დაიწყო რუსეთმა და — ბასტა!

მაგრამ რა ვუყოთ ტალიავინის კომისიის დასკვნას და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავის პირველ პრესკონფერენციაზე დაასახელა საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად და ამის გამო გახდა „ქვეყნის მტერი“, „რუსული პროექტი“, „კრემლის უკანასკნელი იმედი“ და ა.შ.

**ისეთი რა თქვა, თქვე მამაცხონებულებო, ბიძინა ივანიშვილმა, რაც თქვენს ყურს არ გაუგონია?! არც ტალიავინის მოხსენება წაგიკითხავთ და არც არაფერი გსმენიათ იმ დოკუმენტებზე, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლებამ მოაწერა ხელი პირველ გასროლასთან დაკავშირებით?!**

**რას ჰქვია „ჩაგვითრიეს“?! რუსეთმა როგორ გაიძულა, ასეთი ნაბიჯის გადადგმა?!**

**აგვისტოს ომმა ირანში მომისწრო. ცხრაში რომ ჩამოვედი, პირველსავე ინტერვიუში ვთქვი: ომი საქართველომ დაიწყო.**

**— ბატონო ჰამლეტ, ახლა რომ გეთქვათ ამის შესახებ, გასაგები იქნებოდა — ხელთა გვაქვს ტალიავინის და სხვა დოკუმენტები. მაგრამ მაშინ რამ გათქმევინათ, რა ფაქტებს ეყრდნობოდით, როგორ არგუმენტებს?**

— ომში ზრდასრულ ადამიანს ვერავინ ჩაითრევს...

**— ზრდასრულს და ჭკუადამჯდარს.**

— დიახ, დიახ. იქნებ ჩვენ ჩავითრიეთ რუსეთი?

**— დარწმუნებით ამბობთ?**

— ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ყველას, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, გაცნობოდა რუსეთის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის ვრცელ ინტერვიუს, ამოიკითხავდა იმ ვნებათა ღელვის შესახებ, რასაც ქვეყნის ახლადარჩეული ხელმძღვანელი მაშინ განიცდიდა. **ერთი წელიწადიც არ არის, რაც მედვედევი პრეზიდენტად აირჩიეს და ამ დროს ფაქტის წინაშე აყენებენ: თავდაცვის მინისტრი სერდიუკოვი მიდის მასთან და მოახსენებს, რომ მძინარე ცხინვალს რაკეტებს უშენენ.**

**პრეზიდენტი უპასუხებს, რომ თავი შეიკავოს ადეკვატური რეაქციისგან, რადგან შეიძლება პროვოკაცია იყოს.**

**ერთი საათის შემდეგ სერდიუკოვი კვლავ მოახსენებს, რომ ვითარება ძალიან დაძაბულია, „გრადებით“ დაბომბვა გრძელდება.**

**მედვედევი აჩერებს — არავითარი რეაქცია რუსეთის მხრიდან! მაგრამ, როცა ჩვენმა ტანკებმა შეუტია ცხინვალს, ახლადარჩეულმა, სულ „თოთო“ პრეზიდენტმა მიიღო მისთვის უაღრესად მძიმე გადაწყვეტილება — დაეწყო ომი! მაგრამ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი სულაც არ ნიშნავს, რომ მან ჩაგვითრია ჩვენ. პირიქით, მოვლენებისა და ფაქტების თანმიმდევრობის ელემენტარული ანალიზით გამოდის, რომ სააკაშვილმა ჩაითრია მედვედევი ამ შავბ-ნელ საქმეში. ჩვენდა სამწუხაროდ.**

**— სააკაშვილმა?**

— არა მარტო სააკაშვილმა, არამედ ამერიკამ ჩაითრია.

**— რას ამბობთ, ბატონო ჰამლეტ, კონდოლიზა რაისი, აშშ მაშინდელი სახელმწიფო მდივანი საწინააღმდეგოს ამტკიცებს ეს-ესაა გამოცემულ თავის მემუარებში!**

— რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში მედვედევმა თქვა, რომ ეს ყველაფერი კონდოლიზა რაისის სინდისზეა, რომელიც კონფლიქტის წინ თბილისში იმყოფებოდა.

**— ე. ი. სიტყვაზე ვენდოთ მედვედევს?**

— არა, რატომ? ჯერ ერთი, დღეს რაც გინდა იუაროს რაისმა, ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებს. თანაც, რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტი არ არის, რომ მარჯვნივ და მარცხნივ ტყუილები აფრქვიოს. და, რაც მთავარია, მედვედევის ამ განცხადებას არ მოჰყოლია აშშის არც ერთი ოფიციალური პირის მხრიდან საპასუხო უარმყოფელი განცხადება.

ვთქვათ, არ უნდა ვირწმუნოთ მედვედევის, ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მეთაურის განცხადება, მაგრამ დავივიწყოთ, რაც წინა პერიოდში ჩვენთან ხდებოდა? **რა ვუყოთ, მაგალითად, პრაქტიკულად ალყაში მოქცეულ რუსეთის საელჩოს შენობას, რომლის წინ საჩვენებელი აქციების ციკლები ტარდებოდა ახალგაზრდა აქტივისტების თუ მომღერლების მონაწილეობით, რომლებიც აქ მოპოვებული სახელით თვალსა და ხელს შუა „ვარსკვლავებად“ აღიარეს და ა.შ.; ან — როგორ ვამხილეთ რუსეთის ჯაშუშები და რა პომპეზურობით გადავეცით რუსეთის მხარეს, რაშიც მთელი მსოფლიო ჩაერია და აშშ-მა თითიც კი დაგვიქნია; სალომე ზურაბიშვილის განცხადება, რომ ეს ხელისუფლება თავის თავზე ბომბებს იყრის, შემდეგ რუსეთისკენ ხელი რომ გაიშვიროსო; გავიხსენოთ ხურჩის ინციდენტი, ჩვენი მხრიდან ნასროლი ყუმბარებით რომ დავწვით საზღვარზე მიყვანილი ავტობუსი, სააკაშვილის მივარდნა საზღვართან და გენერალ ჩაბანის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება და ა.შ. და ა.შ.**

ყველაფერ ამის ინსპირატორი საქართველოს ხელისუფლება იყო.

ეს უნდა იცოდეს პოლიტოლოგმა, მაგრამ თუ იცის და მაინც ამბობს, რომ ჩვენ ჩაგვითრიეს, ამით ერს დათვურ სამსახურს უწევს. პირველი იმით, რომ ამახინჯებს სინამდვილეს, მეორე, — არ აღიარებს შეცდომას. სანამ ხელისუფლება არ ისწავლის შეცდომის აღიარებას და არ განაცხადებს — ჩემო ერო, მე დავუშვი შეცდომა, მაპატიე, — მანამ ეს სახელმწიფო ვერ შედგება.

მსოფლიო ისტორიაში ამის ბევრი მაგალითია, მათ ჩამოთვლას აქ არ შევუდგები.

**— დავუბრუნდეთ მაზოხიზმის თემას, როგორც თქვენ თქვით, ჩვენ მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გადალახვის პრობლემას.**

— მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ყველაფერი გაკეთდა, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის ინტერესის გათვალისწინებით, შემდეგ — რუსეთის რეაქციის გასარკვევად, მაკკეინის მხარდასაჭერად და ა. შ.

**საქართველო ომისთვის რომ ემზადებოდა, ამერიკელებისთვის ცნობილი იყო, ისრაელისთვისაც — ჩვენს ჯარს აგვისტოს ომის წინა პერიოდში წვრთნიდა ის ებრაელი გენერალი, რომელიც ლიბანის ოპერაციას ედგა სათავეში.** პლიუს ამას: ჩვენი შეიარაღებული ძალები გადაადგილდება ცხინვალის მიმართულებით — მიდის მძიმე ტექნიკით დატვირთული ეშელონები, სამხედრო შენაერთები, რკინიგზა გადატვირთულია მატარებლების სპეციალური შემადგენლობებით. ეს მხედველობიდან გამორჩათ ამერიკელ ინსტრუქტორებს?! ვერ გაერკვნენ, რა ხდებოდა?! სისულელე იქნება ამის დაშვება.

**ამასთან ერთად, იმჟამად ამერიკაში საპრეზიდენტო მარათონი მიმდინარეობდა. ერთ-ერთი კანდიდატი იყო მაკკეინი, რომელსაც გამარჯვების გარკვეული შანსი ჰქონდა, მაგრამ ობამაზე უმეტესი — არა. ომის დაწყება ცხინვალში გამოავლენდა მტერს — რუსეთს, ხოლო საარჩევნო კამპანიაში რუსეთის თემის ჩართვას მოჰყვებოდა მაკკეინის წარმოჩენა რუსეთთან მეომარ წინამძღოლად, რომელიც ღირსია, მართოს ამერიკა.**

რა მოუტანა ამ ყველაფერმა ჩვენს ქვეყანას?

ტრაგედია.

ხელისუფლებას რა მოუტანია?

ზეიმი. ზეიმი და გამარჯვებაა, როცა ამ ტრაგედიის საფასურად ვიღაც მოგცემს 4,5 მილიარდ აშშ დოლარს. საშუალება გექნება მეფური ფუფუნებით საზღვარგარეთ, ქვეყნიდან ქვეყანაში დაოთხილი სირბილის. საქართველოში გაცილებით ცოტა დროით რჩებიან, ვიდრე უცხოეთის ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში.

და — რაც მთავარია.

**სააკაშვილი ამბობს, რომ შევარდნაძის დროს საქართველოს თუ არავინ არ იცნობდა, დღეს მსოფლიო ჩვენზე ლაპარაკობსო (!).**

**ილაპარაკებს, აბა, რას იზამს, როცა, შე მამაცხონებულო, პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს დაიწყებ ომს! მით უფრო, როცა პიარკამპანია ამერიკელების მიერ წინასწარ გათვლილი და ორგანიზებულია.**

**გაიხსენეთ, ომის დაწყების წინ ამერიკელი ჟურნალისტების ჯგრო რომ იყო თბილისში ჩამოსული. რამ წამოყარა ისინი აგვისტოში, დასვენების გაგანია სეზონში პოპულარული კურორტების პლაჟებიდან, თანაც ყველა ერთად?**

**ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი იმიტომ მოავლინეს საქართველოში, რომ აეტაცებინათ და ფართომასშტაბიანი პიარკამპანია წარემართათ ამერიკისთვის მომგებიანი აქცენტებით იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც დღე-დღეზე უნდა დაწყებულიყო?**

**— მაზოხისტობა, თქვენი თქმით, ჩვენი ხელისუფლების დამახასიათებელი თვისებაა, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს ანომალია დასჭირდათ იმისთვის, რომ ხალხისთვის წამებულ რაინდებად წარმოეჩინათ თავი? გორში გადაღებული სამარცხვინო კადრები — მიწაზე გართხმუ-** ▶

**«ჩვენს ჯარს აგვისტოს ომის წინა პერიოდში წვრთნიდა ის ებრაელი გენერალი, რომელიც ლიბანის ოპერაციას ედგა სათავეში»**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთთან ჩვენ ყოველთვის გვექნება პრობლემები, თუ ეს ან მისი მსგავსი ხელისუფლება გვეყოლება. სხვა ხელისუფლებას, რომელიც მომავალში ნეიტრალურ პოზიციას ითამაშებს, მე ვერ ვხედავ.**

**ლი კაცი, რომელსაც დაცვა ცოცხალ ფარად გადაფარვია, განა იმიტომ არ გაავრცელეს, რომ ეჩვენებინათ მავანის თავგანწირვა და თავდადება ხალხისთვის? მაგრამ არ გამოვიდა „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს, ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“.**

— ეფექტი, რა თქმა უნდა, რადიკალურად საპირისპირო იყო: ვერ აინთეს სანთლებად მათი სახელები. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ ეს დამარცხება გამარჯვებად მოირგო. საქართველომ კი სამარადჟამოდ დაკარგა ტერიტორიების ოცი პროცენტი.

**— სამარადჟამოდ?! რას ამბობთ, ბატონო ჰამლეტ?!**

— მე გეუბნებით, რომ სამუდამოდაა დაკარგული და ამას ევროპარლამენტის რეზოლუციაში ოკუპაციის ჩაწერა ვერ უშველის. ხალხმა დაკარგა რწმენა, თუმცა ხელისუფლებას მიტმასნილი ადამიანები ჯიუტად იმეორებენ: რა გინდათ ამ კაცისგან, რაღაცას ხომ აკეთებს! რვა წელიწადია, ეს გვესმის.

**— „უცილობდეს, ვითა ჯორი“...**

— უფრო მეტსაც ამბობენ, აცალეთ, ისწავლოსო. როდემდე? როცა ქვეყანა და ხალხი შევეწირებით? საექსპერიმენტო პოლიგონია თითქოს საქართველო.

**— ან — „პრეზიდენტების გადამზადების კურსები“...**

**ნატოზე გადავიდეთ, ბატონო ჰამლეტ, რომელშიც შესასვლელად, როგორც ბატონმა რასმუსენმა გვითხრა ამ ბოლო ვიზიტის დროს, ვართ ისე ახლოს, როგორც არასდროს ვყოფილვართ.**

— ევროკავშირზეც იგივეს არ გვეუბნებიან? ამათ ყური რომ უგდო, ჩვენ თითქმის შესული ვართ ამ გაერთიანებაში (!).

**ეს ორპირი უცხოელების ბრალია — ორპირი ნატოელების, ორპირი ბრიუსელის, ორპირი ვაშინგტონის. რატომ დუმს იგივე ამერიკა, ევროკავშირი იმ სისულელეებზე, რასაც სააკაშვილი მათ მიერ მოცემული მილიარდებიდან მილიონებს ახარჯავს — პრეზიდენტის სასახლიდან და პამპერსის ხიდიდან დაწყებული და იმ რკინის რაშით დამთავრებული, რომელიც შოთა რუსთაველის ძეგლის გასწვრივ თბილისში აღგვიმართა? ხომ არ მოქმედებს აქ იგივე პრინციპი, რომელიც ქართული ანდაზითაა გამოხატული — „ხელი ხელს ბანს და ორივე — პირსო“? ხომ არ მოქმედებს აქ მანკიერი საბჭოთა „ოტკატების“ ვარიანტი?**

ახლა კონკრეტულად ნატოს შესახებ. მე მგონი, რასმუსენი იქნება თუ ვინმე სხვა, პირდაპირ უნდა გვითხრას, ყოველგვარი დიპლომატიური ზიზილ-პიპილოების გარეშე: ძმებო ქართველებო, თქვენ არ მიგიღებთ ნატოში.

ამას ვეუბნებოდი დიპლომატებს, რომლებსაც ვხვდებოდი, მითქვამს ამერიკის ელჩისთვისაც.

ნატოში ვერ შევალთ იმიტომ, რომ მის ფუძემდებლურ დოკუმენტში პირდაპირ არის ჩაწერილი: **ქვეყანა, რომელსაც თავის მეზობლებთან პრობლემები აქვს, ამ ტვირთით ნატოში ვერ შევა.**

**რუსეთთან ჩვენ ყოველთვის გვექნება პრობლემები, თუ ეს ან მისი მსგავსი ხელისუფლება გვეყოლება. სხვა ხელისუფლებას, რომელიც მომავალში ნეიტრალურ პოზიციას ითამაშებს, მე ვერ ვხედავ. ისეთ ხელისუფლებას, რომელსაც ექნება ნორმალური ურთიერთობა ამერიკასთანაც, რუსეთთანაც და თან იღვაწებს ნატოში შესასვლელად.**

**რა შეგვიშლის ხელს? თუ ჩვენ ვერ მოვაგვარებთ ურთიერთობას თვითგამოცხადებულ ქვეყნებთან — აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, ვერ შევცვლით სასამართლო სისტემას, ფეხზე ვერ დავაყენებთ ეკონომიკას, საზღვრებს ვერ დავაზუსტებთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან დემარკაცია, დელიმიტაციის სახით. ამ პრობლემებით დახუნძლული საქართველოსთვის ნატოს კარი დახურულია.**

**— თვალი არ ეცეს, მაგრამ, თუ ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა, გაჩნდება პერსპექტივა?**

— ყოველ შემთხვევაში, შანსი გაჩნდება. დღეს რა სურათი გვაქვს? ერთი მაგალითი, რომლის შესახებ სრულიად შემთხვევით შევიტყვე: საქართველო ჩართული ყოფილა ნატოს პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებდა მტკვრის ფსკერის გაწმენდას. ასეთი ჰუმანიტარული პროგრამებიც აქვს ნატოს. და თურმე გაგვიწმენდია მტკვარი, განგვიხორციელებია ეს მრავალმილიონიანი პროგრამა ისე, რომ არავის არაფერი გაგვიგია (!). სამუშაოები — „შესრულდა“, ფული „მოტყდა“. რა გარიგებას ჰქონდა ადგილი?

შევალთ ასე ნატოში?

**— ევროკავშირში, ბატონო ჰამლეტ?**

— ვერა, ვერ შევალთ, რადგან „აღმოსავლეთთან თანამშრომლობა“ ზღაპარია. **რეზოლუცია, რომელიც ევროპარლამენტმა ამ დღეებში მიიღო, დასავლეთს რუსეთთან სავაჭროდ სჭირდება, რუსეთთან საჭიდაოდ. თორემ, ახლა ევროპას რომ გაუჭირდა, განსაკუთრებით, — ევროს, მოსკოვსა და პეკინში ემისრები აფრინეს — ფული მოგვეცითო!**

ნაცპროპაგანდა კი თავბრუს გვახვევს — გზა გაგვეხსნა ევროკავშირისკენ, რეზოლუცია მიღებულიაო. **ჩვენი არარსებული ეკონომიკით, გადაუჭრელი სოციალური პრობლემებით იმ გაერთიანებაში არავინ მიგვიღებს. ჩვენ კი არა, დღემდე ვერ მოუნელებიათ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რომ მიიპატიჟეს. მიაჩნიათ, რომ საჭირო არ იყო ევროკავშირის აღმოსავლეთისკენ გაფართოება.**

**— ბატონო ჰამლეტ, დასკვნისკენ წავიდეთ, სად ხედავთ გამოსავალს?**

— ამ წლების განმავლობაში იმდენი შეცდომა დაუშვა ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ დამოუკიდებლობა თავიდან გვაქვს მოსაპოვებელი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# რვაწლიანი ქირის სამი კატეგორია



**თუ გავითვალისწინებთ „ნაციონალთა“ საკმაოდ მასშტაბურ, მაგრამ არც თუ მაღალინტელექტუალურ წიაღსვლებს მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ეს რვა წელიწადი სამ (საკმაოდ მარტივ) ძირითად კატეგორიად შეიძლება დავყოთ იმ პროგრამების ფონზე, რომლებითაც ისინი მოქმედებდნენ არა მხოლოდ ხელისუფლებაში „გაჯეჯილების“ რვა წლის განმავლობაში, არამედ „ოპოზიციაში“ ყოფნის პერიოდიდანაც.**
**პირველი კატეგორია იყო მარტივი;**
**მეორე კატეგორია — რთული;**
**მესამე კატეგორია არის ურთულესი;**

**პირველი და მარტივი.** მაშ, ასე: **„ნაციონალთა“** (მანამდე კი, ეთნიკური სომხებით უხვად გაჯერებულ, **„მოქკავშირის“**) მიზანდასახული ბრძოლა ყოველგვარი ქართული და მართლმადიდებლური ფენომენის წინააღმდეგ დაიწყო ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის ჟამს, როცა ამ მართლაც მანქურთებმა პირადობის მოწმობებიდან ამოგვიღეს მამის სახელისა და ეროვნების მიმანიშნებელი გრაფა, მართლმადიდებლურ ეკლესიას კი გამოუცხადეს დაუნდობელი ბრძოლა.

ეს იყო ქართული ფენომენის, რელიგიისა და სულიერების წინააღმდეგ სომეხი ჟვანიასა და სომეხი სააკაშვილის პირველი შემოტევა, რაც საკმაოდ მარტივი სქემა იყო და არც ის არის გასაკვირი, რომ ქართველთა დიდი ნაწილი მაშინ ვერ ჩასწვდა სომეხთა ამ მზაკვრული ჩანაფიქრის არსს. ამდენად, ეს გეგმა შეიძლება იმ მარტივ ამოცანად ჩავთვალოთ, რომელიც სომხებმა: ჟვანიამ და სააკაშვილმა ყოველგვარი გართულების გარეშე მოახვიეს თავს ედუარდ შევარდნაძის **„მოქკავშირის“** მიერ აღტკინებულ და გამოთაყვანებულ საქართველოს მოსახლეობის ნაწილს.

**მეორე და რთული.** მამის სახელისა და ეროვნების გრაფის გაუქმებით, თავიანთ არაქართულ ბედს შერიგებული ქართველი ერი იმ **„პლასტელინად“** უნდა ქცეულიყო სააკაშვილისა და მისი სომხური ბანდის ხელში, რომელთაც ქართული ტრადიციის გათახსირება და ლიკვიდაცია დიდად აღარ შეაწუხებდა. საამისოდ საჭირო იყო ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის პროპაგანდა მათი საკუთარი ტელეარხების (**„რუსთავი 2“, „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი**) მეშვეობით, რაც დღესაც წარმატებით ხორციელდება. მილიონები მოხმარდა საქართველოში ევროპასა და ამერიკაში დიდი ხნის წინათ **„ჩამოწერილი“** მომღერლების ჩამოყვანას და იაფფასიანი შოუების მოწყობას, რათა ქართველი ახალგაზრდები მოეწყვიტათ თავიანთი ისტორიული ფესვებიდან და მათ მსგავს **„მანქურთებად“** ექციათ ისინი, რასაც, სამწუხაროდ, ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ამავე დროს, **„ნაციონალებმა“ ფეხქვეშ მოიქციეს ის სახელმწიფო წარმომადგენლობითი სამართალდამცავი ორგანოები და მასმედიის საშუალებები, სადაც რიგით ქართველებს შეეძლოთ, დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე და კონსტიტუციური უფლებები.** გადაიტანეს რა საზოგადოების ყურადღება სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ახდენდნენ საერთო-სახალხო დოვლათის აღვირახსნილ **„პრიხვატიზაციას“**, ითვისებდნენ საბიუჯეტო სახსრებს უხარისხო საფარიანი გზების დაგებით, შადრევნებისა და უფუნქციო ძეგლების აღმართვით, სხვადასხვა უაზრო ხარჯების გაწევით და, რაც მთავარია, შექმნეს ქანცგამცლელი მონოპოლიური სისტემები (თუნდაც საწვავ-ენერგეტიკულ სფეროში, რომელსაც სრულად აკონტროლებენ სააკაშვილის ოჯახის წევრები), რომლითაც მდიდრდებიან თავად და კიდევ უფრო აღატაკებენ საქართველოს ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას.

**მესამე და ურთულესი.** დასავლეთ საქართველოში დედაქალაქის გადატანა და აღმოსავლეთ საქართველოს **„დიდი სომხეთის“** ნაწილად ქცევა, რაც საკმარისად **„მორიდებით“** დაიწყო, მაგრამ უკვე გადამწყვეტ ფაზაში შედის და სააკაშვილი საწადელს მიაღწევს კიდეც, თუ ამას ქართულმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა არ გაუწია! ამ სიმუხთლის **„ქართულ ბედნიერებად“** წარმოჩენის მიზნით, სააკაშვილმა უკვე დაიწყო ქუთაისში შადრევნის აშენება, რაც მოწამლულთაფლიანი **„ბუტერბროდი“** უფროა, ვიდრე საქართველოს სასიკეთოდ გატარებული ღონისძიება. როგორც მგელი ვერ მოიშლის მგლობას, ისე სააკაშვილი ვერ დააღწევს თავს სომხობას, მით უმეტეს, რომ საქართველოს პრეზიდენტად მისი შემოთესვის სომხურ-ამერიკული გეგმა სწორედ საქართველოს დაკნინებას და **„დიდი სომხეთის“** აღორძინებას გულისხმობს, რაშიც, როგორც ცნობილია, ამერიკელმა სომხებმა დიდძალი თანხა გადაუხადეს შევარდნაძეს. სხვა ვარიანტი გამორიცხულია, რადგან ქართველი ხალხი, დიდი ხანია, დარწმუნდა, რომ **„ვარდების რევოლუცია“** იყო არა ნამდვილი რევოლუცია, არამედ ბინძური გარიგება ედუარდ შევარდნაძეს, რევოლუციურ სამეულს (ჟვანია, ბურჯანაძე, სააკაშვილი) და მთელი ამ ფარსის დამფინანსებელ მილიონერ სომხებს შორის.

**ამრიგად, „ნაციონალთა“ და მათი თავკაცის — მიხეილ სააკაშვილის 8-წლიანი მოღვაწეობა საქართველოში შემიძლია შევაფასო როგორც გლობალური შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, ილუზორულიც და აუსრულებელიც შეიქნა არა მხოლოდ სააკაშვილის ბანდის, არამედ შაუმიანის, ხანჯიანისა და საქართველოს დაშლა-განადგურების მსურველი სხვა არაკაცებისათვის.**

მომიტევოს ყველამ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის **„წარმატება-წარუმატებლობაზე“** სხვა ყოველნაირი მაღალინტელექტუალური განსჯა წყლის ნაყვა და სისულელეა, რადგან, რაც უფრო ამაღლებული, რთული და საზოგადოებისათვის გაუგებარი ფრაზებით შევაფასებთ ამ სომეხ ჩარჩთა **„მოღვაწეობას“,** მით უფრო დავშორდებით ჭეშმარიტებას!

უკვე მიღრძუებული, მაგრამ მაინც საქართველოს გულ-ღვიძლში ხელმოფათურე ედუარდ შევარდნაძის (რომელმაც 1965 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე, ამ უმნიშვნელოვანესი უწყების აპარატიდან გააძევა ყველა ეთნიკური ქართველი ჩინოვნიკი და ეს მნიშვნელოვანი ორგანო გაავსო სომხებით, ასევე სომეხი მარლენ ულუხანოვის ხელმძღვანელობით) მიერ ამ სომხური ტრიუმვირატის საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოყვანა წინასწარ იყო დაფინანსებული ამერიკაში მცხოვრები სომეხი მილიარდერის — კერკ კირკორიანის მიერ, რაც უკვე თავისთავად გულისხმობდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შებღალვას, მათ გაძევებას ისტორიული საცხოვრისიდან და აღმოსავლეთ საქართველოს **„დიდი სომხეთის“** ეთნიკურ ნაწილად ქცევას.

სამწუხარო და თავშისაცემი მხოლოდ ის არის, რომ ამ პროცესებს ხელს უწყობდნენ და დღესაც ეხმარებიან ჭეშმარიტად ეთნიკური ქართველები: ხერხეულიძეები, წიკლაურები, ოჩიაურები, ცისკარიშვილები, თორთლაძეები, დავითაიები, ბალავაძეები და სომეხთა ხელში ტიკინებად ქცეული ის ორფეხა ინდაურები, რომლებიც დღესაც კი ქართველ პარლამენტარებად იწოდებიან!

რაც შეეხება სააკაშვილს, მას გასაქცევი არსად აქვს, რადგან ქართველი ხალხის რისხვა მის ჯანმრთელობას ბევრად ნაკლებ ზიანს მიაყენებს, ვიდრე იმ სომეხი შემკვეთებისა, ვინც მას და მის **„სულიერ მოძღვარ“** შევარდნაძეს დიდძალი თანხა გადაუხადეს საქართველოს დაშლა-დანაწევრებისათვის.

აი, აქ კი ნამდვილად ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში სააკაშვილსაც და მის შემკვეთებსაც!

**როლანდ ჯალაღანია,**
**„ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი**

## სირიის ხელისუფლებას ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

**არაბული სახელმწიფოების ლიგამ სირიას სამი დღე მისცა, რათა შეწყვიტოს საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორება.** ამავე დროს ლიგა მოითხოვს, რომ სირიის ხელისუფლებამ ქვეყანაში საერთაშორისო დამკვირვებლები დაუშვას. ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სირიის ემუქრება სანქციები. მისივე თქმით, კრიზისის დაძლევის დიპლომატიური ძალისხმევა იწურება.



საქართველო და მსოფლიო
ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ საქართველოში გეგმაზომიერად მიმდინარეობს ქართული ეროვნული ფასეულობების: ენის, კულტურის, ტრადიციების, განათლების, თვითშეგნების, მართლმადიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის ტოტალური დესტრუქცია, რადგან ამერიკული მენტალიტეტი სხვაგვარად ვერაფრით ვერ გაიმარჯვებდა საქართველოში!“

## ჯულიანა დიუმა:

# სააკაშვილია დღეს სახელმწიფო და მას გააჩნია მონოპოლია ძალადობაზე!

**„საქართველო და მსოფლიო“ ბრიტანეთში რეგისტრირებულ ორგანიზაციის „ნათლის მხედარი“ ხელმძღვანელს — ჯულიანა დიუმას დაუკავშირდა. ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას, ამცნოს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს და მთავრობებს საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილი ყველა ის უკანონო ქმედება, რომლებიც ხელყოფს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ადამიანურ უფლებებს და საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს.**



**— თქვენი ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ მიმართვაში საუბარია იმაზე, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ლიკვიდაციის პროცესს საფუძველი 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ ჩაეყარა, როცა ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა. უკვე რვა წელია, რაც „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაშია. როგორ შეაფასებთ ადამიანის უფლებების დაცვის, ასევე, სამართლებრივი და პოლიტიკური კუთხით ამ რვა წელიწადს და რომელ სხვა ცნობილ რეჟიმს შეადარებთ სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელსაც, რახანია, ღიად უწოდებენ ავტორიტარულს?**

— საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სრული ლიკვიდაციის პროცესს საფუძველი 1991-92 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად, კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი დამხობით ჩაეყარა, ხოლო „ვარდების რევოლუცია“ და „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლა უკვე ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო ამ პროცესისა. **ის, რაც 2003 წელს მოხდა, ვერასდროს მოხდებოდა ეროვნული ხელისუფლების პირობებში, რადგან შევარდნაძის ხელისუფლება აუცილებელი წინაპირობა იყო იმ შეთქმულებისა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ დაიგეგმა!** 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად დაიწყო ამერიკის სტრატეგიებისა და იმპერიალისტური პოლიტიკის, თუ ასე შეიძლება ითქვას, მოჩვენებითი გადატვირთვა (მოჩვენებითს იმიტომ ვამბობ, რომ ამერიკაში არაფერი ხდება შემთხვევით, იქ ყველაფერი გარკვეული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რომელსაც საფუძველი რამდენიმე წლით ადრე ეყრება). ამ დროისთვის უკვე მსოფლიოს პრიორიტეტები ასე თუ ისე გარკვეული იყო და ამ პრიორიტეტებში ნათლად გამოიკვეთა საქართველოში პროამერიკული გავლენის გავრცელების აუცილებლობა, რამაც ამერიკასა და რუსეთს შორის საქართველოსთან მიმართებაში ინტერესთა დიდი კონფლიქტი გამოიწვია. **შევარდნაძის ხელისუფლება შესანიშნავად იქნა გამოყენებული ამერიკელთა მიერ, რომელთაც 90-იანი წლების ბოლოსთვის უკვე დაიწყეს შესაფერისი კადრების მომზადება საქართველოს რუსეთის გავლენიდან ჩამოშორების მიზნით, რაც „ვარდების რევოლუცის“ საშუალებით საბოლოოდ მოხდა, როდესაც ეროვნულმა ინტერესებმა უკან გადაიწია და ეკონომიური პრობლემებით დათრგუნული ერი სიხარულით შეხვდა ოკეანის გაღმა გადამზადებულ ახალ პოლიტიკურ ძალებს.**

8 წელი გავიდა ამ ეგრეთ წოდებული რევოლუციის შემდეგ და, მე მგონი, ბავშვსაც რომ ჰკითხოთ საქართველოში, ისიც კი გეტყვით, თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანეს „ნაციონალებმა“ ქვეყანა. ამასთანავე, რთულია, ისაუბრო ადამიანის უფლებებზე საქართველოში, რადგან რთულია, ისაუბრო იმაზე, რაც პრაქტიკულად არ არსებობს. რაც არ უნდა ვეცადო, ობიექტური შეფასების გაკეთებას ვერ შევძლებ, რომ არ განვმეორდე, რადგან ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მოკლედ მაინც ვიტყვი, რომ **ქვეყანაში არ არსებობს არც ერთი, დიახ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, აუცილებელი ბერკეტი დემოკრატიის არსებობისთვის. მასობრივი შიმშილი და უმუშევრობა, პატიმართა უკონტროლო რაოდენობა, პრესისა და ტელევიზიის მონოპოლიზება ხელისუფლების მიერ, დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა — ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში მხოლოდ ფასადური დემოკრატიაა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე უფრო მტკივნეული, ალბათ, მაინც ის არის, რომ საქართველოში გეგმაზომიერად მიმდინარეობს ქართული ეროვნული ფასეულობების: ენის, კულტურის, ტრადიციების, განათლების, თვითშეგნების, მართლმადიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის ტოტალური დესტრუქცია, რადგან ამერიკული მენტალიტეტი სხვაგვარად ვერაფრით ვერ გაიმარჯვებდა საქართველოში!**

რაც შეეხება სააკაშვილის რეჟიმის შედარებას რომელიმე ცნობილ რეჟიმთან, **ხშირად მსმენია, მას ჰიტლერს ან სტალინსაც კი ადარებენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს არაადეკვატური შეფასებაა როგორც სააკაშვილის, ასევე იმ დიქტატორებისა, რადგან მათ, სააკაშვილისგან განსხვავებით, იდეოლოგია ჰქონდათ და მას სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდნენ, ასევე საკუთარი ქვეყნის ინტერესები მათთვის პრიორიტეტი იყო. ამასთანავე სააკაშვილმა, როგორც ეს დილეტანტებს სჩვევიათ ხოლმე, სხვადასხვა ტირანთა თითო უმსგავსობა გადმოიღო და ახალი ტიპის ტირანად ჩამოყალიბდა, მაგრამ, თუ უფრო ჩავუღრმავდებით მის პიროვნებას, აშკარაა, რომ მას ბევრი საერთო აქვს რომის იმპერატორებთან, რომელნიც ხშირად არარაციონალურობითა და პარადოქსული უკიდურესობებით გამოირჩეოდნენ.**

პირადად მე სააკაშვილს ნერონს შევადარებდი. როგორც ცნობილია, ნერონი გამოირჩეოდა თავისი ექსტრავაგანტულობით. ასევე, ის დიდ ყურადღებას უთმობდა დიპლომატიას, ვაჭრობას, რომის კულტურულ განვითარებას, სპორტს და რამდენიმე პოლიტიკური მზაკვრული მკვლელობის „ავტორიც“ კი გახლდათ. რომაელები ასევე მიიჩნევდნენ, რომ რომის დიდი ხანძარი 64 წელს, რომელმაც თითქმის მთელი რომი გაანადგურა, მისივე ინსპირირებული იყო, რათა შეექმნა ტერიტორიული შესაძლებლობა მისი სასახლის კომპლექსის — ომუს ურეას (ოქროს სახლის) მშენებლობისთვის. თუმცა, ნერონისგან განსხვავებით, რომელმაც შეძლო პართიის სამეფოსთან სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა, სააკაშვილმა კიდევ უფრო დაძაბა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და თითქმის შეუძლებელი გახადა მისი მოგვარება აგვისტოს ომის ფიასკოს შედეგად! მაგრამ მაინც **მიჭირს იმის დაჯერება, რომ სააკაშვილმა აგვისტოს ომი თვითნებურად დაიწყო.**

**— გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები სისტემატურად აწვდიდით ევროპას ინფორმაციას საქართველოში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების, მიტინგებისა და მანიფესტაციების სისხლიანი დარბევების, საპყრობილეებში პოლიტპატიმართა მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ სწორედ ამის გამო განიცდიდა დევნასა და შევიწროებას თქვენი ოჯახი და 1993 წლის დეკემბერში იძულებული გახდით, მოგეთხოვათ პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში. თქვენ კარგად იცით, რომ დასავლეთი ხშირად მიმართავს ორმაგ სტანდარტებს და მას არაერთხელ გამოუცხადებია „დემოკრატიის სანიმუშო მაგალითად“ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გაყალბებული არჩევნები. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა არჩევნების გზით სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა?**

— დღესდღეობით თეორიულად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რადგან შეიმჩნევა ევროპისგან გარკვეული უკმაყოფილება სააკაშვილის მიმართ. ნურავის გაუჩნდება ილუზია, რომ ეს განპირობებულია ევროპელთა განსაკუთრებული დამოკიდებულებით ქართველებისადმი და მათი აღშფოთებით, რომ სააკაშვილმა ქართველი ხალხი დაამშია, რომ პატიმრებს წამებით კლავენ ციხეებში, რომ კონსტიტუცია სალექ რეზინას დაამსგავსეს და რომ ყველაზე უმთავრესი დავკარგეთ, აფხაზეთი და სამაჩაბლო; არც იმის გამო, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახით რეალური ალტერნატივა გამოუჩნდა სააკაშვილს. დასავლეთში ამ ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფომაციებით, აშკარაა, რომ **სააკაშვილი დასავლეთისთვის უმართავი ხდება და მაშინ, როდესაც ევროპასა და ამერიკას ახალი პრობლემა აქვთ ირანის სახით, აქ, რა თქმა უნდა, იკვეთება ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი: საქართველოს, როგორც ვოლოტალური რეგიონის, სტაბილურობის საკითხი!**

მაშინ, როდესაც ბრიტანეთშიც კი უკვე სერიოზულად იხილავენ ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყების შესაძლებლობას, დაისმის კითხვა: აწყობთ კი საქართველოში ეგვიპტის ანდა ლიბიის სცენარის გადათამაშება? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ, **რაც უნდა მოინდომოს ევროპამ და ამერიკამ საქართველოში მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლა, არ შეიძლება გამოირიცხოს თავად სააკაშვილის ფაქტორი, რომელიც ზემოთ ნერონისთვის შემთხვევით არ შემიდარებია.** სწორედ ეს არარაციონალურობა მაღელვებს. სააკაშვილისთვის პრეზიდენტობა იგივეა, რაც ნერონისთვის ომუს ურეა იყო. ნუ დაგვავიწყდება, — სააკაშვილია დღეს სახელმწიფო და სწორედ მას გააჩნია მონოპოლია ძალადობაზე! თუმცა მე შედარებით სკეპტიკურად ვარ განწყობილი არჩევნების თავისუფლების მიმართ. ვიცი რა ამ ქვეყნების სტრატეგიული ინტერესები, ნაკლებად შესაძლებელად მიმაჩნია, საქართველოში წმინდა ეროვნულმა ძალებმა ოდესმე გაიმარჯვონ!

**— როდესაც 12 ივლისს სტამბოლში დაწყებულ მსოფლიო კულტურათა დღეებში მონაწილე ქვეყნებს შორის აჭარა და საქართველო ცალცალკე იყო წარმოდგენილი, თქვენი ორგანიზაციის ინფორმაციით, ეს მკაფიოდ მიანიშნებდა იმაზე, რომ არსებობს მიზანმიმართული მცდელობა აჭარის საქართველოსთვის ეტაპობრივი ჩამოშორებისა.**

— დიახ, ჩვენ გავავრცელეთ მიმართვა ჩვენ მიერვე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. ჩვენდა სამწუხაროდ, „საქინფორმის“ გარდა, ამ მიმართვას არავინ გამოხმაურებია. მე მინდა, გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მათ ▶

**«მასობრივი შიმშილი და უმუშევრობა, პატიმართა უკონტროლო რაოდენობა, პრესისა და ტელევიზიის მონოპოლიზება ხელისუფლების მიერ, დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა — ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში მხოლოდ ფასადური დემოკრატიაა!»**

**„ნერონისგან განსხვავებით, რომელმაც შეძლო პარტიის სამეფოსთან სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა, სააკაშვილმა კიდევ უფრო დაძაბა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და თითქმის შეუძლებელი გახადა მისი მოგვარება აგვისტოს ომის ფიასკოს შედეგად! მაგრამ მაინც მიჭირს იმის დაჯერება, რომ სააკაშვილმა აგვისტოს ომი თვითნებურად დაიწყო.“**

ექსკლუზივი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ უპასუხოდ დატოვა ჩვენი მიმართვები, ბევრ რამეზე მეტყველებს. მათ რომ ადარდებდეთ ქვეყნის ბედი, სულ ცოტა, პროტესტს მაინც გამოთქვამდნენ ფესტივალის ორგანიზატორთა მიმართ. როდესაც ეს არ მოხდა, ჩვენ კიდევ უფრო დავრწმუნდით, რომ აჭარის ცალკე სტატუსით მონაწილეობა ამ ფესტივალში მართლაც არ იყო შეცდომა და არ მომხდარა საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე. **სამწუხაროდ, საზოგადოებამ ტესტი ვერ ჩააბარა — ამ უმსგავსობას სიჩუმით უპასუხა, იმის მაგივრად, რომ განგაშის ზარი შემოეკრა და დაპირისპირებოდა პროვოკაციას. ხოლო თურქეთის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრომ, რომელსაც ჩვენ ასევე მივმართეთ განმარტებისთვის, რამდენიმე კვირის შემდეგ ამ ფესტივალის ხელმძღვანელი გაათავისუფლა თანამდებობიდან.**

**— facebook-ზე თქვენი ორგანიზაციის განცხადებაც კი გავრცელდა, რომ საქართველოს ხელისუფლება და ზოგიერთი სპეცსამსახური მიზანმიმართულად, დისკრედიტაციის მიზნით, გივრცელებდნენ ხმებს, ცდილობდნენ თქვენზე ზეწოლას, აწყობდნენ სხვადასხვა პროვოკაციას.**

— რაც შეეხება დევნას და ზეწოლას, ერთს ვიტყვი: რთულია, პირდაპირი დევნა განახორციელო ბრიტანეთის მოქალაქე ჟურნალისტებზე, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობაც კი არ აქვთ და არ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ხელისუფლება ხშირად მიმართავს მათთვის ჩვეულ პროვოკაციულ ხერხებს. ჩვენ ხალხთან ურთიერთობის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ფეისბუქს ვიყენებთ, სადაც შექმნილია 3000-კაციანი „ნათლის მხედრის“ ჯგუფი, სწორედ ამ ჯგუფში მოხდა ძალიან ბევრი მოულოდნელი პროვოკაციული თავდასხმა „ნათლის მხედარზე“ და შემდგომ მთელ ფეისბუქში გავრცელდა, რომ თითქოს ჩვენ სააკაშვილის მიერ შექმნილი ორგანიზაცია ვართ, რომ ეს ჯგუფი მახეა და სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვების მიზნით შეიქმნა. ასევე იყო ხშირი ლანძღვა-გინება და ანონიმური ავატარებით პირად ფოსტაში უხამსი წერილების წერა! ბოლო პერიოდშიც მოხდა მსგავსი რამ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩამოყალიბდა ჩვენი ორგანიზაციის მომხრეთა ბირთვი და მათზე მსგავსი მეთოდებით ზემოქმედება, საბედნიეროდ, აღარ ჭრის. ამასთანავე, ჩვენ უკვე ვმუშაობთ, რომ მომავალში უფრო დავხვეწოთ საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებები.

**— 2011 წლის 26 მაისს საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ორგანიზაციამ გაავრცელა მიმართვა და მსოფლიოს მთავრობებსა და პარლამენტებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდა, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც საქართველოს მთავრობამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა; დაეგმოთ სისასტიკე და მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის ბრძოლისთვის დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის! თქვენ წერილობით გიპასუხათ ევროპის კომისიის პრეზიდენტმა ხოსე მანუელ ბაროზომ.**

— სამწუხაროა, რომ დღეს ქართველები იმედს ევროპაში ვეძებთ. ევროპარლამენტი და ევროსაბჭო რომ მართლა ინსტრუქციის მიხედვით მუშაობდეს, ყველაფერი ეს, ალბათ, გამართლებულიც იქნებოდა, მაგრამ საქართველოში ევროსტრუქტურებზე თავად ევროპულ პრესაში გავრცელებულ კრიტიკულ მასალას ნაკლებად იცნობენ და, ალბათ, რომ იცნობდნენ, დამოკიდებულება ცოტათი მაინც შეიცვლებოდა.

**– წერილში ბაროზო გწერდათ, რომ მომავალი, 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში დემოკრატიის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება და ევროპის კავშირი მოუწოდებს ოპოზიციას, კონსტრუქციულად და კონსტიტუციურად ჩაებას საარჩევნო სისტემის რეფორმაში სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად. რამდენად გამართლდება, თქვენი აზრით, ევროკომისიის პრეზიდენტის სიტყვები?**

– რა თქმა უნდა, სხვას არც არაფერს უნდა ველოდეთ. ეს ძალიან ფრთხილი და დიპლომატიური პასუხია, ბაროზოს თქმით, აუცილებელია საარჩევნო სისტემის რეფორმა სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად, თუმცა წლების მანძილზე თავად ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში არჩევნები ყველა დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპების დაცვით ტარდებოდა. თუ ეს ასეა, მე არ მესმის მაშინ რაღა საჭიროა საარჩევნო სისტემის რეფორმა. რაც შეეხება დემოკრატიის გამოცდას, მე აქ ორი საკითხი მაღელვებს: პირველი — ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი (როგორ შეიძლება ისაუბრო დემოკრატიულ არჩევნებზე, როდესაც თითქმის ერთადერთ რეალურ პოლიტიკურ ოპონენტს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას უსპობ!) და მეორე — თუ საბოლოო ჯამში მართლაც არ მოხერხდა ივანიშვილისთვის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ვის უნდა მისცეს ხმა ქართველმა ხალხმა — „რესპუბლიკელებს“, „დემოკრატებსა“ და „ნაციონალებს“?! არა მგონია, ქართველ ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის მსგავსი ალტერნატივა მისაღები იყოს, რამეთუ „მორალის მედროშედ ვერ გამოდგება ყოველგვარ შეცდომათა გმირი“. როგორც რიგითი ქართველი, ვისურვებდი ბიძინა ივანიშვილის გვერდით საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად მეხილა ეროვნული ძალები, რადგან „ისტორია ის შენობაა, რომელსაც ვერანაირი ჩალით ვერ გადახურავ“.

„კაცი ვერაფრით ვერ იქნება





**«სააკაშვილს ნერონს შევადარებდი. როგორც ცნობილია, ნერონი გამოირჩეოდა თავისი ექსტრავაგანტულობით. ასევე, ის დიდ ყურადღებას უთმობდა დიპლომატიას, ვაჭრობას, რომის კულტურულ განვითარებას, სპორტს და რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობის «ავტორიც» კი გახლდათ»**

უსამშობლოდ ბედნიერი...“ — დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის ეს სიტყვები უცხოეთში მყოფ ყველა ქართველს დაბინდული სამყაროდან მოახედებს, თვალთაგან ცრემლს დაადენს, მამულში ფეხშიშველ გავლას მოანატრებს. **დღეს ქართველთათვის იგი ლეგენდარული პიროვნებაა, გამორჩეულია მსოფლიოს ოლიგარქთა შორის თავისი უმწიკვლო სახელით, ხასიათის სიმტკიცით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, მეცენატობით. ქვეყანაში, სადაც „ხე არ ჰყოფნით ჯვრების აღსამართავად და ჯვრები არ ჰყოფნით ჯვარზე საცმელად“, მისი პოლიტიკაში მოსვლა გმირობის ტოლფასია.**

**— მარტში ბრიუსელში, საქართველოში ადამიანის უფლებების სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს — ქალბატონ ჰაიდი ჰაუტალას შეხვდით. რა გაგრძელება მოჰყვა ამ შეხვედრას?**

— ქალბატონ ჰაუტალასთან შეთანხმების თანახმად, 28 აპრილს პირადად ჩავიტანე ბრიუსელში უკანონო ქართველ პატიმართა — გვანცა ყუფარაძის, გიორგი ალიმონაკისა და ცოტნე გამსახურდიას საქმეები და ჰაუტალას ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გადავეცი. გვანცა ყუფარაძის საქმე ჩვენთვის თავიდანვე განსაკუთრებული ინტერესის შემცველი იყო არა მხოლოდ პიროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, არამედ ვთვლიდით, რომ ამ გოგონას ისტორია წარმოადგენს საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის იმ უნიკალურ მაგალითს, რომლის სააშკარაოზე გამოტანაც აუცილებელი და სარგებლიანი იქნებოდა არა მარტო გვანცას ინტერესებისთვის, არამედ ყველა უკანონო პატიმრისთვის საქართველოში. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენ მივმართეთ ჰაუტალას, რომ გამოეყენებინა მის ხელთარსებული ყველა ბერკეტი და შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყო სამართლიანობის აღდგენისთვის, რაც გვანცას უპირობო განთავისუფლებითა და მისი სრული რეაბილიტაციით განისაზღვრებოდა. შემდგომ ჩვენ გვქონდა ხშირი კონტაქტი ჰაუტალას სამდივნოსთან და მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. გვაქვს ინფორმაცია, რომ გვანცას საქმე უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქალბატონ ჰაუტალას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პრიორიტეტი იყო გვანცას ვადამდელი განთავისუფლება, სამწუხაროდ, ამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, თუმცა მივიჩნევთ, რომ ჩვენი და ასევე ადამიანის უფლებების სხვა ქართველ დამცველთა დაუღალავი ბრძოლის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ გვანცას საშუალება მიეცა, ჯერ კიდევ პატიმარს, მისაღები გამოცდები ჩაებარებინა და მე დღეს უდიდეს ბედნიერებას მგვრის, რომ გვანცა სტუდენტია. 11 ნოემბერს კი ის განთავისუფლებული იქნა, რადგან მან სრულად მოიხადა უკანონო სასჯელის 5 წელი. მე მომეცა საშუალება, მას ამავე დღეს პირადად გავსაუბრებოდი. ის უმშვენიერესი პიროვნებაა, დახვეწილი, გაწონასწორებული, შესაშური მანერებით!

ინტერვიუს დასასრულს, მინდა, მადლობა გადავუხადო გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას რადგან თქვენი გაზეთი ერთადერთია, „ნათლის მხედრის“ მოღვაწეობით რომ დაინტერესდა. ამასთანავე, მინდა, გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მივმართო ჩემს ქართველ კოლეგებს: „ნათლის მხედარი“, უკვე თითქმის ერთი წელია, არსებობს, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში ქართული მედიის არც ერთი წარმომადგენელი არ დაინტერესებულა ჩვენი საქმიანობით. ნუთუ მართლა ასე ბნელა საქართველოში, მეგობრებო, რომ სიტყვა „ნათელის“ გაგონებაც კი გაღიზიანებთ?! ან იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი ორგანიზაციის სახელი არის სიტყვები საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას ცნობილი ლექსიდან „მესხეთისადმი“ („წმინდა გიორგი, საქართველოს ნათლის მხედარი, ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს“). გარწმუნებთ, მიუხედავად ყოველივე ამისა, „ნათლის მხედარი“ კვლავ გააგრძელებს ბრძოლას თავისი ერთგული წევრებით, რათა ამხილოს საქართველოს შინაური და გარეშე მტერი და ითანამშრომლებს ყველასთან, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი.

მალე შემოაბიჯებს ახალი, 2012 წელი და მსურს, საქართველოს მივმართო ჩემი საყვარელი პოეტის სიტყვებით:

**„თენდება თეთრად! თენდება**
**თეთრად! თენდება თეთრად!**
**და მინდა, მხოლოდ სამშვიდობო**
**ლექსები ვწერო,**
**მშვიდობა შენდა! მშვიდობა**
**შენდა! მშვიდობა შენდა!**
**მშვიდობით გევლოს**
**სამშობლოში, ახალო წელო!“**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

**«ვის უნდა მისცეს ხმა ქართველმა ხალხმა — «რესპუბლიკელებს», «დემოკრატებსა» და «ნაციონალებს»?! არა მგონია, ქართველ ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის მსგავსი ალტერნატივა მისაღები იყოს, რამეთუ «მორალის მედროშედ ვერ გამოდგება ყოველგვარ შეცდომათა გმირი»**

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გუბერნატორმა სტუდიაში, პირდაპირ ეთერში ჯერ აგინა, მერე სცემა ჟურნალისტი. „ნაციონალებმა“ ყასიდად დასაჯეს ბობოხიძე — მოხსნეს გუბერნატორობიდან, მაგრამ ერთ წელიწადში ეროვნული გვარდიის სარდლად დანიშნეს. მერე ისევ გააგუბერნატორეს, ახლა პარლამენტში გარემოს დაცვის კომიტეტს თავკაცობს. აი, ასეთია დანაშაული და სასჯელი „ნაციონალურად“. კაკო ბობოხიძემ კი თანრიგი და კვალიფიკაცია აიმაღლა ამასობაში და დეპუტატების ცემაზე გადავიდა — ჯერჯერობით მჩატე წონოსან პეტრე მამრაძით დაიწყო.**

„ვარდების რევოლუციის“ მერვე წლისთავს „დემოკრატიის შუქურა“ მიხეილ სააკაშვილი და მისი „ნაცმოძრაობა“ გაპარტახებული, შეურაცხყოფილი მედიით, დაშინებული, დამონებული, ნაცემი ჟურნალისტებით ხვდება. ამ 8 წელიწადში „ნაცმოძრაობამ“ ისეთი შავი დღე აყარა ქართულ მედიას, რისთვისაც კლასიკური დიქტატურის ტირანებს სამი-ოთხი ათეული წელი სჭირდებათ ხოლმე.

# ჩუმად! — მიმდინარეობს მედიატერორი

**ერთ სტატიაში შეუძლებელია ყველა უმსგავსობისა და დანაშაულის ჩამოთვლა, რითაც „ნაცმოძრაობამ“ ქართულ მედიას ავნო. შევეცდებით, ნაწილი მაინც შეგახსენოთ ნიმუშად და დასტურად იმისა, რაც ზემოთ მოგახსენეთ.**

„ვარდების რევოლუცია“ 3 თვის მომხდარი იყო, ახალ ხელისუფლებას საფუძველი ჯერაც არ ჰქონდა გამყარებული, როცა იმჟამინდელი გენპროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებითა და სანქციით, ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის სპეცრაზმები ერთდროულად შეიჭრნენ ტელეკომპანია „იბერიის“ ტერიტორიაზე. იმხანად ტელეკომპანია „იბერიისა“ და კომპანია „ომეგას“ ოფისი ერთ ტერიტორიაზე იყო განთავსებული. ორივე პარლამენტარ ზაზა ოქრუაშვილის საკუთრება იყო. ოქრუაშვილი ირწმუნებოდა, მე „ომეგას“, სიგარეტის იმპორტიორ კომპანიას, ვამოწმებო. მისი საწყობები დაილუქა და ამ ტერიტორიაზე შესვლა ყველას აეკრძალა. რატომღაც დემოკრატიის ლოზუნგით მოსული „ნაციონალები“ ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ რაღაც 3 თვეში დამოუკიდებელი ტელეკომპანიის თანამშრომლებს სამსახურში არ უშვებდნენ, ჟურნალისტები სიუჟეტებს ვერ აკეთებდნენ... მოკლედ, ოქრუაშვილმა თავისას მიაღწია — ჯერ საინფორმაციო გამოშვება შეაჩერა „იბერიამ“, მერე ტელეკომპანიაც დაიხურა.

„იბერიის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი ლუბა ელიაშვილი ასე იხსენებს ამ ამბავს: **„ეს იყო გამიზნული, დაგეგმილი სპეცოპერაცია დამოუკიდებელი ტელეკომპანიის წინააღმდეგ. თუ „ომეგას“ ამოწმებდნენ, ტელევიზია რა შუაში იყო? ბოლოს და ბოლოს, სპეცსაშვებით შეეშვათ „იბერიის“ თანამშრომლები ტერიტორიაზე და გაემიჯნათ „ომეგის“ ოფისი. მაგრამ არა — ეს იყო მიზანმიმართული გეგმა „იბერიის“ დასახურად და ამას მიაღწია ირაკლი ოქრუაშვილმა. „ნაცმოძრაობის“ ლიბერალური ლოზუნგების პირველი დიდი მსხვერპლი სწორედ „იბერია“ აღმოჩნდა. ტელეკომპანია დახურეს, ზედ მიაყოლეს გაზეთი „ახალი ეპოქა“, რომელსაც „ომეგა“ აფინანსებდა, და დიდად ლოიალურად არც ეს გაზეთი იყო განწყობილი ახალი ხელისუფლების მიმართ“.**

ტელეკომპანია „მზე“, რომლის საკონტროლო პაკეტსაც ვანო ჩხარტიშვილი ფლობდა, იმათავითვე ყელში გაეჩხირათ „ნაციონალებს“ — არხი აშკარად ოპოზიციური იყო. ჩხარტიშვილმა არხი არ დათმო, მიუხედავად მასზე ზეწოლა-შანტაჟისა, მაგრამ აქ უკვე სულ სხვა მეთოდს მიმართეს „ნაციონალებმა“. ტელეკომპანიიდან ჟურნალისტთა ნაწილი გადმოიბირეს და არხზე განხეთქილება მოხდა. ტელეკომპანიაში უმძიმესი სამუშაო გარემო შეიქმნა. „ნაციონალებს“ გამორჩეულად აღიზიანებდათ ირაკლი იმნაიშვილის გადაცემა „არჩევანის ზღვარზე“, **პირველად „ნაცები“ 2005 წლის თებერვალში გამწარდნენ, როცა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოწვეულმა ექსპერტებმა ტელევიზიის ეთერში ეჭვი გამოთქვეს პრემიერ-მინისტრის ბუნებრივი სიკვდილის გამო და მიანიშნეს — ამ საქმეში, შესაძლოა, ხელისუფლებაც გარეულიაო. ბოლო წვეთი კი გიგა ბოკერიას განცხადება აღმოჩნდა — მან არ მოიწონა ე. წ. მოჭიდავეების აქციის პირდაპირ ეთერში გაშუქება (მაშინ ძიუდოისტების — გიორგი რევაზიშვილისა და ალექსი ალექსიშვილის დაჭერამ ააგორა საპროტესტო ტალღა).** საბოლოოდ, ვანო ჩხარტიშვილმა ვერ გაუძლო ზეწოლას და არხის საკონტროლო პაკეტი დათმო. ჩხარტიშვილს უკან მიჰყვა საინფორმაციო სამსახურის უფროსი ინგა დადიანი და ოცამდე ჟურნალისტი. აქაც მიაღწიეს საწადელს „ნაციონალებმა“ — მცირე ხნით ფსევდოოპოზიციურ არხად ამუშავეს „მზე“, მერე კი პოლიტიკური გადაცემები საერთოდ დახურეს და ახლა რას ჰგავს ჩასვენებული „მზე“, ყველას კარგად მოეხსენება.

ირაკლი იმნაიშვილის გახსენებაზე, მის თავს გადამხდარ ერთ სკანდალს შეგახსენებთ. 2005 წლის 1 დეკემბერს ქუთაისის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „რიონის“ სტუდიაში, პირდაპირ ეთერში იმნაიშვილსა და იმერეთის გუბერნატორ აკაკი ბობოხიძეს შორის გაიმართა დებატები. იმნაიშვილმა სწორედ მედიაზე ზეწოლა-შანტაჟში ამხილა ბობოხიძე და ალიყურიც მიიღო პირდაპირ ეთერში. **გუბერნატორმა სტუდიაში, პირდაპირ ეთერში ჯერ აგინა, მერე სცემა ჟურნალისტი. „ნაციონალებმა“ ყასიდად დასაჯეს ბობოხიძე — მოხსნეს გუბერნატორობიდან, მაგრამ ერთ წელიწადში ეროვნული გვარდიის სარდლად დანიშნეს. მერე ისევ გააგუბერნატორეს, ახლა, პარლამენტში გარემოს დაცვის კომიტეტს თავკაცობს. აი, ასეთია დანაშაული და სასჯელი „ნაციონალურად“. კაკო ბობოხიძემ კი თანრიგი და კვალიფიკაცია აიმაღლა ამასობაში და ახლა დეპუტატების ცემაზე გადავიდა — ჯერჯერობით მჩატე წონოსან პეტრე მამრაძით დაიწყო.**

შერლოკ ჰოლმსის საგამოძიებო უნარია საჭირო, ბოლომდე რომ ჩასწვდე იმ მაქინაციებს, რისი მეშვეობითაც „ტვ-202“ დახურეს „ნაციონალებმა“. მართალია, ბევრი იძახეს, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მისმა გერმანელმა მფლობელმა ჰანს ალტენბურგმა გაყიდა 56 ათას დოლარადო, მაგრამ ასე არ არის. **რატომღაც, „202“-ს მყიდველი „ახალი ქართული იურიდიული ჯგუფი“ აღმოჩნდა, რომლის დამფუძნებლებს შორის ზურაბ ნოღაიდელის მეუღლე იყო, დირექტორი — დიმიტრი ქიტოშვილი, ერთ დროს მარეგულირებელი კომისიის შეფი და ოქრუაშვილის ხელის ბიჭი; ამავე კომპანიის წარმომადგენელი იყო კახა ნინუა, რომელმაც „იყიდა“ ალტენბურგისგან ტელეკომპანია. რეალური მყიდველი ოქრუაშვილი რომ იყო, ეს მაშინ გამოჩნდა, როცა არხი დახურეს და „202“-ის სიხშირეზე მაუწყებლობა თავდაცვის სამინისტროს ტელევიზია „საქართველომ“ დაიწყო. ესეც მორიგი არხია, ამ ხელისუფლების მიერ მიხურული.**

„ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი შემოქმედი „რუსთავი 2“ ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა. ეროსი კიწმარიშვილს ჯერ პოლიტიკური ამბიციები ჩაუკლეს „ვარდების სამეულმა“, მერე კი აიძულეს, 10 მილიონ დოლარად ოქრუაშვილის ფავორიტისთვის — ქიბარ ხალვაშისთვის მიეყიდა მისი წილი ტელეკომპანიაში. მერე ნელ-ნელა ორი მოწილე — დვალი და აქიმიძეც ჩამოიცილეს და „რუსთავი 2“ საბოლოოდ „განაციონალდა“.

**ტელეკომპანია „რიონსაც“ დიდი წვლილი მიუძღვის იმერეთში „ნაციონალთა“ პიარის საქმეში. მისი მეპატრონე ბონდო შალიკიანი დიდი მეხოტბე იყო მიხეილ სააკაშვილისა, მაგრამ, როცა გახელისუფლდნენ, „ნაცებმა“ შალიკიანი პირდაპირ საძინებლიდან ტრუსისამარა დააპატიმრეს და ციხე ახეხინეს, მერე საპროცესო გარიგებით გამოუშვეს, რაც მთავარია, „რიონიც“ წაართვეს.**

ბათუმის 25-ე არხი გამუდმებული შანტაჟის, ზეწოლის ქვეშ იყო, მაგრამ არა და არ ნებდებოდა ხელისუფლებას. ბოლოს, საგადასახადო სამსახურმა უშველა საქმეს — 277 ათასი ლარი დააკისრა ტელეკომპანიას ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამ დროს აჭარის საგადასახადო დეპარტამენტს ლევან ვარშალომიძის ბიძაშვილი, ელდარ ვარშალომიძე ხელმძღვანელობდა და ნათელი იყო, რომ არხს გაკოტრებას უპირებდნენ. 25-ე არხის მეპატრონე ზურაბ მერკვილაძე არ ნებდებოდა — ეს არის გამოგონილი, 2002-04 წლების დავალიანება, რომელიც თითიდან არის გამოწოვილიო. ეს ამბავი 2009 წლის ოქტომბერში ხდება. იბრძოლა არხის ხელმძღვანელობამ, მაგრამ „ნაცებმა“ თავისი გაიტანეს, პოლიტიკური კონტროლი ამ არხზეც დაამყარეს.

**გორის ტელეკომპანია „თრიალეთის“ მეპატრონეს — ბადრი ნანეტაშვილს თავისუფალი სიტყვისთვის ბრძოლა დეპუტატის მანდატად დაუჯდა. „თრიალეთი“ ირაკლი ოქრუაშვილისა და მისი გუნდის წევრთა კრიტიკით იყო დაკავებული, გამორჩეულად გუბერნატორ მიხეილ ქარელს ერჩოდნენ. ოქრუაშვილმა ჯერ საკუთარი ჟურნალისტები დაუპირისპირა ნანეტაშვილსა და მის ძმას, ჯონი ნანეტაშვილს, „თრიალეთის“ დირექტორს; მერე, მათივე „ჩვენების“ საფუძველზე, საქმე აღიძრა, — ბადრი ნანეტაშვილს ტელეკომპანიასთან ახლოს პურის საცხობი, ანუ ბიზნესი აქვსო.** რა თქმა უნდა, გენპროკურორმა ადეიშვილმა ფაქტი მყისიერად დაადასტურა და პარლამენტს მიმართა შუამდგომლობით, დეპუტატის იმუნიტეტი შეუწყვიტეთ ნანეტაშვილს, კანონს არღვევს, თან დეპუტატია, თან ბიზნესიც აქვს, კანონით ეს შეუთავსებელიაო.

2004 წლის ივნისში გორში „ხალხის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი რეზო ოქრუაშვილი ნარკორეალიზაციის ბრალდებით დააკავეს. „ხალხის გაზეთიც“ ოქრუაშვილი-ქარელის დიდი ოპონენტი იყო. ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ოქრუაშვილმა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილეს, კრიმინალური პოლიციის უფროსს, რეზო კლდიაშვილს დაავალა. მან პირნათლად შეასრულა დავალება — რეზო ოქრუაშვილი ღამის 3 საათზე აიძულა, საპროცესო გარიგებისთვის მოეწერა ხელი, ანუ წაყენებული ბრალი — ნარკორეალიზატორობა ეღიარებინა. ფსიქოლოგიურ წნეხისა და ოჯახის წევრებზე მუქარით აიძულეს ამის გაკეთება და ახალგაზრდა კაცის პროფესიულ საქმიანობას, ფაქტობრივად, ჯვარი დაუსვეს. აი, ასე იშორებდნენ თავიდან არასასურველ ჟურნალისტებს „დემოკრატი ნაციონალები“.

„ნაციონალთა“ მიერ თავისუფალი მედიის „დათრევის“ საქმეში გამორჩეულია „პრესა.ჯი“-ს ისტორია. ეს ინტერნეტ გამოცემა თავისუფალ ჟურნალისტთა ერთ ჯგუფს ეკუთვნოდა, მისი მთავარი რედაქტორი გია იაკობაშვილი გახლდათ, მაგრამ „პრესა.ჯი“ გაყალბებული დოკუმენტაციით მიითვისეს „ნაციონალებმა“, მართალია, იაკობაშვილმა და მისმა გუნდმა სახელდახელოდ შექმნეს „პრესა.ჯი“-ს საპირწონე „პრესა.ჯი.ტვ“ და საქმიანობა გააგრძელეს, მაგრამ ჟურნალისტებს წლების მანძილზე აწყობილი, ყველაზე პოპულარული ინტერნეტგამოცემა წაართვეს და საქმის ნულიდან დაწყება მოუწიათ.

ალბათ, არ ღირს ამერიკელი დიდჩინოსნების სანქციით დარბეულ „იმედზე“ ბევრი ლაპარაკი. ეს ისტორია ყველას კარგად ახსოვს, მხოლოდ ერთს დავძენ — ქვეყანაში, სადაც დემოკრატიის თუნდაც ჩანასახია, სპეცრაზმელები დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში აპარატურას არ ამტვრევენ, ჟურნალისტებს იარაღის მუქარით იატაკზე არ აწვენენ, არ ყრიან და არხის გენდირექტორს შუბლზე იარაღს არ ადებენ, არც ფეხმძიმე ჟურნალისტებს დასდევენ ქუჩა-ქუჩა და სადარბაზოებში. ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა მომხდარიყო, დიკ ჩეინის გუნდის ნებართვით, გიგა ბოკერიას, ვანო მერაბიშვილის და მიხეილ სააკაშვილის სცენარით.

26 მაისი ახლახან იყო, ათეულობით ჟურნალისტი სცემეს და შეურაცხყვეს სპეცრაზმელებმა, ოპერატორებს კამერები დაუმტვრიეს, ხოლო „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები: გიორგი მამაცაშვილი და ბექა სივსივაძე რეზინის ტყვიებით გადაცხრილეს. ეს ბიჭები აშკარად სასიკვდილოდ იყვნენ გამეტებულნი, მათ ათეულობით რეზინის ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი და, რომ არა მათი ამტანობა, სულიერი სიმხნევე, ვაჟკაცობა და ბედისწერა, დიდი უბედურება შეიძლებოდა დატრიალებულიყო.

„ჯაშუში ფოტოგრაფების“ ცნობილი საქმეც, სავარაუდოდ, 26 მაისის გაგრძელება იყო. ხელისუფლებამ არ აპატია პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფ ირაკლი გედენიძეს, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომელსა და გაზეთ „ალიას“ ფოტოკორესპონდენტ გია აბდალაძეს 26 მაისის დარბევის ამსახველი საზარელი კადრების გადაღება-გავრცელება. ხელისუფლებამ მოიგონა „ჯაშუშების საქმე“, ამ საქმეში მსხვერპლად კიდევ ერთი ფოტორეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე ჩართო და საქმეც შეკერა, ვითომ ეს სამეული ქურციკიძის მეშვეობით რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. ირაკლი გედენიძის მეუღლე — ნათია გედენიძეც მორიგი მსხვერპლი იყო ამ თამაშისა. რეალურად ის ირაკლი გედენიძისგან სასურველი ჩვენების გამოძალვისთვის გამოიყენეს. ამ ჟურნალისტების კარიერა, ცხოვრება გაამრუდა სააკაშვილმა — მათ აღიარეს ჯაშუშობა და საპროცესო გარიგებით დააღწიეს თავი ციხეს, თანაც იმგვარად, რომ ცხოვრებაში იურიდიულად ვეღარ დაამტკიცებენ, რომ ჯაშუშები არ არიან. მართალია, არც ერთ ჭკუათმყოფელს არ სჯერა მათი ჯაშუშობისა, მაგრამ ცოტაა ჩვენში ტვინნაღრძობი და ტვინგადაბრუნებული? მარტო სულით, გულით, რწმენით „ნაციონალები“ რამდენია? სამწუხაროდ, — ოხრად!

ხელისუფლების მხრიდან გამუდმებულ ზეწოლას განიცდიდნენ და განიცდიან რეგიონული მედიასაშუალებები — ტელეკომპანია „ოდიში“, რომელიც ასევე ძალისმიერი მეთოდით ჩაიგდო ხელთ ხელისუფლებამ, მისი ჟურნალისტი ნანა ფაჟავა, „ალიას“ იმერეთის ზონის კორესპონდენტი ნანა თვალაბეიშვილი, გაზეთ „ქიზიყის“ რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი და მისი თანამშრომლები, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორების მუდმივ დევნა-შევიწროებას განიცდის ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი, რომელსაც მიხეილ ქარელმა თავის დროზე ხელი გაარტყა.

აი, ასეთი აურზაურია მიხეილ სააკაშვილის სალხინეთში. ქართული მედია სულს ღაფავს, მიშა კი დემოკრატიას აშენებს თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი ჟურნალისტიკის გარეშე.

**ლევან ჯავახიშვილი**



**ლუბა ელიაშვილი:**

**«ეს იყო გამიზნული, დაგეგმილი სპეცოპერაცია დამოუკიდებელი ტელეკომპანიის წინააღმდეგ. თუ «ომეგას» ამოწმებდნენ, ტელევიზია რა შუაში იყო? ბოლოს და ბოლოს, სპეცსაშვებით შეეშვათ «იბერიის» თანამშრომლები ტერიტორიაზე და გაემიჯნათ «ომეგის» ოფისი. მაგრამ არა — ეს იყო მიზანმიმართული გეგმა «იბერიის» დასახურად და ამას მიაღწია ირაკლი ოქრუაშვილმა...»**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო გამოიძიებს დანაშაულებებს, რომლებიც მარიონეტული გარდამავალი ნაციონალური საბჭოს სამხედრო ქვედანაყოფებმა და ნატომ ლიბიაში ჩაიდინეს. პირველ რიგში, ეს ეხება ნატოს ავიაციის მიერ 11 აგვისტოს დასახლება ზლიტენის დაცხრილვას, რომლის შედეგადაც 85 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 32 ქალი და 33 ბავშვი დაიღუპა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამოიძიებს პრონატოელი მებრძოლების დანაშაულებათა სხვა შემთხვევებსაც.**

# ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი დასავლური «დემოკრატიის» ნაცვლად

**სააგენტო „Reuters“-ი იტყობინება, რომ საერთაშორისო ტრეიდერები შიშობენ გარიგებების დადებას მარიონეტულ პრონატოურ „ხელისუფლებასთან“ და ლიბიაში ხორბლის მიწოდება პრაქტიკულად შეჩერებულია.**



**საერთაშორისო დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ლიბიის ეკონომიკური ზონა ხმელთაშუა ზღვაში შავ ხვრელად იქცა, საიდანაც, სარგებლობენ რა თევზის დაცვის ლიბიური სისტემის განადგურებით, მეთევზე-ბრაკონიერები ევროპის ყველა ქვეყნიდან დაეხეტებიან.** ანალიტიკოსები იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ სომალიში მეკობრეების ინდუსტრია თავის დროზე სწორედ ამგვარად დაიწყო, როდესაც სომალიში სახელმწიფო სტრუქტურების გაქრობის შემდეგ ბრაკონიერმა-მეთევზეებმა ნელ-ნელა დაიწყეს თვითორგანიზება, ბანდებად გაერთიანება, ერთობლივი ბუღალტერიის წარმოება, დანაზოგით ჯერ ახალი გემების, შემდეგ კი იარაღის შეძენა. იარაღი თავდაპირველად თავდაცვისათვის იყო საჭირო, შემდეგ კი — გემების გასატაცებლად.

**თავად „რევოლუციონერები“ ახლა არა მხოლოდ ომობენ ლიბიის განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან და ეროვნული წინააღმდეგობების რაზმებთან, რომელთაც სათავეში მოამარ კადაფის ვაჟი, სეიფ ალ-ისლამი უდგას, არამედ ერთმანეთითაც არიან დაკავებულნი. ლიბიის სხვადასხვა რეგიონის დემოკრატიულ მეთაურებს, განსაკუთრებით ზინტანის, ტრიპოლისა და ბენღაზის დაჯგუფებებს, შორის ამჟამად უწყვეტი საბრძოლო შეტაკებები მიმდინარეობს.**

როგორც ალჟირის ერთ-ერთი წამყვანი საინფორმაციო პორტალი იტყობინება, ბენღაზელების დაჯგუფებამ ტრიპოლელ თანამოაზრეებთან ბრძოლის შემდეგ ხელში ჩაიგდო აეროპორტი. მასმედიის ცნობით, ტრიპოლის „რევოლუციური“ საბჭოს მეთაური აბდალა ნაკერი ესესაა ფორმირებულ „ხელისუფლებას“ ჩამოგდებითაც კი ემუქრებოდა. ამ ხელისუფლების სათავეში ამერიკელი აბდელრაჰიმ ალ-კიბა დგას.

ეს ყველაფერი ხდება თავისუფლებისათვის მებრძოლი პრონატოელების მხრიდან დაუსრულებელი ძარცვისა და დარბევების გამო მშვიდობიანი მოქალაქეების მზარდი უკმაყოფილების ფონზე. გაზეთი „Telegraph“-ი წერს იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში გაჩაღებულია მასშტაბური ექსპროპრეაცია და „რევოლუციონერები“ იტაცებენ ნებისმიერ სასურველ ქონებას იმ პირობით, რომ რევოლუციის დასრულების შემდეგ დააბრუნებენ. კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საბაბით, გაზეთის წყაროების მტკიცებით, ახალი ხელისუფლებისთვის არასასურველ ადამიანებთან ანგარიშსწორება ხორციელდება.

დეკემბერში გამოქვეყნდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კომუნიკე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ლიბიიდან გაიქცა ომამდე აფრიკის 19 ქვეყნიდან ლიბიის ჯამახირიაში ჩასული და იქ მომუშავე 200 ათასზე მეტი აფრიკელი.

**საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო გამოიძიებს დანაშაულებებს, რომლებიც მარიონეტული გარდამავალი ნაციონალური საბჭოს სამხედრო ქვედანაყოფებმა და ნატომ ლიბიაში ჩაიდინეს. პირველ რიგში, ეს ეხება ნატოს ავიაციის მიერ 11 აგვისტოს დასახლება ზლიტენის დაცხრილვას, რომლის შედეგადაც 85 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 32 ქალი და 33 ბავშვი დაიღუპა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გამოიძიებს პრონატოელი მებრძოლების დანაშაულებათა სხვა შემთხვევებსაც.**

აი, რატომ მალავს ლიბიას დუმილის სქელი ფარდის ქვეშ მსოფლიო მასმედია: ლიბიაში დასავლური „დემოკრატიის“ ზეიმზე სათქმელი არაფერია.

newsland.ru

# აშშ-ის მასშტაბური საიდუმლო ოპერაციები — ირანის წინააღმდეგ

**სახალხოდ პრეზიდენტი ობამა რამდენიმე დღის წინ წარუმატებლად ცდილობდა, ზეწოლა მოეხდინა რუსეთსა და ჩინეთზე, რათა მათ ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად დიპლომატიური მცდელობებისათვის დაეჭირათ მხარი. მაგრამ იმავე დღეს გამოჩნდა ახალი მტკიცებულებები იმ ეფექტური და დაუნდობელი საიდუმლო ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ირანის სამხედრო პოტენციალი ნადგურდება.**



ირანის ხელისუფლება იტყობინება, რომ საბრძოლო მასალების საწყობში მომხდარი უძლიერესი აფეთქების შედეგად გარდაცვლილ 17 ადამიანს შორის იყო ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის მაღალი რანგის მეთაური, რომელიც ირანის სარაკეტო პროგრამას ედგა სათავეში. სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „IRNA“ კი იტყობინება, რომ მეცნიერებმა თავიანთ კომპიუტერულ სისტემებში აღმოაჩინეს ახალი ვირუსი, რომელიც შარშან ირანის ცენტრიფუგების მუშაობის დარღვევისათვის გამოყენებული „Stuxnet“-ის გაცილებით დახვეწილი და რთული ვერსია იყო.

**ირანმა განაცხადა, რომ ჯარის ბაზაზე აფეთქება უბედური შემთხვევა იყო და რომ ახალ ვირუს „DUQU“-ს შეჩერება მოხერხდა.** მაგრამ ისრაელის გაზეთები და ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტი ირწმუნებიან, რომ ეს ირანის ბირთვული საფრთხის ლიკვიდაციისათვის გამიზნული ცსს-სა და ისრაელის მოსადის საიდუმლო ოპერაციის გაგრძელება იყო.

**საიდუმლო ოპერაცია ითვალისწინებს მთელი რიგი მეცნიერების მკვლელობებს, რაც 2007 წლიდან დაიწყო, ასევე — ორი წლის წინანდელი ანალოგიური აფეთქება ირანის სხვა სარაკეტო ბაზაზე. ყველა ეს ქმედება ძირითადად მოსადს ბრალდება.**

„დაე, კიდევ ბევრი იყოს,“ — ეს იყო ერთადერთი, რაც ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰმუდ ბარაკმა ამერიკულ რადიოს ახალ აფეთქებასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა.

იყო მესამე საიდუმლო მოვლენაც. რამდენიმე დღის წინ დუბაის სასტუმროში მკვდარი იპოვეს ირანის მაღალჩინოსნის ვაჟი. თანამდებობის პირი მკაცრი პოლიტიკის მომხრე იყო. მართალია, შემთხვევა თვითმკვლელობას ჰგავდა, მაგრამ მამამ ამ ვერსიას საეჭვო უწოდა და დეტალების დაკონკრეტების გარეშე დააკავშირა საკუთარი შვილის გარდაცვალება სამხედრო ბაზაზე მომხდარ აფეთქებასთან.

ისრაელი დაადანაშაულეს 11 აგენტის გამოყენებაში, რომლებმაც გასულ წელს დუბაის სასტუმროში ორგანიზაცია „ჰამასის“ მთავარი ტერორისტი დაადანაშაულა.

**ბოლო პერიოდში ირანსა და აშშ-ს შორის დაძაბულობამ იმატა, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოამზადა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ირანი ახლოსაა ბირთვული იარაღის შექმნასთან.**

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის კონფერენციაზე ჰავაიზე ობამა შეეცადა, რუსეთისა და ჩინეთის მხარდაჭერა მოეპოვებინა ირანთან დაკავშირებით სანქციების გამკაცრებასთან დაკავშირებით, პირადად შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს და ჩინელ თავმჯდომარე ხუ ცზიანტაოს.

შედეგად ხუ ცზიანტაოს ირანი არც კი უხსენებია, მედვედევი კი შემოიფარგლა განცხადებით იმის თაობაზე, რომ ობამასთან ირანზე ისაუბრა.

შაბათის დებატებისას რესპუბლიკელი პრეზიდენტობის კანდიდატების მხრიდან მწვავე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეხვა, როდესაც ისინი აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტი ძალზე რბილად ექცევა თეირანს და, რომ მზად არიან, აუცილებლობის შემთხვევაში, ირანთან ომი დაიწყონ, ოღონდ კი მისი ბირთვული პროგრამა შეაჩერონ.

**წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა სპიკერმა ნიუტ გრინგრიჩმა მკაცრად გააკრიტიკა ობამა იმისათვის, რომ ის არაგონივრულად იქცევა ირანთან მიმართებაში. გინგრიჩმა აღნიშნა, რომ დაიწყებს ირანის საწინააღმდეგო „მაქსიმალურად მასშტაბურ საიდუმლო ოპერაციებს მისი მეცნიერების ლიკვიდაციის ჩათვლით... ყველაფერი გაკეთდება საიდუმლოდ, რომ ყველაფრის უარყოფა შეიძლებოდეს“.**

თეთრი სახლის ეროვნილი უშიშროების საკითხთა მრჩევლის მოადგილემ ბენ როდსმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ირანზე ზეწოლის გამო მისი უფროსობა გაოგნდა, ირანის ეკონომიკა კი გაჩერდა.

New York Daily News

მოკლედ

## «C-500» მთელ რუსეთს დაიცავს

**შეიარაღებაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი კომპლექსების „C-500“-ის მიღებით, ჩვენ საშუალება გვექნება რუსეთის მთელი ტერიტორია საჰაერო-კოსმოსური თავდასხმისაგან დავიცვათ.** ეს განცხადება რუსეთის გენშტაბის გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა გააკეთა. „კომპანია „ალმაზ-ანტეის“ ორი წელი მივეცით იმისათვის, რომ ააშენოს ორი ახალი ქარხანა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი კომპლექსების — „C-500“-ის წარმოებისათვის. სწორედ ეს კომპლექსები იქნება საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ჯარებში და იგი ჩვენ მთელი ქვეყნის დაფარვის საშუალებას მოგვცემს,“ — განაცხადა მაკაროვმა.

## იანუკოვიჩი ნაწყენია

**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი სინანულს გამოთქვამს რიგი პოლიტიკოსების მცდელობების გამო, რომელთაც სურთ, ქვეყნის ევროპაში ინტეგრაციის საკითხი ექსპრემიერ-მინისტრის — იულია ტიმოშენკოს სისხლის სამართლის საქმეს დაუკავშირონ.** მისი თქმით, მან პოლონელ და გერმანელ კოლეგებს: ბორისლავ კომაროვსკისა და კრისტიან ვულფს აუხსნა, რომ მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გასაფორმებლად, ფაქტობრივად, 11 ნოემბერს დასრულდა. ტიმოშენკოს საქმეზე საუბრისას იანუკოვიჩმა განმარტა, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში, „ამიტომაც პრეტენზიები მოქმედ ხელისუფლებასთან არამართლზომიერია“.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ ანტარქტიდის ყინულოვან ფარზე ყინულის მოცულობა კლებულობს, უფრო მეტიც, გლობალური დათბობის ფონზე ანტარქტიდის ირგვლივ ზღვების ყინულოვნება უკანასკნელ ათწლეულებში იზრდება,“ — ასკვნის პროფესორი კლიმენკო.
ალიასკის საერთაშორისო არქტიკული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი სიუნ-იჩი აკასოფა კი ირწმუნება, რომ პოლარული ქუდები მუდმივად იზრდება და მცირდება. ასეთია მათი ბუნება.

# ერთი სიცრუის ისტორია, ანუ გლობალური დათბობა

**უკანასკნელ წლებში გლობალური დათბობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილვადი თემაა. გვარწმუნებენ, რომ ქარხნები და მანქანები ჩვენს ირგვლივ ტემპერატურას თანდათან უმატებენ და ამ ყველაფრის მიზეზი ნახშირმჟავა გაზი, ანუ $CO_2$-ია. მაგრამ ასეა კი სინამდვილეში? სიმართლის გაგების დრო მოვიდა. არსებობს იმის დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ პლანეტაზე კლიმატის შეცვლაში სინამდვილეში ადამიანი ოდნავაც არაა დამნაშავე. ვინ და რა მიზნით მოიგონა დიადი მითი ხელქმნილ გლობალურ დათბობაზე და როგორ იშოვეს ამით ფული?**



დედამიწის ისტორიის მანძილზე იყო დათბობისა და გაციების პერიოდები, რომელთა დროსაც დღევანდელ კლიმატთან შედარებით ბევრად უფრო ცხელი და ცივი დღეები იდგა, როდესაც პლანეტის უდიდესი ნაწილი ტროპიკული ტყეებით ან უზარმაზარი ყინულებით იფარებოდა. კლიმატი იცვლებოდა და ეს ადამიანების დახმარების გარეშე ხდებოდა. **დაკვირვების მონაცემები აჩვენებს, რომ XIX საუკუნეში დასრულდა თანამედროვე ისტორიის ყველაზე ცივი პერიოდი, რომელიც ევროპაში XV საუკუნიდან დაიწყო. მას „ახალ გამყინვარებას“ უწოდებენ. რამდენიმე ასეული წლის წინ მოსკოვში, ისტორიკოსთა მტკიცებით, თოვლი ზაფხულშიც კი მოდიოდა, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ დათბობისა და აციების თეორიების თაობაზე, ამიტომაც კლიმატის ცვლილებებს მშვიდად ხვდებოდნენ.** თუ საუკუნეების სიღრმეში უფრო შორს ჩავიხედავთ, ოქროს ხანაში დღევანდელზე ბევრად უფრო მაღალ ტემპერატურას გადავაწყდებით. კლიმატოლოგები ამ პერიოდს „შუასაუკუნოვან დათბობას“ უწოდებენ.

გლობალური დათბობის თეორიის მთავარი მესაჭეა კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი კომისია „IPCC“. ეს არის საერთაშორისო ჩინოვნიკების ჯგუფი, რომელიც ქირაობს მეცნიერებს, რათა მათთვის საინტერესო დასკვნები მიიღონ. გაეროს კომისია მთელ მსოფლიოს აშინებს თავისი წარმოუდგენელი პროგნოზებით. ამ პროგნოზების მიხედვით, 2020 წლისათვის რუსეთის ტერიტორიის 20 პროცენტი საცხოვრებლად გამოუსადეგარი იქნება. გოლფსტრიმის გაქრობა კატასტროფას გამოიწვევს. ზაფხულში ტემპერატურა, შესაძლოა, 50 გრადუსამდე ავიდეს. პროფესორი კლიმენკო რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი კლიმატოლოგია და მუდმივად იღებს „IPCC“-ის ანგარიშებს. მეცნიერი ირონიულად აღნიშნავს, რომ დღეს გაეროს კომისიის პროგნოზები მისივე ათი წლის წინანდელი პროგნოზებისაგან განსხვავდება. ეს არის უნიკალური ორგანიზაცია, რომლის მოღვაწეობაზეც შეიძლება ითქვას: ყოველ რამდენიმე წელში ირკვევა, რომ წინა პროგნოზი შეცდომა იყო.

**გლობალური დათბობის თეორია ირწმუნება, რომ მთავარი პრობლემაა ნახშირმჟავა გაზი, რომელსაც მრეწველობის ზრდის კვალდაკვალ გამოვიმუშავებთ. ამასთან, უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში დედამიწაზე ტემპერატურა სულ რაღაც გრადუსის რამდენიმე მეათედით გაიზარდა. მაგრამ ყველაზე უცნაური ისაა, რომ დედამიწაზე დათბობა ავტომანქანებისა და თვითმფრინავების გაჩენამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ყველაზე მეტად 1940 წლამდე დათბა, ანუ მაშინ, როდესაც ჩვენ თითქმის არ ვაბინძურებდით ატმოსფეროს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ტემპერატურა, წესით, უნდა გაზრდილიყო, კლება დაიწყო. სამრეწველო ბუმის პერიოდში ომის შემდგომ ტემპერატურა ეცემოდა და სწორედ მაშინ შეწყვიტა ვარდნა, როდესაც 70-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. ეს ფაქტები თავისთავად უარყოფს გლობალური დათბობის თეორიას.**

ვინპეგის კლიმატოლოგიის უნივერსიტეტის პროფესორის — ტიმ ბოლის თქმით, „წლიდან წლამდე გვიმტკიცებენ, რომ დათბობა $CO_2$-ის მატებასთან ერთად იმატებს, მაგრამ ყველა სამეცნიერო მონაცემი, ყინულის კვლევის ყველა შედეგი საწინააღმდეგოს მეტყველებს და ათასობით მეცნიერმა ეს მშვენივრად იცის. და საერთოდაც, მთელი თეორია გლობალურ დათბობაში ადამიანური ფაქტორის შესახებ, უბრალოდ, შეცდომაა.

**მსოფლიო ოკეანე ატმოსფეროში ყოველწლიურად 80 გიგატონა ნახშირმჟავა გაზს აფრქვევს. ადამიანური 7 მეგატონი ამასთან შედარებით ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება**

სასათბურე გაზების შესახებ თეორია ირწმუნება, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა თბებოდეს ატმოსფერო — ეს გაზები ხომ სწორედ იქ გროვდება. სასათბურე ეფექტი შემდეგში მდგომარეობს: მზის სხივები დედამიწაზე იგზავნება და, რომ არ იყოს სასათბურე გაზები, მზის სითბო კოსმოსშივე დაბრუნდებოდა. მაგრამ სასათბურე გაზები აჩერებენ მზის სხივებს, რომლებიც პლანეტის ზედაპირი ირეკლავს. ყველა კლიმატური მოდელის თანახმად, უნდა იყოს ასე: თუ დათბობის საფუძველი სასათბურე გაზებია, მაშინ ყველაზე მეტი დათბობა მაღლა უნდა იყოს.

პროფესორი ჯონ კრისტი პასუხისმგებელია დედამიწაზე ტემპერატურის გაზომვაზე. 1991 წელს ის ნასას მედლით დააჯილდოვეს გამორჩეული დამსახურებების გამო, 1996 წელს კი კლიმატური გაზომვების შესაძლებლობათა გაზრდისათვის ამერიკის მეტეოსაზოგადოების პრემია გადასცეს. სწორედ ეს ადამიანი ამბობს, რომ პლანეტის უმეტეს რაიონებში ჰაერი იმდენად არ თბება, რამდენადაც დედამიწის ზედაპირი. ტროპოსფეროში ტემპერატურის ზრდა საერთოდ არ ემთხვევა კლიმატური მოდელების შესახებ იმ წინასწარმეტყველებებს, რომლებიც სასათბურე გაზების თეორიის შესაბამისად აიგო.

ეს მონაცემები ბადებს აზრს, რომ ამჟამინდელი **დათბობა სასათბურე გაზების გამო არ დაწყებულა.** გამოდის, რომ პლანეტაზე ახლანდელი დათბობა მიმდინარეობს არა საჭირო დროს და არა საჭიროდ მაღლა. როგორც სამეცნიერო დაკვირვებები ცხადყოფს, ძირითადად, დათბობა საუკუნის დასაწყისში ხდებოდა და უშუალოდ დედამიწის ზედაპირზე, რაც დათბობის საქმეში ადამიანურ ფაქტორს ეწინააღმდეგება.

ძალზე ემოციური ფილმი ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ალბერტ გორზე სახელწოდებით „უხერხული სიმართლე“ მაყურებელმა აღიქვა როგორც გლობალურ დათბობაში ადამიანის დანაშაულის მთავარი მტკიცებულება. არჩევნებში წაგების შემდეგ გორმა შესანიშნავი საშუალება მოძებნა, კვლავ მიეპყრო მსოფლიო საზოგადოების ყურადღება. მისი არგუმენტები ეფუძნება მრავალსაუკუნოვანი ყინულის ბურღვისა და კვლევის შედეგებს რუსეთის არქტიკულ სადგურ „აღმოსავლეთში“. გორმა განაცხადა, რომ ნახშირმჟავა გაზის კონცენტრაციასა და ტემპერატურას შორის პირდაპირი კავშირი აღმოაჩინეს.

ოტავას უნივერსიტეტის პროფესორი იენ კლარკი, ერთ-ერთი წამყვანი პალეოკლიმატოლოგი, რომელიც ასი ათასობით წლის წინანდელ კლიმატურ ისტორიას შეისწავლის, არქტიკის ყინულებს იკვლევს. მან ნამდვილად აღმოაჩინა ურთიერთკავშირი ტემპერატურასა და $CO_2$-ის შემცველობას შორის, მაგრამ ეს საპირისპირო კავშირია. „ძველ დროში ტემპერატურა ნამდვილად იმატებდა და კონტინენტზე ყინულის დონე იკლებდა. ტემპერატურის მატებასთან ერთად იმატებს $CO_2$-ის დონეც. ამასთან, **ნახშირმჟავა გაზის მატება ტემპერატურის მატებას მთელი 800 წლით ჩამორჩება,“ — ამბობს პროფესორი, ანუ $CO_2$-ს არ შეუძლია გამოიწვიოს ტემპერატურის ცვალებადობა, ის თავადაა ტემპერატურის ცვალებადობის შედეგი.**

**მაგრამ მაინც როგორ იწვევს სინამდვილეში ტემპერატურის მომატება $CO_2$-ის კონცენტრაციის მომატებას?** ამ კითხვაზე პასუხი მსოფლიო ოკეანის ფსკერზე დევს. **მსოფლიო ოკეანე ატმოსფეროში ყოველწლიურად 80 გიგატონა ნახშირმჟავა გაზს აფრქვევს. ადამიანური 7 მეგატონი ამასთან შედარებით ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება.** ლონდონის უნივერსიტეტის ბიოგეოგრაფიის პროფესორი ფილიპ სტოტი აღნიშნავს: „სკოლის მოსწავლეებმაც კი იციან, რომ ოკეანე და ატმოსფერო ერთმანეთს ნახშირმჟავა გაზს უცვლიან. თუ წყლის ზედაპირს გავაცხელებთ, დაიწყება $CO_2$-ის აქტიური გამოყოფა და პირიქით, თუ ოკეანის ზედაპირი გაცივდება, ის $CO_2$-ის შთანთქმას დაიწყებს“.

საგულდაგულოდ გავრცელებადი ვერსია იმის თაობაზე, რომ $CO_2$ კლიმატის ცვლილებაზე ახდენს ზემოქმედებას, სრულიად იქნა უარყოფილი მეტეობურთებიდან, თანამგზავრებიდან, არქტიკული ყინულის კვლევებიდან და ბოლოს, ისტორიული გამოკვლევებიდან მიღებული უახლესი მონაცემების საფუძველზე. მაგრამ, თუ ნახშირმჟავა გაზი კლიმატის დათბობასთან არაფერ შუაშია, მაშ, რა განაპირობებს ამას? ეს მზეა და კაცობრიობის მთელი ენერგია არარაობაა მის ენერგიასთან შედარებით.

80-იანი წლების დასასრულს ჰელიოფიზიკოსმა პირს კორბინმა გადაწყვიტა, ამინდის პროგნოზირების აბსოლუტურად ახალი მეთოდი გამოეცადა. მიუხედავად ყველა ქვეყნის სახელმწიფო მეტეობიუროების მთელი სიმძლავრეებისა, კორბინის ტექნიკამ გაცილებით უფრო ზუსტი შედეგები მოიტანა. პრესამ მას სუპერმეტეოროლოგი უწოდა. მისი წარმატების საიდუმლი მზის აქტივობების შესახებ მონაცემები იყო. **„მზის მიხედვით ამინდის გრძელვადიანი პროგნოზირების იდეა მას შემდეგ მოვიდა, რაც მზის ლაქები იქნა შესწავლილი, — ამბობს კორბინი, — მოგვიანებით მივხვდი, რომ მზის გამოყენება თავისუფლად შეიძლება გაცილებით უფრო საინტერესო რამეების პროგნოზირებისთვისაც“.**



მზის ლაქები არის მძლავრი მაგნიტური ველები, რომლებიც მზის აქტივობის მომატებისას ჩნდება. **მრა-** ▶

**$CO_2$-ის გამონაბოლქვების თაობაზე შეთანხმება პოლიტიკოსებმა დადეს და, როდესაც ეს ხდებოდა, არავინ მოუსმინა მეცნიერებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ამ პროტოკოლის შესრულება არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს კლიმატზეო. ჩვენ, ყველანი სამყაროს აღსასრულის პროგნოზირებადი ანტისამეცნიერო თაღლითობისა და პროპაგანდის მსხვერპლნი ვართ. მათი პროგნოზების მსხვერპლნი, ვინც ყურადღებისა და დაფინანსებისათვის იბრძვის, მათი, ვისაც არ სურს, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა ოდესმე ინდუსტრიალურ წარმატებებს მიაღწიონ.**

## დაიჯესტი

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვალი საუკუნის განმავლობაში ასტრონომები ითვლიდნენ მზის ლაქებს და თვლიდნენ, რომ, რაც მეტია ლაქები, მით მეტი იქნება დედამიწაზე ტემპერატურა.** 1893 წელს ბრიტანელმა ასტრონომმა ედვარდ მონდერმა შენიშნა, რომ „მცირე გამყინვარებისას" მზეზე ლაქები არ იყო. ეს მზის არააქტიური პერიოდი იყო, რასაც შემდგომში „მონდერის მინიმუმი" უწოდეს.

მაგრამ კორბინი ერთადერთი არაა, ვინც კლიმატური ცვლილებები მზის აქტივობით ახსნა. 1991 წელს დანიის მეტეოროლოგიის უნივერსიტეტის საუკეთესო მეცნიერებმა გადაწყვიტეს, XX საუკუნის მზის ლაქების შესახებ მთელი ინფორმაცია მოეგროვებინათ და მონაცემები ამინდის ცვალებადობისთვის შეედარებინათ. მათ მზის აქტივობასა და ტემპერატურას შორის პირდაპირი კავშირი აღმოაჩინეს. მზის აქტივობა განუხრელად იმატებდა 1940 წლამდე, 40- დან 70-იან წლებამდე იკლებდა, ამის შემდეგ კი კვლავ იმატებდა.

ამის შემდეგ დანიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ეიგილ ფრის კრისტენსენმა და მისმა კოლეგებმა გამოიკვლიეს 400 წლის ასტრონომიული მონაცემები, რათა მზის აქტივობა ტემპერატურის ცვალებადობისთვის შეეფარდებინათ. და მათ კვლავ მჭიდრო კავშირი აღმოაჩინეს. ცხადი გახდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მზე და არა გაზი ან რაიმე სხვა ახდენს გავლენას ჩვენს პლანეტაზე კლიმატის ცვალებადობაზე.

2005 წელს ჰარვარდის ასტროფიზიკოსმა ამერიკის გეოფიზიკოსთა კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოაქვეყნა გრაფიკი. თუ მის მონაცემებს გავაანალიზებთ, მივალთ დასკვნამდე, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში არქტიკაში კლიმატისა და $CO_2$-ის დონის ცვალებადობა დიდად არაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სამაგიეროდ, მზის აქტივობის ცვლილებების გრაფიკი იმავე პერიოდში, რომელიც ნასასა და ოკეანისა და ატმოსფეროს საქმეთა ეროვნული სამმართველოს დამოუკიდებელმა ექსპერტებმა შეადგინეს, მნიშვნელოვნად ემთხვევა ტემპერატურის ცვლილებასთან დაკავშირებით არქტიკული ყინულებიდან მიღებულ მონაცემებს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: **ტემპერატურის ცვალებადობას მზე მართავს, $CO_2$ კი მხოლოდ შედეგია.**

გლობალური დათბობის თეორიის ჭეშმარიტი სიმძლავრე რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ, თუ საიდან დაიწყო ეს ყოველივე. 90-იან წლებში ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის მთავარი საფრთხობელა ოზონის ხვრელები იყო. მაშინ დამნაშავედ ფრეონი გამოცხადდა. ეს გაზი ატმოსფეროში ძალზე ცოტაა, მაგრამ ეს ვის ადარდებდა? ამერიკელი მაცივრების მწარმოებლები, რომლებიც ფრეონს არ იყენებდნენ, ამ იდეას ჩაებღაუჭნენ. დეზოდორანტების მწარმოებლებმა ნამდვილი ომი დაიწყეს დეზოდორების მწარმოებელი კონკურენტების გამოფრქვევადი ბალონების წინააღმდეგ. შედეგად ფრეონის ევროპელი მწარმოებლები დამარცხდნენ, მოსახლეობა კი აიძულეს, ყველა ფრეონიანი მაცივარი და დეზოდორი გაცილებით ძვირადღირებულით შეეცვალათ.

ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, ამერიკულმა კომპანია „დიუპონმა" მოიგო. მოსახლეობა კი ფიქრობდა, რომ საკუთარი შვილების მშვიდი მომავლისათვის იხდიდნენ ფულს, მაგრამ დავიწყებულ იქნა ერთი ნიუანსი: ოზონის ხვრელებმა თავისთავად დაიწყეს პირის შეკვრა. გაირკვა, რომ ეს ხვრელები პერიოდულად ხან ფართოვდება და ხან ვიწროვდება, ოღონდ ეს მზის აქტივობაზეა დამოკიდებული და არა ჩვენს დეზოდორანტებზე.

ეს ისტორია მრავალ მეცნიერს გლობალურ დათბობასთან დაკავშირებულ თეორიას ახსენებს. როდესაც 90-იანი წლების შუა პერიოდში ხვრელებმა კლება დაიწყო, ეკოლოგებისა და კლიმატოლოგების უზარმაზარმა რაოდენობამ უმუშევრობის საფრთხე იგრძნო. მათ ფულს არავინ გადაუხდიდა მოსაწყენ პროგნოზებში იმის თაობაზე, რომ ამინდთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა. ისინიც მუდმივად ეძებდნენ რაღაც გლობალურსა და საშიშს და პოულობდნენ კიდეც. **ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან კლიმატური მეცნიერება მუდმივად აშინებდა კაცობრიობას. მაგალითად, ოზონის ხვრელებამდე იყო „გლობალური აციების თეორია". 70-იან წლებში შვედმა მეცნიერმა ბერგ ბოულინგმა პირველმა ივარაუდა, რომ ადამიანის მიერ გამომუშავებულმა $CO_2$-მა შეიძლება პლანეტა გაათბოს.**

მაშინ მეცნიერებს ეს საშინელ ფანტაზიად მოეჩვენათ, მაგრამ მათი აზრი ორმა რამემ შეცვალა. პირველი — ტემპერატურამ მატება დაიწყო და მეორე — ბრიტანეთის მეშახტეებმა გაფიცვა დაიწყეს და მარგარეტ ტეტჩერისთვის ენერგეტიკა პოლიტიკურ პრობლემად იქცა. ენერგეტიკის მინისტრის — ლორდ ლოუსონ ბლებსკის თქმით, ტეტჩერი დარდობდა ატომური ენერგიის განვითარებაზე, მას ენერგეტიკული დამოუკიდებლობა აწუხებდა. მას არც ნახშირის სჯეროდა და არც ნავთობის და მიიჩნევდა, რომ საჭიროა ატომის წინ წამოწევა, ამიტომ მან ყურადღება მიაქცია გლობალური დათბობის პრობლემებს. მან გადაწყვიტა, რომ ეს წონადი არგუმენტი იქნებოდა ატომური ენერგიის სასიკეთოდ.

ნაიჯელ კალდერი სწორედ ამ პერიოდში იყო ჟურნალ „New Scientist"-ის მთავარი რედაქტორი. მას ახსოვს, როგორ მიმართა მარგარეტ ტეტჩერმა მეცნიერებს: „აი თქვენ ფული იმისათვის, რომ დაამტკიცოთ გლობალური დათბობის თეორია". „ცხადია, მათ აიღეს ფული და დაამტკიცეს, — ამბობს ჟურნალისტი, — პოლიტიკოსთა ჩარევის შედეგად ამ მიმართულებით ფული მდინარეებად მიედინებოდა: კვლევები, სამეცნიერო ცენტრები და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი თოვლის გორასავით იზრდებოდა. მათ დაიწყეს კლიმატის კვლევა, ოღონდ კონკრეტული მიმართულებით: რათა დაემტკიცებინათ ტემპერატურის დამოკიდებულება $CO_2$-ზე, ანუ ადამიანის ქმედებებზე".




**90-იანი წლების დასაწყისში ადამიანის გამო გლობალური დათბობის პრობლემა კლიმატის შესახებ უბრალო თეორიიდან ფართომასშტაბიან პოლიტიკურ კამპანიაში გადაიზარდა. ამ კამპანიამ მედიის უდიდესი ინტერესი გამოიწვია და, რაც მთავარია, დიდი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო.** კლიმატური ფულის უდიდესი ნაწილი კომპიუტერული მოდელების შექმნაზე იხარჯებოდა. ამ მოდელებს კლიმატის ცვალებადობის პროგნოზირება ევალებოდა, მაგრამ საკმაოდ ზუსტი არც ერთი მოდელი არ აღმოჩნდა. დოქტორი როი სპენსერი, ნასას კოსმოსური ფრენების ცენტრის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერ-კლიმატოლოგი ირწმუნება, რომ მოდელებს არ შეუძლია იმ მონაცემთა ფორმირება, რომლებიც მის შემქმნელებს არ გაუთვალისწინებიათ, ამგვარი გაუთვალისწინებელი ვარიანტები კი ასობით და ათასობითაა. მოდელების უმეტესობა აგებულია იმ პოსტულატის ირგვლივ, რომლის თანახმადაც კლიმატის ცვალებადობის უმთავრესი მიზეზი $CO_2$-ია და არა მზე ან ღრუბელი. ოტავას უნივერსიტეტის პროფესორი იან კლარკი ამ მოდელებით მუშაობდა. ის დარწმუნებულია, რომ პარამეტრების შეცვლით შეიძლება მიღებულ იქნეს ყველაფერი, რაც გსურთ, — დათბობიდან გამყინვარებამდე. სამაგიეროდ, დღეს ეს მოდელები პრესას შოკისმომგვრელი პროგნოზებით ამარაგებს.

**ახლა ადამიანის დანაშაული ნებისმიერი ქარიშხლის, წყალდიდობის ან გლობალური დათბობის წარმოქმნაში, რომელიც ადამიანებს მასმედიამ მიაწერა, ნორმად ითვლება.** მეტეოროლოგიის პროფესორი რიჩარდ ლინდზენი ირწმუნება, რომ ამას არ გააჩნია მტკიცებულებები: „ეს წმინდა წყლის პროპაგანდაა. მეტეოროლოგიის შესახებ ნებისმიერ წიგნში ამოიკითხავთ, რომ ამგვარი სტიქიური უბედურებების მთავარი მიზეზი ტროპიკებსა და პოლუსებზე ტემპერატურებს შორის სხვაობაა. და ჩვენ ვიცით, რომ დათბობისას ეს სხვაობა შემცირდება, ამიტომ ბუნებრივი კატაკლიზმები ნაკლები იქნება. მიუხედავად ამისა, ყოველ დღე საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს".

ახალ ამბებში ხშირადაა საუბარი იმაზე, რომ ტემპერატურის უმნიშვნელო მომატებაც კი აუცილებლად კატასტროფის საბაბი იქნება. კატასტროფა კი შეიძლება იყოს, მაგალითად, პოლარული ყინულების დნობა. მეცნიერებს ამაზე ეცინებათ. გაეროს კლიმატის ცვალებადობის კომისიის წევრი, პროფესორი ჯონ კრისტი ირწმუნება: „ჩვენ გვაქვს გრენლანდიაში ათასი წლის წინანდელი ტემპერატურის მაჩვენებლები. მაშინ იქ გაცილებით მეტად თბილოდა, მაგრამ ყინულის დნობას არანაირი კატასტროფები არ მოჰყოლია". მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ენერგეტიკის გლობალური პრობლემების ლაბორატორიის უფროსი, პროფესორი კლიმენკო, თავის მხრივ, ირწმუნება: **„არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ ანტარქტიდის ყინულოვან ფარზე ყინულის მოცულობა კლებულობს, უფრო მეტიც, გლობალური დათბობის ფონზე ანტარქტიდის ირგვლივ ზღვების ყინულოვნება უკანასკნელ ათწლეულებში იზრდება".**



**ალიასკას საერთაშორისო არქტიკული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი სიუნიჩი აკასოფა ირწმუნება, რომ პოლარული ქუდები მუდმივად იზრდება და მცირდება. ასეთია მათი ბუნება.** „ჟურნალისტები მუდმივად გაშინებენ იმ უზარმაზარი ყინულოვანი მთების ფოტოებით, რომლებიც ნაპირს დაცილდა, მაგრამ ეს მუდამ ასე იყო. უბრალოდ, ახლა თანამგზავრების წყალობით ჩვენ ამას ვხედავთ და ვავრცელებთ ტელევიზიით, რის შემდეგაც ახალ ამბად აღიქმება".

**კიდევ ერთი საფრთხობელა, რითაც გვაშინებენ, ისაა, რომ დათბობა გამოიწვევს ტროპიკული დაავადებების გავრცელებას, რომელთაც მწერები ჩრდილოეთისკენ გადაიტანენ. მაგალითად, მალარია. პარიზის პასტერის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ რაიტერი აღიარებულია მსოფლიო დონის ექსპერტად მალარიისა და მწერების მიერ გავრცელებადი სხვა დაავადებების სფეროში.** მისი თქმით, „მალარიის ყველაზე საშინელი ეპიდემია 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში იყო. მაშინ 13 მილიონი ადამიანი დაავადდა და მათგან 600 ათასი გარდაიცვალა. საშინელმა კატასტროფამ პოლარულ წრემდე მიაღწია. ქვეყნის ჩრდილოეთში, არხანგელსკში, დაავადება 13 ათას ადამიანს მოედო და მათგან 10 ათასი გარდაიცვალა. ეს არაა ტროპიკული დაავადება".

გლობალური დათბობის იდეის ძველი ოპონენტი პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრეი კაპიცა ამბობს, რომ მისი კოლეგა და აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი ხელმძღვანელი, პროფესორი ზეიცი კლიმატის ცვლილებების კომიტეტში მუშაობის შემდეგ ამ კომიტეტს ცენზურასა და არასასურველი დასკვნების მიჩქმალვაში ადანაშაულებდა. იგი წერს: „ეს ანგარიში სულაც არაა ის ვერსია, რომელიც ორიგინალის დამწერმა მეცნიერებმა მოიწონეს. სულ მცირე, ანგარიშიდან 15 საკვანძო მომენტი იქნა ამოჭრილი. მათ შორის ისიც, რომ არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, თითქოს სასათბურე გაზების მომატება კლიმატის ცვალებადობას განაპირობებდეს. ანალოგიურად არ არსებობს რაიმე მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები იმის შესახებ, რომ კლიმატის მიმდინარე ცვალებადობა რაიმენაირადაა დაკავშირებული ადამიანის ქმედებასთან".

**გარემოს დაცვის მოძრაობა პოლიტიკური მოძრაობაა. ახლა ამ ადამიანებს მსოფლიო დონეზე უდიდესი გავლენა აქვთ. მათი ყველა პოლიტიკოსს ეშინია. მემარჯვენე იქნები, მემარცხენე თუ რაღაც შუალედური მათ შორის, მაინც მოგიწევს ბუნების დამცველთათვის ანგარიშის გაწევა. დასავლეთის ქვეყნების მთავრობებმა, გარდა მთავარი დამბინძურებლების — ჩინეთისა და აშშ-ისა, „მწვანეების" ზეწოლით გააფორმეს კიოტის პროტოკოლი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში წარმოების შეზღუდვის შესახებ.** მაგრამ როგორია ამ პროტოკოლის ფასი? პლანეტის მოსახლეობის ლამის მესამედმა არ იცის, რა არის ელექტროობა. აფრიკაში არის ნახშირი და ნავთობი, მაგრამ ბუნების დამცველები ენერგიის ამ იაფი წყაროების გამოყენების წინააღმდეგნი არიან და მზისა და ქარის ენერგიას უწევენ აგიტაციას. შედეგად ეკოლოგიური მოძრაობა განვითარებადი სამყაროსათვის უდიდეს წინაღობად იქცა.

კიოტის პროტოკოლის წესების შემოღებისას არავინ დავობდა მის საფუძველზე — გამონაბოლქვები ფიქსირდება იმ დონეზე, რომელზეც ის 1990 წელს იყო. ეს ნიშნავდა იმ ფაქტის ლეგალიზებას, რომ საშუალოსტატისტიკური ამერიკელი ბუნებას იმავე ზიანს მიაყენებს, რასაც ინდოეთის 15 450 მოსახლე. ეს ნიშნავდა, რომ რუსეთის მცდელობები, გაეზარდა სამრეწველო წარმოება, გაცილებით ძვირი დაჯდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სასათბურე გაზების მთავარი წყარო მრეწველობა კი არა, ავტომობილები და მეცხოველეობაა. თითქოს რუსეთისათვის გამონაბოლქვების შეზღუდვას დიდი სარგებელი უნდა მოეტანა. 90-იანი წლების ვარდნის შემდეგ ვარაუდობდნენ, რომ ფულს სასათბურე გაზების გამოყოფაზე კვოტების გაყიდვით იშოვიდნენ, მაგრამ მილიარდები არავის მიუღია. **რუსეთს გაუმართლა, რომ საბჭოთა კავშირის ენერგეტიკა, რომელიც კიოტოში ათვლის წერტილად იქნა მიჩნეული, ქვეყნის მთელი ისტორიის განმავლობაში მაქსიმალურ გამონაბოლქვს წარმოქმნიდა. ამის შემდეგ რუსეთში სამრეწველო ვარდნა იყო და მან კიოტის პროტოკოლის მოთხოვნები ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეასრულა, მაგრამ მეორედ რუსეთს, შესაძლოა, ამდენად აღარ გაუმართლოს.**

ოკეანოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი სერგეი გუნეევი ირწმუნება, რომ კიოტის პროტოკოლი ეკონომიკური დოკუმენტია და არა კლიმატური. მის უკან ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ერთობლიობა დგას. **$CO_2$-ის გამონაბოლქვების თაობაზე შეთანხმება პოლიტიკოსებმა დადეს და, როდესაც ეს ხდებოდა, არავინ მოუსმინა მეცნიერებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ამ პროტოკოლის შესრულება არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს კლიმატზეო. ჩვენ, ყველანი სამყაროს აღსასრულის პროგნოზირებადი ანტისამეცნიერო თაღლითობისა და პროპაგანდის მსხვერპლნი ვართ. მათი პროგნოზების მსხვერპლნი, ვინც ყურადღებისა და დაფინანსებისათვის იბრძვის, მათი, ვისაც არ სურს, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა ოდესმე ინდუსტრიალურ წარმატებებს მიაღწიონ.**

vseneprostotak.ru

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არსებული შედეგი საქართველოსთვის უდიდესი იყო. მისმა ხალხმა, როგორც იქნა, თავი დააღწია ყოველმხრივ დეგრადაციას და „სრულ სასოწარკვეთას“, რაც სავსებით ტიპური იყო ქვეყნისათვის, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე განიცდიდა უცხოელთა ბატონობასა და ჩაგვრას; წერტილი დაესვა ლეკთა თარეშს, ჩრდილოეთიდან სპარსელთა, ხოლო სამხრეთიდან თურქთა სისხლისმღვრელ და გამანადგურებელ ლაშქრობებს; შეწყდა გამუდმებული ფეოდალური შუღლი, რომელიც ყოველგვარი კანონიერების ზღვარს სცდებოდა. გაჩნდა შესაძლებლობა მეურნეობის განვითარებისათვის**

# დასავლელი ანალიტიკოსები რუსეთის პოლიტიკაზე კავკასიაში

**XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლელი ანალიტიკოსები საკმაოდ მგრძნობიარედ ეკიდებოდნენ რუსეთისთვის კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და აქედან გამომდინარე ამ რეგიონში მისი გააქტიურების მიზეზებს, მეთოდებსა და შედეგებს. ერთნი მასში ხედავდნენ დასავლეთის ინტერესებისადმი მუქარას და ახლო აღმოსავლეთში უსაფრთხოების შენარჩუნებას, არ აღიარებდნენ რა რუსეთის უფლებას, ისე ემოქმედა, როგორც უდიდეს იმპერიას; მეორენი მიისწრაფოდნენ, რომ ამაღლებულიყვნენ რუსოფობულ გრძნობებზე და შესულიყვნენ მოწინააღმდეგის მდგომარეობაში.**




ამგვარად, როგორც ერთმა ბრიტანელმა პუბლიცისტმა აღნიშნა 1841 წელს, კავკასიის დაუფლება პეტერბურგის სამართლიანი სურვილი კი არა, გარდაუვალი აუცილებლობა იყო. ის შეახსენებდა თანამედროვეთ, რომ ცენტრალური რუსეთის ყველა დიდი მდინარე შავ და კასპიის ზღვებში ჩაედინებოდა. ამ მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანსპორტო გზების ეფექტურად გამოყენების პრობლემას რაკი ვერ წყვეტდა, რომელიც უზრუნველყოფდა სამხრეთით საიმედო გასასვლელებს არსებულ მსოფლიოში, რუსეთის იმპერია წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ, იზოლირებულ და ბარბაროსულ ქვეყანას. ამიტომ **კავკასიის გაკონტროლება რუსეთის არა მარტო რეალური სურვილი, არამედ აუცილებელი მოვალეობა იქნებოდა. კავკასია რუსეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებში შედიოდა.**

მსგავსი პრაგმატული შეხედულებები ჰქონდა ბრიტანული ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც უზარმაზარ მოგებას იღებდა რუსეთთან ვაჭრობით. როგორც ცნობილია, ამ საკმაოდ რაციონალური რუსოფობიის წარმომადგენელთა შორის ყველაზე გამორჩეულნი იყვნენ: **რიჩარდ კობლენი და ჯონ ბრაიტი**.

* * *

რუსეთის კავკასიაში მოსვლას სხვადასხვაგვარად აფასებდნენ XIX ს. პირველი ნახევრის დასავლელი ავტორები. ერთნი, ასე თუ ისე, აღიარებდნენ ამ რეგიონში რუსეთის შეჭრის პოზიტიურ მნიშვნელობას.

ინგლისელი მოგზაურის — **რობერტ კერ-პორტერის** დაკვირვებით, **არსებული შედეგი საქართველოსთვის უდიდესი იყო. მისმა ხალხმა, როგორც იქნა, თავი დააღწია ყოველმხრივ დეგრადაციას და „სრულ სასოწარკვეთას“, რაც სავსებით ტიპური იყო ქვეყნისათვის, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე განიცდიდა უცხოელთა ბატონობასა და ჩაგვრას; წერტილი დაესვა ლეკთა თარეშს, ჩრდილოეთიდან სპარსელთა, ხოლო სამხრეთიდან თურქთა სისხლისმღვრელ და გამანადგურებელ ლაშქრობებს; შეწყდა გამუდმებული ფეოდალური შუღლი, რომელიც ყოველგვარი კანონიერების ზღვარს სცდებოდა. გაჩნდა შესაძლებლობა მეურნეობის განვითარებისათვის,** იმდენად, რამდენადაც მეწარმეს აღარ ეშინოდა თავისი შრომის ნაყოფისა და საკუთრების ხელყოფისა, რომელსაც უკვე კანონი იცავდა. **რუსეთი, კერ-პორტერის აზრით, მთელი მონდომებით ცდილობდა, კანონიერება ქართული ყოფიერების გათვალისწინებით დაემყარებინა, რაც საზოგადოების კეთილგანწყობის საფუძველს წარმოადგენდა, გრძნობდა რა თავს ნამდვილი სახელმწიფოს დაცვისა და მმართველობის ქვეშ.**

რ. კერ-პორტერი საქართველოს დამოუკიდებლობას XVIII საუკუნეში რეალურად მიიჩნევდა: ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონები იყვნენ ირანელი, თურქი და ლეკი დამპყრობლები. სწორედ ამიტომ არჩიეს ქართველებმა ძლიერი იმპერიის მფარველობის ქვეშ შესვლა, უპირველეს ყოვლისა კი, — ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით.

***

ზოგიერთი ავტორი ამიერკავკასიაში XIX ს. პირველ ნახევარში რუსული პოლიტიკის სიკეთეს მიაწერდნენ საზოგადოებრივი წესრიგის გაუმჯობესებას. აღინიშნებოდა, რომ **მხარის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნა პიროვნებისა და საკუთრების „თითქმის მთლიანი უსაფრთხოება“, იმ ადგილების გარდა, რომლებიც ძალიან ახლოს იყო კასპიისპირეთის (სამხრეთით) მთიან და შავიზღვისპირეთის (დასავლეთით) რაიონებთან.**

რუსეთის ადმინისტრაცია ენერგიულად შეუდგა წესრიგის დამყარებას საკუთრების უფლების კანონიერი გაძლიერების სფეროში, სადაც მანამდე ქაოსი სუფევდა.

ამასთან, **ლ. ოლიფანტეს** აზრით, რუსეთმა, ფაქტობრივად, გააუქმა მემამულეთა ბატონობა გლეხებზე, რამდენადაც საკუთარ ხელში აიღო მემამულეთა ძალაუფლების მთავარი საშუალება — დაბეგვრა.

როგორც **ჯ. მაკკალოკი** ამტკიცებდა, ეჭვგარეშე იყო, რომ რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამ „შესამჩნევი სიკეთე მოუტანა ქართველი ხალხის ძირითად ნაწილს“. XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში ჩამოსული უცხოელები ყურადღებას ამახვილებდნენ რუსეთის ხელისუფალთა შედეგიან ძალისხმევაზე, კეთილმოეწყოთ საქართველოს დედაქალაქი. მისი მცხოვრებნი, მოიპოვეს რა დიდი ხნის ნანატრი სიმშვიდე, აქტიურად შეუდგნენ მეწარმეობას, რაც არც თუ ისე მცირე მოგებას იძლეოდა.

რუსეთს აქებდნენ ქვეყნის „გონივრული და ენერგიული“ მართვისთვის; რუსეთის წყალობით, გაიხსნა გზა ევროპული ცივილიზაციისკენ. მაგ.: XIX ს. შუა წლებში მეგრელებმა ერთ-ერთ ინგლისელ დამკვირვებელზე ბედნიერი და კმაყოფილი ადამიანების შთაბეჭდილება მოახდინეს.

**დასავლელი მოგზაურები მიუთითებდნენ, რომ რუსეთის წყალობით ვაჭრობა საქართველოში აყვავდა და სულ უფროდაუფრო ვითარდებოდა. რუსეთში გაჰქონდათ, ძირითადად, ღვინო და აბრეშუმი.**

საფრანგეთის კონსულს — **შევალიე გამბას** საკმაოდ საფუძვლიანად აინტერესებდა საქართველოს რუსეთთან შერწყმის ეკონომიკური შედეგების საკითხი. როცა 1802 წელს ტფილისში რუსული ხელისუფლება მყარდებოდა, ქალაქის ნანგრევებს, როგორც მეტაფორულად შენიშნავდა ფრანგი კონსული, „ჯერაც კვამლი ასდიოდა“. ასეთი იყო 1795 წლის ირანის თავდასხმის შედეგები. გამბა ამტკიცებდა, რომ ქვეყანა, ასე დასუსტებული გარეშე მტერთა შემოსევებისაგან, ევროპასთან კავშირების გარეშე დარჩენილი, ვერასდროს ვერ შეძლებდა ხელსაყრელი პირობების შექმნას ვაჭრობის გასავითარებლად. მაგრამ **რუსეთის მოსვლასთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნა რა საიმედო დაცვა მტრისგან და მოწესრიგდა შიდამმართველობა, სამეურნეო ცხოვრება საქართველოსა და ამიერკავკასიაში შესამჩნევად გამოცოცხლდა. გაიზარდა საქონელბრუნვა რუსეთთან აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ახალი რუსული სამფლობელოები გადაიქცა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო არტერიად.**

ოღონდ გამბა სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რიგი გარემოებებისა საფრანგეთს ართმევდა იმის შესაძლებლობას, თავისი ვაჭრობისათვის გამოეყენებინა ეს „უზარმაზარი ბაზარი“ და „ვრცელი ველი მსხვილი კომერციული ოპერაციებისათვის“.

ფრანგი კონსულის დაკვირვებები მეტყველებდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებაზე XIX ს. პირველ მეოთხედში. ამ ფონზე მოულოდნელად გამოიყურება მისი აზრი იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნის რუსეთის იმპერიაში შესვლის მომენტიდან იგი აღარაა ისტორიის ობიექტი.

***

ზოგჯერ გამოითქმებოდა ისეთი აზრიც, რომ რუსეთი ამიერკავკასიაში მხოლოდ ირანისა და თურქეთის დამარცხების შედეგად არ დამკვიდრებულა. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო მისმა ფხიზელმა პოლიტიკამ ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში. რუსეთ-თურქეთის ომის (1818-1829) პერიოდში ბრიტანელი ავტორი **ტ.არმსტრონგი** წერდა რუსეთის სრულიად რეალურ პერსპექტივაზე — თუ ის დარჩებოდა ერთგული ამ პოლიტიკის, შემოიერთებდა თურქულ სომხეთს, რომლის ხალხიც ელოდა რუსების მოსვლას, როგორც მონობისგან გამათავისუფლებელს.

**ერთი უცხოელი დამკვირვებელი წერდა, რომ რუსეთის მცდელობამ — ცივილიზებული გაეხადა კავკასია — უდიდესი სიკეთე მოუტანა კაცობრიობას, რისთვისაც განათლებული, ქრისტიანული ევროპის შექებას იმსახურებდა.**

ამ თვალსაზრისს მხურვალედ მხარს უჭერდა ამერიკელი მოგზაური კავკასიაში **გ. დიტსონი**. ის მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთი დიდ მუშაობას ეწეოდა კავკასიის ცივილიზებისა და გაქრისტიანებისათვის. დიტსონი ისე გულწრფელად იყო ამ თვალსაზრისში დარწმუნებული, რომ მზად იყო (მიუხედავად თავისი დემოკრატიული შეხედულებებისა), ეპატიებინა და გამართლებაც კი მოეძებნა რუსეთის დესპოტიზმისა და სისასტიკისათვის.

ამასთან, დიტსონი ვერ ასცდა ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს. ერთის მხრივ, ის ამბობდა, რომ კავკასიელი მთიელები განვითარების ბარბაროსულ სტადიაში იმყოფებოდნენ; მეორეს მხრივ — აღფრთოვანებული იყო მათი შინაგანი ტაქტით, სიკეთითა და სტუმართმოყვარეობით, რაც არც თუ ისე ხშირად, უცხო იყო ცივილიზებული ხალხებისთვის.

ზოგიერთი ცნობილი ბრიტანელი ანალიტიკოსი ყურადღებას ამახვილებდა დასავლეთისათვის საშიშ საერთაშორისოგეოპოლიტიკურ შედეგებზე, რაც რუსეთის კავკასიაში შეღწევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ნაწილობრივ კი — სპარსეთის იმპერიის დასუსტებას, რაც მას პეტერბურგის ლუკმად ქცევის საშიშროებას უქმნიდა. იმ შემთხვევაში, თუკი ეს მოხდებოდა, რუსეთის შემდგომ მიზნებში, უეჭველია, მომდევნო იქნებოდა ინდოეთი. ამიტომ ბრიტანეთის ხელისუფლებას ურჩევდნენ, ყოველმხრივ გაეძლიერებინა თავისი პოზიციები თეირანში და კონტროლქვეშ ჰყოლოდა შუა აზია.

**კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის შედეგების წინასწარი შეჯამების რეალურ საბაბად იქცა ყირიმის ომი — გარდატეხის პერიოდი ევროპის ისტორიაში, რომელმაც დასავლეთში წარმოშვა იმედების ეიფორია, რომელთაც ახდენა არ ეწერა. პეტერბურგში კი უარესის შიში სავსებით უსაფუძვლო აღმოჩნდა. შეფასებები, როგორც წესი, ომის მსვლელობაზე იყო დამოკიდებული.** სხვადასხვაგვარად უყურებდნენ რუსეთის პოლიტიკის პერსპექტივას კავკასიაში უცხოელი ავტორები. მათი პროგნოზების ხასიათი გამომდინარეობდა იქედან, თუ ვინ იყო იგი (რუსოფობი თუ რუსოფილი).

**ჯ. ჯონსონმა**, რომელიც საქართველოს 1817 წელს ეწვია, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნაადრევი იყო საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შედეგების შეჯამება, პერსპექტივებზე საუბარი არჩია. ის თვლიდა, რომ საქართველოს თავის ახალ ამპლუაში სამომავლოდ კარგი პერსპექტივები გადაეშლებოდა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში, მეტალურგიაში, ურბანიზაციასა და განათლებაში.

**ჯონსონი ხოტბას ასხამდა პეტერბურგის ხელისუფლებას საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალად გადაქცევის მოსურნეობისათვის, რადგან ეს ყველაფერი განაპირობებდა სამომავლოდ დასავლეთის აღმოსავლეთთან დაკავშირებას. ამ მიზნით რუსმა ექსპერტებმა დაიწყეს ოპტიმალური ვარიანტების შესწავლა. მაგრამ ამ გეგმებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ჩერქეზები დასავლეთ კავკასიაში და ლეკები – აღმოსავლეთში, მოუთვინიერებელი ტომები, რომლებიც, ავტორის აზრით, კვლავაც დიდხანს არ დაემორჩილებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას.**

პოლკოვნიკმა რატიემ თავის შრომაში, რომელიც 1829 წელს გამოაქვეყნა, იმედი გამოთქვა, რომ **რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებას ეკონომიკური აღორძინება მოჰყვებოდა, მათ შორის საქართველოსიც. როტიე თვლიდა, რომ პეტერბურგმა თავის თავზე აიღო კოლოსალურად რთული ამოცანის შესრულება, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ცივილიზებული გაეხადა ეს ხალხები, მაგრამ არა ძალით, არამედ ბრძნული და ფრთხილი პოლიტიკით.**

რუსეთ-თურქეთის ომის (1828-1829) შემდგომ **ტეტბუ დემარინი** წერდა, რომ რუსეთისათვის ანაპის მიერთება რუსებს გაუხსნის კავკასიას როგორც უზარმაზარ სამოღვაწეო ასპარეზს. XIX საუკუნის 30-იან წლებში ბრიტანელი პოდპოლკოვნიკი **პ. კამერონი** წერდა, რომ, კითხვაზე თუ როდის დამთავრდება კავკასიის ომი — ვერ უპასუხებს „ვერც ერთი გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე“, „ყველაზე გამოცდილი სამხედრო მეთაურიც კი“. მხოლოდ კამერონმა იწინასწარმეტყველა, რომ ეს ბრძოლა შთამომავლობაში გაოცებასა და აღფრთოვანებას გამოიწვევსო;

კითხვა — **სჭირდებოდა კი რუსეთს საქართველო?** — ფრანგი სამხედრო ანალიტიკოსი **ფ. ბოჟური** 1829 წელს უარყოფითად პასუხობდა. **ერთადერთი, რაშიც რუსეთს საქართველო გამოადგებოდა, იყო ის, რომ საქართველო იქნებოდა საყრდენი წერტილი, საიდანაც რუსეთი აღმოსავლეთში გააძლიერებდა თავისი ცივილიზაციის გავლენას. მაგრამ ამ ამოცანას, როგორც თვლიდა ბოჟური, უკეთ დასავლელი იმპერიები შეძლებდნენ.**

XIX საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთის კონსული თბილისში **შევალიე გამბა** თვლიდა, რომ რუსეთის მთავრობა იმპერიისადმი შემოერთებული ხალხების კანონებისა და წეს-ჩვეულებებისადმი ხელშეუხებლობის პრინციპით მოქმედებდა.

**ამდენად, XIX ს. პირველი ნახევრის დასავლეთის ლიტერატურა წარმოადგენს ძვირფას წყაროს და საუკეთესო ისტორიოგრაფიულ ძეგლს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მას ქმნიდნენ, ერთის მხრივ, ამ საკითხით ღრმად დაინტერესებული ადამიანები; და მეორეც, ადამიანები, რომლებიც უყურებდნენ ამას, ასე თუ ისე, უცხო თვალით.**

ორივე თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, საინტერესოა ისტორიული სიმართლის დასადგენად. ტრადიციულად, რუსეთის „აგრესორად“ მოხსენიება და მისი განსჯა შეხამებული იყო გეოპოლიტიკურ და სხვა მოტივებთან, რამაც იგი კავკასიაში მოიყვანა.

მოამზადა
დარეჯან ანდრიაძემ

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართულ სცენას საფუძველი ჩაეყარა რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული კავშირის განმტკიცების შემდეგ ერეკლე მეფის დროს. ამ დროს რუსეთიდან დაბრუნებულა საქართველოში თბილისის მცხოვრები ვიღაც მაიორი გაბრიელი, რომელსაც, ნ. ბერძენოვის ცნობით, დაუწყია ძველი აღთქმის ისტორიის სიუჟეტების წარმოდგენა.

# სახიობანი (სანახაობანი) ძველ საქართველოში

**თეატრი, სცენა, რომელიც ხელს უწყობს დრამატული მრეწველობის შექმნასა და განვითარებას, ძველმა საქართველომ არ იცოდა, ყოველ შემთხვევაში, ცნობები მისი არსებობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. თეატრის მაგივრობას ჩვენში სწევდა სხვადასხვაგვარი საჯარო ხასიათის გასართობი და შესაქცევი, რომელთაგან ყველაზე ძველი და პოპულარული ყოფილა ეგრეთ წოდებული მოშაითობა ან მუშაითობა.**

თამარ დედოფლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინებისას „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახეობათა“; „ზმა მგოსანთა და მოშაითთა იყო“, აგრეთვე, მაშინაც, როდესაც მათ ეწვივნენ შარვანშა ალსართანი და ათაბაგი ამირ-მირანი. ეს ისტორიკოსი გვამცნობს, რომ რუსუდან დედოფალი, რომელიც განაგებდა თამარისა და დავითის ქორწილის ცერემონიალურ მხარეს, „ხუარასნისა და ერაყის სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, ბუნებრივითა სახიობითა და შვენებითა მოქმედებდაო“. მუშაითები უცხო ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ ჩვენში და ქართველებს აცნობდნენ თავიანთ რეპერტუარს, რასაც ერთ-ერთი ბიზანტიელი მწერალიც ადასტურებს. მისი სიტყვით, ეგვიპტიდან გამოსულა 40 კაცისაგან შემდგარი დასი აკრობატებისა, რომელთაც კონსტანტინოპოლში მიმავალთ, გზადაგზა უთამაშნიათ არაბეთში, სპარსეთში, სომხეთსა და საქართველოში. მათი სხვადასხვა სახის მოშაითობა, რომელიც აქ დაწვრილებითაა აღწერილი, თანამედროვე ცირკის „სასწაულებს“ მოგვაგონებს. **ამ „სასწაულებისათვის“ ეს აკრობატები დიდ ფულს კრებდნენ თურმე. ჩვენში მოშაითობას პატარაობიდანვე ასწავლიდნენ ბავშვს, როგორც ეს ჩანს ფრიდონის სიტყვებიდან ქაჯეთის ციხის აღების წინ გამართულ თათბირზე:**

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან“...

მოშაითობის წარმოდგენით შეუქცევია, სხვათაშორის, თეიმურაზ პირველს 1639 წლის აღდგომა დღეს თავისი სტუმარი, საქართველოში მოგზაური რუსი, **არსენ სუხანოვი**, რომელსაც აუწერია კიდევაც ეს წარმოდგენა.

სხვა საჯარო ხასიათის გასართობთაგან არანაკლებ მიმზიდველი და პოპულარული ყოფილა ჩვენში **ბურთაობა** და ეგრეთ წოდებული **ყაბახობა**, რომელთაც აგვიწერს თეიმურაზ მეორე თავის თხზულებაში „სარკე თქმულთა“:

ჩვენს მკვლევარებს ყეენობა მხოლოდ ქართველების ჩვეულებად მიაჩნდათ. არც ერთ ისტორიულ ერში არ არის ყეენობის მსგავსი თამაში, ჩვეულება, ეს მხოლოდ საქართველოს ერის წარსულზე არის აღმოცენებული, მისი წარსული ჭირისა და ლხინის მომგონებელიაო, — ამბობდა გ. წერეთელი.

**შეიძლება დროთა მსვლელობაში მას მართლაც შეეხორცა სხვადასხვა ისტორიული ფაქტის მოგონებანი, მაგრამ თავისთავად არავითარი ისტორიული სარჩული ამ თამაშობა-გართობას არ მოეძებნება, ის არც მხოლოდ ქართველების კუთვნილებას შეადგენს.** ამგვარი გასართობი ცნობილია როგორც ისტორიულ, კულტურულ ერებში, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში, — საყველიერო გასართობები, კარნავალი, — ისე განვითარების პირველ საფეხურზე მდგომ ველურებში. როგორც ყეენობა, ისე სხვა ერების ანალოგიური გასართობი, სრულდება ერთსა და იმავე დროს, ზამთრის გასულსა და გაზაფხულის პირზე, სრულდება არსებითად ერთი და იმავე ფორმით. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ გართობაში ჩვენ გვაქვს პირველყოფილი ადამიანის რწმენა სიცივისა და სითბოს, ყინულისა და მზის ბრძოლის შესახებ ზამთრის მიწურულსა და გაზაფხულის მოახლოებისას. ამ დროს ადამიანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ იწყებოდა მისი სამეურნეო წელიწადი, რაც ასე იყო დამოკიდებული მზის მობრუნებასა და მის მიერ ზამთრის სუსხის დამარცხებაზე. ადამიანს უნდოდა, რომ მზეს, რაც შეიძლება, მალე გაემარჯვა, ამიტომ ის ცდილობდა, თავის მხრივ, დახმარებოდა მზეს ამ ბრძოლაში. პირველყოფილ ადამიანს სწამს ე. წ. მაგია, რომლის მიხედვით, თუ ადამიანმა მექანიკურად შეასრულა ესა თუ ის საწესო მოქმედება, ეს მოქმედება სინამდვილეში იჩენს თავს, ნაყოფს გამოიღებს. ქართულ ყეენობაში ყეენს მტკვარში, წყალში აგდებდნენ, ხოლო ევროპელთა კარნავალში ჩალის ტანისამოსში გამოწყობილი ადამიანის მსგავსებას ცეცხლს წაუკიდებდნენ. ამით ქართველები მზეს ეხმარებოდნენ, მალე გამდნარიყო მზის სხივების მიერ თოვლი, გადასულიყო ყინული და ყველაფერი ეს, წყლად ქცეული, წყალს შეერთებოდა, ხოლო ევროპელები ხელს უწყობდნენ მზეს დაეწვა მას მისი მტერი, ზამთარი.

**რაც შეეხება ბერიკაობას, ის გამომხატველია ზოგადად განაყოფიერებისა და შვილიერების კულტისა.**

ნამდვილი თეატრი უძველეს დროში ჩვენში არ იყო იმ მიზეზით, რა მიზეზითაც მას ვერ ვხედავთ ჩვენ სხვა საქრისტიანო ქვეყნებში. ქრისტიანობა თავიდანვე მტრულად შეხვდა ძველ ბერძნულ თეატრს, მთელი რიგი საეკლესიო კანონისა მიმართულია თეატრისა და მსახიობთა წინააღმდეგ. მართალია, ეკლესიამ უარყო კლასიკური ბერძნული თეატრი, მაგრამ სააგიტაციოდ, აღმზრდელობითი მიზნებით, მან თავისი საკუთარი თეატრი შექმნა: ეს არის ტაძარი, როგორც ადგილი ღვთისმსახურების შესრულებისა მორწმუნეთათვის. დღეს მეცნიერებაში სადავო არაა, რომ ქრისტიანთა ტაძარი, თავისი აღნაგობით, ძველი ბერძნული თეატრის გამეორებაა. უკანასკნელი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: 1) სცენა, ამაღლებული ადგილი, მსახიობთათვის, 2) ამფითეატრი, შუა ნაწილი, მაყურებელთათვის, და 3) მომღერალთა, მგალობელთა ადგილი. ეს ნაწილები წარმოდგენილია ტაძარშიც. აქ არის ამაღლებული ადგილი, საკურთხეველი, რაც თეატრის სცენას უდრის; შუა ადგილი, სადაც მორწმუნენი ისმენენ იმას, რაც ტაძარში სრულდება; და ადგილი მგალობელთათვის, „ხორო“. მსახიობების როლს ტაძარში ასრულებენ სამღვდელო პირნი, ხოლო თეატრის რეპერტუარს უდრის ყველაფერი ის, რასაც სამღვდელო პირნი კითხულობენ და წარმოსთქვამენ საკურთხევლიდან და ამბიონიდან მორწმუნეთა გასაგონად. თუ ძველი ბერძნული თეატრის აუცილებელი ელემენტი იყო სიმღერა, რომელსაც გუნდი ასრულებდა, ასევე აუცილებელი შეიქნა ქრისტიანთა ტაძარში მგალობელთა გუნდი. ერთი სიტყვით, ქრისტიანობამ ტაძრის სახით შეითვისა ძველი ბერძნული თეატრის ფორმა, მაგრამ ამ ფორმაში ჩადო თავისი საკუთარი შინაარსი. გადავიდა საშუალო საუკუნეთა ბნელეთი და თანდათანობით ფეხი მოიკიდა ძველი ბერძნული თეატრის ნაშიერმა — ახალი დროის ევროპულმა თეატრმა.

**ქართულ სცენას საფუძველი ჩაეყარა რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული კავშირის განმტკიცების შემდეგ ერეკლე მეფის დროს. ამ დროს რუსეთიდან დაბრუნებულა საქართველოში თბილისის მცხოვრები ვიღაც მაიორი გაბრიელი, რომელსაც, ნ. ბერძენოვის ცნობით (ეს ცნობა მას მიუღია ალ. ორბელიანისაგან, უკანასკნელს კი თავისი დედის, თეკლე ბატონიშვილისაგან), დაუწყია ძველი აღთქმის ისტორიის სიუჟეტების წარმოდგენა.**

ერეკლე მეფე, როგორც ცნობილია, ახალგაზრდებს გზავნიდა რუსეთში სწავლა-განათლების შესაძენად, რათა მათი საშუალებით გადმონერგა მერე საქართველოში რუსული კულტურა. ცნობილია, მაგალითად, ასეთი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ: დავით ბატონიშვილი, ერასტი თურქისტანიშვილი, გიორგი ავალიშვილი და იოანე ორბელიანი. რუსეთში ყოფნისას ესენი გაცნობიან, სხვათაშორის, თეატრს, რუსეთის თეატრებში იმ დროს მომუშავის, გამოჩენილი მსახიობისა და რეჟისორის, სილოვან ნიკოლოზის ძის ზანდუკელის (1756-1820) ან სანდუნოვის ხელმძღვანელობით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მათ განუზრახავთ წარმოდგენების მართვა და პიესების დადგმა. ამ ჯგუფს მიმატებია ერეკლესა და გიორგი მეფეთა, აგრეთვე, ავალიშვილის ქალები; ასე რომ, საჭირო დასი დაუბრკოლებლივ შემდგარა, მოუძებნიათ შესაფერისი ბინაც წარმოდგენებისათვის: სახლი მესხიშვილისა, ორბელიანისა და მელიქიშვილისა. შესაძლებელია ქართული თეატრის შექმნის საქმეში რაიმე მონაწილეობა მიიღო ორმა ევროპელმა, რომელნიც 1778 წელს ეწვივნენ თბილისს. ესენი იყვნენ ქალ. ვენის დრამატული დასის ანტრეპრენიორი **გრაფი კოჰარი** და მისი დასის მსახიობი, ცნობილი **იაკობ რეინეკსი**. თეატრის გასამართად, რასაკვირველია, არ კმაროდა მარტო სახლის მოძებნა და დასის შედგენა, საჭირო იყო ამისათვის პიესები, რომელთა შესახებ ამავე პირებს მოუხდათ ზრუნვა. ამნაირად, საფუძველი ჩაეყარა დრამატულ მწერლობასაც.

**ამ მწერლობის მამამთავრად უნდა ჩაითვალოს ქართული თეატრის ინიციატორი გიორგი ავალიშვილი.** ეს საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ჩვენს წარსულში, ვინაიდან გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად (გიორგი ცოლისძმა იყო გარსევანისა) მთავარი მოქმედი პირი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში.

გიორგი დაიბადა 1769 წელს და გარდაიცვალა მოსკოვს 1850 წელს. ის საკმაოდ განათლებული კაცი იყო. იცოდა, ქართულის გარდა, რუსული, სომხური და თათრული ენები, უყვარდა ლიტერატურა, განსაკუთრებით რუსული, რომელსაც ის კარგად იცნობდა, ვინაიდან სწავლაც რუსეთში მიიღო და ცხოვრებითაც უმეტესწილად რუსეთში ცხოვრობდა.

მართალია, ძველი ქართული დრამატული მწერლობა გენეტიკურად დაკავშირებულია რუსულ დრამატურგიასთან, მაგრამ იმაში არ გადმოსულა ცრუკლასიციზმის ელემენტები, რომლებიც იმდროინდელ რუსულ დრამატურგიას, მით უმეტეს ევროპულს, ახასიათებს. **ერეკლეს დროის ქართული დრამატურგია რეალისტური ელემენტების შემცველია, მან არ მიიღო ცრუკლასიკური დრამის კანონები. თუ ის ცრუკლასიციზმს მოგვაგონებს, მხოლოდ იმით, რომ იმაში გადმოსულია, უშუალოდ თუ რუსულის მეშვეობით, რამდენიმე პიესა კორნელის, რასინისა და ვოლტერისა, მაგრამ ისეთი სახით, რომ ამ პიესების ქართულ თარგმანში თითქმის არაფერი დარჩენილა ცრუკლასიკური.**

ერეკლეს თეატრის რეპერტუარში იყო ორიგინალური პიესებიც. პროფ. ა. ცაგარელი ამბობს, რომ მას ხელში ჰქონია რამდენიმე ისეთი პიესა, რომელთა სიუჟეტი აღებულია XVIII საუკუნისა და XIX-ის დამდეგის ქართული ცხოვრებიდან. სამწუხაროდ, მათი ავტორები და დაწერის წელიწადი ცნობილი არააო.

**ერეკლეს მეფობით გათავდა, შეიძლება ითქვას, ძველი ქართული თეატრის ისტორია**. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ და ქვეყნის აოხრებამ, რომელსაც მალე ერეკლეს სიკვდილიც მოჰყვა, ბოლო მოუღო ქართულ თეატრსაც. მაგრამ სათეატრო ლიტერატურის ზრდა-განვითარება ამას არ შეუფერხებია. ამას ხელს უწყობდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ, საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, თბილისში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები რუსულ ენაზე რუსთათვის, განსაკუთრებით კოვალენსკისა და ერმოლოვის დროს; გულშემატკივარ მამულიშვილთათვის, რომელნიც სამშობლოსთან ერთად მშობლიური თეატრის აღორძინებასაც მოელოდნენ, რუსული წარმოდგენები საკმაოდ ძლიერი სტიმული იყო, ეზრუნათ ქართული რეპერტუარის გამდიდრებისათვის.

**მასალები ქართული მწერლობის ისტორიიდან**

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“**



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამეოთხე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კაციჭამია პითონები — ფლორიდაში

**ფლორიდის სამხრეთით 5-მეტრიანი პითონი დაიჭირეს. მახრჩობელა გველმა ირემი გადაყლაპა. აშშ-ის ველური ბუნების დაცვის კომისიის წევრმა, ეგზოტიკური ცხოველების ექსპერტმა სკოტ ჰარდინმა განაცხადა, რომ მახრჩობელა პითონი ბოა რეგიონში გავრცელებულ ქვეწარმავალთაგან ყველაზე დიდია.** ირემი, რომელიც გველმა გადაყლაპა, 35 კილოგრამს იწონიდა. სპეციალისტებმა მახრჩობელა ქვეწარმავალი ადგილზევე მოკლეს. ამ დროისთვის აშშ-ის ველური ბუნების დაცვის კომისიის თანამშრომლები ცდილობენ, რეგიონში პითონების მომრავლება არ დაუშვან, რადგან ქვეწარმავალს მოზრდილი ადამიანის შეჭმა თავისუფლად შეუძლია.

# სადაც მეცნიერება უძლურია

ბერმუდის სამკუთხედის თაობაზე ყველა ადამიანს სმენია, მაგრამ დედამიწაზე არის კიდევ რამდენიმე იდუმალებით მოცული ადგილი, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილ ბერმუდს არაფრით ჩამოუვარდება და რომელთა სახელიც მუდამ მის ჩრდილში რჩება.





## ქვიშის გოდება

როდესაც ადამიანი წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე მთა ჯებელ-ნაკუგზე აძვრება, მის ფეხქვეშ ქვიშა „კვნესას" იწყებს... ამის ახსნა მეცნიერებს არ შეუძლიათ.

## ვერცხლის ჭები

სირიაში, უდაბნოიანი რესოფის ტერიტორიაზე, ძველი ქალაქის ნანგრევებსა და ქვიშის გორაკებს შორის შემორჩენილია ოთხი ჭა, რომლებშიც წყალი დიდი ხნის წინ გაქრა. **ჭების სიღრმე ზუსტად არავინ იცის. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ამ ჭებს ნებისმიერი დაავადების განკურნება შეუძლია, მაგრამ მათ, ვისაც ამგვარი ლეგენდებისა თუ სასწაულების ნაკლებად სჯერა, გარკვეულ ანომალიას ჭები თვალნათლივ უჩვენებს. თუ ღამით დაბინძურებული, თუნდაც დაჭაობებული წყლით სავსე სათლს ჩაუშვებთ, გამთენიი-**



**სას მასში წყალი კრისტალურად სუფთა და ძალზე გემრიელიც იქნება.** ადგილობრივები ამბობენ, რომ ეს ჭები დიდი ხნის წინ ვერცხლის ადამიანებმა ააშენეს და მათ დაახლოებით ისეთებს აღწერენ, როგორებიც წარმოუდგენია უცხოპლანეტელები თანამედროვე მსოფლიოს.

## პრეიზერის ზონა



**კალიფორნიაში, ქალაქ სანტა-კრუსში არის ადგილი, რომელსაც პრეიზერის ზონას ეძახიან, რადგან 1940 წელს ჯორჯ პრეიზერმა აღმოაჩინა. პრეიზერი ბიზნესმენი იყო, მან აღნიშნული მიწა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად შეიძინა და იქ სახლის აშენებასაც აპირებდა, მაგრამ ეს სურვილი ვერ აისრულა — მიუხედავად იმისა, რომ ხელსაწყოები კედლებისა და იატაკის აბსოლუტურად სწორ მდგომარეობას აჩვენებდა, სინამდვილეში სახლი გვერდზე იყო გადახრილი. ასე ხდებოდა ყოველი ახალი მშენებლობისას.**

კომპასი ამ ზონაში საკმაოდ უცნაურად იქცევა: როდესაც ის დედამიწიდან 1 მეტრითაა დაშორებული, ყველა მხარეს სწორად აჩვენებს, მაგრამ საკმარისია იგი ცოტა დაბლა დავუშვათ, რომ ისარი 180 გრადუსით მობრუნდება. ამ ანომალიურ ზონაში შესასვლელთან ჰორიზონტალურად დგას ბეტონის ძელი. მისი ერთი ბოლო ზონაშია, მეორე კი — მის გარეთ. თუ სპეციალური ხელსაწყოთი შეამოწმებთ, დარწმუნდებით, რომ ძელი აბსოლუტურად ჰორიზონტალურია. მიუხედავად ამისა, ერთი და იმავე სიმაღლის ადამიანების ძელის ბოლოებზე დადგომისას ზონის შიგნით მდგომი ზონის გარეთ მდგომზე საგრძნობლად დაბალი ჩანს.

ჯორჯ პრეიზერმა თავის აღმოჩენილ უცნაურ ზონაში პატარა ქოხი დადგა. ეს ქოხი ახლა საგრძნობლადაა გვერდზე გადახრილი. მასთან მიახლოებისას წნევა იმდენად მატულობს, რომ ნებისმიერი ადამიანი იძულებული ხდება, წელში მოიხაროს წონასწორობის შესანარჩუნებლად.

ზონაში დამრეცადაა დამონტაჟებული მეტალის არხი, რომელიც ბოლოთი ზონის ცენტრში დევს. თუ ამ არხში მთელი ძალით დააგორებთ მეტალის ბურთს, გაოცდებით, რადგან ბურთი დაახლოებით ნახევარ გზას გაივლის, შემდეგ შეჩერდება და ძლიერად გამოექანება უკან. ანალოგიურად იქცევა ყველა საგანი და ამით გრავიტაციის ყველა კანონს არღვევს. ქოხის შიგნით კი ადამიანები, არც მეტი, არც ნაკლები, ჰაერში დაფარფატებენ, კედლებზე დადიან და თუ რაიმეზე ჩამოეკიდებიან, მათი სხეული, იმის ნაცვლად, რომ დაბლა დაეშვას, მაღლა იხრება ჰაერში.

მეცნიერები, ცხადია, არაერთხელ დაინტერესდნენ აღნიშნული ადგილით და მთელი რიგი ვერსიებიც წარმოადგინეს მისი ანომალიის ასახსნელად, მაგრამ ზუსტი პასუხი კითხვაზე, თუ რა ხდება პრეიზერის ზონაში, ჯერაც არ არსებობს.



# სტიგმატი



**თითქმის ყველა ადამიანს გაუგონია სიტყვა სტიგმატი, მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ ვინ არიან სტიგმატები, რა ფენომენთან გვაქვს საქმე და საიდან ჩნდება მათ სხეულზე სისხლის კვალი.**

**სტიგმატას ეძახიან იმ ჭრილობებსა და სისხლის კვალს, რომლებიც ამ უცნაურ ადამიანებს სხეულზე გამოესახებათ და რომლებსაც აიგივებენ ქრისტეს ჯვარცმის ჭრილობებთან. ხშირად სტიგმატები უჩნდებათ ფეხებსა და ხელებზე როგორც ლურსმნის ნაკვალევი.**



„სტიგმატა" წარმოდგება ბერძნული სიტყვა „სტიგმასგან", რაც ნიშნავს რაღაც ნიშანს, გამოყენებულს ცხოველის ან მონის დასანიშნად, მათი იდენტიფიკაციისათვის. ადამიანს, რომელსაც სტიგმატები უჩნდება, სტიგმატი ეწოდება.

ფიქრობენ, რომ პირველი სტიგმატური მოვლენა წმიდა პავლეს წერილშია დაფიქსირებული. იქ პავლე წერს: „მე ვატარებ ჩემს სხეულზე ქრისტეს ნიშნებს".

**ზოგჯერ სტიგმატური ნიშნები სხვადასხვანაირ ფორმას იძენს. სტიგმატების უმეტესობას 5 წმინდა ჭრილობა აღენიშნებათ. ზოგიერთ სტიგმატს თავზე უჩნდება ნაკაწრები, რომელთაც ეკლის გვირგვინისგან მიყენებულ ჭრილობებთან აიგივებენ. ზოგს კი სისხლის ცრემლები მოსდის, ხოლო ჭრილობები ისე უკვალოდ ქრება, როგორც გაჩნდა.**

არსებობენ ისეთებიც, ვინც მხოლოდ გრძნობენ საშინელ ტკივილებს, თუმცა მათ სხეულზე სისხლიანი ჭრილობები და ნიშნები არ გამოისახება. მათ უხილავ სტიგმატებს ეძახიან. ბევრი აცხადებს, რომ სტიგმატების ჭრილობიდან გადმონადენ სისხლს სურნელება აქვს და ის წმინდაა. ასევე ფართოდაა ცნობილი, რომ სტიგმატების უმრავლესობა კათოლიკური რწმენის მატარებელია.



**პირველ ქრისტიან სტიგმატად ითვლება წმიდა ფრანსისი, რომელიც გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე, 1224 წელს, ლა ვერნას მთისკენ გაემგზავრა, თან 40 დღე მარხულობდა. ერთ დღესაც, როცა ფრანსისი თავისთვის განცალკევებით ლოცულობდა, ანგელოზი დაინახა.** როდესაც ეს უკანასკნელი მასთან ახლოს მივიდა, აღმოჩნდა, რომ ჯვარზე იყო გაკრული. ფრანსისმა ჯვარცმული ანგელოზის დანახვისას თავი დამცირებულად იგრძნო და ამასთანავე აღფრთოვანდა კიდეც, რადგან ანგელოზმა სწორედ ის გახადა ასეთი სანახაობის ხილვის ღირსი. შემდეგ კი მომლოცველმა გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო. როდესაც ანგელოზი წავიდა, აღმოჩნდა, რომ ფრანსისს ჭრილობები გასჩენოდა ხელებზე, ფეხებზე, მხარზე. შემდეგ კი კანიდან სისხლმა გამოჟონა. წმინდა ფრანსისის პირველმა ბიოგრაფმა, თომას ჩელანომ 1930 წელს აღწერა ეს შემთხვევა წიგნში „წმინდა ფრანსისის ცხოვრება", მაგრამ თანამედროვე მედიკოსები აცხადებენ, რომ ფრანსისს, შესაძლოა, ჰქონოდა მალარია რიგი გართულებებით.



**პადრე პიომ თავის სულიერ მრჩეველს, პადრე ბენედეტოს 1918 წლის 22 ოქტომბერს წერილში გაუმხილა, თუ როგორ გაუჩნდა სტიგმატები. პადრე წერს, რომ გასული თვის 20 რიცხვში, დილას, როდესაც საზეიმო მესის აღსრულებას მორჩა, თავი ტკბილ ძილს მისცა.** მისი გარეგანი თუ შინაგანი გრძნობები ერთიანად ჩაშვებული იყო აუღწერელ სიმშვიდეში. იგი აბსოლუტური სიჩუმით იყო გარშემორტყმული და დაპყრობილი. ამ დროს მან დაინახა ადამიანი, რომელიც აქამდეც ნანახი ჰყავდა, 5 აგვისტოს. მაგრამ წინანდელსა და ახლანდელს შორის განსხვავება ის იყო, რომ ახლა მას ფეხებიდან, ხელებიდან და მხრიდან სისხლი სდიოდა. ამ დროს წარმოუდგენელი შიში იგრძნო პადრემ, ეგონა, რომ მოკვდებოდა, თუკი ღმერთი არ გააძლიერებდა და გაამაგრებდა, გული აუცილებლად გაუსკდებოდა.

**ეს ხილვა გაქრა და პადრემ ნახა, რომ მასაც ისევე სდიოდა სისხლი, როგორც ცოტა ხნის წინ გამოცხადებულს. „წარმოიდგინეთ ტანჯვა, რაც მე განვიცადე, და შემდეგ დღეებშიც იგივე გრძელდებოდა. ჭრილობებიდან სისხლდენა არ წყდებოდა, განსაკუთრებით კი ხუთშაბათიდან შაბათამდე. ძვირფასო მამაო, მე ამ ჭრილობების ტკივილისგან მკვდარი ვარ და ჩემს სულსაც უფრო მსუბუქად, თამამად ვგრძნობ. მე მგონია, რომ სისხლდენისგან ნამდვილად მოვკვდები, თუკი ღმერთი ჩემი სულის გამოძახილს არ შეისმენს და ამ მდგომარეობისგან არ გამათავისუფლებს," — წერდა პადრე.**



## მეოცე შვილი

**მიშელ დაგარი, რომელიც აშშ-ში, აკრანზასში ცხოვრობს, მეოცე შვილს ელოდება. 45 წლის მიშელმა და 46 წლის ბობ დაგარმა ტელეარხ NBC-ს განუცხადეს, რომ თავადაც გაოცებულნი არიან ბედის ამ საჩუქრით.** „არ გვეგონა, რომ ღმერთი კიდევ ერთ შვილს გვაჩუქებდა,“ — განაცხადეს 19 შვილის მშობლებმა. ამჟამად დაგარების ოჯახში 10 ბიჭი და 9 გოგონა იზრდება. მათგან ყველაზე დიდი 23 წლისაა, ყველაზე პატარა კი — 23 თვის. ბოლო მშობიარობა მიშელმა ცუდად გადაიტანა, თუმცა მეოცე ბავშვის გაჩენას მაინც აპირებს. ოჯახის უფროსმა, ბობმა განაცხადა, რომ ოც შვილზე შეჩერდებიან.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე შთამბეჭდავი სასახლეები



1. ლოვენბურგის სასახლე, გერმანია, აშენდა მე-15 საუკუნეში



2. მალბროკის სასახლე, პოლონეთი, აშენდა მე-12 საუკუნეში.



3. მონ სენტ მიშელის სასახლე, საფრანგეთი.



4. NEUSCHWANSTEIN CASTLE, გერმანია, აშენდა მე-19 საუკუნეში.



5. ციხე-კოშკი PALACIO DA PENA, პორტუგალია, აშენდა მე-15 საუკუნეში.



6. სასახლე „პრაღა“, ჩეხეთი, აშენდა მე-9 საუკუნეში.



7. სასახლე PREDJAMSKI, სლოვენია.



8. THE POTALA PALACE, ჩინეთი, აშენდა მე-6 საუკუნეში.



9. HUNYAD CASTLE, რუმინეთი, აშენდა მე-13 საუკუნეში.



10. სასახლე MATSUMOTO, იაპონია, აშენდა მე-15 საუკუნეში.

## ჩიტების შოუ

გრეტნა გრინი ერთი ჩვეულებრივი შოტლანდიური სოფელია, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი ჩიტების არაჩვეულებრივი შოუების წყალობით გახდა. ყოველ წელს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან შოშიასებრთა ოჯახის ჩიტები გამოსაზამთრებლად შოტლანდიაში მიფრინავენ. სწორედ ამ დროს იმართება ცაზე ეს უჩვეულო შოუ — ჩიტები ჰაერში გუნდებად ტრიალებენ, თითქოს ცეკვავენ.











# ველოსიპედზე გადაკიდებული კვერცხები



**სადგურის ბაზრობასთან, სკვერში, „კიდობანის" პირველი რიგის მაღაზიების წინ, ბაღის სკამზე იჯდა პატარა ბოშა გოგო და მღეროდა: აყვავებულა არაგვზე დეკა, ნისლი მოცურავს მთა-მთა...**

მათხოვრობდა. ეს — ვნახე.

ქართველი ბავშვი, რომელიც პატარა ნოუთბუკზე თამაშს წუთით თავს ანებებს, მშობლებს ეტყვის „ჰაუ დუ იუ დუ!" და ამით „ის სულ სხვა ფსიქოლოგიის შემტანი იქნება თავის ოჯახში".

ეს მიხეილ სააკაშვილის წარმოსახვიდანაა, ციტატაა მისი ტელეპუბლიცისტიკიდან.

სიგიჟის ყვავილობაა საქართველოში. ამ ზამთრის პირზე.

განსაკუთრებით — კახეთში, სადაც „ქართული გენი (*მაშასადამე, ქართული ლიტერატურული ენაც. – ავტ.*) ყალიბდებოდა", რომლის მორიგი გაბრწყინების მოწმე გახდა სრულიად საქართველო 16 ნოემბრის სუსხიან საღამოს, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის შესრულებით.

უწინ „ერთი მეხუთედით დაგუბებულ და ნახევრადდაჭაობებულ", ყვარლელ მეგობრებთან შეთანხმებით, „ილიას ტბად" წოდებულ, მომავალში ცისფრად მოლივლივე ძველი წყალსაცავის ნაპირზე აღმართულ ტრიბუნაზე იდგა იგი და აღელვებით ლაპარაკობდა.

„მე როცა დავფრინავ ზემოდან (*ქვემოდან ფრენა რა არის, თქვენ გაარკვიეთ. — ავტ.*), არა იმიტომ დავფრინავ მარტო, რომ გზებს მინდა ავერიდო (*აი, თურმე რატომ დაფრინავს ზემოდან*). ზემოდან ძალიან კარგად ჩანს ასევე საქართველო (*ეტყობა, კიდევ რაღაცა ჩანს*). საქართველო ყველაზე კარგად ჩანს, როცა ერთი-ერთზე ვართ ჩვენ თქვენთან (*ჩვენ თქვენთანო! — დაიხსომეთ*), თქვენ თვალებში ვიყურებით (*ჩვენ ვიყურებითო. ასეა*), თქვენ სათქმელს ვუსმენ (*თვითონ უსმენს. სხვები სადღაც გაიფანტნენ*), მაგ (!) დროს ჩანს ყველაზე კარგად, და მეორე ყველაზე კარგი ხედია, როცა დაფრინავ ვერტმფრენიდან (*განუმეორებელი ხედია, როცა დაფრინავ ვერტმფრენიდან*). და როცა ვერტმფრენიდან დავფრინავ, ხედავ, როგორი პატარაა ჩვენი ქვეყანა" (*რა თქმა უნდა, პატარა იქნება, ტერიტორიების 20 პროცენტს რომ დაკარგავ, მას მერე განსაკუთრებით*). დაბოლოს, რახან პატარაა, „თითოეული მტკაველი ამ ქვეყნის კარგად უნდა იყოს გაკეთებული".

„ნურავინ ნუ თქვას", რომ ვერ გაიგო, რას ნიშნავს „თითოეული მტკაველი კარგად იყოს გაკეთებული".

გააკეთე და გაიგებ! მივმართავ იმ ქართველებს, რომლებსაც ღმერთი გაუწყრათ „და დღემდე მისტირიან მონობას, დღემდე მისტირიან ბატონყმობას, დღემდე მისტირიან ვასალის მდგომარეობას, დღემდე უნდათ, რომ ვიღაცის ქვეშ იყოს, ვიღაცის ერთი ადგილი ლოკოს. ბოდიში. ვიღაცის დაქვემდებარებაში იყოს, ვიღაცისგან მიიღონ ინსტრუქციები".

სწორია! არ ვარგა ამ პოლიტიკური კამასუტრას გამოყენებით ვიღაცის ერთი ადგილის ლოკვა „ქვეშიდან" და ინსტრუქციების მიღება ზემოდან, ვინც გინდა იყოს იგი — შორეული დასავლეთიდან თუ მეზობელი ჩრდილოეთიდან.

შენდება ორასათასიანი ბათუმი, სადაც „ევროპის მილიონიან ქალაქებზე მეტი ცათამბჯენი იქნება", შენდება პარლამენტიანი ქუთაისი, კახეთში ტბები შენდება.

წყალი და მეწყერი! შტურმ უნდ დრანგ!

თბილისი ცალკე ოპერაა, ვაგნერის „ნიბელუნგების ბეჭედი", მონუმენტური ქმნილება, მთლად ბათუმი არა, მაგრამ მიმსგავსებული — ჰა და ჰა...

„არც ერთ ეპოქაში, არასდროს თბილისში არც ერთი მეფის, არც ერთი მთავრობის, **არც ერთი დამპყრობლის** თუ დამოუკიდებელი საქართველოს პატარა პერიოდების დროს **ამდენი არ გაკეთებულა და არ აშენებულა, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში"...**

ეგეც სწორია, არც მურვან ყრუს, არც ჯალალ ედ-დინის, არც შაჰ აბასის, არც არაბთა თუ მონღოლთა ბატონობისას (კომუნისტები რა სახსენებელია!) არც ერთი „ოლვეის ულტრა" არ გადებულა მტკვარზე და არც ერთი ველოსიპედისთვის ძეგლი არ აუგიათ. ამიტომ:

**„ამ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო,**
**უნდა აღვმართო წყებათა-წყება..." (*გალაკტიონი*)**

როგორც „ვარდების რევოლუციის" სახელად წოდებულ მოედანზე აღმართა ამ ხელისუფლებამ ძეგლი, მონუმენტი რკინის რაშისა, რომელიც არსად მიდის და ვერც წავა, რამდენიც გინდა უძახო, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის მატერიალური განსახიერებაა.

აკვიატებული აზრია, ბოდვითი იდეა!

ამ შედევრს ერთი დეტალი აკლია, შტრიხი ერთი: ბათუმის „შლოპანცების" 12 კვერცხს ორი წყვილი უნდა გამოაცალო (იმ ძეგლის „სიმშვენიერეს" არაფერი დააკლდება!) და იმ, ერთმანეთისკენ მიმართულ ველოუნაგირებს ხურჯინივით გადაჰკიდო.

ამოძრავდება ეს დაწყვილებული კვერცხები და ერთმანეთს შეერწყმება, როგორც ბათუმში დადგმული მობილური ქანდაკებანი, ოღონდ — ორიენტაცია შეცვლილი.

უხერხული მინიშნებაა?

ყოველ შემთხვევაში, იმაზე კორექტული მაინცაა, რაც კახეთში ითქვა: ქვეშ უწვებიან და ერთ ადგილს ულოკავენო.

მაგრამ ამასობაში ეს ლაყე კვერცხები თუ გასკდა, ქვეყანაში ისეთი ყროლი დადგება, რომ ვერც ამ მოედნის სახელი უშველის, ვერც საფლავზე მიტანილი თეთრი ვარდების კონები.

**ბენჟამენ იგარკა**



## უწმინდესმა პატრიარქ კირილს იუბილე მიულოცა

რუსეთის დედაქალაქში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორის შეხვედრა გაიმართა. „ჩვენთვის ყოველთვის უდიდესი სიხარულია მოსკოვში თქვენი ჩამობრძანება, თქვენთან ურთიერთობა – იქნება ეს მოსკოვში თუ კიევში, როგორც ეს ცოტა ხნის წინ მოხდა, რადგან ჩვენ გვაქვს სასაუბრო და ჩვენ ნებისმიერ შეხვედრას უეჭველად კეთილი ნაყოფი მოაქვს", – განაცხადა პატრიარქმა კირილმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოსკოვში, მაცხოვრის სახელობის ტაძარში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებული წირვის შემდეგ პატრიარქ კირილს იუბილე მიულოცა. უწმინდესმა პატრიარქ კირილს — უფლის შემწეობა, რუსეთის ეკლესიასა და მთლიანად რუსეთს კი აყვავება უსურვა.

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net